„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№9 (214)
სექტემბერი
2016 წელი
ფასი 60 თეთრი

გამოცემის მეთექვსმეტე წელი  "LITERATURULI MESKHETI"  "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

## ძვირფასო თანამემამულენო, გილოცავთ გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს!




## სრულიად საქართველოს ვულოცავთ!

საქართველოს ყველა მოქალაქეს, ვისთვისაც ძვირფასია ჭეშმარიტი ქართული პოეზია და გენიალური რუსთაველის სახელი, გულითადად ვულოცავთ სახალხო დღესასწაულს „შოთაობას“. მნიშვნელოვანია, რომ დღეს, ტრადიციადქცეულ ზეიმთან ერთად შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესაც აღვნიშნავთ მის მშობლიურ მხარეში.

ასპინძა მდიდარი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობით გამორჩეულია არა მარტო სამცხე-ჯავახეთში, არამედ საქართველოში. ეს არის კუთხე, სადაც საუკუნეებია თავს ვიწონებთ ვარძიის მუზეუმ–ნაკრძალით, თმოგვის, ხერთვისის, კოხტას და ასპინძის ციხეებით, შორეთითა და ვანის ქვაბებით... თავს ვიწონებთ დიდი შოთა რუსთაველითა და ჩვენი ერის უმთავრესი საგანძურით „ვეფხისტყაოსნით“.

საუკუნეების შემდეგაც კი არ დაუკარგავს მნიშვნელობა იმ სიბრძნესა და მარადიულ ღირებულებებს, რასაც „ვეფხისტყაოსანი“ გვასწავლის. ქართველი კაცისთვის მეგობრობა, ერთგულება, მოყვასისა და სამშობლოს სიყვარული ყოველთვის ცხოვრების უმთავრეს არსს წარმოადგენს. სწორედ ამიტომაც არის მნიშვნელოვანი, გავუფრთხილდეთ და მომავალ თაობებს შევუნარჩუნოთ იგი.

ვფიქრობ, დღევანდელი დღე ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია.

ბედნიერებას, წინსვლასა და გამარჯვებას გისურვებთ საერთო ქართულ საქმეში.

*საუკეთესო სურვილებით,*

***აკაკი მაჭუტაძე,***
*სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი*
*სამცხე-ჯავახეთის მხარეში*

## ღმერთების ენაზე დაწერილი წიგნი

მე არაერთი წიგნი მითარგმნია აზერბაიჯანულ ენაზე, მაგრამ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა ჩემთვის ყველაზე დიდი პატივი, მოვალეობა და ბედნიერება იყო. ამ პოემის კითხვისას კიდევ ერთხელ ვრწმუნდებოდი, რომ ქართული ენა მართლაც ღმერთების ენაა, ხოლო ქართველი კაცი – სიმბოლო რაინდობის, სიბრძნისა და გმირობის. ბედნიერია ერი, რომლის წიაღშიც მსოფლიოს უპირველესი პოემა დაიბადა.

**იმირ მამედლი ,**
*პოეტი, მთარგმნელი,*
*რუსთაველის პრემიის ლაურეატი*

## საქართველოს ნათელი

ინდოელი მოაზროვნე ვივეკანანდა წერდა: ყოველ ერს, ისევე როგორც ყოველ ცალკეულ ადამიანს, აქვს ერთი თემა, ერთი ცენტრალური ბგერა, რომლის გარშემოც ჰარმონიის ყველა ბგერა იკრიბება, თუ ერი მას უარყოფს, თუ იგი უარყოფს საუკუნეების მიერ გადმოცემულ ბგერას, ის ერი კვდება.

მაინც რა არის ჩემი ერის მთავარი თემა, ცენტრალური ბგერა, ქართული პოეზია, რომლის უპირველესი სახელი შოთა რუსთაველია. რუსთაველის პოემაში დევს ერის უკვდავების გასაღები. ზოგჯერ მიპყრობს შიში, – მაინც რა იქნებოდა საქართველო რომ არა შოთა რუსთაველი და მისი უკვდავი პოემა? ჰო, იქნებოდა – „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტი ქვეყანა“, „ერი გულადი, პურადი“, მაგრამ ისეთივე იქნებოდა საქართველო, როგორც სამყარო, მამა ღმერთს, მისი შექმნისას, ერთი წინადადება რომ არ ეთქვა: „იქმენ ნათელი“. რუსთაველი საქართველოს ნათელია!

**მაყვალა გონაშვილი,**
*საქართველოს მწერალთა კავშირის*
*თანათავმჯდომარე*

## შოთა რუსთაველი – მსოფლიო მოვლენა

რუსთაველი იყო ის დიდი შემოქმედი,
„რომელმაც შექმნა სამყარო,
ძალითა მით ძლიერითა.“

რუსთაველი იყო ის დიდი შემოქმედი, რომელმაც
„ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა,
გვაქვს უთვალავი ფერითა.“

რუსთაველი იყო ის დიდი შემოქმედი, რომელმაც გვითხრა:
„რასაცა გასცემ შენია,
რაც არა, დაკარგულია!“

ჩემო სამშობლოვ, ჩემო საქართველოვ, თუმცა ჭირში მყოფი ხარ შინაური და გარეული მტრებისგან, არ შეშინდე, შენ გყავს დიდი შოთა რუსთაველი და რომ შენც გაიხარო, დიდ რუსთაველს მოვლა და პატრონობა სჭირდება!

ჩვენ უფალმა მოგვივლინა შოთა რუსთაველი. ერო, სავსევ მწუხარებითა, გაიხსენე დიდი რუსთაველის სიტყვები:
„ვა, სოფელო რა შიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა.“

გაიხსენე და დაირქვი ქვეყანა რუსთაველისა!

ჩემს საქართველოს ვულოცავ რუსთაველის იუბილეს!

ჯანსუღ ჩარკვიანი,
სახალხო პოეტი,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

## განცხადება



მიმდინარე წლის **24 სექტემბერს** ციხე-ქალაქ ვარძიაში გაიმართება

**შოთა რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიძღვნილი**

ტრადიციული სახალხო დღესასწაული

**„პოეზიის დღე - შოთაობა“**.

**სახალხო დღესასწაულზე მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ანსამბლები, რეგიონის შემოქმედებითი კოლექტივები, მოეწყობა ხალხური რეწვის ოსტატთა ნამუშევრების, მხარის მხატვართა ნახატების, ახალი წიგნების გამოფენა-გაყიდვები, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მიერ გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება და სხვ.**

**დასაწყისი 11 საათზე.** გთხოვთ მობრძანდეთ.

***ასპინძის მუნიციპალიტეტი***

## ქართული ლიტერატურული თანავარსკვლავედის ბრწყინვალე ვარსკვლავი

გულითადად ვულოცავ ქართველ ხალხს, სამეცნიერო, კულტურულ და წიგნის მოყვარულ საზოგადოებას ეროვნულ დღესასწაულს: შოთა რუსთაველის დაბადების 850 წლისთავს.

ქართველი ერის შვილი, მისი სიამაყე შოთა რუსთაველი, მსოფლიო მოვლენაა, ის თანაბრად მშობლიურია და ძვირფასი ყველა ერისთვის. კეთილი ნების ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების ფანატიზმისა და ობსკურანტიზმის პირობებში დიდი შოთას მიერ დაყენებული საკაცობრიო იდეები სამშობლოს ერთგულების, სიყვარულისა და თავგანწირვის, ძალადობისა და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის და, განსაკუთრებით, ხალხისა და ერების დიდი მეგობრობის შესახებ. დღესაც აქტუალურად ჟღერს მისი ბრძნული დარიგება: ,,ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

სომეხი ერი ყოველთვის დიდად აფასებდა მოძმე საქართველოსთან მეგობრობას, ქართულ კულტურას, ხელოვნებას, რომლის ლიტერატურულ თანავარსკვლავედში კაშკაშებს დიდი რუსთაველის ვარსკვლავი. საკმარისია იმის გახსენებაც, რომ შუა საუკუნეების სომეხმა მემატიანეებმა მემკვიდრეობით დაგვიტოვეს პოემა ,,ვეფხვისტყაოსნის“ თხუთმეტი მაღალხარისხოვანი ხელნაწერი, ხოლო პირველი თარგმანი სომხურად შესრულებულია 1860-1862 წლებში, პოემიდან ნაწყვეტები გადაუთარგმნიათ ჰოვჰ. თუმანიანს და ვ. ტერიანს. რუსთაველსა და მის შედევრს არაერთხელ უბრუნდებოდნენ სომეხი შესანიშნავი მხატვრები და მოქანდაკეები (გ. ბაშინჯაღიანი, რ. შაჰვერდიანი, ჯოტტო), რუსთველოლოგიაში თავისი შესამჩნევი წვლილი შეიტანეს ალ. შირვანზადემ, ჰოვჰ. თუმანიანმა, ავ. ისაჰაკიანმა, ლეომ, ჰ. ორბელმა, რუსთაველს პოემები და ლექსები მიუძღვნეს ჰოვჰ. თუმანიანმა, ჰონჰ. შირაზმა, გ. ბორიანმა და სხვებმა.

უნდა ვაღიარო, რომ ქართველი გენიოსი პოეტის ნაწარმოები ,,ვეფხვისტყაოსანი“ ბავშვობიდანვე იქცა ჩემთვის უსაყვარლეს წიგნად ჰომეროსის „ილიადას“, ნარეკაცის ,,მატიანის“ და მსოფლიო სხვა შედევრებთან ერთად. ჩემთვის უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ ქართველი ხალხის მიერ, „ვეფხისტყაოსანი“ აღიარებულია წმინდა წიგნად და მას „ნარეკისავით“ უდებბდნენ ავადმყოფს ბალიშის ქვეშ განსაკურნავად.

სომხებს და ქართველებს, ჰაიოს-ქართლოსის დროიდან დაწყებული, ჰყოლიათ ბევრი სახელგანთქმული პიროვნება, რომლებმაც საკუთარი ცხოვრებით და შემოქმედებით გააერთიანეს ჩვენი ორი მოძმე ერი.

შოთა რუსთაველის დაბადების 850 წლისთავი ჩვენი მეგობრობის განმასახიერებელი ერთ-ერთი მოვლენაა. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ მოგესალმებით ყველას საუკეთესო მომავლის იმედითა და რწმენით.

**ედვარდ მელიტონიან,**
*სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე*

## ნება მომეცით, ყველას მოგესალმოთ და მოგილოცოთ დღევანდელი დღე

ჩვენ სოციალურ ქსელებში არცერთ მნიშვნელოვან მოვლენას არ ვტოვებთ ყურადღების გარეშე და ერთმანეთს ვირტუალურად ვუჭერთ მხარს. დღეს კი ნამდვილად შედგა ჩვენი უშუალო შეხვედრა „ლიტერატურული მესხეთის“ შუამავლობით.

საბედნიეროდ, დღეს ჩვენ ძმები ვართ. ჩვენ ძალიან გვიყვარს საქართველო. **ქართველობა ჩვენი ქოლგაა,** რელიგიები, კუთხეები, ფერები, კულტურები და სხვ., – ეს ყველაფერი ქართველობის მერე მოვა.

**„მაშ, ვცნოთ, რომ ერთი ვართ,**
**ერთი მამის შვილთა-შვილი,**
**საქართველოს შვილები ვართ,**
**ერთ ძუძუზე გამოზრდილი.“**

ძალიან გვახარებს ისიც, რომ საქართველო ჩვენი ამჟამინდელი სამშობლოს – თურქეთის კეთილი მეზობელი და მეგობარი ქვეყანაა.

გვჯერა, რომ კავშირები საქართველოს, თურქეთსა და მსოფლიოში მცხოვრებ ქართველ საზოგადოებებს შორის კიდევ უფრო განმტკიცდება და მსგავსი ღონისძიებები თავის წვლილს შეიტანს ამ კეთილშობილურ საქმეში.

ჩვენ, თურქეთში მცხოვრები ქართველები, საქართველოსა და ქართველი ხალხის მეგობრები, ნათესავები ვართ!

ჩვენ, თურქეთელი თქვენებურ-ჩვენებურები, თქვენ აქაურ ქართველებს, ერთმანეთს, სიყვარულის სუფთა წყაროს წყალს უნდა ვალევინებდეთ და ჩვენი დიდი მონატრების წყურვილს ამით უნდა ვკლავდეთ... აბა, სად გაგონილა, ძმამ ძმას საწამლავი დაალევინოს... ჩვენ ხომ ქართველები ვართ!!!

### ჩვენ ვართ ერთი სისხლი და ხორცი!

ჩვენ, თურქეთში მცხოვრები ქართველები, ახლანდელი სამშობლოს – თურქეთისთვის და მშობლიური მემლექეთის, სამშობლოს – საქართველოსთვის, ისტორიის წინაშე პასუხისმგებლები ვართ. ორი ქვეყნის მეგობრობისათვის მეგობრობის ხიდივით უნდა დავდგეთ.

თურქეთის ტერიტორიის 2/3-ზე (ორ მესამედზე!) მეტ ქალაქში მუჰაჯირი ქართველები ცხოვრობენ.

ჩვენი ბედისა და ისტორიის წყალობით, ქართველები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დავიბადეთ და სხვადასხვა კულტურების წიაღში გავიზარდეთ; შესაბამისად, სხვადასხვა მენტალიტეტის მატარებლები ვართ. ესეც ნორმალურია.

რას გეუბნებით: ჩვენ, ერთმანეთის მიმართ უფრო მეტად ტოლერანტული უნდა ვიყოთ და ერთმანეთს პატივი ვცეთ.

თურქეთში მცხოვრები ქართველები მუდმივად თვალს ვადევნებთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს.

ქართველ და-ძმებთან ერთად გვახარებს მიღწეული წარმატებები და გულს გვტკენს ჯერ კიდევ არსებული პრობლემები.

რაც შეეხება საქართველოს მომავალს, ძალიან იმედიანად ვართ, რომ საქართველო საბოლოოდ ჩამოყალიბდება, როგორც ერთიანი, ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფო. დიდად გვახარებს ბოლო წლებში საქართველოსა და მსოფლიოში მცხოვრები ქართველი თანამემამულეების თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურ ქართველებთან ურთიერთობა.

გვსურს ჩვენი გარკვეული წვლილი შევიტანოთ საქართველოს აღმშენებლობის საქმეში.



### ჩვენ ვართ ერთი ოჯახი!

ასევე გვსურს, საქართველო ეკონომიკურად, დემოკრატიულად გაძლიერდეს, შვეიცარიასავით, მსოფლიოს ფინანსური ცენტრი იყოს საქართველოც.

ქართველები, ისტორიულად, ძალიან ნიჭიერ და შემოქმედ ხალხად ვითვლებოდით და, ასეა დღესაც. ჩვენში ხომ ქართული სისხლი და გენია, საქართველოს სიყვარულს ყოველთვის გულით ვატარებთ. მე ნამდვილად მეამაყება, რომ ამ პატარა, მაგრამ ძალიან განსაკუთრებული ხალხის შვილი ვარ.

### ქართველობა ჩვენი ქოლგაა!

მე ძალიან მიყვარს და პატივს ვცემ „ვეფხისტყაოსანს“.

მე ვარ ჩემს 13 წლის ვაჟთან ერთად რუსთაველის გამაცოცხლებელი თურქეთში. მე და ჩემი ვაჟი ერთად, დუეტში ვკითხულობთ „ ვეფხისტყაოსანს“!

რამდენიმე თურქულ არხსა და კონფერენციაზე მე ვისაუბრე „ვეფხისტყაოსანზე“. მივმართე თურქეთის მთავრობას, და ვეცადე ამეხსნა მათთვის, რომ დიდებული „ვეფხისტყაოსანი“ ყველა ქართველის სიამაყეა, ეს ნაწარმოები მსოფლიო შედევრია.

საქართველოს მთავრობასაც უნდა ვთხოვოთ: ეთნიკური ქართველებისთვის, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში, სადაც ქართველები კომპაქტურად ცხოვრობენ, გაიხსნას რუსთველოლოგიის შემსწავლელი ცენტრები.

### ,,ვეფხისტყაოსანი“ 60 (სამოცი) ენაზეა თარგმნილი

ერთმა მეგობარმა ფეისბუკში ასე მომწერა:

„ადამიანს საქართველო ისე მოენატრა, რომ მაღალი მთიდან არწივისებურად გადაიხედა და თქვა: საქართველო ისე მომენატრა, როგორც არწივს – მთა!“

### საქართველოვ, გ ე ნ ა ც ვ ა ლ ე !!! დაგენაცვლე!!!

საქართველო მარტო ორ ზღვას შუა მოქცეული ტერიტორია კი არ არის, საქართველო ყველგან, ყველა ქვეყანაში, სადაც, ქართველები ცხოვრობენ, ყველას დედა სამშობლოა!

### ძალა ერთობაშია!

გაუმარჯოს დედა- სამშობლოს!

მადლობა ღმერთს, რომ ქართველები ვართ!

და ვისაც ქართველობა ეთაკილება, ვაი იმას! ვინც საქართველოს ებრძვის, არც კი იცის, რომ დამარცხებულია!

გაუმარჯოს ჩვენს მეგობრობას და ნათესაობას!

გაუმარჯოს ჩვენს დედასავით საყვარელ დედა -სამშობლოს!!!

**ორჰან ბერიძე,**
*თურქეთელი ქართველი*

## გაზეთ ,,ლიტერატურული მესხეთის” რედაქციას!

ქართველი ხალხის უპირველესი შვილის, გენიალური შოთა რუსთაველის 850 წლის საიუბილეო დღეებია.

დიდ სიხარულთან ერთად პატარა სევდაც შემომპარვია გულში. იზეიმებს კი საქართველო ამ იუბილეს ისე, როგორც დიდ შოთას ეკადრება?

მე კარგად მახსოვს 50 წლის წინათ გადახდილი რუსთაველის 800 წლისთავის იუბილე. მაშინ მთელი საქართველო ზეიმობდა ამ დღეს, ტელევიზიებისა თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არ წყდებოდა გადაცემები, წინასაიუბილეო დღეებში უამრავი ღონისძიება იმართებოდა დიდი შოთას სახელის უკვდავსაყოფად. გზის პირებზე აღმართული იყო შოთა რუსთაველის როგორც უზარმაზარი პორტრეტები, ასევე გამოჩენილი მხატვრების მიერ შესრულებული ,,ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების რეპროდუქციები ...

ახლა კი, რატომ არის ასე მიყუჩებული მთელი საქართველო?! ღმერთმა ქნას დარჩენილ დღეებში მაინც ამოვარდეს ქარიშხალი იუბილის ღირსეულად გადახდისათვის!

სამცხეში მოგზაურობისას ყოველთვის გულს მიკლავს კიდევ ერთი რამ – რუსთაველის მშობლიურ სოფელში აღმართული გენიალური პოეტის ძეგლი ისე პატარაა, სრულიად ვერ ასახავს რუსთაველის სიდიადეს და არანაირად არ მიესადაგება მის ბრწყინვალებას! კარგი იქნებოდა, რუსთაველის ძეგლის კვარცხლბეკი უფრო მაღლა აწეულიყო და ეს ყველაფერი მომავლისთვის მაინც გაკეთებულიყოს!

ვსარგებლობ შემთხვევით და სრულიად საქართველოს ვულოცავ შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს.

**უშანგი ჯანგირაშვილი,**
*ბორჯომელი მწერალი*

## ქართული სულიერების თრიენ ფირი

შოთა რუსთაველის მოღვაწეობა ემთხვევა იმ ხანას, როცა ქართული გენის და „სულიერების გამობრწყინება“, მთელი ისტორიის მანძილზე, ყველაზე აღმატებული იყო; ეს პერიოდი იწყება მეთერთმეტე საუკუნის ბოლოდან და გრძელდება მეცამეტე საუკუნის შუა წლებამდე, მონღოლთა შემოსევამდე.

ამ ეპოქის ხასიათს კარგად წარმოაჩენენ ის ხუროთმოძღვრული ძეგლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, ეკლესია-მონასტრები, რაც იმ პერიოდში აშენდა; ამის დასტურად მარტო გელათის აკადემია იკმარებდა, რომელიც, მემატიანის თქმით, იქცა: „მეორედ იერუსალიმად, სხვად ათენად და მათზე აღმატებულად“ (ქართლის ცხოვრება). აქედან ჩანს, რომ მაშინ დიდი ყურადღება ექცეოდა სასულიერო სიბრძნეს და ფილოსოფიას;

იმდროინდელ ქართულ ხუროთმოძღვრებაში გამორჩეული და მნიშვნელოვანი ძეგლებია კლდეში გამოკვეთილი სამონასტრო კომპლექსები: დავით გარეჯი და ვარძია, აგრეთვე, ვარძიის მახლობლად გამოკვეთილი ვაჰანის, ანუ ვანის ქვაბებიც;

სხვა მრავალი ფაქტი არსებობს იმ ეპოქის წარმოსაჩენად, მაგრამ, უპირველესად, ცხადია, ესაა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ემყარება ქართული სასულიერო კულტურის განვითარებას, ქართული მითოსის ფესვებს, აღმოსავლური პოეზიის სახეობრივ მრავალფეროვნებასაც და ფილოსოფიურ ტრადიციებსაც;

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები განასახიერებენ ადამიანურ სრულყოფილებას სულითაც და ხორცითაც, – როდესაც უპირველესია მოყვასის სიყვარული, მისდამი ერთგულება და თავდადება, რაც ოდითგან ქრისტიანულ პრინციპებს ემყარებოდა და პიროვნების სულიერ მისიას გამოხატავდა.

„ვეფხისტყაოსანი“ ქართველი ხალხისთვის იქცა არაიურიდიულ, საერო-სახალხო კონსტიტუციად, რომელმაც სამოქმედოდ დაგვისახა მეგობრობის, სიყვარულის, ერთგულების, კაცთმოყვარეობის ნორმები და კანონები, მორალურ-ზნეობრივი ორიენტირები და სწორედ ამ ღირებულებების დაცვამ და განმტკიცებამ გადაგვარჩინა საუკუნეების ქარცეცხლში;

საქართველოს სულიერი დაცემა მაშინ იწყებოდა, როცა რუსთაველის „სახალხო კონსტიტუციის“ მიერ მიღებული კანონების და ღირებულებების უგულვებელყოფა ხდებოდა, როცა ავთანდილობას, ტარიელობას, ფრიდონობას, თინათინობას და ნესტანობას ფასი ეკარგებოდა; გარეული და შინაური მტრები დღესაც ბევრს ცდილობენ ამის მისაღწევად, ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ზღუდეების მოსარღვევად, რაც საქართველოს დიდ განსაცდელს უმზადებს! უნდათ, საქართველო რაინდული ცხოვრების ანტიპოდად – გულანშაროდ აქციონ, რომელიც სულიერებისაგან დაცლილია; სუფევს ფუფუნება, უზნეობა, ღალატი, გაუტანლობა და სიმდაბლე! იქაური ცხოვრება უკულტურო და უზნეო თავისუფლების ნაყოფია! მაგრამ მჯერა, ჩვენ მაინც, როგორც რუსთაველი გვასწავლის: „მოყვრისაგან მოყვრობისა გამოჩენა“ გადაგვარჩენს და „სიყვარული აგვამაღლებს...“

და ბოლოს: მინდა, სრულიად საქართველოს და პირველ რიგში მესხეთს მივულოცო ეს ღირშესანიშნავი თარიღი, „ვინმე მესხი მელექსეს“ – რუსთაველის 850 წლის იუბილე!

**ბაღათერ არაბული,**
*საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, ჟურნალ „ცისკრის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე*




# შოთას დაბადება და მისი მშობლები

შოთა რუსთაველი დაიბადა სოფელ რუსთავში, როდესაც შვილის დაბადება შეიტყო მამა-ივანემ, რომელიც იმ დროს ჩახრახის მთის კალთებზე იმყოფებოდა თავის სამწყესურში. იგი მაშინვე სიხარულით გაეშურა რუსთავში. სახლში მისვლისთანავე ზღურბლზე შესძახა: „შოთას გაუმარჯოსო!“

მეორე დღეს ოჯახმა ძეობა გადაუხადა შვილს. ივანეს მტრებმა საწამლავი შეურიეს ღვინოში და მოკლეს. მამით დაობლებული პატარა შოთა იზრდებოდა დედის კალთაში. შოთას ჰყავდა უფროსი და-ძმა და ბიძა იესა – მამის ძმა. დედას სახელათ ერქვა ია, რომელიც განთქმული იყო კეთილშობილური ადამიანობით. იგი შვილებს არ აგრძნობინებდა მწუხარებას და ზრუნვას არ აკლებდა დაობლებულ შვილებს. დედა ტრაგედიამ დაასნეულა და მალევე გარდაიცვალა. ბავშვების აღზრდა ბიძამ – იასემ იკისრა. იგი შოთაში ხედავდა რაღაც განსაკუთრებულს და ძალიან უყვარდა. შოთა ძლიერ განიცდიდა მშობლების დაკარგვას. ბიძა ამჩნევდა ამას და თანაუგრძნობდა. როდესაც შოთა წამოიზარდა, ბიძამ წაიყვანა ტბეთში და მიაბარა ჩორჩო-აგარის საეკლესიო სკოლაში, თუმცა წერა-კითხვა შესწავლილი ჰქონდა ეკლესიის მღვდლისაგან. შოთა ჭკვიანი და ლამაზი ყმაწვილი იყო და მის ტოლებსაც ძალიან უყვარდათ.

ჩორჩო-აგარის წარჩინებით დამთავრების შემდეგ შევიდა იყალთოს აკადემიაში, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა. იგი პარალელურად სწავლობდა გრემის არსენ ეპისკოპოსის უმაღლეს საეკლესიო სკოლაში.

შოთას სახელმა სამეფო კარამდეც მიაღწია. მათი დახმარებით იგი გაგზავნილი იქნა საბერძნეთში ფილოსოფიის შესასწავლად ქალაქ ათენში.

სწავლის ხარჯები სახელმწიფომ და მოსახლეობამ გაიღო. 5 წლის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში, დიდად განსწავლული, დაბრძენებული და დავაჟკაცებული. მან კარგად იცოდა არაბული, ლათინური, სპარსული და ბიზანტიური ენები. ვარძიის სამეფო რეზიდენციაში შოთას საზეიმო შეხვედრა მოუწყეს.

**პაპისაგან – სერგო ბერიძისაგან (დაბადებული 1917 წელს) ჩაიწერა მიხეილ ნარიმანიშვილმა 1990 წელს (ახალციხის 1 საშუალო სკოლის მე-8 კლ. მოსწავლე).**

# შოთას ქორწილი

საბერძნეთიდან დაბრუნებულმა შოთამ სამი წლის შემდეგ იქორწინა ერთი ბატონის ასულზე. ქორწილის ამალას უნდა გაევლო სოფელ ღობიეთთან. როდესაც ქორწილის მაყრიონთა ყიჟინა შემოესმა ღობიეთელ გოგონას, ანაზდად მოახტა ცხენს და მაყრიონს გზაში, სახელდახელო სუფრა ტაბაკით მიართვა. შოთას გაბედნიერება მიულოცა. ამ ქალიშვილმა და შოთამ ერთმანეთს შეხედეს, მაგრამ ეს მზერა პატარძალს არ გამოჰპარვია და იმ დღიდან ეჭვმა დაისადგურა მის გულში. შოთამ მადლობის გადახდაც ვერ მოასწრო, გოგონამ მოაბრუნა ცხენი და გაქუსლა სოფლისკენ. მისი ძმები მდინარე მტკვარზე ხიდს აშენებდნენ. მათთან მისულ დას უსაყვედურეს, თუ რატომ თავის დროზე არ მოგვიტანე სადილიო. დამ ყველაფერი უამბო ძმებს. ძმებმა ანუგეშეს, მაგრამ, პროტესტის ნიშნად, შეწყვიტეს ხიდის მშენებლობა, ვინაიდან შოთას მაყრიონს იმ ხიდზე მოუხდებოდა გამოვლა. იმ ადგილზე ახლაც ემჩნევა ხიდის ნაშთები.

*მისივე*

# შოთას იერუსალიმში გადახვეწის მიზეზი

შოთას ოჯახური მდგომარეობა არ იყო ბრწყინვალე, მის მეუღლეს – ნინოს ძლიერ უყვარდა ქმარი და კარგ პრობლემებსაც უქმნიდა მუშაობის დროს. რუსთაველი ხშირად ოჯახიდან მოშორებული იყო. ნინო იტანჯებოდა შოთას სიშორით და უდიდესი კეთილშობილებით ითმენდა შოთაზე გაგონილ ჭორებს.

ერთ-ერთი ბატონის მსახურმა არაბმა შეიყვარა ნინო და შეხვედრა დაუნიშნა მტკვრის სანაპიროზე. ეს ამბავი შეატყობინეს შოთას და ცხენზე ამხედრებული, მახვილ მომარჯვებული, დაადგა შეყვარებულებს თავზე. ქალს მამაკაცის ტანისამოსი ეცვა. შოთამ მაინც იცნო თავისი მეუღლე და იქვე განგმირა იგი. არაბმა კი დრო იხელთა და გაქცევით უშველა თავს.

რუსთაველმა უარყო მოღალატე მეუღლე და გადაწყვიტა გადახვეწილიყო იერუსალიმში, სადაც ქართველი მოღვაწეები იყრიდნენ თავს ჯვრის მონასტერში. ქართველთა საქრისტიანო რეზიდენციაში.

*მისივე*

# „ვეფხისტყაოსანი“ და თამარი

როდესაც მეფე თამარმა შეიტყო, რომ შოთა რუსთაველმა დაამთავრა პოემა, სთხოვა მას, რათა წაეკითხა მეფის საკრებულოში.

შოთამ ვარძიის ციხე-ქალაქში, თამარის სამეფო ტახტის სათათბიროში, მთლიანად წაიკითხა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი. მოხიბლული თამარი წამოდგა ფეხზე, შოთას მადლობის ნიშნად შუბლზე ეამბორა, გაიძრო მარჯვენა ხელის შუა თითიდან თავისი ოქროს ბეჭედი და შოთას მარჯვენა ხელის ნეკზე გაუკეთა. მერე აიღო თავისი კალამი (ოქროსი) და შოთას მაღალ ქუდზე თავისი ხელით დაუმაგრა ბრილიანტის სამაგრით. შოთამ დიდი მადლობა გადაუხადა, თამარს ხელზე ეამბორა და გადასცა თავისი „ვეფხისტყაოსანი“.

შოთას მხრივ ეს იყო სიყვარულის წერილი თამარისადმი, სადაც ნაწილობრივ ჩააქსოვა თავისი პირადი ცხოვრების ამბები.

*მისივე*



# შოთას წყარო

ასპინძის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხუთიოდე კილომეტრზე, მდებარეობს სოფელი ოთა, ხოლო ოთიდან ამავე მიმართულებით, სამი კილომეტრის მოშორებით, ბუნების წიაღში, კოდიანის ფერდობზე, მოჩუხჩუხებს ცივი წყარო. შოთას აქ ჰყვარებია ნადირობა და ამიტომ ხალხს ამ წყაროსათვის შეურქმევია – „შოთას წყარო“.

**ჩაიწერა ციური მელიქიძემ 1991 წელს, ქ.ახალციხე**

# რუსთაველის ანდერძი

იერუსალიმში შოთა რუსთაველი დიდი პატივისცემით მიიღეს ქართველმა მოღვაწეებმა და მას მიუჩინეს შესაფერისი ადგილი. ღრმად მოხუცებულმა შოთამ, როდესაც იგრძნო სიკვდილის მოახლოება, დაწერა შემდეგი შინაარსის ანდერძი: „ვანდობ ჩემს შვილებს ჩემი ნეშტის გადასვენებას სამშობლოს მიწაზე“.

რამდენიმე დღის შემდეგ შოთამ სამარადისოდ დახუჭა თვალები. მისი გარდაცვალების ამბავი ელვასავით მოედო მთელ საქართველოს და გლოვამ მოიცვა შოთას სამშობლო. ანდერძის შესახებ კი არავინ არაფერი იცოდა.

*მისივე*

# შოთა დაჩაგრულთა ქომაგი

შოთა ბავშვობიდანვე ყოფილა დაჩაგრულთა დამხმარე. ერთხელ მან ატირებული ამხანაგი ნახა და გამოკითხა ტირილის მიზეზი. მან უამბო, რომ, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ღობიეთელ ბიჭს დააჭიდეს. ის ბიჭი ძლიერი იყო. მან წააქცია იგი და სილაც გააწნა. შოთას შეებრალა ბიჭი და უთხრა: – მაჩვენე ის ბიჭიო. შოთა და მოჩხუბარი შეხვდნენ ერთმანეთს. შოთამ წააქცია იგი, შემდეგ თავისი ხელით წამოაყენა და სილა გააწნა: – ეხლა კი ბარი-ბარში ხართ, შერიგდით და გადაკოცნეთ ერთმანეთიო, – უთხრა შოთამ დაჩაგრულ ბიჭს.

ამის შემდეგ ის ბიჭები სიკვდილამდე კარგი მეგობრები ყოფილან.

*მისივე*

# შოთას ქუდი

შოთა რუსთაველი თურმე კრაველის ქუდს ატარებდა. ის რომ ქუდს დაიხურავდა და ცხენზე ამხედრდებოდა, მასზე უკეთესი ვაჟკაცის ნახვას თვალი ვერ ინატრებდა. როდესაც პირველად მესხებმა იხილეს შოთას პორტრეტი, გაუკვირდათ, შოთა კრავერის ქუდს ატარებდა და არა წონწოლა ქუდსო.

მიუხედავად შენიშვნებისა, ქუდის ფორმა არავის შეუცვლია და დღემდე დამკვიდრებულია შოთას პორტრეტზე წონწოლა ქუდი.

*მისივე*

# თამარის სიკვდილის მიზეზი

თამარ მეფეს უყვარდა დიდი მგოსანი შოთა რუსთაველი, მაგრამ ეს სიყვარული საიდუმლოდ ატარა გულით. დაფარული სიყვარულის დარდმა თანდათანობით დაასნეულა დიდებული თამარი და როდესაც სიკვდილის მოახლოება იგრძნო, დაიბარა თავისი ვეზირები და დაუტოვა ანდერძი, თავისი ნეშტის საიდუმლოდ გასვენების თაობაზე.

თანახმად თამარის ანდერძისა, იგი გასვენებული იქნა სამი კუბოთი, სხვადასხვა მიმართულებით. მესაფლავეებმა თავი შესწირეს თამარს, მათ ურთიერთი განგმირეს, გამოასალმეს წუთისოფელს, რათა არავის არ სცოდნოდა თამარის საფლავი.

საიდუმლო დაკრძალვის მიზანი ის იყო, რომ მტრებს არ მოეტაცათ მისი ნეშტი და არ შეერაცხყოთ, თამარის ნეშტი უშფოთველად, მოსვენებული უნდა ყოფილიყო თავის სათაყვანებელი სამშობლოს მიწაზე.

*მისივე*

# „ვეფხისტყაოსნის“ კოცონი

ანტონ კათალიკოსმა კარგად იცოდა „ვეფხისტყაოსნის“ ეკლესიის საწინააღმდეგო ხასიათი. ამიტომ რელიგიის მესვეურების ძალებით შეკრიბა „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გამოცემა და ხელნაწერები. როდესაც დარწმუნდა, რომ ყველა წიგნი ხელთ ჰქონდა, წაუკიდა ცეცხლი, დაანთო დიდი კოცონი, მაგრამ ერთი წიგნი შენახული მაინც აღმოჩნდა მესხი ქალის სამზითვო კიდობანში და შემდეგ აქედან გამრავლდა იგი.

*მისივე*

# შოთას სამოღვაწეო ადგილები

შოთამ „ვეფხისტყაოსნის“ წერა დაიწყო ვარძიაში. პოემას წერდა რუსთავში, თმოგვში, წუნდაში, ვანის ქვაბებში და თორში. იგი დადიოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და ყველგან ტოვებდა თავისი სიბრძნის კვალს. მის ნაკვალევზე მესხეთში ყველა ლოცულობდა: „იმ სულმნათ შოთას ამ გზით გაუვლიაო“; „აქ ლექსი დაუწერიაო“; „იქ ნადირობდაო“ და ა.შ.

*მისივე*

**მოგვაწოდა ციური ლაფაჩმა 2016 წელს**



# შოთაზე თქმულება

ერთხელ შოთა რუსთაველი თურმე ცხენით მოდიოდა. უნდა ამოსულიყო ვარძიაში, რომ ჯარს წაჰყოლოდა. რომ გამოიარა ასპინძა, ვიღაც ქალი მოხუცებული დახვედრია. უთქვია, ვარძიის გზას თუ მასწავლიო. ასწავლა ამ მოხუცმა ქალმა ვარძიის გზა. ავიდა თუ არა საროში, მიადგა საროს ბაღებს. საროს ბაღს მცველები ჰყავდა. ერთს მათე ერქვა, მეორეს ბაგრატი. ამათ უთხრეს, რომ პური ჭამე, დანაყრდი და ისე გაემგზავრეო. დანაყრდა შოთა, გატეხა ქართული პური და გაიხსენა ღმერთი: ღმერთო, ამრავლე ასეთი პური ჩვენს ქვეყანაშიო. შეჯდა ცხენზე და წამოვიდა ვარძიისკენ. ბაგრატმა ლექსი მიაძახა:

„შოთა თეთრ ცხენზე ზისო,
უკან ნიავი ჰქრისო,
უხდება თეთრი ნაბადი,
მთის კალთას უფრო უდრისო“.

როცა ავიდა შოთა რუსთაველი ვარძიაში, საღამო იყო. მივიდა თუ არა, მაშინვე მცველები მივიდნენ და ჰკითხეს, ვინ იყო. შოთას პარიკი ჰქონდა სახეზე გაკეთებული, რომ არ ეცნოთ. შოთამ თავისი ვინაობა არ გაამჟღავნა. შენ გავხარ შოთას, გიცანიო, – უთხრა მცველმა.

– შენ საიდან იცნობ შოთასო, – შეეკითხა თითონ შოთა.

მცველმა უპასუხა, რომ მე შოთას სახლთხუცესი ვიყავიო. შოთამ ჰკითხა, თუ თამარ მეფემ ჯარი სად წაიყვანაო. მცველმა უპასუხა: იქნება ნახევარი საათი, რომ ახალქალაქისკენ წავიდნენ, გადაივლიან აბულის მთებს და თბილისისკენ წავლენო. შოთა მოტყუვდა, რადგან თამარ მეფის ჯარი ისე კი არ წავიდა, არამედ კოდიანზე გადავლით.

შოთას რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ცხენს მიერეკებოდა, რომ როგორმე დასწეოდა ჯარს, მაგრამ, რომ ნახა მოატყუეს, ისევ დაბრუნდა ვარძიაში. მოიხადა პარიკი და მცველებს უთხრა: მე შოთა ვარო. ეხლა კი უთხრეს სიმართლე, საით წავიდა ჯარი. შოთა ჯარს ცხენით ბორჯომში დაეწია.

**მთქმელი მარო ერასტის ასული ბერიძე, 16 წლის, ასპინძა.**
**ჩაიწერა ვ.კოჭლავაშვილმა 1965 წელს**

თსუფა3949

# ჯემალ ინჯია

## ჯიში

გმინავს ქართველის
ნაოსტატარი! –
ჩვენი წინაპრის
ნახელავს „რთავენ“.
შემოსწყობია
ტაოს თათარი,
ტაძარს ადგამენ
ნახევარმთვარეს.
შორით სალამურს
მწყემსი აკვნესებს
არა ერთი და
ორი წელია...
დიდი იმედი
წევს იმ აკვნებზე,
იმერხევს იქით
რომ ირწევიან.
შავშეთის მთებში
ალბათ ნათდება,
მოჩანან მწვანე
ოქროს გორანი.
თურქო, ქართველი
არ გათათრდება,
არ გათეთრდება
როგორც ყორანი.

## ზარზმა

მთებში ვარდისფრად ჩარჩენილი
ვიხილე ზარზმა
და გააცოცხლა ჩორჩანელი
ფხიზელმა აზრმა.
მხარევ, მნახველო იმ წარსული
უკუღმართობის,
აძოვებ ფარას, მიწას უვლი,
იღებ კარტოფილს.
გარშემო უვლის ქობლიანი
საათაბაგოს,
ვხედავ, მეცხვარე კომბლიანი
ქაჩავს თამბაქოს.
რომ არ გადავყვეთ ნაცისკრალი
მთა-გორების ფიქრს,
გვეყოფა ზარზმის ვაზის კარიც
შთაგონებისთვის.

## ცრემლი დასტიროდა გოლიათს

ვერვინ ვერაფერს აკლებდა,
თითქოსდა სცმოდეს ბეგთარი,
ტყე ჰქონდა თვალის კაკლებთან,
გულმკერდი - ერთი ჰექტარი.
რომ ახედავდი ახოვანს,
კაცს ედრებოდა ცხენიანს,
გოლიათსა და სახოვანს
ერი არ შეურცხვენია.
ერთხელაც, დასცა საწუთრომ -
დედამიწაზე ზღართანით
დაეცა კაცი. რა ცუდ დროს -
იდგა დიდთოვლა ზამთარი.
ცა ცრემლსა ღვრიდა კოკით და
ატირდა ტბა ფარავანიც:
„ბარო, ვაჟკაცი მოგიკვდა,
მოგიკვდა, მთავ, ფალავანი.
რაინდო, მერნის მხედარო,
ცრემლსაც გიძღვნი და თაყვანსაც,
გწამდეს, ქართველი დედა რომ
არწევს არწივის აკვანსა“.

## უმაღლესი და უღრმესი

შოთა რომ იყო, მესიტყვე,
მისი სიტყვისგან გაჩნდა
ნესტანი - უმაღლესი ტყვე
არსახსენებელ ქაჯთა.
ადრე შეება უღელში,
მაგრამ ზარივით რეკდა
გურამიშვილი - უღრმესი
ტყვე სახსენებელ ლეკთა.

## საიდუმლო ქვევრი

რუსთაველური, შავთელური,
ჩახრუხაული,
წაგვიკითხავს და არ გვსმენია
დამწერის ხმითა.
ვინ იცის, იქნებ სადმე ქვევრში
ჩახრახნილია
ჩვენი წინაპრის ხმა, მწუხარე
ზარივით წმიდა.
ხომ შეიძლება, რომ ვაცლიდეთ
მიწას ახალ თოვლს,
სარქველი რამე მიწის პირზე
გამოისახოს.
ქვევრის ძველ ღვინოს მოველოდეთ
და რომ ავხადოთ,
რომელმაც შექმნა სამყაროო, -
ამოიძახოს.

## მესხეთის მონატრება

დღეობა ჯვრის თუ კერპისმიერი -
ვერცერთი, რაც კი ჩემმა თაობამ
ნახა, ვერ უდებს ტოლს შოთაობას
ვერც სილამაზით, ვერც სიძლიერით.
მომნატრებია მესხეთის სახე,
ძველი დარდისგან ნაოჭიანი,
მამაპაპური ურმის ჭრიალი,
აწ უსარგებლო საგანი – სახრე.
ვიხსენებ ძველთა სანუკვარ მიზანს,
ვიხსენებ იმ ცხელ გამოქვაბულებს.
თვალებცრემლიანს გამოგვაბრუნებს
უკან მესხეთის ლამაზი მიწა.
გამოგვაცილებს. ავუშვებთ ღუზას
მომავალი წლის შემოდგომამდე,
ვიდრე ალკაზმავს ისევ ხომალდებს
ასსახოვანი ქართული მუზა.

## ლურჯა იორღა

ლაგამს ღეჭავდა ახლოს მეფის ცხენი
და მეფე გამოერკვა ფიქრიდან –
ცუდი ამბავით ფეხფიცხელი
ერეკლესთან
იფრინდა მიფრინდა.



აწყურის ციხესთან იხევს ტოტლებენი,
გატიტვლებული უცხო რამ სული.
საწყლური ნაბიჯით დატოვა მეფენი –
ერეკლე და მისი წულნი.
აწ ყური
მაპყარი,
აწყურო,
მორწყულო
მოძმეთა უკვდავი სისხლით.
კი არა ვვალალებ, კი არა ვლოცულობ,
მოვალ და ხმალდახმალ გიხსნი.
ეს თქვა და ერეკლემ ლურჯა იორღით
იწია აწყურის მშობლიურ ჩუქურთმებთან.
ველარ დაამშვიდა გულდინჯი გიორგი,
რომელიც ტოტლებენს მამის სულს
უკურთხებდა.
იორღას შესძახა... და სძლიეს თათარი.
ერეკლე ჰკოცნიდა ამგვარ ცხენს.
აქვს ისტორიას თავისი დავთარი,
ხშირად გადავფურცლოთ, არ გვაწყენს.

## დიდუბე

**მიხეილ თამარაშვილის ხსოვნას**

**„გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი მოვედი.“**

*იეთიმ გურჯი*

შორ ქვეყანაში იტარიელე,
რა გქონდა ჩვენგან გასარიყავი,
შენ დაუმტკიცე იტალიელებს,
რაც იყავი და რაც არ იყავი.
დღეს დიდ უბეში გიკრავს დიდუბე
რაინდულ სულს და ლამაზ მეცნიერს.
მამულის ციდან წინწკლავს, იქ თურმე
ცრემლები სცვივა მამაზეციერს.
ჰაერსა ჰკვეთავს ზარების ჰანგი
და ერთი ზარი თითქოს სხვას უხმობს.
„რა ხდება?“ - ტაქსის მძღოლს ჰკითხავს ფრანგი.
„დედა შვილს მარხავს“ - მძღოლი პასუხობს.

## ჭრილობა

ისეთნაირად მემცხეთა,
თითქოს ხერთვისს თუ ოპიზას
შემოხვეოდა ჭილყვავი,
ქართული სისხლით დამთვრალი,
რომ გავიგონე მესხებთან
შარშანდელ შოთაობისას:
„შვილო, ჭკვიანად იყავი,
თორემ წაგიყვანს თათარი!“

## სიზმარში დასაშვები ანაქრონიზმი

**გრიგოლ აბაშიძეს**

ბატონო გრიგოლ, ერთი კვირის წინ ჩემს
სიზმარში
თქვენ პრემიების კომიტეტის
სხდომას მართავდით.
ოთახის ფანჯრებს აწყდებოდა
ცხელი მზის მარში.
ფეხზე იდექით, ხალხს სხდომის ოქმს
განუმარტავდით:
ქართველი კაცის სიამაყე
ჯვარი, გრემია,
ზარზმა, ხერთვისი... და მრავალი
გვაოცებს დღემდე.
არქიტექტურის დარგში დიდი შოთას პრემია
ჩვენ მივანიჭეთ არსუკიძეს,
სიკვდილის შემდეგ.

## „ქებაჲ და დიდებაჲ...“

ქართველს რად უნდა მეტი სიმდიდრე,
ვიდრე ქართული ენაა!
ამ წყალობისთვის - ღმერთო, იდიდე! -
მადლობას ვუხდი ზენაარს.
ენით რომ უდგას, უნდა ვიცოდეთ,
ბედნიერების ჟამი ერს.
დე, სამყაროში სულ გაისმოდეს
ძალუმად: მრავალჟამიერ!
ქართულ სიმღერას, ქართულ მუსაიფს
შოთაც აქებდა, თმოგველიც.
იყოს ქებაჲ, გვახლდეს მუზაჲ
და დიდებაჲ მოგველის.
ვიცი, სამყაროს ვერ გადაფარავს
ჩვენი ქართული ჰანგები,
მაგრამ დალოცვილ ქართულ ლაპარაკს
თვით უფალი ჰყავს გამგები.

## დუმილი

...გადაუხდიათ კიდეც წლისთავი,
ნინომ მომწერა აბასთუმნიდან.
თაყვანისცემა ჩემი მისდამი
უხილავ კავშირს აბამს დუმილთან.
არავის უკვირს მუნჯის სიმუნჯე,
პოეტი კი რამ დაამუნჯაო.
თითქოს ვილაცა მაყრის ქიმუნჯებს
იმ სულეთიდან ასე უჯანოს.
რა უნდა ასეთ ურწმუნოს მრევლში,
ვერ გადუსახავს სწორად პირჯვარიც.
მჭორავენ... მე კი საცაა შემშლის
ნათელას ხმა და ყავის ფინჯანი.
და ტაძრის ზარებს არისხებს მნათე,
ცის გვემუქრება თავზე დამხობა.
შენი სიკვდილი არ მჯერა, ნათელ,
არც ეს დუმილი ნიშნავს თანხმობას.

## უკვდავ იოთამ ზევდგინიძეს

*იოთამ ზევდგინიძე გიორგი VIII-ს სარეცელში ჩაწვა - მეფე გადაარჩინა შეთქმულთაგან სიკვდილს და თავად დაიღუპა.*

შენ შესანდობარს როგორა გკადრებ
სიკვდილით მართლა სიკვდილის მომრევს,
გმირად შობილო ძალიან ადრე,
რა იშვიათად გიხსენებ ხოლმე.
ალბათ არ არის ცხენის მოკაზმვა
განწირულ მეფის საწოლში წოლა.
როგორც ერთგულმა ყმამ და მოყვასმა
სამარის სუნთქვა იგრძენი ცოლად.
დღეს ჩემთან ერთად შესვამ! ტროპარიც
ერთად ვიკითხოთ სანთლით, იოთამ,
მერე ვთქვათ მათი შესანდობარი,
ვინც არ იცოდა, სად მიდიოდა.

## ულოს გვირგვინი

მიწისძვრის ნაპრალია ეს ქედი,
თუ ჩემი ძველი დარდის ნამუსრი,
ზურგით მზეს ეფიცხება მესხეთი,
სრულიად საქართველოს ნამუსი.
ვუყურებ: ყვითელ ყანას ლეწავენ
არსობის პურისათვის გარჯილნი.
ეს გწადდათ, ამისათვის ეწამეთ
ვახტანგიც, სულხან-საბაც, არჩილიც.
მსურს, თავზე შემოვიწნა ეს ულო
წინაშე უხილავი ღმერთისა.
მაკურთხე, მამა-პაპის მძლე სულო,
მიწიდან ამოსულო ხერთვისად.

## აბასთუმანი

რაღა ჩემს სათუთ ფილტვებს ეძგერა
მაინცდამაინც ორპირი ქარი.
აბასთუმანში ყველა ენძელა
ხომ ჩემი სუნთქვით გაზრდილი არის.
ბედმა დამწყევლა თუ მადლეგრძელა
მაინცდამაინც... ორპირი ქალი.
ჩანჩქერი მოჩქეფს, ნაძვების მიჯრილ
ტევრს მიჰყვება და სიცოცხლეს ხედნის.
ეშმაკისაგან იმდენად ვიჯმნი,
რამდენადაც მხარს მიბამენ ქედნი.
„გეკოს“ ტყვიებს რომ ფლანგავდნენ ბიჭნი,
მე ერთი ცოდვაც არ მადევს ქედნის.
ვჭვრეტ ჩემი მოკლე ცხოვრების ანონსს:
ეს გაზაფხულიც მალე გადივლის,
ვერ გავექცევი ბუნების კანონს,
რთვლობამდე უნდა ვსვა შარბათივით
ჩაუდენელი ცოდვების გამო
სიკვდილმისჯილი კაცის პატივი.

## „ოქროს თავთავი“

**თამარ ერისთავს**

თამაშდებოდა პირველობა
„ოქროს თავთავზე“.
გახსოვს, აწყურის სტადიონზე ვისხედით,
თამარ?
მეთერთმეტე რიგს ანათებდი,
როგორც ქალთა მზე
და აღმიძრავდი ნიაზს, იქნებ საკმაოდ თამამს.
ძმაკაცს ვაკოცე პირველ გოლზე,
ჩემო კეთილო,
სიხარულით რომ დამეკოცნა შენიც ხატება,
ნეტავი ოქროს თავთავიდან ამოსხლეტილი
ქერის მარცვალი ჯონი ხომ არ შეიცხადებდა?

## საქართველო ეფერება შვილებს

თქვენს ტანჯულ სამშობლოს,
ჯავახეთ-მესხეთი,
ორივე მაგონებთ დიდებას გუშინდელს.
ბუდეში ხშირად იმ ბარტყებად მესხედით,
გუგულის კვერცხები სუნთქვას
რომ უშლიდნენ.
ამქვეყნად ვერავინ გამაერთიანა,
ვიდრე არ მოვიდა მესამე ბაგრატი.
ტყიანად, წყლიანად, ბარიან-მთიანად
შევიკარ და მაინც მეწვია დაღმართი.
ამტკივდით, შვილებო. ჯავახეთ-მესხეთი
ცხოვრებამ უკუღმართ რიყეზე გაჭენათ.
ნაპერწკალს, ვარძიის კედლებზე
შესხლეტილს,
როდიღა შეეძლო კოცონის გაჩენა.
ის ჟამი შემორჩა უამრავ ფოლიანტს,
როდესაც მომხდური გტაცებდათ ქალ-ვაჟებს.
ახლა თქვენს ბუხრებზე ისეთი ბოლია,
რომ სითბო შორს სწვდებათ აჭარელ
ხალვაშებს.
მრავალი ძეგლია წარსულის დესპანი,
ეს ტროას ნაშთია, ის - კრეტის, ეს - ხეთის.
ქართველი კაცისთვის ბელგიას, ესპანეთს,
საფრანგეთს იწონის ჯავახეთ-მესხეთი.

## ერეკლეს ბეჭედი

*„მე ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე“,
ერეკლე*

დღეს ჯარს რომ ამ ბეჭდით მოსწერო,
მტერს თავზე დაამსხვრევს ჰოროლს...
ო, სისხლის წვიმების მომსწრენო,
იცოდეთ, ასპინძავ, გორო,
ბალისო, კრწანისო, გარნისო,
პატრონნი ასეთი ხელრთვის
ხელიდან თურქების გარნიზონს
ყოველთვის გამოგლეჯს ხერთვისს.

# ვაჟა ოთარაშვილი

***

*დეკანოზ სოლომონ ალექსი-მესხიშვილს – ანჩისხატის გადამრჩენელს 1795 წელს აღა მაჰმად-ხანის შემოსევისას (იგი ანჩისხატის ეკლესიაშია დაკრძალული ღვთისმშობლის ხატის წინ).*

მოკიდებული ხატი მიგქონდა,
თუ მაცხოვარი მიგყავდა ზურგით...
ამოიარე ლისის მინდორთან,
გზას გინათებდა ღვთიური შუქი...

ცეცხლი ეკიდა თბილისის უბნებს,
რბევა-წიოკის მოგდევდა კვნესა...
გადაჩეხილი სამასი შუბლის



სისხლის წვეთები კიაფობს დღესაც...

ვერც ანჩისხატის გრძნობდი სიმძიმეს,
ვერც ღარტაფებზე დაჩეხილ ტერფებს...
თითქოს შენს მხრებზე მშვიდად ეძინა
იესო ქრისტეს – სამყაროს მეფეს...

ჩახვედი მცხეთას ციცაბო კბოდით,
გადაისახე ლოცვით პირჯვარი...
ქვებზე არაგვი ისე მორბოდა,
თითქოს მოჰყავდათ ტალღებს მთის ჯარი...

გაუყევ არაგვს... ანანურს ზემოთ,
ტანმა დაგიწყო ტორტმანი დაღლილს...
ზურგით მიგქონდა მსოფლიო მზეი,
თუ ანჩისხატის კარედი – სახლი...
...
უცებ მეურმემ დალანდა მღვდელი –
ოფლში და სისხლში მცურავი ერთად...
გადააბრძანეს ურემზე ნელა
ხატი და ისევ უშველათ ღმერთმა...

და წააბრძანეს მიუვალ გერგეთს,
რომ ვერ ენახა მტერსა თუ მდევარს...
...
მე ანჩისხატის მოძღვრობა მერგო –
ღვთისმშობლის ხატის ფეხებთან ვწევარ...

გადამრჩენელი დიდი სიწმინდის,
ჩემი სამარით ისევ აქა ვარ...
და ვეფერები ახლა მიწიდან
ბებერი საყდრის კედლებს – ნაქარალს...

***

იწვის დაისი, განშორების ჟამი ახლოა,
აავარვარებს ჩამავალ მზის სხივები ღრუბლებს...
ამ მკერდში შენი სიყვარულის სამოსახლოა
და ჭაღარისფრად იფერფლება დარდებით შუბლი...

მაინც მიდიხარ... შეჩერება ველარ შევძელი...
და თუ ოდესმე მოგაგონდეს ის ალუბლები –
კვლავ გაიხსენე მორთმეული კონაც ენძელის
და ჩამავალ მზეს შეყინული თეთრი ღრუბლები...

## არადანი

შენ კი არა, სიყვარული მენატრება –
უცნაური, მთრთოლვარე და საოცარი...
განშორებით გაიხარეს ჩემმა მტრებმა,
ჩამოიქცა ოცნებათა სალოცავი...

ახლა გქვია ნებიერი სხვისი ხარჭა,
მეც ვიპოვე ჩემი ბედის არადანი...
ო, არა და... გული რატომ დაიტანჯა,
ნუთუ ისევ სიყვარულით ავად არი?

***

„ბინდის გვარია სოფელი
ესე თურ ამად ბინდდების...“
რუსთაველი

გარდაცვლილ მშობლის გიხმობს საფლავი,
სულთმოფენობის ჟამია მშვიდი...
აქ ყვავილებით ხატებს დაფნავენ
და დრო მოცელილ ბალახად მიდის...

მოგენატრება ისევ ბავშვობა,
(ო, რა საოცრად სწრაფად ვიზრდებით...)
ფიქრობ: იმ წუთებს ნეტა რა სჯობდა –
სავსეს რუსთველის აფორიზმებით...

***

ვაზის გამსხვლელი აღარ დარჩა სოფელში კაცი,
ვაზის გამსხვლელი აღარაა ქვეყნად კაცი და...
თბილისისაკენ წამოვედი... სამთავისს გავცდი –
ზურგსუკან ვგრძნობდი, ჩემს სოფელში როგორ
აცივდა...

***

სად დაიკარგე, სიყვარულო,
რად დაიკარგე?
ნეტა ოდესმე ისევ მოხვალ, ისევ შევხვდებით?..
დამესიზმრე და ოცნებებად ამომიქარგე:
ნუშის თვალები, თეთრი მკერდი და შვლის ფეხები...

როგორ მეგონა – არასოდეს დავშორდებოდით,
ივან ბუნინის „მარადიულ სატრფოს“ სადარო...
მოგონებებიც ცრემლებივით როგორ შრებიან –
გაიხედავ და... აღარც ერთი უკვე არ არი...

ახლა გიხსენებ, შენ ვინ იცის, საითკენ დაჰქრი,
ვინ ჩაგილაგა თბილ კალთაში დედოს პურები...
ლისის ტბისაკენ ნაკვალევი თოვლის და ნამქრის
გზადაგზა ყრია, ვით დამწყდარი აპეურები...

***

მეუბნებოდი: რატომ წერო ლექსებს – სევდიანს,
განშორებაზე, ტკივილებზე შემაძრწუნებლად...
დღეს მონატრების ასკერები ისე მდევნიან,
რომ შენ, ძვირფასო, შეგეცვალა უცებ გუნება...

ეჰ, ძველებურად შენთან უკვე აღარ მომელი
და დაიბრუნე, სამწუხაროდ, ბებერი საქმრო...
ეს სიყვარულიც – შეწყვეტილი თავი ნოველის,
მხოლოდ წარსულზე მოგონებით სულს დაიშაქროს...

გვიან გაიგებ, ვინ ვიყავი შენთან მოსული,
როგორ ვხატავდი გამოსროლილ სხივებს მთვარიდან...
მუცელმოშლილი ის საღამო იყო ორსული –
ჩემი ცოდვების დაისზე რომ ჩუმად წავიდა...

***

ვსვამ... იმსხვრევიან ჩემი ნატვრები,
ყოველი ჭიქა დარდს გაახელებს...
მოვლენ სიმთვრალის ძველი მხატვრები,
რომ გამახსენონ შენი სახელი...

შენი სახელი და ფიროსმანი –
აღდგომის ბატკნით ხელში ნიკალა...
გადაეკვრება თვალს ტილოსავით
ის სურათები – მე რომ მიყვარან...

## გრილი წვიმების დასასრული

ეჰ, სხვასთან ვწევარ და შენ გიგონებ
და, რა თქმა უნდა – სხვა გკოცნის შენაც...
დარდი ღვინის ბოთლს გამომიგორებს,
მაგრამ გულს მაინც არა აქვს შველა...

დაწყვეტილია ძაფი იმედის,
აზრი დაკარგა შენზე ოცნებამ...
დასრულებულა გრილი წვიმები
და ცრემლი ღაწვზე ჩამოცოცდება...

***

ნუთუ ვერ ხვდები ჩემი სულის აპოკალიფსებს,
შენდამი ტრფობა რომ ვატარე გულში
უშენოდ...
ღვინით კი არა, შენზე ლოცვით სული ავივსე,
რომ ჩვენს სიყვარულს შენზე ლოცვით იქნებ
ვუშველოთ...
რატომ დამსაჯა ბედისწერამ ასეთი გვემით?
ჩემთან ხარ, მაგრამ ამ სიყვარულს ვიღაცა
მიყოფს...
არადა, მინდა, ძველებურად ცხოვრობდე
ჩემით,
აღარ ვიფიქროთ იმ წარსულზე, რაც იყო, იყო...
ახლა მარტო ვარ, თითქოს შენი სუნთქვა
მეხება –
მიშანთავს სხეულს გარდასული ვნების ბოდვებით...
შავი ყორანი საკორტნელად მიზის
ფეხებთან
და ყურში ლექსებს ჩამჩურჩულებს კვლავ
შარლ ბოდლერი...

***

ვიცი, მატყუებ –
უსინდისოდ და ისევ ურცხვად!
და მაიძულებ, ეს ტყუილი რომ დავიჯერო...
ხატზე იფიცებ,
არ ყოფილა არავინ უცხო,
ფარისევლურად გადისახე თანაც პირჯვარი...
რა ვქნა, მიყვარხარ!
სამწუხაროდ, სიმართლეც ვიცი!..
ო, რა ულმობლად ეომება გრძნობას გონება...
და სიმწრისაგან სულელივით დავიწყებ სიცილს,
როგორ შეძელი ჩემი გულის კვლავ დამონება?!

***

მე ვუბრუნდები საკუთარ ტკივილს,
ვერცხლისფერია თუმც წვერ-ულვაში...
ასეთი ტანჯვით ტყვია თუ კივის,
ჩაბრუნებული თოფის ლულაში...
მაგრამ მიყვარხარ და სხვა არავინ
არ მყვარებია ასეთი გზნებით...
შენა ხარ ჩემი სულის კარავი,
რომი და მისკენ სავალი გზებიც...

***

შენ გვიან მიხვდი, რომ ჩემსავით უყვარხარ არვის...
და გიყურებენ ხორციელ ქალს ვნებით მსუნაგით,
და ეგ მძივები, ნაჩუქარი ოქროს თუ ქარვის,
არისო მხოლოდ სატყუარა ბინძურ ბუნაგის...
რა გვიან მიხვდი, რომ ჩემსავით არავინ გიცნობს,
არც შენი გონის თუ აზრების ფასი იციან...
არ შეარყიო შენი შვილის სიცოცხლე ვინძლო,
უფლის წინაშე მუხლმოდრეკილს დაგიფიცია...

***

ნეტავი როდის იტყვი სიმართლეს?
როდის ამოვლენ ლურჯი იები?
არ შეგეშინდეს, იცი იმავ დღეს
იქნები ჩემგან ნაპატიები...
ნეტა სიმართლეს თუ იტყვი, ქალავ,
და არ დამტოვებ ისევ იჭვიანს...
მე შენზე დიდი ცოდვილი დავალ
და მიტევება დიდი ნიჭია...

***

ო, რა სიმშვიდე შემოიტანე,
მიუხედავად მძიმე შეცდომის...
ტკივილებს ვუძლებ, როგორც ტიტანი,
შენგან ტანჯული ნეტა გეცნობი?
მომეჩვენება, რომ ისევ ის ხარ,
ხელჩაკიდებულს გატარებ ისევ...
ეჭვით ვუყურებ დღეს ყველა მისხალს
და ყოველ ღამე სევდით ჯამს ვივსებ...
ღმერთო, მასწავლე დარდის ატანა,
გზა – ტაძრისაკენ კვლავ ამიყვავდეს...
აღარ გაფრინდეს გოგო პატარა
და სულ ვუყვარდე, და სულ მიყვარდეს...

***

როცა დასჭირდი კვლავ მოგადგა ძველი მეძავი,
როდესაც მიხვდა, რომ შენს მეტი მშველელი
ვინ ჰყავს?
გაორებულხარ და დარდები გამოძერწავენ
შემცოდებელთა მიტევების მოწყალე თიხას...
აღარაფერი აღარ დამრჩა შენთვის სათქმელი,
მე ვინ ვარ – ერთი ცოდვიანი კაცი პოეტი,
მაგრამ მიპყრია სინანულის ხელში სანთელი
და გეუბნები ძველებურად: აჰა, მოვედი!
მოინანიე, აღსარება უთხარი უფალს!
ღვთისკენ სავალი გზაა მხოლოდ სწორი, მარადი!
ცრემლები გცვივა? ნუ იტირებ, ლამაზო ფუფალ!
ო, ღვთისმშობელო, შენი კალთით დაიფარავდე!



# ავთანდილ ივანიძე

## რომ გარეთ მზეა

თუ გარეთ არ ვართ,
მზეა თუ გვაწვიმს,
გულს და გონებას გავითბობთ რითღა...
ისე არა ქნა,
ღმერთო, რომ კაცი
გადაეჩვიოს ლექსების კითხვას.
გონიერია
რობოტი, მაგრამ
გული არ უცემს, სისხლი არ უდუღს...
და რომ სიცოცხლის
წყურვილი გაქრა,
ჩვენც მანქანებად ვიქეცით, ნუთუ?
ვეთაყვანებით
მოარულ ლითონს...
მივჩერებივართ მთელი დღე ეკრანს
და აღარ გვახსოვს
სიამით, თვითონ,
ბუნება ღმერთმა რისთვისაც შექმნა.
კომპიუტერთან
ვსხედვართ და გეშით
სხვა აღარაფერს არ ვგრძნობთ სრულებით, –
რომ გარეთ მზეა
და ქარაფებში
მოჩუხჩუხებენ ნაკადულები.
თუ გარეთ არ ვართ,
მზეა თუ გვაწვიმს,
გულს და გონებას გავითბობთ რითღა...
ისე არა ქნა,
ღმერთო, რომ კაცი
გადაეჩვიოს ლექსების კითხვას.

## საქორწინო ბეჭედი

რა სამკაული აღარ მინახავს,
თვალთა წინარე რომ გაუვლია...
და ამას გულში კრძალვით ვინახავ –
ქალიც ბუნების სამკაულია.
ვინ რა სამშვენისს აღარ ატარებს,–
ესადაგება რაც მის ხასიათს...
და იმას მაინც ვერ შევადარებ,
ნიშნობის ბეჭედს რაც რომ ფასი აქვს.
განთიადისას ზეცის კაბადონს
მზის ათინათი როცა მოხატავს,
გულისნადები მინდა გაგანდო
და საქორწინო ძღვენი მოგართვა.
რა ბრწყინვალება დაგყვა ეგრეთი,
მე დაბნეული... მზერას გარიდებ,
გაუხუნდება ფერი შენს გვერდით
ოქროს, ვერცხლსა და თვალმარგალიტებს.
ბეჭდით ხელი ჰგავს ყვავილს ცვარიანს,
ჩვენი ცხოვრების რომ სცლის სურათებს...
და იგი ქალის თანამგზავრია
ქორწინებიდან აღსასრულამდე!

## თვალია გაუმაძღარი

გული გრძნობს, გული მბჭობია,–
შველის ბედდამწვარს, გალახულს...
გულით დანახვა ჯობია
ათასჯერ თვალით დანახულს.
მიყვარს ლექსი და შაირი,
არც ნამუსით ვარ ღარიბი;
თუ სადმე ტურფა ჩაივლის,
თვალი იქითკენ გამირბის.
გულს არ ვემდური, გონებაც
ჩემი მონაა, საწყალი...
თვალი მიმწარებს ცხოვრებას,–
თვალია გაუმაძღარი.

## მარტოხელა

ხარობ, ტრფიალი თუა უხვადი
და სიყვარულის ზიხარ კოცონთან;
ვინც მე მომწონდა, მას არ ვუყვარდი,
ვისაც ვუყვარდი, – მე არ მომწონდა...
არ მეგონა თუ რამე დამღლიდა,
ვერ აიცილებ ყველა ინციდენტს...
არვინ მაფრთხილებს, როცა სახლიდან
გავდივარ: „გარეთ არ გამიცივდე“!
თუ ბრძოლის ველზე წავედი, არვინ
არ მეტყვის: „წადი, ღმერთი გფარავდეს“!
დაჭრილის (სევდით დაუფარავი)
არვინ მიიღებს სახლში ბარათებს.
მე ვარ და ჩემი ყველა ოცნების
მესაიდუმლედ ღამის ცა მიდევს,
თუ ლხინში ავტყდი... არვინ მომძებნის,
არ მეტყვის: „გეყო, სახლში წავიდეთ“!
თუ პოეტებთან შემომათენდა,
რომ ვიშუშებდი ლექსით იარებს, –
არვინ დამხვდება სახლის კარებთან,
არ მეტყვის: „რატომ დაიგვიანე“!
დავდივარ მარტო, როგორც ნიკალა,
ღვინოში ვხარჯავ ბოლო კაპიკებს;
ვინც სიკეთისკენ გზას გამიკვალავს,
სათქმელსაც, ალბათ, იგივ გამიგებს.
სხვა არის გულის რჩეული, მასთან
ფიქრები უფრო ლაღად დაქრიან,
თორემ, ნაცნობთა ურიცხვი დასტა
და მეგობრები მე არ მაკლია.

## შეგონება

თუ წიგნს კითხულობ, თუ სწავლობ, –
ზრდილობის მადლით ივსები,
ცოდნა გონების საზრდოა,
საზომი – კაცთა ღირსების.
წიგნს დაეწაფე, რომ მიხვდე
რა მადლი სცხია სიკეთეს,
რად არის ტკბილი, ტრფიალი
გულში ბუდეს რომ იკეთებს...
რომ შეგიყვარდეს სამშობლოს
მიწის ყოველი ნაჭერი,
შეგიქონ ჭკუა, გონება
და დაგილოცონ გამჩენი.

***

მზე სიცოცხლეს ამშვენებს,
როგორც მინდორს ღიღილო...
ღმერთო, წუთით მომკალი,
საიქიო ვიხილო.
გამაცოცხლე ისევე,
ჩამასუნთქე ჰაერი,
სხვას მოვუყვე, იმქვეყნად
ადამიანს რა ელის.



## უფრო გამშვენებს

გეყო, ძმობილო, ცეცხლთან თამაში,
და ჭაბუკური გეყო ანცობა,
არ გაეხვიო ჭორის ხაფანგში,
რაც დაგიჩრდილავს რაინდკაცობას.
თუმც გსურს, ოცნება მრავალფერება
კვლავ სიჭაბუკის ჰგავდეს მაისებს,
იცი – გადაღლილს წელთა სიმძიმით
და სიყვარულით ბევრჯერ ნაისრებს, –
კაცს რომ ჭაღარა გამოგერევა,
უფრო გამშვენებს სიდარბაისლე.

***

ასე თუ ისე, –
რაც გვინდა ახლა,
ასე თუ ისე, –
რაც ადრე გვსურდა,
ასე თუ ისე, –
კარგად თუ ცუდად
ხომ ყველაფერი
დასრულდეს უნდა.
სადღაც მღერიან,
სადღაც იბრძვიან,
მეცნიერობენ,
ანდა – მისნობენ, –
ასე თუ ისე,
ბოლოს ყველანი
ვემშვიდობებით
ამ წუთისოფელს.

## მერე მოვა და წაგიღებს

შურს, ღალატს თავი არიდე,
იშრომე, უფლის შეგირდო...
ისეთ ცოდვას ნუ ჩაიდენ,
უფალმა რომ არ შეგინდოს.
გონჯო... ან თუნდაც ჩაუქო
(იღწვი, თუ უქმად ფაცურობ),
ძალგულოვანო ჭაბუკო,–
პირმშვენიერო ქალწულო, –
ცხოვრების დიდი მდინარე
როგორმე უნდა გაცურო,
მერე მოვა და წაგიყვანს, –
სიკვდილი არვის არ სწუნობს.

## სიცოცხლის იქით

იქ ვინ მომაწვდის წყალს ბროლის ჭიქით,
ან ძვირფას სითხით სავსე ფიალას,
რა არის, ნეტავ, სიცოცხლის იქით,
ღმერთო, იქაც ნუ
მახეტიალებ.
ჩამოვარდები, ვით
ნამის წვეთი,
როგორ მიმიღებ,
უცხო ადგილო,
იქ თუ შემხვდება
ვინმე ისეთი,
ვისაც რომ უნდა გული ვატკინო...
და თუ ასეა, თუ იქაც დარდის
ვეება ლოდი გულზე მომაჭერს, –
აქაც და იქაც, გთხოვ, გულისწადილს,
ღმერთო, ნურსადაც ნუ გამომაჩენ.

## არაგვო

გარდასულ ამბებს გაიხსენებ,
როგორც არაკებს,
და შხეფებს აფრქვევ ცრემლად
ახლა უფრო უპრიანს,
შენი ხეობით ჩაუვლია
სამას არაგველს,
ჩაუვლია და...
უკან აღარ ამოუვლია.
შენც ხომ მიდიხარ ქვევით,
მაგრამ აღარ ბრუნდები,
მაინც არ ქრები,
არ თავდები, მაინც არაგვო.
ჩვენც, ქართველები,
თუმც მივდივართ,
არ ვნადგურდებით...
ახლა ამაზე რაღა არის
სალაპარაკო...

# რევაზ აბზიანიძე

## ხომ შეიძლება

ხომ შეიძლება იცვალოს ზეცა,–
ღმერთმა ინებოს ქართველთ დიდება,
რომ ალტაცებით შევძახო მეცა,
რომ ვთქვა, ეს გული აწ დამშვიდდება.
მსურს წარსულს გაჰყვეს ოცნების რული,
რწმენას მოშორდეს დაისის ქუჩი,
რომ უფლის ნებით გამთელდეს გული,
ცისკენ გაფრინდეს მერანი ურჩი.
ხომ შეიძლება იცვალოს ზეცა,–
ხვალ ერთად დადგეს ერი და ბერი,
რომ შემართებით შევძახო მეცა,–
ჩემი ქვეყანა არის ძლიერი!

## მსურს სამშობლოს ვემსახურობდე

როგორ არ ვთქვა, არ ამოსკდეს,
ჩემს გულს გრძნობის შეძახილი,
სამშობლოსთვის თავდადება,
სურვილია და წადილი.
როგორ არ ვთქვა, რაც აქამდე,
კრძალვით გულში შემინახავს,
მტერს ვესროლო საქამანდე,
ვქმნა, რაც მიზნად დამისახავს.
მსურს, სამშობლოს
ვემსახურობდე,
ვადიდებდე მშობლის ამაგს,
ქვეყნისათვის სულსაც
ვთმობდე,
გვერდში ვედგე ჩემს
ამხანაგს.
ძმებო, თქვენით იბადება,
ჩემი გულის შეძახილი,
სამშობლოსთვის
თავდადება,
სურვილია და წადილი.



## ლურჯი ცა ფრთებს შლიდა

ლურჯი ცა ფრთებს შლიდა
ლურჯი ცა მართობდა,
ფიქრები ცრემლს მგვრიდა
ოცნება მაკრთობდა.
ლურჯი ცა ცრემლს მგვრიდა,
ფიქრები ფრთებს შლიდა,
ლურჯი ცა მართობდა,
მაკრთობდა,
მათრობდა,
ფერს თეთრად იცვლიდა,
ჩემთვის ვერ იცლიდა,
ფიქრები წამს წამზე,
წუთს წუთზე ითვლიდა.
ვამჩნევდი,
სიკეთე გვერდიდან მივლიდა.
ლურჯი ცა ფრთებს შლიდა,
გულში დარდს ვერ შლიდა,
ნაბიჯის გადადგმას,
წუხილი მიშლიდა.
ლურჯი ცა ფრთებს შლიდა,
ფერს თეთრად იცვლიდა.

## მოდი ჩემთან

სიმარტოვემ არ შეგაკრთოს,
ღამემ არ შეგაშინოს,
მოდი ჩემთან, რომ გაგართო,
მოდი, რომ გაგაცინო.
უმანკო მაქვს სიყვარული,
შევიყვაროთ ერთურთი,
გახდეს შენი სიხარული
ლექსი, შემდეგ ფეხბურთი.
ვარ დამთმობი, თუმც მამაცი,
რომ სძულს ფლიდი, ვალალი,
შინაგანად მე ვარ კაცი,
ქცევა, რომ აქვს ალალი.
მსურს, მაგ ზღაპრულ სილამაზეს
ცხადში, სიზმრად ვხედავდე,
რომ მცხუნვარე თაკარა მზეს
მის სხივს ლექსში ვჭედავდე.
მოდი ჩემთან, მოდი, მოდი,
მოდი, რომ გაგაცინო,
რომ არავინ არ შეგაკრთოს,
არვინ არ შეგაშინოს.

***

**(დედის ხსოვნას)**

მადლიერებას ზეცამდე აწვდილს,
მის ძირს დაცემას ვერავინ შეძლებს,
ჭეშმარიტებას სახიერს, ნამდვილს, –
დედის ლანდს ვეძებ.
გული ბურბურებს, საგულე იწვის
და განწყობაა მწუხრის და სევდის,
ქუჩის სურნელი მე მახსოვს წიწვის, –
ნაზი ღიმილი საკუთარ დედის.
*
დრო თავის ტკივილებს ზერგნის,
საფლავს უმზადებს მშობლების ამაგს,
გულს მოგონება ყვავივით ძიძგნის,
ტანჯვას განვიცდი ათასჯერ ასმაგს.

## გულ-მკერდს ვუშვერ გაზაფხულის ნიავს

ყური ისმენს არწივების კიაპს,
თვალი გასცქერს ლურჯ ზეცას და კინჭუხს,
გულ-მკერდს ვუშვერ გაზაფხულის ნიავს,
მაგრამ მაინც სული ისევ მიწუხს.
გაბრეჩილი ახლა მთასთან ვდგავარ,
გახლეჩილი მეჩვენება დალდე,
ცას გავყურებ და უსაქმურს ვგავარ,
ჩუმად მინდა გრძნობებს გავუმკლავდე.

## ვჭკნები, როგორც მაკიდო...

ქარი მხრებზე მოგეხვევა,
ცად ღრუბელი თალხია,
მახსოვს, ერთი ის შემთხვევა,
თავბრუ რომ დაგახვია.
გაცრეცილი იდექ მარტო,
მსურდა შენი გაცნობა,
აბა, როგორ განგიმარტო,
ვერ შევძელი ანცობა.
აღარ მინდა ისევ ფიცი,
ვჭკნები, როგორც მაკიდო,
ჩემი დარდი აღარ ვიცი,
რომელ გამვლელს ავკიდო.

## გივი ჩიღვინაძე

### სამცხეს

იმერეთიდან მოვსულვარ მაცნედ,
ფიცის კაცი ვარ, ნუ მიცქერ ცერად,
კმარა, რაც ზურგში ჩაგვცეს და გვძარცვეს,
მამულს კვლავ უნდა დავუდგეთ მცველად.
შენ ხომ ხმლით ჰკვეთდი მტერსა და გამცემს? –
მინდა, რომ მომხვდურს ისევ თელავდე,
აქ რომ თვალს ვავლებ პატარა სამცხეს,
ძველ მესხეთს ვნატრობ ქართლის
ყელამდე...
თუკი მოკეთეს ხვდები მასპინძლად,
მტერთანაც გმართებს ომი ფიცხელი,
როგორც ერეკლეს ბრძოლა ასპინძას,
ან შამქორს შალვა ახალციხელის...
დრომ დღევანდელმა რაც უნდა გვითხრას,
შორს გახედვას გვთხოვს ჩვენი მიზანი –
მიწაც ქართულად უნდა მოიხნას,
არ გავახაროთ ავი ხიზანი...
არ მოგვიწიოს ღვთისაგან რისხვამ –
მომავალს ცრემლით აღარ ვნამავდეთ...
ზეიმით ზიდონ ზარზმის ზარის ხმა
ზენა ქარებმა სპერის კარამდე...
და წინაპარი რისთვისაც მოცდა
საფუძვლად ედოს აღმასვლის განცდას, –
როგორც საფარას, ქართული ლოცვა
ამკობდეს შატბერდს, ოშკსა და ხანძთას...
დიდი მესხეთიც ამაღლდეს ცისკენ,
რომ მისთვის შრომა აქ იწყებოდეს,
რუსთველის ხმაზე ამღერდეს ისევ, –
განა ქართული ავიწყდებოდეს?!..
მზე ფერდობებზე იმედით წვება,
მთებს მშობლიური ეღვრება ჰანგი,
გამარჯვებების ვამრავლოთ წყება
და ახლანდელი გავფანტოთ დარდი...

* * *

როგორც ნუგეში ამა დღეთა ამაოების,
გამოკრთებიან შორი მთები გარინდებულნი,
და ვით ღრუბელი მათ კალთაზე თავმიდებული,
თვლემ უსასრულო წარმავლობას მინდობილ დროში,
ხოლო ცის ახლოს, იის ფურცლით ნაფენ მინდორში
ნიმფათა ფიქრით დაფერილან საღამოები...
შორი სიმშვიდით მოხიბლული უღრან ტყეების,
უკაცრიელი ხევებისა თუ ღრანტეების...
მდუმარებაში გინდა ხშირად გაუჩინარდე,
როცა დაისი მიანავლებს ცათა ჩირაღდნებს
და ღამეები, შენი ფიქრის უტყვი მოწმენი,
დააწვიმებენ მწვერვალებზე წამებს მოწყენილს...
მერე გაჰყვება ქართა ქროლას ძველი ზმანება,
ახალ ბილიკზე ვინმე სხივად აგემგზავრება...
მონატრებული შუქთაფენა ისევ იელვებს,
მომავალ დღეებს რომ დაუდგეს კრძალვით თავდებად,
ჩამოგშორდება სიბნელე და სიცარიელე,
შორი გზები კი არასოდეს არ გათავდება...

### სხივი და კესანე

წვიმიან ღრუბელს ვეფარე
მძიმეს და წვიმისფერსავე,
ავდექი, გამოვეპარე,
შენთან მოვედი, კესანე.
მე მზის სხივი ვარ, სხივები
ყველგან სიკეთეს თესავენ,
ცაზე გავაბი სიმები,
შენ რაღას შვრები, კესანე?
ენძელა – იის დაიკო,
მეფერა, მეალერსა მე,
შენ კი რა მოგდის, რა იყო,
რატომღა არ მომესალმე?
ნუ დარდობ, ღრუბლების ფარას
ცაზე ქარები მწყემსავენ,
ქარისგან მე დაგიფარავ,
ნუ გეშინია, კესანე.
ჩემი ძმობილი სხივები
შორს ცისარტყელას კემსავენ,
გაქრება წვიმის მძივები,
მათაც სხივები შესვამენ.
გამოიდარებს სულ მალე,
ხვალე კი არა, დღესავე,
შენც ნუღარა ხარ მდუმარე,
ჩემო ლურჯთვალა კესანე.

* * *

ახლა ხომ იმის გარკვევა არ ღირს,
რატომ ხარ სხვაზე მცირე ან მეტი,
ამ უფერული დღეებით დაღლილს
რაც უნდა მეთქვა, ვერც იმას გეტყვი.
ახლა ოცნება სინანულს ერთვის,
ვერავის ვხვდები ღელვით და თრთოლვით,
შენც ზედმეტი ხარ ხანდახან ჩემთვის,
როგორც აპრილში მოსული თოვლი.
ნაზი ხილვებიც სიცხადეს კარგავს,
შენ კი არ გკარგავ, იცოდეს ღმერთმა...
იქნება ესეც ვერ გითხარ კარგად,
იქნება ესეც არ უნდა მეთქვა.

### აღმართი

დავბრუნდი... თითქოს არა უჭირთ რა, –
ჩემს მშობელ მთებში დავიარები,
ეს გული ისევ ხელში უჭირავთ
და არ ეტყობათ ნაიარევი.
გამახსენდება აღმართით დაღლილს,
ამ მიწისათვის თუ რას ვეცადე,
რისთვის მოვედი, გამჩენმა მაღლით
რად განმისაზღვრა არე ზეცამდე?..
თვალს გავაყოლებ უნახავ ზამთრებს,
დაველევნები დღეებს არგანცდილს,
როგორმე მივცემ, რაც მათი მმართებს,
მივუთვლი, სანამ ღმერთი დამაცდის...
და შემაწუხებს ბოლოს მხოლოდ ის,
ვით დაკარგული ძველი იგავი,
სადაც მინდოდა, რომ შენ გყოლოდი,
ყველაზე დიდხანს იქ არ ვიყავი...

* * *

იმ გაზაფხულზე მშობლიურ მთებში,
როცა ლურჯი ცის იდგა ნათელი,
წიფლების ძირას დარჩენილ თოვლზე
მე დავაწერე შენი სახელი.
შენი სახელი ახლაც იქ არის,
თოვლი კი დიდი ხანია გაქრა,
შენი სახელი მთებში დარჩენილ
ჩემს მზისფერ სევდას დაჰყვება ახლა.



### ზაფხული ტყეში

მთის ნაკადულთან ლურჯთვალა ყვავილს, –
თვალწინ რომ უდგას ფრთათეთრა ჩანჩქერს,
ზეცის კიდედან სხივი რომ ამჩნევს
და მის მშვენებას უფრო რომ აჩენს, –
ვუყურე ერთხანს... წამოველ მერე
და გამოვყევი ხალისით ამ ტყეს,
ხან დათვის ბელებს ვურხევდი პანტებს,
ხანაც ვეფერე ნიბლიას ბარტყებს...
და ახლა, როცა შენ მომენატრე,
ვტოვებ ამ ჩანჩქერს, ბარტყებს და დათვებს,
ამ ლურჯ ყვავილებს სხივებით ნაფენს,
მდუმარე ტყეებს და მთების კალთებს...

### თოვლიანი სონეტი

ქარი მწვერვალებს მოფარფატე ფიფქებს მიუსევს
და ზამთრის სევდა მიანავლებს გულის მწველ ალებს,
თუმცა ვინ უცქერს გადაფიფქულ მაღალ მწვერვალებს,
ანდა ქარების ხმაურსა და შფოთვას ვინ უსმენს?

თვალს ვინ მოაწვდენს ნიავივით მონადენ ფიქრებს –
ნისლიან ციდან ჩამოსული ხილვების სარკეს?
ზოგი ამქვეყნად არსებობის ახალ გზას არკვევს,
ზოგიც ამ მღვრიე და უფერულ ცხოვრებას ითმენს.

მამულს კი სტკივა დაფლეთილი ცისფერი ფრთები,
ისევ ცრემლებად იღვრებიან მაღალი მთები.

ოცნებანი კი ინთქებიან დარდების ზვავში...
და მაინც ხშირად მოვლენილი ფიქრი და განცდა
მწვერვალთა მიღმა გადამაფრენს ამ მიწის ნაცვლად
და დამატარებს სხივდაფენილ ღრუბლების ზღვაში.

## ციური მესხიშვილი

### სიყვარულის საელჩო

ციდან მოფრენილ პეპელას,
ჩემს დოქში თავი ჩაეხრჩო,
შ ო თ ა ს წყაროსთან გავხსენი,
დღეს, სიყვარულის საელჩო...
საცაა მობრძანდებიან,
თ ა მ ა რ მეფე და ს ო ს ლ ა ნ ი ,
სეფე ქალებად ხლებიან:
ანა-გვირილა, სოსანი...
ციდან მიღიმის ფერია,
კალთანაქარგი შროშანი,
ვარძიის ღვთისმშობელია,
განა, აქედან შორს არი?!
პალესტინიდან გვეახლნენ:
ელჩი, შიკრიკი, – უსტარით,
რუსთველის მალემსრბოლია
და გზას კითხულობს, რ უ ს თ ა ვ ი ს...
,, ვ ე ფ ხ ი სტ ყ ა ო ს ნ ი ს “ ეტრატი
და მგალობელი ფრთოსანი,
მოგართვით, დიდო მეფეო!
მოკითხვას გითვლით მ გ ო ს ა ნ ი !!!

### ვარძია

მწიფობის თვეა, მტკვრის ხეობაში,
შემომცინიან მორცხვად ქაცვები,
ისე დიდია, ჩემი ვარძია,
რომ სჩანან, როგორც ქონდრისკაცები...
და უფრო დიდი ყოფილა, ოდეს,
ვიდრე მიწისძვრამ კალთა ურღვია,
მთვარის ნატეხად ჩამოსტყდა კბოდეს
დ ა დაგვიტოვა კარი გულღიად.
შირიმისფერი სამოსი მოსავს,
ნადიმს უმზადებს ცაში არწივებს,
და თ ა მ ა რ მეფეს, უფლით ღვთივმოსავს,
მზე აკემსინებს ჩოხის ყაწიმებს.
აქ სალოცავად მოსულა, მ ე ს ხ ი ც,
ავთანდილის ცხენს გასძვრა ნალები,
დოლაბებიდან, შავ შაშვებივით,
მოსჩანს შავლეგოს ნატერფალებიც...
მწიფობის თვეა, მტკვრის ხეობაში,
ისრებს მართავენ მტრისკენ ქაცვები...
ისე დიდია, ჩემი ვარძია,
რომ სჩანან, როგორც ქონდრისკაცები...

### ჩაჩოქილი ბატკანი

ტყეში, ირმებს, რძე ვთხოვე,
შევაწუხე ფურები,
მინდა, ცრემლით შევლესო,
ციხის სათოფურები.
შემორღვეულ კალთაზე,
მშვიდად სძინავს ყაყაჩოს,
ფრთაფარფატა თოლია,
ფოცხოვის წყალს დარაჯობს.
მზისთვის მოუპარია,
მთვარეს, თეთრი თათმანი,
ციხისძირში, ქვითინებს,
ჩაჩოქილი ბატკანი...

### ათაბაგის ქალები

საფარაში, ჭიშკართან,
გ ო გ ო-გიშრისთვალება,
თავზე წითელ საფარით,
სოსანს ეტრფიალება,
თან, ღიღილოს უღიმის,
(ქარო, ნუ თამამდები!),
თორემ, შემოგწყრებიან
ძვლები ათაბაგების.
შაშვი ამოფრინდება
ულამაზეს კონცხიდან,
ამბობენ, რომ თ ა მ ა რ ი,
აქ გვირილებს კოცნიდა...
მწავანე ოკეანედან,
თეთრი გემი აფრითა,
საბაწმინდის ლავრიდან,
ზეცისაკენ გაფრინდა...
დაიტირეს საძვალე,
ათაბაგის ქალებმა,
ახლა, ცელქი ყაყაჩო,
მათ ძვლებს ეტრფიალება...

### ოქროს ციხეს

ცხრათვალა მზე რომ ამოვა, დილიდან,
ოქროს ციხეს დაადგება ნათელი,
ცისარტყელას შვიდი ფერი ირიდა,
უფლისაგან, როგორც წმინდა სანთელი.
თეთრი ნისილი დაუდგება წინიდან,
საპატარძლო, ნაღბისფერი მანდილით,
მზემ და მთვარემ წუხელ ჰყარეს წილი და ...
ვარსკვლავებმა, აისრულეს წადილი!
ქარმა ურმით, სულ ოქროს ქვა მიზიდა,
შემოავლო ციხეს ჯაჭვის პერანგი,
ჰო! მზის სხივებს, ციხე ასე იზიდავს,
რომ ასხლიტოს, კლდიდან, მტერი ვერაგი!
ქვაბლიანში მოჩუხჩუხებს მდინარე:
ხელში თუნგით, მხარზე ოქროს ამფორით,
ამ ციხესთან, ქალი ვნახე მძინარე,
ბაგეებზე შერჩენოდა ამბორი.

### აწყურის ღვთისმშობლის ტაძარი

ჟირაფისფერი კაბა რომ გმოსავს,
ჟანგისფერ თივთიკს რომ ადევს ხავსი,
ჰგავხარ ზეციდან ჩამოსულ მმოსავს,
თავზე რომ ხურავს გრაალის თასი.
მოვდივარ შენთან (არ ვგავარ მგოსანს),
შენზე მცირე და შენზე ხნიერი,
სოსანგეთიდან მოვყვები ფრთოსანს,
ანტიკურ ხანის ქალის იერით...
და კალთით მომაქვს სოსან-გვირილა,
მზემ რომ დაკრიფა, შენთვის გზაშია,
მორღვეულ კედელს რომ შეგიქსოვო,
ღვთისმშობლის ქამრად და მზის არშიად!
თავზე გუმბათად, უფლის მზე გადგას,
კალთამორღვეულს თოვლსა თუ ქარში,
ანდრიას ძველი სახარება ხარ,
ჩუქურთმად ჭრილი ფიქალის ქვაში.

# მაყვალა გონაშვილი

## ეს მე ვარ, დავარ...

*„მას სიბრძნისა სასწავლებლად*
*თვით მეფემან მისცა შვილი“...*
*შოთა რუსთაველი*

სახელად მქვია მე დავარ!
დიდი ხელმწიფის და ვარ.
ვისთვის გულქვა და ზვიადი,
ვისთვის მე სიბრძნის ზღვა ვარ
და უთენარო სოფელში
მრუმე ჯანღივით დავალ.
არ მომასვენა ცოდვებმა
მდია ნადირის გეშით,
სამოთხის კარს ვინ გამიღებს,
უსიყვარულოდ შეშლილს?
შევრჩი ჯოჯოხეთს, ჯოჯო ხეს
ცრემლებს ვაპკურებ პეშვით.
აქ მზე არ მზეობს, უკუნეთს
გაჰკვეთავს მთვარის ეშვი,
დგას ჩემში დიდი ტკივილი,
ვით მიწის ძალა ხეში,
მე სიბრძნის ყველა წიგნს გავცვლი
მიჯნურთა სიშლეგეში.
მახსოვს ხელმწიფის მუქარა,
აქაც ჩამესმის ის ხმა,
ქაჯებმა ვერა დამაკლეს,
გამწირა ჩემმა სისხლმა,
უსიყვარულოდ სიბრძნის ხე
რა მწარე ნაყოფს ისხამს.
განა სულ ასეთი ვიყავ,
ვით ნაავდრალი ზეცა,
ერთ დროს მეც ვიყავ მზის სწორი,
მეც გაზაფხული მეცვა.
ცრუ და მუხთალმა სოფელმა
მალე მიცვალა სახე,
დამცინა წერა-მწერალმა
ქაჯებთან მეინახემ,
ფერადი ჭიჭნაურები
სკივრებში გადავნახე,
სულ წყევლა-ცრემლით დავკემსე
ღამე-ქვრივთათვის მახე.
გული ჰგავს გამსკდარ ბროწეულს,
წამით დამადეთ ხელი,
მე რა ბრალი მაქვს, სოფელი
იყო ავისა მქმნელი.
წიგნს შევრჩი გახსნილ ჭრილობად,
როგორც ღაწვს ცრემლი, სველი.
ეს მე ვარ, დავარ, მეფის და,
ერთ დროს ბრძენი და ქველი.

## ალმაშენებელი – ივერთა დიდება

მხოლოდ პირჯვრის წერა როდია
უფლის რწმენა,
მხოლოდ შეძახილი გმირობა როდია.
დგებიან სულეთიდან შემკრთალი მამები
და ღამით არეულ სიზმრებში მოდიან.
როდესაც წყალიც კი წამით ჩაიძინებს
და ცაზე ობოლი ვარსკვლავი ბრწყინდება,
ვინ მიცქერს მთვარიდან, წმინდა გიორგია
თუ ალმაშენებელი, ივერთა დიდება.
„ვაშენე, ანგრიეთ, ვამტკიცე საზღვრები,
დღეს ჩემი მამულის სიმცირე მაშინებს,
ქართველნო, მოუხმეთ ჭკუას და გონებას
უფალს ნუ ივიწყებთ, ვაშინერს“.
მე კი იმ ბინდბუნდშიც თვალებს
ვერ ვუსწორებ, ვარ შიშნაჭამი და უჭმელი,
მიწიდან ზეცამდე რა ხელმა აზიდოს
ეჭვებით დაბზარული ჭურჭელი?
თვალნო, რა არ ნახეთ, როგორ
არ დამევსეთ,
რა ძალა გქონიათ, თვალებო,
მოძმესთან მოშულლენო,
ოქროსთან მოშურნენო,
მტერთან მიმნდობნო და მხდალებო.
სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის?
სანამდის, ძმანო და მამანო,
ჩემო სატკივარო, ჩემო საფიცარო,
ჩემო დარღვეულო სამანო.
ჭრილობა გახსნილა და გველის ამბორი
არ მშველის წამლად და მალამოდ.
უნდა სხივით გქსოვო,
უნდა ცრემლით გკემსო,
ჩემო დაფლეთილო ალამო.
სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის?
სანამდის, დანო და დედანო,
არ თქვას უკეთურმა, შეხედეთ, ქართველნი
მხოლოდ სატირალში სხედანო!
სანამდის ვახაროთ ჩვენს ბაღში ეკალი,
მტრის კარზე ვარდი და პირიმზე?
რა ვუთხრა ჩემს შვილებს,
რა თვალით შევხედო,
ან მკვდრებთან რა პირით მივიდე?



უდედოდ ზეცისკენ გზას ვერ გაიგნებენ
ბუდეს შერჩენილი ბარტყები,
ხიდი ვართ ნამყოდან მომავლის ნაპირამდე,
ვაი ჩვენ, თუ ერთხელ ჩავტყდებით!
ეს მტკვარი დუდუნებს,
თუ კვნესის დავითი?
– „დღეს ჩემი მამულის სიმცირე მაშინებს,
ქართველნო, მოუხმეთ ჭკუას და გონებას,
უფალს ნუ ივიწყებთ, ვაშინერს“!

## სიტყვა

შრიალებს სხეული,
ვერხვივით შრიალებს
წაქცევის შიშით...
იმ ბოლო სიტყვამდე
პირველად, პირველის
ბაგიდან ვიშვით.
ჩემს მკერდთან ეძებეთ,
ისარი, რომელიც სამიზნეს ასცდა.
რა ჟამი დამდგარა, ჟამი უჟამური
უსიტყვო კაცთა.
მე მაინც გავრითმე, ლექსებად ვაქციე
სიტყვების ფეთქვა...
მამაო, უსიტყვოდ წყვდიადში
ვით გასძელ? ან რაი გერქვა?
– სიტყვა ვიყავ!
ვიყავ მუდამ!
სიტყვა ვარ და სიტყვად ვრჩები!
სიტყვა – თქვენი გადარჩენა.
სიტყვა – ჩემი განაჩენი...
ერთი დიდი სიზმარია
ყოველივე დანარჩენი.
სიტყვების ტყე...
სიტყვების ტყვე...
სიტყვა – სეტყვა
სიტყვა – ტყვია.
ირგებს სიტყვებს, როგორც გვირგვინს
ქვემძრომი და თვითმარქვია,
როცა სიტყვა ტლუთა ტყვეა,
იფოთლება ანარქია.
სიტყვა – სული, სიტყვა სრული
სიტყვა – სევდა, სიტყვა – დედა.
თუმც შვილივით ვზარდე სიტყვა
დედასავით დამიბერდა.
ერთი სიტყვით,
მხოლოდ სიტყვის
მსახურება დამებედა.
სიტყვა – მკვლელი, სიტყვა – მჭრელი...
სიტყვა – ჭრელი, სიტყვა – ხაზი...
სიტყვა – ნება, სიტყვა – ვნება,
ტკბილი, როგორც ალვახაზი,
ლოცვის მტევნებს დაიმშვენებს
უსიერ ველს, უსურვაზი...
– სიტყვა ვიყავ!
ვიყავ მუდამ!
სიტყვა ვარ და
სიტყვად ვრჩები!
სიტყვა – თქვენი გადარჩენა.
სიტყვა – ჩემი განაჩენი!
ქარია და სიზმარია
ყოველივე დანარჩენი...

## ათასმეორე ღამე

სამსალანარევს რად სვამ შარბათს
ყოფის ჯამიდან,
მის ფსკერზე როდი ილექება
ჩვენი წარსული,
მუდამ თან დაგვდევს, როგორც
სისხლის ჯადო-შელოცვა
თვალის უპეზე ნემსის წვერით
ამოკაწრული.
ქალს ეძებდი და ჩამოგემსხვრა
ნეკნი მრავალი,
მარცვლე ამაოდ ვარსკვლავების
კრიალოსანი,
ყური დამიგდე, დავამღერებ ისეთ ბეითებს,
რომ გაოცდება დუნიაზე ყველა მგოსანი.
რით განუგეშო? ხომ გაკმიე
სიტყვების საბრი?
შენთვის ვაკვნესე, ავატირე უდი და ჩანგი,
და როგორც ღამის ფარფალია,
თუმც შიშით ვკრთოდი,
სანთლების შუქზე ფრთებგაშლილი,
თამამი ვჩანდი.
მომენდე გულით, საუკუნო როდია ჭმუნვა,
წარმავალია მწუხარებაც სიხარულივით,
მე კი მრავალი ღამე სიტყვის გასვი ბადაგი,
მუცლით მეზღაპრედ გადავიქეც
შენი გულისთვის.
ზეცის ზეწარი გავშალე და მოგესურვილე
და წუთით მაინც დაგავიწყე წუთისოფელი,
იქნებ მომენდო და დამინდო და დამებედო,
რადგან ცხოვრება იფრითია დაუნდობელი.
რომ არ მოგეკალ, წყაროსავით
გიკლავდი წყურვილს,
ღამე წიგნივით ვფურცლე, ვფურცლე და
არ გათავდა,
მე კი გავთავდი, დავილიე,
როგორც სანთელი,
სანამ მზე ზეცის ლურჯ მინდორზე
ამოთავთავდა.
გაქრა შიში და ტანჯვის გზებით
მეწვია სიბრძნე: –
გრძნეული ქალი ააცეკვებ ავსულს,
შეითანს,
თუკი იპოვე ცხოვრებაში შენივე თავი,
თუკი შესძელი, თავი შენი თავად შეიცან...
თუმც ყველა ქალი როდი არის
ღირსი დანდობის,
თუმც ყველა კაცი ერთგულების
როდია ღირსი,
რად უნდა ქება ბრძენს, ისედაც
არის ქებული,
ბოროტს სასჯელად ბოროტებაც
ეყოფა თვისი.
სხვა რაღა გითხრა, ისეც ბევრი
სიტყვა დავხარჯე,
კმაყოფილი ხარ ათასერთი ღამით ძლეული.
სიტყვის პერანგი ჩაგაცვი და
სიტყვით მოგნუსხე,
ჩემი ხარ მთელი სულითა და
მთელი სხეულით.
მე კი კვლავ მაკრთობს ათასმეერთე ღამე –
გიშერი,
ცაზე ხმალივით კრთოდა მთვარე,
ვერ ვიძინებდი,
უკვე მომენდე და ალაჰიც
ველარ გიშველის...
ათასმეორე ღამე დადგა შურისძიების!

# დურმიშხან ბერიძე

## მესხეთის მთებს

აშოლტილხართ,
ცის ლაჟვარდებს მიელტვებით,
მხრებგაშლილი,
იზმორებით ნება-ნება,
თქვენი სითბო, –
დილის სითბო უნაზესი,
იცით, განა, –
სიზმარშიაც მენატრება.
ყველგან დამდევს
ეგ სურნელი უუტკბესი,
დედასავით



თბილია და სათუთია.
ვით ცეცხლის ალს,
დასთამაშებს ფრთანათელი,
სალოცავზე
წმინდა სანთლად დაუნთია.
დაჰქრის ქარი, –
ქარაფებზე ფრთათა რხევით,
შორს შორეთი,
ნაძვთა იქით იზმორება,
გტოვებთ ისევ,
სადღაც ისევ მივიჩქარი,
თქვენთან,
თქვენთან, განშორება მეძნელება.
მოჰქუხს მტკვარი,
დღე და ღამე ლოდებს ებრძვის,
ხან გაურბის
აშოლტილ კლდეს, ხანაც ხრამებს,
მოჰქუხს მტკვარი,
თავდახრილი როგორც ვერძი,
მესხეთის მთებს
გახედავს და გაიხარებს.
გენაცვალეთ,
ჰო, გაშალეთ კიდევ მხრები,
ცავ მაღალო,
ნუ ჩამიქრობთ გულში იმედს,
ჯადოქრული ხელით კიდევ შემეხევი
და ჭრილობა გადახსნილი
მომირჩინე!

## ენავ ქართულო

შენ რომ არ იყო,
დაჰკარგავდა სიცოცხლე ძალას,
შეჩერდებოდა ბობოქარი
მტკვარიც, არაგვიც,
შენ რომ არ იყო,
იბერიის ამ მიწას,
ამ მთას,
გადაქელავდა,
დაკორტნიდა თურქი, არაბი.
გადაუვლიდა ღვარცოფები
თმოგვს და ვარძიას,
დაამიწებდა ყველა წმინდას
მტერი უშენოდ,
ძლიერი იყავ,
მარადი ხარ და გევალება,
რომ საქართველოს
კარიბჭენი ისევ უშენო.
ვარ ბედნიერი,
ამაყი ვარ მე მხოლოდ შენით,
ვარ დატოტვილი, –
ფესვგადგმული მიწაში მძლავრად,
ვარ შენი ენის
გაფანტული ერთი ნამცეცი,
შენი სითბოთი,
სიყვარულით,
ამქვეყნად დავალ!

***

ვარ გაყიდული ათასჯერ
სტამბულს, – ბაზარში მონათა,
გულში იმედი ჩამიქრეს,
სხივი არსაით მონათდა.
მამელუკი ვარ, – მა, რა ვარ,
სხვის ისტორიის მჭედელი,
მკერდში დაჭრილი ათასჯერ
და ლუკმა-პურის მძებნელი.
აჰა, ეს ღამეც მინავლდა,
მწუხრმა დამკრა და ჩამკორტნა,
ბედმა წამართვა, წამგლიჯა,
ის, რაც მქონდა და არც მქონდა.
ღმერთო, მაღალო, შეგვედრი,
ვიდრე დამაშვრალს მიმზერს მზე,
ნუ მიატოვებ შენს შვილებს,
უცხოეთს, – სხვათა იმედზე.

# სტეფანე ფარცახაშვილი

*ახალგაზრდა ნიჭიერი მესხი პოეტი დაიბადა ადიგენის რაიონის სოფელ უდეში. იგი 2000-მდე ლექსის ავტორია. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს ფრონტის წინა ხაზზე და სრულიად ახალგაზრდა, 22 წლის ასაკში, რამდენიმე თვეში, გმირულად დაიღუპა. შემორჩა მისი ლექსების მხოლოდ რამდენიმე სქელი რვეული, სამწუხაროდ, უმეტესობა, დაკარგულია. გთავაზობთ მის რამდენიმე ლექსს ამ რვეულებიდან.*

## სიმღერა ვარდზედ

ბაღისა კარი გავაღე, ვარდნი მხვდა
ზურმუხტ-ლალები,
ვნახე აწ მისი ყვავილი, ნარგიზმთ
გადმექცა თვალები,
იაგუნდისა ნაზარდი, საროსა მსგავსი ლალები,
თაიგულ-იადონი და, ციდან ნაშობი ცვარები.

მან გული შემიტრიალა, გრძნობა
გამდიდრდა ლაღადა,
ვნახე აწ მისი ყვავილი, მასთან სოსანი ლალადა.
ტკბილია, როგორც შაქარი, არ არის
მედგარ ლავადა,
ვარდი მათ უფლობს აწ ნაზი, სჩანს
შიგან ბროლის თვალადა.

აწ ვარდი ლალი ფირუზი, სხივებს
ჰფენს არე-მარესა,
შემდეგ მზეს უჭვრეტს ნაზადა,
ზურმუხტად მონარნარესა,
და ელალება ყვავილებს,
სათუთად მომღიმარესა.

*1937 წ. 19 ნოემბერი*

## სიმღერა იაზე

იავ, მალხაზობ ყვავილო,
ვით ვარდი მოცინარეო,
გამოშუქებით, როგორც მზევ,
სხივების მომფინარეო.
საღამო ხანზე ხალისით
ნაზად გაპკურებს ცვარები,
რა ფეროვანი რამა ხარ,
მალხაზო, გენაცვალები.
აწ გული შენთვის თარეშობს,
გეხმატკბილება ნაზათა,
რომ გემატება სილაღე,
გარდაიქცევი ფრაზათა.
იადონივით ნარგიზო,
გამშვენებს ფერადოვნება,
ვინაც გიყურებს, მალხაზო,
ემატვის სიამოვნება.
თაიგულივით შემკულო,
ნაზარდო საროს ტანისა,
ლამაზო, ველს ამოსულო,
და შევარდენო ბანისა.
ლალი ხარ, ფირუზოვანო,
ამშვენებ არემარესა,
გამოსხივებით ედრები
სხივმოფინარე მთვარესა...
ამშვენებ არემარესა,
ველად ნაზარდო იანო,
შენი სინაზით ბულბულებს
გულმკერდი გაუღიანო.

*1937 წ. 19 ნოემბერი*

## მზე

მზე ამოსულა, მიდამოს
ანათებს მტრედის ფერადა,
და ნაზათ ამკობს სხივებით
მიდამოს შესაფერადა.
თავის ნაზ სხივთა ტალკვესით
ახარებს ამ ჩვენს მხარესა,
და გარდააქცევს წალკოტად
ფირუზად მონარნარესა.

*1937 წ. 20 ნოემბერი*

## მთვარეზე

აწ მე ნაზად შევეწაფე
ზემოთ მხარეს, მცურაც მთვარეს,
აწ ბნელისა გამნათველსა
და ლალ ფირუზ მონარნარეს.
მის ლალ სხივებს შევადარებ,
ბულბულს ნაზად მომღიმარეს,
და მით ფრაზათ დავადარებ,
ტურფა მთვარეს, მონარნარეს.
მთვარევ, ღამის გამნათველო,
მსურს მოგტაცო ციალება,
და ვიუბნო, როგორც რომ შენ,
ირგვლივ შემოტრიალება.
მაღლა სიღრმეს დაცურავებ,
ნამს უგზავნი მცენარესა,
მზეს უნათებ და თვალს უხელ,
მიდამოებს, შენს არესა.
უკვე ლალებრ სხივებს მოჰფენ
ორდენოსან ამ ჩვენს მხარეს,
აწ მსურს, მთვარევ, რომ გიმღერო,
ეშხიანს და მონარნარეს.

*1937 წ. 20 ნოემბერი*

## მიხარია

ფურცელი შალა იამან
და გადიფურჩქნა ვარდიო,
სოსანმა გაინავარდა,
მოიკლა გულის დარდიო.
მზის სხივებს ეალერსება
მთელი ბუნება შემკული,
აწ ახალისებს ტოროლა,
და ნაზათ უმღერს ბულბული.
ლაჟვარდი ფრაზათ შემკულა


სტეფანე ფარცახაშვილი (შუაში) მეგობრებთან

და მნათი ლალად მნათობსო,
მხოლოდ კი ვარდსა ბულბული
სულ ალაღებს და ათრობსო.
ამ ერთობ სიტკბოებითა
ბუნება გაზაფხულდების
და ტრფიალება ყოველთვის
არავის დანატრულდების.

*1937 წ. 27 ნოემბერი*

## ჯეჯილი

გარე მიდამოს ამშვენებს
ტურფა ჯეჯილი ელვარედ,
ჯერ პატარაა და მერე
გარდაიქცევა მღელვარედ.
ჯერ მწვანეა და ფაქიზი,
მზის სხივებს ელამაზება,
დილის ნიავზე აზიზი
ლამაზად მოიკმაზება.
ჯეჯილი ტურფა, ლამაზი
ნაზად ამშვენებს არესა,
ფირუზად ეტრფიალება
მთვარესა, მონარნარესა.
ღამით ციალებს ფაქიზი,
ეტრფიალება მთვარესა,
აწ სიფაქიზით ედრება
უცხო ნარგიზთა მხარესა.
ვარდებსა შეელალება
ეკოწიება იასა,
სოსანსა გულსა გაუხსნის
და ბულბულს უმზერს ჭკვიანსა.
მინდორში აყვავებულა
ციალით უმზერს ყველასა,
თუმც თვითონ კმაყოფილია,
სხვასაც მიუძღვნის შველასა.
ციალებს არემარეში,
თვალს სტაცებს ლამაზ ყვავილებს,
ესე მოქცევა ბულბულსა
აწ გულსა გადუყვავილებს.
ჯეჯილსა ლალსა ტურფასა,
ნაზათ ეპკურვის ცვარები,
როდესაც ვყნოსავ ფაქიზად
ნარგიზმთ მექცევა თვალები.
რა ტურფა სანახავია
აყვავებული ლაღადა,
ცვარ-ნამის დანაპკურები
გამოსჩანს ქვეყნის თვალადა.

*1937 წ. 23 ნოემბერი*

## ტურფა ვარდო

მოელვარე ცისარტყელავ
ამოსულო მინდვრის ვარდო,
თაიგულის მოტრფიალევ,
იადონად მონავარდო.
აწ შენა ხარ ლალ-სამოთხე,
ფირუზოვან იადონო,
შენზე ტურფას ვეღარ ვნახავ,
რაც რომ ხერხი მოვიგონო.
ტურფა ვარდო, დილის ნამზე
ლაჟვარდივით ცისკროვნდები,
რაც რომ დრო და ჟამი გადის,
უფრო მეტად ტურფავდები.
ლალ ვარდი ხარ, ტურფა, ნაზი,
ლალ მაისში გაფურჩქნილი,
შემკული ხარ მრავალფერად,
არ გემჩნევა დანაჩრდილი.
გადიფურჩქნე გაზაფხულზე
და მაისში გადიშალე,
შენში მყოფი ტურფავ, სევდა
ჩემს გულშიაც გადმოშალე.
მიაგებე გულის ძგერას,
გადმოფინე ციალება
და ელვარედ მასთან ახლოს
იწყე ირგვლივ ტრიალება.
მოგიწოდებ, მუდამ იყო
თაიგულში მონარნარე,
ნუ იქნები დაღონებით,
იყავ მუდამ მოცინარე.

*1937 წ. 1 იანვარი*

## მწყემსის სიმღერა

ფარას გავრეკავ ადრიან
და შევუძახებ მთაზედა,
ჩემ სალამურით მოვალხენ
და გავალაღებ ბარზედა.
ჩემის ხმით გადავაყრუებ
მოწყენილ არემარესა,
დავეწაფები ლალ ვარდსა,
ფაქიზად მოცინარესა.
აწ სინათლეზე გამოველ
და აღარა ვარ ბნელშია,
უკან წავყვები ფარასა,
კომბალს დავიჭერ ხელშია.
ვეხმატკბილები ჩიტუნებს
და ვეწაფები იასა,
შემდეგ კი ავარაკრაკებ,
ჩემს სალამურსა ხმიანსა.
რომ ააყვავოს ყვავილნი,
გადაიფურჩქნოს სიამით,
რომ მით განახლდეს სამყარო,
სიამოვნების ფიალით.

*1937 წ. 8 დეკემბერი*



## ბულბული ვარდს ეწაფება

რომ მოიკლას გულის დარდი
ბულბული ვარდს ეწაფება,
რომ მას ლაღად დაეკონოს,
ყოველთვის მას ესწრაფება.

როცა ვარდი იადონად
არემარეს გადიშლება,
როს თვალს მოჰკრავს მას
ბულბული,
მაშინ გული გაეშლება.

არემარე როცა ჰყვავის,
აღტაცებით იადონად,
იგი ტურფა ბულბულისთვის
შეიქმნება ვარდის კონად.

ბულბულს მაშინ უხარია,
ვარდი იგი როცა უცქერს,
და როს მასთან ახლოს არის,
ფიანდაზებს როცა უგებს.

ლალ ბულბული ციალ ვარდსა
გატაცებით ედარება,
მისგან იძენს სიტურფესა,
შემდეგ ექვემდებარება.

*1937 წელი, 11 დეკემბერი*

## სტვენს ბულბული

ვარდი დაჭკნა, სტვენს ბულბული,
ემატება სიმწუხარე,
სანამ იყო ვარდი შლილი
აწ მინამდე მოცინარე.

ვარდი დაჭკნა გადაშლილი,
ლალ ბულბულმა იწყო გლოვა,
აწ შესჩივის არემარეს, –
სიყვარული აღარ მოვა!

ვეღარ უსტვენს ვარდსა ნაზად
და შესტირის მთა და ბარსა,
მაისამდე ვეღარ ნახავს
ვარდის მაგვარს, თანაბარსა.

მაისამდის ჰსურს იგლოვოს,
სანამ ის დრო მოვიდოდეს,
როცა ვარდი გაიფურჩქნის
და ციალი სხივი ჰკრთოდეს.

მალე მოვა როს ბულბული,
აღარ სტვენდეს ტურფა მწარედ,
რომ მან ვარდსა უგალობოს,
და დამღეროს მას მქუხარეს.

*1937 წელი, 15 დეკემბერი*

## ნაზ იას

ბაღში გამოველ დილითა,
ნამი ამშრალი არ იყო,
მზე ახლა ამოდიოდა,
ულრუბლო დღე დამდგარიყო.

გამოველ, ბაღმა შემცინა,
მომხიბლა მისმა სინაზემ,
ფაქიზად შემომეგება
აწ უფრო მეტად მწველი მზე.

*1938 წელი, 6 იანვარი*

## შოთას აფორიზმებით

არასოდეს დავივიწყებთ
შენებრ მგოსნის გულს და სულსა,
„კაცი ბრძენი ვერ გასწირავს
მოყვარესა მოყვარულსა“.

შოთავ, წყლულებს ვერ უმთელებ,
კაცსა გულით დადაგულსა,
„სიცრუე და ორპირობა
ავნებს ხორცსა მერმე სულსა“.

აღტაცებით სხივებს აფრქვევს
შენი მზეებრ გამოჩენა,
„არ გარდავა გარდუვალად
მომავალი საქმე ზენა“.

გასწორდა მთა და ბარები,
არვინ ვიკარებთ ეჭვებსა,
„კაცი ჯაბანი რითა სჯობს
დიაცსა ქსნისა მბეჭველსა“.

აწ შენ მხარესა მგოსანო
ფერი აქვს ვარდთა შლილისა,
„გასტეხს ქვასაცა მაგარსა
გრდემლი ტყვიისა ლბილისა“.

აწ შენს ტურფა არემარეს
ლაღად ჰყვავის მთა და ბარი,
„გველს ხვრელიდან ამოიყვანს
ენა ტკბილად მოუბარი“.

გაქვს შენ აზრები ურიცხვი
საამოდ გასაგონები,
„მიეც გლახაკთა საჭურჭლე,
ათავისუფლე მონები“.

აწ მოიქმედე, რომ იყო
არასდროს დასაღონები,
„მიღწვიან, მომიგონებენ,
დამლოცვენ, მოვეგონები“.

გენიოსო, მზეთამზეო
მთა-ველს ამკობ ზომიერსა,
„რა მისჭირდეს მაშინ უნდა
გონებანი გონიერსა“.

დიდო მგოსანო რუსთველო,
სუყველას გაახსენდები,
„თუ თავი შენი შენ გახლავს
ღარიბად არ იხსენები“.

მგოსანო, შენით ყოველთვის
სუყველა გამკვირველია,
„კარგი რა გჭირდეს, გიკვირდეს
ავი რა საკვირველია“?

არას არგებს ადამიანს
დაღონება ნამეტანი,
„დიდთა ხეთა მოერევის
მცირეც დასწვავს ნაკვერცხალი“.

არსებობისთვის მსახურნი
სულ ყველას მოუკვდებიან,
„არ იცი, ვარდი უეკლოდ
არავის მოუკრებიან“.

აწ შემთხვევა უცაბედი
ოდეს ვისმეს გარდახდების,
„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა,
ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“.

# შოთა რუსთაველი— თორელთა ფეოდალური სახლის შვილი



## თამაზ ჩიკვაიძე

*ახლახან გაზეთ „ბორჯომში“ გამოქვეყნდა ბატონ შალვა აიწურაძის საინტერესო წერილი – „მოსაზრება შოთა რუსთაველის თორიდან წარმოშობის შესახებ“. მისმა მოსაზრებამ მხარის ისტორიით დაინტერესებულ პირთა შორის არაერთგვაროვანი შეფასება გამოიწვია.*

*ქვემოთ გთავაზობთ საქართველოს და, კერძოდ, ბორჯომის ხეობის ისტორიის შესანიშნავი მკვლევარის ბატონ თამაზ ჩიკვაიძის ვრცელ სტატიას, რომელიც ერთგვარი გაგრძელებაა ბატონ შ. აიწურაძის თემისა.*

*სტატიაში თავმოყრილია და, ზოგადად, გაანალიზებულია რუსთველოლოგიის საკითხები, რომელშიც ქართველი მეცნიერები სხვა და სხვა დროს გამოთქვამდნენ თავიანთ მეცნიერულ ჰიპოთეზებს და დასკვნებს. ისინი ცდილობდნენ ნათელი მოეფინათ გენიალური შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისათვის. წერილში ავტორი იყენებს ცნობილი ისტორიკოსების – ნ.ბერძენიშვილის, ნ.შოშიაშვილის, გ.არაბულის, შ.მესხიას, რ.ფირცხალაიშვილის, ს.ცაიშვილის, გ.ოთხმეზურის და სხვათა გამოკვლევებს და შეხედულებებს. გვჯერა, ქვემოთ გამოქვეყნებული სტატია მკითხველთა ინტერესს გამოიწვევს:*

ქართველი ერის სულიერ ცხოვრებას, მის ზნეობას, მსოფლმხედველობას და ესთეტიკას ფეოდალისზმის ეპოქაში განსაზღვრავდა და აყალიბებდა სამი დიდი წიგნი: „ბიბლია“, „ქართლის ცხოვრება“ და „ვეფხისტყაოსანი“. პირველი ხალხს უნერგავდა ღმერთის – უმაღლესი განმგებლის რწმენას, სამართლიანობასა და კაცთმოყვარეობას; „ქართლის ცხოვრება“ აცნობდა ქართველთა ბატონობას, მეფეთა, ერისთავთა, მთავართა, აზნაურთა და „უაზნოთა“ თავგანწირულ ბრძოლას საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად.

XII-XIII საუკუნის მიჯნაზე მათ შეემატა ლექსად დაწერილი პოემა-რომანი „ვეფხისტყაოსანი“, რომელმაც გააფართოვა ქართველი ხალხის გონიერებისა და სულიერების ინტერესთა სფერო. ამ პოემაში განვითარებული იყო რამდენიმე თემატურ-იდეოლოგიური ხაზი:

ქვეყნის ერთიანობა და ძლიერება, „მოსამართლე და მოწყალე“ მეფის მეთაურობით;

მეფური წარმოშობის კაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობას სახელმწიფო მართვა-გამგეობაში;

ქალის და კაცის წმინდა, ულალატო და სიცოცხლის ბოლომდე ერთგული სიყვარული;

სხვადასხვა ეროვნებათა და სახელმწიფოთა კეთილმეზობლური ურთიერთობა;

სიკეთისათვის მებრძოლი ადამიანის ძლევამოსილება, მისი სულიერი სიმაღლე და სიმტკიცე;

სიუჟეტი აგებულია ინტერესის აღმძვრელად, რაც იზიდავდა და აღელვებდა მკითხველს. „ვეფხისტყაოსანი“ სასურველი წიგნი გახდა არა მარტო არისტოკრატულ წრეებში, არამედ საზოგადოების დაბალ ფენებშიც: მეომრებში, ხელოსნებში, გლეხებში. ვინც წერა-კითხვა არ იცოდა, მოსმენით სწავლობდა სხვისგან წაკითხულ თუ ამბად მონათხრობ პოემის სიუჟეტს, მისი გმირების საარაკო თავგადასავალს და ბრძნულ აფორიზმებს.

იგი პოეტური ხელოვნების ეტალონად იქცა. მას ბაძავდნენ შემდგომი საუკუნის ქართველი პოეტები. მეფეთა სასახლეებში, თავად–აზნაურთა და სხვა წარჩინებულ პირთა ოჯახებში ჩვეულებრივი ამბავი იყო „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა და ზეპირად სწავლა. ეს განსწავლულობისა და კულტურის ერთ-ერთ ნიშნად ითვლებოდა. „ვეფხისტყაოსანს“ მზითვად ატანდნენ გათხოვილ ქალებს.

ვინ იყო ამ უბადლო წიგნის დამწერი? მნიშვნელოვანი თხზულების ავტორზე პირდაპირი ცნობები არ ჩანს საქართველოს ისტორიული და კულტურული ცხოვრების ამსახველ ადრეულ საუკუნეთა დოკუმენტებში. ის ხომ გამოჩენილი პიროვნება იქნებოდა იმდროინდელ საზოგადოებაში, როგორც ნიჭით და განათლებით, ასევე ოფიციალური თანამდებობით!

XIII საუკუნის პირველ ნახევარში დაწყებულმა აღმოსავლეთის ძლიერი სახელმწიფოების გამუდმებულმა შემოსევებმა იმსხვერპლა საეკლესიო და საერო ნაგებობები, ზოგან მთლიანად განადგურდა ქალაქები და სოფლები, მეფეთა და დიდებულთა სასახლეები, განძსაცავები, სადაც ოქრო-ვერცხლს და სხვა ძვირფასეულობების გარდა ინახებოდა ისტორიული და მხატვრული თხზულებები, სიგელ-გუჯრები და სხვა წერილობითი დოკუმენტები.

XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე საქართველოში არცერთი მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე არ დარჩენილა მტრისგან გაუტეხელი, არცერთი სასახლე, ეკლესია თუ მონასტერი გაუძარცვავი და აოხრებული. ყველაზე მეტად და მრავალჯერ განადგურდა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ანუ მესხეთი, რომელთანაც აკავშირებს ზეპირი ხალხური გადმოცემები ერის საამაყო პოეტის წარმოშობასა და მისი ცხოვრების მნიშვნელოვან ეპიზოდებს.

,,ვეფხისტყაოსნის“ ჩვენს დრომდე მოღწეულ ნუსხებში იხსენიება პოეტის გვარი თუ წოდება „რუსთველი“. პოემის შესავლის მე-7-მე-8-ე სტროფებში ასე იკითხება:

*,,მო, დავსხდეთ ტარიელისთვის*
*ცრემლი გვდის შეუშრობელი;*
*მისებრი მართ დაბადებით ვინმცა*
*ყოფილა შობილი!*
*დავჯე, რუსთველმან გავლექსე,*
*მისთვის გულლახვარსობილი,*
*აქამდე ამბათ ნათქვამი,*
*აწ მარგალიტი წყობილი“...*

*,,მე რუსთველი ხელობითა,*
*ვიქმნ საქმესა ამა დარი:*
*ვის მორჩილობს ჯარი სპათა,*
*მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი“.*

ხელნაწერები თუმცა XVII საუკუნისა და უფრო გვიანდელია, მაგრამ არავის ეეჭვება, რომ ეს სტროფები უშუალოდ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის დაწერილია. ისინი თავიდანვე იყო პოემის შესავალში და ხელნაწერებიდან ახალ-ახალ ხელნაწერებში გადადიოდა საუკუნეთა მანძილზე.

რუსთველის ავტორობა დამოწმებულია პოემის დასასრულის სტროფებშიც, რომელთაც მკვლევართა ერთი ნაწილი „ვეფხისტყაოსნის“ გამგრძელებელთა დამატებად თვლის. ერთ სტროფში პირდაპირ წერია, რომ ტარიელი უქია „მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლშეუშრობელსა“.

,,რუსთველი“ გეოგრაფიული ადგილიდან მიღებული გვარ-წოდებაა. შუა საუკუნეებში დიდებულები და აზნაურები თავის ძირითად გვართან ერთად ატარებდნენ მამულის ან ციხე-ქალაქის აღმნიშვნელ გვარ-წოდებასაც, რაც მათი შთამომავლობისათვის უკვე ნამდვილ გვარად იქცეოდა. ასეთი პირები ოფიციალურ საბუთებში იხსენიებოდნენ ან ორივე გვარით – ზოგადით და კერძოთი (მაგალითად, **სარგის მხარგრძელ-თმოგველი, შალვა თორელ–ახალციხელი** და სხვ.), ან, მხოლოდ, კერძო, ანუ ახალი გვარით (მაგ. **სარგის თმოგველი, შალვა ახალციხელი, თორღვა პალკელი** და სხვები).

ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი დოკუმენტები, სადაც პოეტის სახელი შოთა გვხვდება, არის პალესტინის ჯვრის მონასტრის აღაპთა წიგნში და ამავე მონასტრის ერთ-ერთი სვეტის წარწერაში. პირველში წერია: **„ამავე ორშაბათს, აღაპი შოთაისა მეჭურჭლეთუხუცესისაი, ვინ შეცვალოს, შემცვალებელს არს სჯულისაგან ქრისტეთაისა“**. მონასტრის სვეტის წარწერა კი ასეთია: „ამისა **დამხატავსა შოთას შეუნდოს ღმერთმან“**. იქვე ცალკე სტრიქონად წერია: **„როსთველი“**, რომელიც ეკუთვნის შოთა რუსთაველის პორტრეტს (მისი „პასპორტია“).

,,ვეფხისტყაოსნის“ ავტორს რუსთაველს უწოდებენ XVI-XVIII საუკუნის ქართველი მოღვაწეები: **სერაპიონ საბაშვილი (კედელაური) თეიმურაზ I, ნოდარ ციციშვილი, იოსებ თბილელი (სააკაძე), არჩილი, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, ტიმოთე გაბაშვილი, დავით გურამიშვილი** და სხვანი. მაგალითად:

ა) თეიმურაზ I (XVII-საუკუნის პირველი ნახევარი):

**,,ესენი შოთამ რუსთველმან შეამკო**
**არსთა კომბითა,**
**თვით მინდობილმა სიბრძნისა,**
**მერე თამარის ხმობითა“ ...**

ბ) მამულ მდივანი (1646 წელი):

**,, ...შოთამ გალექსა ტარიას და**
**ავთანდილის ქებანი, ნესტანჯარს**
**უქაი ციმციმი, თინათინს მოვანებანი“.**

გ) ნოდარ ფარსადანის-ძე (XVII საუკუნის ნახევარი):

**,,...შოთას აქებდნენ, აწ რიგი მე მომხვდა**
**მელექსობისა, რუსთველს არ დარჩა**
**უთქმელი, რაც ოდენ მისწვდა**
**გონება, მისთა ლექსებთა მკითხველსა**
**სხვა რამცა მოეწონება ...“**

დ) არჩილ მეფე (1681 წელი):

**,, ... შოთას რად ვერ წაბაძესა“.**

სახელი შოთა საქართველოს სხვადასხვა მხარეში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. მარტო ისტორიული და ეპიგრაფიული საბუთებით XII-XIII საუკუნეებში ცნობილია ამ სახელის მქონე 8 პიროვნება. ამათგან ორი მესხეთის მკვიდრი ჩანს: 1) ზარზმის მონასტრის წარწერებში მოხსენიებულია **ნურსიძე შიო, „შოთა ყოფილი“**. 2) ქვაბისხევის ბაზილიკის ფრესკაზე გამოსახულია **„შოთა“**.

XVIII საუკუნის მოღვაწე **ტიმოთე გაბაშვილი** „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს უწოდებს შოთამს. ჯვრის მონასტრის აღწერაში ის აღნიშნავს: **„გუმბათს ქვევით სვეტნი გაუახლებია და დაუხატნია შოთამს რუსთაველს, მეჭურჭლეთუხუცესს** ...“

როგორც ვხედავთ, ავტორის ვინაობის შესახებ არსებობს სრული თანხმობა და გვეძლევა შესაძლებლობა დავასკვნათ, რომ პოემის ავტორი არის „რუსთაველი“, რომლის სახელია „შოთა“

XIX საუკუნეში რუსთველოლოგიური კვლევის ერთ-ერთი შენაძენი იყო ჯვრის მონასტერში არებული შოთას პორტრეტის ადგილის დადგენა და მისი ზუსტი აღწერილობის მოპოვება. ეს გააკეთა ცნობილმა მეცნიერ-ლექსიკოგრაფმა **ნიკო ჩუბინაშვილმა**. მან 1845 წელს პალესტინაში მოგზაურობის დროს გადმოხატა მონასტრის სვეტზე არსებული რუსთაველის სურათი და სიტყვიერად აღწერა მისი ადგილმდებარეობა, შოთას გარეგნობა და ჩაცმულობა.

1883 წელს იერუსალიმში იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი **ალექსანდრე ცაგარელი**. მან გადმოიღო ჯვრის მონასტრის სვეტზე რუსთაველის პორტრეტთან არსებული წარწერა, მანვე გამოაქვეყნა **ნ.ჩუბინაშვილისეული** აღწერილობა, საკუთარი დაკვირვების შედეგებიც და დაადგინა, რომ ჯვრის მონასტრის სვეტზე დახატული მოხუცი შოთა რუსთაველი ერის კაცია და არა ბერი.

1902 წელს **ნიკო მარმა** იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში ნახა ხელნაწერი კრებული წმინდანთა და სხვა საპატიო მიცვალებულთა მოსახსენებლებით (აღაპებით), სადაც ასეთი ჩანაწერი იყო: ეს კრებული ნ.მარის რედაქციით დაიბეჭდა 1914 წელს **„ამასვე ორშაბათსა აღაპი შოთაისა მეჭურჭლეთუხუცესისაი“.**

XX საუკუნის 20-იან წლებში რუსთაველის ბიოგრაფიის საიდუმლოს ამოხსნას ხელი მოჰკიდა ბატონმა **პავლე ინგოროყვამ,** მან სცადა XIX საუკუნის პირველ ნახევარში **თეიმურაზ ბატონიშვილის** მიერ გამოთქმული მოსაზრების – შოთა რუსთაველის ქ. რუსთავიდან (ბოსტან-ქალაქი) წარმოშობის შესახებ, – დამტკიცება და მისი გაიგივება ჰერეთის ერისთავ **შოთა კუპრთან.**

ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი ისტორიული პიროვნებაა. მას რამდენჯერმე იხსენიებს მონღოლთა ბატონობის დროინდელი უცნობი ქართველი მემატიანე ე.წ. „ჟამთააღმწერელი“.

პ. ინგოროყვას გამოკვლევის ძირითადი დასკვნები ასეთია:

პოეტი შოთა რუსთაველი, იგივე შოთა კუპრია; შოთა კუპრი იყო საქართველოს მეფეთა გვარის – ბაგრატიონების ერთ-ერთი შტოს, ჰერეთის მმართველის – ბაგრატიონების წარმომადგენელი. ის დაბადებულა 1165-66 წლებში. ჯერ ყოფილა მფლობელი ქ. რუსთავისა, საიდანაც მიუღია წოდება – რუსთაველი, შემდეგ ის გამხდარა ერისთავთ-ერისთავი საქართველოს აღმოსავლეთ მხარეთა – ჰერეთის და რუსთავის ოლქებისა (,,ქვეყნებისა“).

1196-1207 წლებში შოთას დაუწერია „ვეფხისტყაოსანი“. ეს პოემა და თვით შოთა თითქოს დევნას განიცდიდნენ „კლერიკალურად განწყობილი წრეების“ მიერ. ამის გამო ის ერთხანს უცხოეთში „ყარიბად“ ყოფილა წასული, საიდანაც სამშობლოში დაბრუნებულა 1210 წელს.

თითქოს 1245 წელს შოთა მონაწილეობდა ქართველ მთავართა მიერ მონღოლთა წინააღმდეგ განზრახულ კოხტასთავის შეთქმულებაში (პ.ინგოროყვას გამოთვლით ის ამ დროს 79 წლის იყო).

თითქოს 1247-50 წლებში შოთას, ერისთავ-ერისთავს და ვაზირ მეჭურჭლეთუხუცესს იერუსალიმში გაუგზანიათ თავიათ წარმომადგენლად **ანტონ ალავერდელი** *(ეპისკოპოსი)* და მისთვის გაუტანებიათ სათანადო თანხა ჯვრის მონასტრის შესაკეთებლად. ანტონ ალავერდელმა დაახატვინა შოთას სურათი მონასტრის სვეტზე და მანვე ჩაწერა შოთას მოსახსენიებელი აღაპთა წიგნში.

თითქოს შოთა რუსთაველი გარდაიცვალა 1250 წლის ახლოს, დაახლოებით 84 წლის ასაკში და დასაფლავებულია თავის საგვარეულო სამარხში, – რუსთავის ძველი კათედრალის სანახებში.

პ. ინგოროყვას მიერ შედგენილი შოთას ბიოგრაფიის ყველა ძირითადი დებულება უარყოფილია და არ არის გაზიარებული ქართველი მეცნიერების მიერ.

ამ დებულებების საპირისპირო თეზისები შემდეგია:

ერისთავი შოთა კუპრი და პოეტი შოთა რუსთაველი ორი სხვადასხვა პიროვნებაა, ამიტომ მათზე ცალ-ცალკე უნდა ვიმსჯელოთ;

**შოთა კუპრი** იყო ჰერეთის ერისთავი, მაგრამ ის ბაგრატიონი არ ყოფილა;

ქალაქი რუსთავი ჰერეთს არასოდეს არ ეკუთვნოდა. მერვე საუკუნემდე ის შედიოდა კახეთის მხარეში; შემდეგ, მეთორმეტე საუკუნის დამდეგამდე, – თბილისის საამიროში. 1115 წელს რუსთავი ბრძოლით აიღო დავით აღმაშენებელმა. ამის შემდეგ რუსთავი „სამეფო მამული“ იყო;

შოთა კუპრი არ ყოფილა რუსთავის ერისთავი არც „მალულად“ მფლობელი, ამიტომ ის ვერ მიიღებდა „რუსთაველის“ გვარ-წოდებას;

შოთა კუპრი არასდროს არ ყოფილა მეჭურჭლეთუხუცესი და აღაპი ჯვრის მონასტერში მას არ ეხება;

არ არსებობს არავითარი ცნობა შოთა კუპრის სამწერლო მოღვაწეობის შესახებ;

შოთა კუპრი დაბადებული იქნებოდა არა 1165-66 წლებში (როგორც ინგოროყვა თვლის), არამედ უფრო გვიან, ალბათ, მეთორმეტე საუკუნის ბოლოს. დავით სოსლანისა და თამარ მეფის სიცოცხლის ბოლო წლებში ის იქნებოდა დაახლოებით 10 წლის და, ცხადია, „ვეფხისტყაოსანს“ ვერ დაწერდა.

პ. ინგოროყვას წარმოდგენილი დებულებით ვერ მტკიცდება შოთა რუსთაველის ვერც ჰერეთის ერისთავობა, ვერც ბაგრატიონობა და ვერც ქ.რუსთავის (ბოსტან-ქალაქის) მფლობელობა.

**თეიმურაზ ბაგრატიონმა** კი იცოდა, რომ გვარ-წოდება „რუსთაველი“ წარმომდგარი იყო გეოგრაფიული ადგილიდან, მაგრამ საეჭვოა, ცოდნოდა მესხეთში ნასოფლარ რუსთავის არსებობა.

საგულისხმოა, რომ ისეთმა დიდად განათლებულმა **პლატონ იოსელიანმაც** კი არ იცოდა ასეთი სოფლის არსებობა – 1870 წელს ის წერდა:

**„ახალციხის ოლქში არ არის ქალაქი, სოფელი, არც ადგილი რუსთავი რომ ერქვასო“** *(იხ. გ.შარაძე „პლატონ იოსელიანი – რუსთველოლოგი“, თბილისი 1980 წ.)*

1991 წლის 5 აპრილს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა პროფესორ **ზაზა ალექსიძის** წერილი – „ახალი ცნობა რუსთაველთა სახლის“ შესახებ“.

პროფესორმა **ზაზა ალექსიძემ** და **მიხეილ ქანთარიამ** 1990 წელს სინას მთაზე შეისწავლეს წმინდა ეკატერინეს მონასტრის ახალი კოლექციის ქართული ხელნაწერები, რომელნიც შემთხვევით იქნა აღმოჩენილი 1975 წელს. ამ კოლექციის ერთ კრებულში, რომელშიც, ზ. ალექსიძის ვარაუდით, X საუკუნის პირველი ნახევრის უნდა იყოს, მოხსენიებულია „რუვისთაველთა ფეოდალური საგვარეულო“, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კუხეთში არსებობდა. ს. ალექსიძის აზრით „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთაველი ამ საგვარეულოს წევრია. გვარი „რუსთაველი“, ან „რუსთველი“ მომდინარეობს **„რუვისთაველისაგან“**, მისი შეკუმშული ფორმაა.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, – სად და როდის არსებობდა **„რუისთაველთა“** სახლი? აღმოჩენილი კრებულის მიხედვით (,,რუსთველთა სახლი მეწკვენელთა სახლთან“ ერთად) ისტორიული კუხეთის ტერიტორიაზე მოქმედებს. ბატონი ზ. ალექსიძე ხელნაწერის თარიღს X საუკუნის პირველი ნახევრით განსაზღვრავს, მაგრამ იგულისხმება, რომ ამ კრებულში მოთავსებული თხზულებები უფრო ადრე არსებობდა, მაგალითად „მოქცევაი ქართლისაი“-ის რედაქცია“, რომელიც „შატბერდის კრებულმა“ შემოგვინახა. ივ. ჯავახიშვილი IX საუკუნეში შედგენილად მიაჩნდა.

საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც: მეწკევნელთა გვარი პირველად იხსენიება XVII საუკუნის 20-იან წლებში, საქართველოში **ჰერაკლე კეისრის შემოსვლის** დროს. VIII საუკუნეში კი **„რუვისთველნი“** და **„მეწკევნელნი“** ერთად მოქმედებენ. ორივეს ამ საგვარეულოს გარკვეული წილი და გავლენა აქვს. VII-VIII საუკუნეში კახეთ-კუხეთში მიმდინარე პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ რა მოხდა შემდეგ, თუ არის რაიმე ნიშანი მათი არსებობისა IX-XI საუკუნეებში?

VIII საუკუნის 30-იან წლებში წარმოიქმნა თბილისის საამირო და რუსთავიც მის შემადგენლობაში მოექცა. ასევე IX-XI საუკუნეებშიც რუსთავი თბილისის საამიროშია.

საკითხავია, როგორ გადაურჩნენ „რუვისთაველნი“ ისტორიულ ქარტეხილებს და თუ გადაურჩნენ, ნუთუ არ შეიცვალეს გვარი, რომელსაც რეალური შინაარსი (რუსთაველის პატრონობა) უკვე დაკარგული ჰქონდა? VIII საუკუნიდან რუვისთაველთა სახლში რუსთაველთა ცხოვრება სათუოა. მისმა შთამომავლებმა, ალბათ, სხვაგან გააგრძელეს არსებობა, მაგრამ მათი კვალი გაუჩინარდა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ნანგრევებში და ახლა ბედნიერ შემთხვევებს უნდა ველოდოთ, რომ აღმოჩნდეს რაიმე ცნობა, რომელიც შეავსებდა ოთხ საუკუნოვან სიცარიელეს VIII საუკუნის „რუისთაველთა სახლიდან“ XII საუკუნის დასასრულამდე მოღვაწე შოთა რუსთაველამდე.

გარდა ამისა, როგორ მართებულად აღნიშნავს **გ. არაბული** თავის ნაშრომში, ზ. ალექსიძეს ჯერ უნდა განეხილა და მოეხდინა უარყოფა შოთას მესხობისა (თორელობისა), რომელსაც დღეისათვის საკმაოდ არგუმენტირებული საფუძველი აქვს *(მ. შოშიაშვილის, ს. ცაიშვილის, რ. ფიცხალაიშვილის გამოკვლევები).*

XX საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შესახებ ხალხში ზეპირი გადმოცემები ჩაიწერეს **სარგის კაკაბაძემ, სერგი მაკალათიამ, იოსებ მეგრელიძემ, მიხეილ ჩიქოვანმა, ნიკოლოზ ნათენაძემ** და სხვებმა. მასალების უმეტესობა ჩაწერილი იყო სამცხე-ჯავახეთში. ეს გადმოცემები მიუთითებენ შოთას მესხურ წარმოშობას...

შოთა რუსთაველის მესხობის ვერსიას ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. ის მომდინარეობდა თვით „ვეფხისტყაოსნის“ დასასრულიდან (,,ვწერ ვინმე მესხი მელექსე“) და არჩილ მეფისაგან (,,*გაბაასება თეიმურაზის და რუსთველისა*“). ამ ლიტერატურული ტრადიციის და ზეპირი გადმოცემების გათვალისწინებით, მას იზიარებდნენ **დავით ჩუბინაშვილი** (XIX საუკუნის 40-იან წლები) და **ალექსანდრე ხახანაშვილი** („ქართული სიტყვიერების ისტორია“, 1904), „ვეფხისტყაოსნის“ ენობრივი ანალიზის საფუძველზე მისი ავტორის მესხობის დასაბუთება სცადა **ნიკო მარმაც.**

რუსთაველის ენაში მესხურ-ჯავახური დიალექტიზმების არსებობაზე მიუთითებდა **ნიკოლოზ ნათენაძეც.** ამ თეზისს **შოთა ძიძიგურმა** თეორიული გამართლება მოუძებნა თვით მესხური კილოს ისტორიული ჩამოყალიბების თავისებურებაზე.

მანამდე გამოთქმული იყო უფრო კონკრეტული მოსაზრებებიც, მაგალითად, **მოსე ჯანაშვილი** ვარაუდობდა, რომ შოთა რუსთაველი მესხეთის ერთ-ერთი ცნობილი საგვარეულოს, თორელთა ფეოდალური სახლის წევრი უნდა ყოფილიყო (გაზ. „ტრიბუნა“, 1925 წ.). ერთხანს ამავე თვალსაზრისზე იდგა **სარგის კაკაბაძეც** (,,ვეფხისტყაოსანი“, 1927 წ. წინასიტყვაობა).

1965 წელს შოთას მესხური წარმოშობის საკითხი კვლავ დააყენა **სარგის ცაიშვილმა**, – *„შოთას პორტრეტი ქვაბისხევის ბაზილიკაში“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1965*



*წ.).* უფრო საყურადღებო იყო ამავე ავტორის სხვა ნაშრომი *„შოთა რუსთაველი, ბიოგრაფიული ესკიზი“*, სადაც მკვლევარმა წარმოადგინა რამდენიმე ანგარიშგასაწევი პირობა შოთას თორელობის სასარგებლოდ.

მაგრამ პრობლემის ბოლომდე გასარკვევად საჭირო იყო მესხეთის ფეოდალურ საგვარეულოთა ისტორიის ყოველმხრივი შესწავლა, მათი მონაწილეობის დადგენა ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ისტორიკოსმა ნოდარ შოშიაშვილმა 1965 წელს დაბეჭდილ ნაშრომში ამ საკითხზე გამოთქვა რამდენიმე წინასწარი მოსაზრება, რომლებიც შემდეგ დაასაბუთა ვრცელ და მრავალმხრივ დოკუმენტურ მასალაზე დაფუძნებულ შესანიშნავ გამოკვლევაში – *„თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი“.* აქ უკვე საკმარისი არგუმენტაციაა იმისათვის, რომ შოთას წარმომავლობა თორელთა გვარიდან დასაჯერებელი იყოს (ამაზე ვრცლად იხ. ქვემოთ).

ეს დასკვნა შემდეგ გაამაგრა რუსთველოლოგმა **რომა ფირცხალაიშვილის** გამოკვლევამ, რომელშიც უფრო სრულად იქნა გამოყენებული სვიმეონ შოთას ძის ანდერძის მონაცემები შოთას თორელობის სასარგებლოდ (ამ საინტერესო კვლევის შედეგებსაც ქვემოთ გაგაცნობთ).

უაღრესად საინტერესო და ნიშანდობლივია არჩილის ცნობა შოთა რუსთაველის სადაურობის შესახებ *(,,გაბაასება თეიმურაზისა და შოთა რუსთაველისა“)* – პასუხი მეფისა მეთორმეტე.

**„ღაზოდა სთქვი, შემოიღე**
**ჯავახური ენა მძიმე,**
**ქიზიყურად პასუხს მოგცემ,**
**ამოხვიდე შენ ვინძი მე“.**

და,

**„სიტყვის თქმასა, რადგან ცუდი**
**სიტყვა წაგცდა ნეტარმი მე“:** *126.*
**„უყურე ბრიყვსა მესხსა და**
**ამაყსა შეუპოვარსა,**
**რაღას გეყალბო ჯავახსა,**
**ღარიბსა, შეუპოვარსა“.** *127.*

როგორც ვხედავთ, არჩილს სცოდნია, რომ შოთა რუსთაველი ჯავახელი მესხი იყო, ამიტომ უწოდებს მას მესხსაც და ჯავახსაც, ხოლო მის ენას – ჯავახურს.

როგორც ცნობილია, 1947 წელს **ნ. ბერძენიშვილმა** გამოავლინა და 1964 წელს გამოაქვეყნა კიდეც ბორჯომის რაიონში მდებარე ქვაბისხევის ეკლესიის კედელზე მოთავსებული ფრესკა, დიდებულების სამოსში გამოწყობილი ყმაწვილის და ქალისა (ალბათ დედა-შვილისა), რომლის წარწერაც გვამცნობს, რომ აქ გამოსახულია **„შოთა“** და **„იაი“ (იხ. სურათი ზემოთ)..**

ქვაბისხევი მდებარეობს თორისა და სამცხის საზღვარზე და XII-XIII საუკუნეებში თორელთა მამული იყო. ნ. ბერძენიშვილი მხატვრობის და წარწერის ხასიათის მიხედვით, მის ზედა ქრონოლოგიურ ზღვარად XIII საუკუნეს მიიჩნევს, ხოლო ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარად, ენობრივი ნიშნების მიხედვით – XII საუკუნეს. ათარიღებდა რა ფრესკას თამარ მეფის ეპოქით, მეცნიერი ამბობდა: **„მე ამით რუსთველისკენ არ ვეწევი „შოთას“ და „იაის“, თუმცა შეუძლებელი აქ არაფერია. ამ ჩვენს შოთას თავისუფლად შეეძლო რუსთავიც და რუსთველობაც მიეღო“.**

XVI საუკუნის დამდეგს სადგერის ეკლესიის დეკანოზი ყოფილა ვინმე **სვიმეონ შოთას ძე**. მისი ლექსად დაწერილი, წმინდა გიორგის ჯვრის მცველი და თანამყოლი. უფრო მეტიც, ეს მოვალეობა შოთას ძეთა გვარს „დასაბამითგან“ ჰქონია, რასაც ის დიდ პაივად თვლის.

ამ ანდერძის აღმომჩენნი და გამომცემელნი **ი. აბულაძე, ქ. შარაშიძე** ყურადღებას მიაქცევდნენ სვიმეონ შოთას ძის თავმოწონებას საკუთარი გვარით, რითაც ის მიანიშნებდა თავის წარმომავლობით კავშირზე სახელოვან პოეტთან – შოთა რუსთაველთან.

რ. ფირცხალაიშვილმა გაარკვია წმინდა გიორგის ნაწილიანი ჯვრის დანიშნულება ადრეულ საუკუნეთა მანძილზე, რაც ისტორიკოსთა ყურადღების გარეშე იყო დარჩენილი. აღმოჩნდა, რომ ეს ყოფილა ქართველ მეფეთა წინამძღვარი, ანუ სეფე ჯვარი (სამეფო ჯვარი), – მეფისა და ლაშქრის წინამძღოლი ჯვარი ომსა და ნადირობაში.

წმინდა გიორგის ნაწილიანი „წინამძღვარი“ ჯვარის მუდმივ მხლებელსა და მცველ დეკანოზს სეფე ჯვარის მტვირთველი ერქვა, ხოლო კარის ხატის მხლებელს – ხელმწიფის კარის დეკანოზი ეწოდებოდა.

XIII საუკუნის ძველი *„კურთხევა მირონისა და განგება დარბაზობისა“*, გვამცნობს, რომ სამეფო დარბაზობის დროს სეფე ჯვარის მტვირთველს ათაბაგსა და სპასალარს შუა მართებდა ჯდომა.

გულმოდგინე კვლევის შემდეგ რ. ფირცხალაიშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სეფე ჯვარის მტვირთველ შოთას ძეთა გვარი სამცხე-ჯავახეთის დიდი ნაწილის მფლობელთა – თორელთა საგვარეულოდან მომდინარეობს.

ისტორიკოსმა მ. შოშიაშვილმა ნ. კაკაბაძისგან განსხვავებული არგუმენტებით, შოთა რუსთაველი დაუკავშირა თორელთა ფეოდალურ სახლს. იგი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი უნდა ვეძებოთ XII საუკუნის მიწურულის და XIII საუკუნის პირველი ნახევრის იმ ფეოდალურ საგვარეულოში, რომელიც



ფლობდა ერთდროულად რუსთავს, მეჭურჭლეთუხუცესის ხელს და რომელშიც გვხვდება სახელი შოთა. ამისათვის საჭიროა გადაიხედოს საისტორიო წყაროებში მოხსენიებული აღნიშნული პერიოდის მეჭურჭლეთუხუცესების სია.

მეჭურჭლეთუხუცესები **თამარ მეფის, ლაშა გიორგის, რუსუდანისა და ულუ-დავითის** მეფობის წლებში (1184-1270წ.წ.):

*ყუთლუ არსლან (ჯაყელი)*
*კახაბერ ვარდანის-ძე*
*აბულასანი*
*შალვა თორელი – ახალციხელი*
*ივანე-ყვარყვარე ჯაყელი – ციხისჯვარელი*
*მამურჩა ჯაყელი – ციხისჯვარელი.*
*გამრეკელ-თორელი*
*კახა თორელი*
*სარგის ჯაყელ-ციხისჯვარელი.*

როგორც ვხედავთ, ამ პერიოდის მეჭურჭლეთუხუცესობა, ორი გამონაკლისის გარდა, ხელთ უპყრია სამცხე-ჯავახეთის დიდგვაროვან ფეოდალთა ორ საგვარეულოს: **ჯაყელებს** და **თორელებს**. ვინაიდან მესხეთის რუსთავი იმ პერიოდში თორელთა საგამგეოში შედიოდა, ამიტომ მეჭურჭლეთუხუცესობისა და რუსთავის მფლობელობის ორიენტირი თორელთა ფეოდალურ სახლთან მიდის, რომელიც განსახილველ ეპოქაში ერთდროულად ფლობდა რუსთავსაც და მეჭურჭლეთუხუცესობასაც. სხვა ასეთი საგვარეულო, რომელიც ერთდროულად რუსთავის მემამულეც იყო და მეჭურჭლეთუხუცესის ხელის მქონებელიც, წყაროებით ცნობილი არ არის.

შოთა რუსთაველის დაკავშირება მესხეთის რუსთავთან და თორელთა სახლთან, მარს უჭერს მხარს, აგრეთვე, ხალხური და ლიტერატურული ტრადიცია შოთას მესხობის შესახებ, რასაც, ცხადია, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება: ასეთი ტრადიცია, როგორც ცნობილია, უსაფუძვლოდ არ იქმნება.

არ არის უგულველსაყოფი აგრეთვე, „მესხი-მელექსის“ მოხსენიებით, მისი სიყალბის საკითხი. როგორც ჩანს, სრული საფუძვლიანობით არ არის გადაჭრილი. და, თუნდაც ის ყალბი იყოს, მას შეიძლება მაინც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს შოთას მესხობის საკითხთან დაკავშირებით.

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ისტორიული დოკუმენტების ფონდებში დაცულია მასალა – „რუსთაველი“. დოკუმენტი წარმოადგენს გამრეკელ-ჯავახიშვილის მზითვის წიგნს, დაწერილს რუსთაველის შვილის მურვანის მიერ.

**,,მე რუსთველის შვილს მურვანს დამიწერია და მოწამეც ვარ“.**

როგორც ცნობილია, ჯავახიშვილების გვარი წარმოიშვა თორელ ფეოდალთა საგვარეულოდან. მის დამაარსებლად ითვლება ცნობილი პიროვნება **ჯავახ თორელი.**

ეს საბუთი არის ჯერჯერობით ერთადერთი საისტორიო წყარო, სადაც „რუსთველად“ მოხსენიებულია საერო პირი და არა კახეთის რუსთავის ეპისკოპოსი.

რას ნიშნავს ამ დოკუმენტში „რუსთველი“? ცხადია, კახეთის რუსთავის ეპისკოპოსი ის არ შეიძლება იყოს, რადგან ეპისკოპოსს შვილები არ ჰყავს. ამასთან, აქ რომ რუსთველი ეპისკოპოსი იგულისხმებოდეს, მაშინ მოსალოდნელი იყო, რომ მისი სახელიც ყოფილიყო აღნიშნული, ვთქვათ ასე:

***,,მე, ნიკოლოზ რუსთველის შვილს მურვანს დამიწერია“....***

,,რუსთველი“ – აქ აღნიშნავს სახელს და არა გვარს. 1) აქ რომ „რუსთველი“ გვარი იყოს, მაშინ მურვანიც რუსთველი იქნებოდა და საბუთშიც აღინიშნებოდა **„მურვან რუსთველი“** და არა **„რუსთველის შვილი მურვან“**.

მამა-შვილობის დასახელების დროს ჩვეულებრივ ასახელებენ მამის სახელს და არა გვარს: **„გამრეკელ კახას-ძე“** და არა, **„გამრეკელ თორელის-ძე“.**

**რუსთველი რომ გვარად დარჩენილიყო XVI საუკუნის ბოლომდე, ცხადია, ის გავრცელდებოდა იმ ფეოდალური სახლის ყველა წევრზე, რუსთველის ყველა შვილი თვითონაც რუსთველი იქნებოდა!**

წარმოუდგენელია, მაგალითად, ჯავახიშვილის სახლის რომელიმე წევრს დაეწერა, **„ჯავახიშვილის შვილს დამიწერიაო“**.

რუსთველი რომ გვარიდან სახელად იქცა, ამაში უჩვეულო არაფერია. ასევე იქცა გვარიდან სახელად თორელი და თორელთა საგვარეულოს განშტოებებით აღნიშნული სიტყვები – **ახალციხელი, ქვეშელი** და სხვა.

მაგრამ, რომელი საგვარეულოს წარმომადგენელია რუსთველის შვილი მურვანი? ნ. შოშიაშვილის აზრით, – თორელთა ერთ-ერთი საგვარეულო წარმომადგენლის – ღობიართა შთამომავლებისა. ეს სახელი საისტორიო საბუთებით გვხვდება მესხეთში.

მესხეთის რუსთავი და ღობიეთი ერთმანეთის მეზობლად მდებარეობენ – ასპინძიდან 14 კილომეტრის დაშორებით (მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ღობიეთი, მარჯვენაზე – რუსთავი). ღობიარები წყაროებში ჩნდებიან სწორედ შოთა რუსთაველის მომდევნო ეპოქაში (XII საუკუნის მეორე ნახევარი).

ჯვრის მონასტრის აღაპთა წიგნში მოხსენიებულია **მურვან ღობიარი**. ამავე წიგნში მოხსენიებულია **ჯავახ თორელი** და მისი ასული **ბობა.** ამავე აღაპებიდან ჩანს, რომ ჯავახ თორელი ბერად აღკვეცილა **სვიმონის** სახელით. ამ აღაპებს აკადემიკოსი **ელ. მეტრეველი** XIII-XIV საუკუნის მიჯნით ათარიღებს.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი თავისი სახელის (მეჭურჭლეთუხუცესობა), მამულის (რუსთავი), ხალხური და ლიტერატურული ტრადიციებით, ასევე სხვა მრავალი მონაცემებით დადასტურებული სადაურობის (მესხობის) მიხედვით უკავშირდება თორელთა ფეოდალურ სახლს.

# მ ზ ე

## (პატარა წიგნი დიდ მოვლენებზე)

მიუწვდომელ და იდუმალ-უცნაურობებით სავსე ნებისმიერ ეჭვებშემყრელ კრიტიკულ შემთხვევაში, ჩემგან მოთხრობილი კოსმოსური სხეულების მოძრაობის აზრთამშლელი, ეს შედარებით დაუჯერებელი ციკლი ფანტასტიკაა თუ სინამდვილე, ვფიქრობ, რომ ამ ნაწარმოების უჩვეულო ლიტერატურულ სხეულში ზოგადვარსკვლავეთური მიახლოებითი რეალობითაც უთუოდ შეინიშნება. ჭეშმარიტება ხომ უსაზღვრო კანონია, უფლის მიერ შექმნილი. ქვეყნიერების ნაწილობრივ ცნობადი წარმოსახვითი ინფორმაციიდან ვიგებთ, რომ პლანეტარიუმის გამაოგნებელი შემთხვევა მომხდარა თურმე. კერძოდ, ჩვენი მზის სისტემის უმძიმესი მოვლენის, ახალი წელთაღრიცხვის რომელიღაც მონაკვეთში, რის შესასწავლად ფიზიკოს-ასტრონომმა მეცნიერებმა დიდი კვლევა-ძიება ჩაატარეს და ამ ურთულეს თემას



მრავალი თეორიაც დაუკავშირეს, მაგრამ ვერც ერთ მიგნებაში პასუხი ვერა და ვერ იპოვეს. მათგან ზოგიერთს დავასახელებდი. ზეციურ ცათა აღუვსებელი მეხსიერებითი უხილავი და უმდიდრესი სივრცე: პლანეტებსშუა გამავალი მრავალმხრივ მგრძნობიარე ჰარმონიული ველი და მიუწვდომელ-შეუცნობადი უმდიდრესი შემოქმედებითი ფონდები, რომლებიც ჩვენეული ინტუიციით ბუნდოვნად ილანდება, მათგან ჩასახული უხილავ ფორმათა მეოხებით და ადამიანის სიბრძნის უსაზღვრო ინტუიციური ვარიაციებით. გონების შემოქმედებითი ურთულესი ფანტაზია-ინსტინქტთა წარმოსახვების გალერეებშიც კი ვერ აღმოაჩინეს, ხოლო უფლის ღვთიური სავსეობა ხომ ადამიანთათვის ოცნებითაც მარადის მიუწვდომელია. მაშინ ვარსკვლავეთური სინამდვილე გალაქტიკის სიღრმეებში ისევ ასტრონომიულ-ფილოსოფიურ და ასტროლოგიურ-მეცნიერული გზებით უნდა ვეძიოთ და შესაძლებელია, სისტემის მოვლენის მთავარი მიზეზის და რეალობის მნიშვნელოვან სახესაც წავაწყდეთ...

„ყველაზე მეტად მაშინ ვცდებით, როდესაც სამყაროს სხვისი თვალით ვუყურებთ“ (ჩერნიშევსკი).

მოყოლებული შორეული მილიონწლებიდან, ეჭვგარეშეა, ქვეყნიერების უკიდეგანო საშოდან იბადება ახლოქვეყნიური თუ იმქვეყნიური იდუმალების ურთულესი საოცრება, ცხოვრებისეული ყოველგვარი უმცირესი მოვლენაც კი...

„არც მზესა და არც სიკვდილს პირდაპირ არ უნდა უცქირო“ (ლაროშფუკო).

ამ ურთულეს მოვლენათა დასაწერად კალამი ამაღებინა ჩემმა იდუმალმა წარმოსახვებმა, ცნობისმოყვარეობამ, კოსმოსის უსაზღვრო სიყვარულმა და მისადმი თამამმა ინსტინქტ-ფანტაზიამ, შემოქმედებითმა ჟინმა და გამბედაობამ...

ტრადიციულად ბნელით მოცულმა ალიონის დიდი მანათობლის ამოსვლის წინამორბედმა ცივი ჰაერის დაწმენდილმა ტალღამ შეატორტმანა ბუნება, მაგრამ მზის ამოსვლამ შემაძრწუნებლად სამი საათით დაიგვიანა და ჩვენს პლანეტაზე მოულოდნელი უბედურება გაყინულ უხილავ სივრცედ ჩამოვარდა. წარმოუდგენელმა შემთხვევამ ათასობით ადამიანი იმსხვერპლა და დააავადმყოფა. პლანეტის მეორე მხარეს, ამერიკის და ავსტრალიის კონტინენტებზე კი მზემ და მთვარემ ამ დროითვე ჩასვლა-ამოსვლა შეაჩერა და იქაც სიკვდილიანობასთან ერთად, დაუდგენელი რეაქციით და გაკვირვებით შეძრული უამრავი ადამიანი ნერვიულად მოშალა...

„ყველა დაბადება სიკვდილითაა გამოსყიდული, ყველა ბედნიერება – უბედურებით“ (ავრელიუსი).

მუხლმოდრეკით ევედრებიან ღმერთს გაოგნებული, ჯვარაღმართული ქრისტიანები, ბუდისტები ქედს იხრიან მზის გამოსახულების წინაშე. გაოცებული მუსულმანები მიწას ერთხმიან. იუდეველები გოდების კედელთან, სინაგოგებთან თუ ოჯახის სალოცავებთან ცრემლს ღვრიან. უკიდურესად შეძრწუნდნენ ძველისძველი წარმართები, იეღოველები, დაიბნენ კანტიკუნტად შემორჩენილი უხსოვარდროინდელი მზის თაყვანისმცემლებიც. მრავალი სექტანტი და ათეისტი საშინელ მიზეზდაუდგენელ მოვლენას მთავარ რელიგიათა სწავლებებს მიაწერენ და უკიდურესად ადანაშაულებენ, ქვეყნის მომსპობად კი მზე არა და არ ჩანს. ჩვენმა გაჯიუტებულმა ტანსრიალა, წყლითა და ჟანგბადით სავსე ულამაზესმა, მომწვანო-მოცისფრო, სიცოცხლითა და ენერგიით სავსე პლანეტამ მარადიული ბრუნვითი წრიული სვლა შეწყვიტა და მზის სისტემის მთავარ წესრიგს არ დაემორჩილა: დედამიწა ყოველგვარი ეჭვს გარეშე მორჩილი, თანდაყოლილი პლანეტაა, უდიდესი მნათობი კეთილისა, რომელსაც ერთ წამსაც არა აქვს უფლება და საშუალება უმზეოდ არსებობისა. აქედან გამომდინარე, მის სფეროზე მცხოვრები ყოველი არსება უმტკიცესი ტყვე-მონაა სიცოცხლით, ცხოვრებით, სიკვდილით და უთვალავი სხვა თვისებითაც, მაგრამ...

თუმცა მზე ემორჩილება სამყაროს გონმიუწვდომელ აზროვნებას და მის უფლისმიერ კანონ-ფუნქციებს, მაგრამ მაინც უზარმაზარი დამოუკიდებლობისაა. ბევრად დიდი და მცირე პლანეტები ურთიერთმორჩილების ქვეშ არიან. წარმოუდგენელიცაა, ადამიანები ხომ ვერ გაექცევიან ამ სისტემის კანონ-წესრიგს. მხეცები, ცხოველები, ფრინველები, თევზები და მცენარეები თითქოსდა შედარებით თავისუფლები არიან, მაგრამ არა! მოჩვენებითობაა მათი ბუნებრივი ველურობა, ყველა მათგანი მკაცრად დამოკიდებულ-შეწირულია დიდ ძალებზე.

ღრმად თუ ჩავუფიქრდებით, სრულიად თავისუფალნი გარდაცვლილებიც არ არიან. ისინიც ძირფესვიანად მიჯაჭვულნი არიან მიწას და მარადიული ბატონ-პატრონის კუთვნილებაა ურთულესი კოსმოსური ფუნქციებით. აი, ესაა სამყაროს ურღვევი და უმკაცრესი განმგებლობა... კაცთა შორის გიგანტი აინშტაინი, მრავალი გენია, მეფე, პრეზიდენტი, ბელადი, ხალხი და ერთ დროს უძლეველი გმირებიც უკანასკნელი მწირის დონეზე ჩაბარდნენ ამ მიუწვდომელ ძალა-კანონებს და ჯერჯერობით მხოლოდ აქ მყოფებმა უნდა ვილოცოთ მათზე...

„სიკვდილი ერთ რომელიმე საუკუნეში ყველა სხვა საუკუნეში სიცოცხლის საწინდარია“ (ჯორდანო ბრუნო).

ყველა და ყოველივე გადაბმულად ემორჩილება მიუკარება უსაზღვრო ძალებს, მაგრამ შეგვეკითხებიან, – დრო, სამყარო და სივრცე ვის ემორჩილებაო? ჩვენ ვპასუხობთ ღმერთს, უფალი კი ვის ემორჩილება? (ეს კითხვა გაუკვირდებათ ღრმად მორწმუნეებს, მაგრამ) აქ ხომ ქვეყნიერების უსასრულობის ფენომენია შენახული, მაშინ გამოდის, რომ უსასრულო ზეძალათა გავლენებია – გავაგრძელოთ ფიქრი, რომ უსასრულობაა მიუწვდომელი, და შეუსწავლელი ცნება... ამ ძალიან კრიტიკულ შემთხვევაში ძალაუნებურად უნდა შეჩერდეს რელიგიური ადამიანის აზროვნება, რათა არ დაირღვეს გულმართალი რწმენის უმაღლესი ეთიკა და განსაჭვრეტავად მომავლის ათასწლეულებს გადავაბაროთ... რადგან ეს სასწაულებრივი უწყვეტი ჯაჭვია, არა ოქროსი, არამედ, ჩვენთვის უხილავი კოსმოსური მიუწვდომლობის შენაერთებისაგან, რომელიც სამყაროს იდუმალებისგან არის შექმნილი.

ჩემს ცხოვრებაში, ბავშვობიდან მოყოლებული, სამჯერ მოვესწარი მზის დაბნელებას; ხოლო მშვიდი პლანეტის – მთვარისას კი ოთხჯერ, თუ არ ვცდები. ამ ღამეულ კოსმოსურ სხეულ-განწყობილებაზე ცალკე მოგითხრობთ. მზის დაბნელება ბუნების სრულიად სხვა უმკაცრესი მოვლენაა, რასაც ჭრაქის შავი ბოლისგან გაჭვარტლული მინის ნატეხით რიგრიგობით ვაკვირდებოდით დიდი თუ პატარა. ეს იყო ყველაფრისგან ძალიან განსხვავებული სანახაობა. მაგ., ამაღელვებელ მოულოდნელ დროს, დაბინდულ გონგანწყობილებიან სულის ამმღვრევ-ამშლელ ნერვიულობასთან ერთად უკიდურესი ცნობისმოყვარეობაა შენს წინაშე და ზეციური მძაფრი იდუმალება ვრცელდება. ამდაგვარი ურთულესი მოვლენით აშლილი გარემო-ცხოვრება მაინც ასრულებს თავის ჩვეულ წეს-ფუნქციებს და უვნებლად წუთიწუთზე გადაივლის საერთოქვეყნიური ფიქრთმომგვრელი ზეციური დაძაბულობა. იმ მოვლენილ შემთხვევაში პლანეტებსშუა და ჩვენს ირგვლივი ბუნების სიახლოვეს უსაზღვროდ განსხვავებული მუხტმძაფრი მოძრაობა მატულობს და გარემო მოლოდინით სავსე, სევდით საკვირველშეყრილი რომანტიკული ხდება და ამ შემთხვევაში პიროვნება სხვამხრივ აზროვნებს. არსებობს თურმე კოსმოსური მრავალგანწყობილებიანი ქმედებანი. სადღაც დაბეჩავებული და ფუნქციამოშ-ლილი მთვარე, თავისი უჩვეულო სვლით შეძრწუნებული და გაფერმკრთალე-ბული, ამღვრეულ სივრცეში იმალება, რადგან ჩვენი გალაქტიკის – ირმის ნახტომის ერთ-ერთ გვირგვინოსან მეფე დედოფალმანათობელს კოსმოსურ, ღრმად გამჭვირვალე ჩრდილს აყენებს. მაგრამ გაივლის უკვე ჩვენს ირგვლივ გამძაფრებული ვარსკვლავეთური დრო-წუთები და აღმოჩნდება ის უხერხული მოძრაობისაგან მისივე თავის ხსნა ყოფილა... მზე კი თითქოსდა გამოთავისუფლდება უახლოესი თანამგზავრისგან და შვებით აწყვეტილი კვლავინდებურად წინ მისხივოსნებს (დედამიწა-მთვარის ფუნქციათა მოშლა-არევაა ამ წუთებში, თუ არა მზეს ვინ და რა შეხებია როდისმე)...

ჭეშმარიტად დამნახველი თვალი ცაში უკვე შეიგრძნობს, რომ დაიშალ-გაიფანტა ფორმათა გადაადგილებადი დაძაბულობა და სივრცის ნათელი განწყობილება ისევ აღდგა-დამკვიდრდა... მზეღმერთი, ყოვლისმომცველ, ამ დიდებით შედარებას თუ მოვიშველიებთ: ყოველგვარ სიკეთეზე, სიყვარულზე, შიშზე, ოცნებაზე, ფანტაზიაზე, უმდიდრეს წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე, წმიდა ზნეობაზე, ჭეშმარიტებაზე და თუ კიდევ რამეა ქვეყნად მნიშვნელოვანი – შეუმჩნეველი, ყველაფერზე განუზომელი სიმაღლითაა დიდი. იმდენად ამაღლებული კეთილშობილებაა, რომ მისი უკლებლივ ყველას ესმის და მსახურია უანგარო. სხვისი, ნებისმიერისა კი მას არ ესმის, ანდა რატომ უნდა ესმოდეს? ის ხომ გამუდმებით ყველაფერს ზომაზე მეტად გზავნის. სმენის ორგანო მას არ გააჩნია, საკვირველი და გაოცების აღმძვრელია, აბა რაა?!

უფლის ზეძალაჩაქსოვილი, განუსაზღვრელად აფრქევს სიცოცხლის სხივს სივრცეგარემოში. თვითვე ღმერთად ქმნილი, უთუოდ რომ მისი მეოხებით იშვა ნებისმიერი რელიგიური აღმსარებლობა. დედამიწა ახალდაბადებული ბავშვივით უმწეოა მზის კეთილ და უზენაეს გარემოცვაში. მზეს ვერაფერს ვერ ვთხოვთ და ვერც დავავალებთ, იმდენად მიუწვდომელი გიგანტური სიმაღლის უხვგამცემი გენიაა პლანეტარიუმისა. სამყაროს ნებისმიერი წვა-აფეთქების ერთი და მხოლოდ მთლიანი უზარმაზარი გარემოა, ზეძალა-სიყვარულია დაუსრულებელი – ყოველთა პატრონია...

ყოვლადსაკვირველი და როგორ ჩამაფიქრებელია, ვარსკვლავეთის უდიდესი შემოქმედებითი მოძრაობა, რომელიც უზომო სიკეთის და სიყვარულის ფონზეა განფენილი; ხოლო ბოროტება ამ გარემოებაში როგორ ინარჩუნებს თავის ფუნქციებს და ქმედებას, ეს კი საკითხავია. ეშმაკი ხომ ყველგან ქურდულად იპარება და ხშირად თავისას აღწევს. ჩვენს წინაშეა უტყუარი ფაქტები. ოდითგანვე კაცობრიობის ისტორიაში ომები ხომ ბოროტების ეშმაკეულმა ლიდერებმა აწარმოეს. უკეთური ხომ ყველგანაა მეტ-ნაკლებად. რომის პაპებიდან ყველაზე პატიოსანი და წმინდა პაპი ინოკენტი გახლდათ, რომელსაც მხოლოდ ოთხი საყვარელი ჰყავდა. ერთხელ ჩემს სახელოსნოში მაცხოვრის ხატზე ვმუშაობ და რადიოც დაბალ ხმაზე მაქვს ჩართული, ზოგადად ვუსმენ. ერთ-ერთი მღვდელმთავარი სიტყვით გამოდის და აცხადებს, ალექსანდრე მაკედონელი დიდი ადამიანი იყოო. კინაღამ ჭკუიდან შევიშალე. როგორ?! სისხლისმსმელი, დამპყრობი, ულამაზესი ქალაქების, თავისი უნიკალური არქიტექტურული ხელოვნებით, კულტურა-ცივილიზაციით, მიწასთან გამსწორებელი, მამათმავალი – დიდი ადამიანი?! როგორ იყო-მეთქი! და რადიო გამოვრთე. აიდ ა მეგობრებო, მაინც კვერს ვუკრავთ ეშმაკს. ეს უკვე გარკვეული დონის ცოდვილიანობაა. თუმცა რა უნდა ვთქვათ, ვინც დედამიწაზე დაიბადა და გაიარა, ყველა საკმაოდ ცოდვის მატარებელია, უფალ იესო



ქრისტეს გარდა...

„უზარმაზარ კუთვნილებას ცოტას თუ წაართმევ მნიშვნელოვანს“.

„ვინც ზეიმობს გამარჯვებას, ზეიმობს კაცთა კვლას; ვინც ზეიმობს კაცთა კვლას, ვერ ეღირსება ქვეყნად სიკეთეს“ (ლაო ძი).

ამ ნაწარმოებიდან დატრიალებული ამდაგვარი პლანეტარიუმის წესრიგის დარღვევის უკიდურესობა სამყაროს ჟამთაღრიცხვის დაუდგენელ წლებში ერთხელ ხდება თურმე და როგორც მოგახსენეთ არავინ იცის რატომ ან რისი და რომელი ზეციური მიზეზებით. ქვეყნიერების გაჩენის საიდუმლოობა ხომ მეცნიერული ცნებითი ძიების უსასრულობაა და შიშისმომგვრელი. როგორიცაა ვარსკვლავეთის დემონური შავი ხვრელები, პლანეტათა შემსრუტველი თუ გამქრობი – სამყაროს გასაიდუმლოებული დილეგი. გალაქტიკათა მრისხანე მუქარა, მის გაღმა აღდგენითობა (საერთოდ არსებობს მისი დასასრული? ისიც საკითხავია!) თუ ჩაფერფლვა დაუდგენელია და გონით მიუწვდომელი... ყოველივე ეს ისევე უცნობია, როგორც პლანეტათგაჩენა, შემადგენლობა, ზნე-წესი და ურთულესი მთლიანობის ქმედება. აქვე გახსენდება სული ჩვენთვის უახლოესი და უშორესი, მისი მდიდარი რაობით. ის ხომ დაუდგენელი ბუნებით თითქმის პლანეტების შინაგან თვისებათა შემადგენლობაშია გათანაბრებული, ოღონდ მეორე, მიუწვდომელ ცალკე უხილავ სამყაროში... ისეთივე, როგორც ყოველთ უკიდურესობა, თავისი უხილავი აზრთშეუსვლელობით, კოსმოსური უძირო არეალით და ბინდმოსილი მერმისით, მსგავსად ჩანისლული და ჩაკირული საფლავებისა, უკუნეთში ჩაკეტილი თავისი განკერძოებულობით, თითქოსდა ჩვენგან და ერთმანეთისგანაც გაქრობილნი... საფლავები მინიშნებითი მფლობელებით სიკვდილ-სიცოცხლის უსასრულობის და უხილაობის ნაცრისფერი ხიდია, რომელიც ჩვენს პლანეტაზეა ჩაქსოვილი. ხოლო თავად მიწის ქმედება ამ შემთხვევაში მაღალი ფუნქციონირებითი – პლანეტებისეულია...

„ბედისწერა და ჟინი – აი, რა მართავს სამყაროს“ (ლაროშფუკო).

ნირშეცვლილი წუთი წუთს წაკიდებია, დრო შეძრწუნდა, ძლიერ დაძაბულია სიბნელის ძირამდე და მუქხაზებიანი, მძაფრდინამიურია და უდიდესი აბსტრაქცია იხატება ყველგან.

შეკუმშული ბნელი დრო და სივრცე იძაბება. მზე არ ამოდის და ავის მომასწავებელი უკუნეთი თითქოს უფრო და უფრო მატულობს, ირგვლივ უხილაობის იდუმალი ფორმათაფუნქციაა ჯერ არნახული, არგაგონილი. ფერთაგან პირველად ხილული მუქი ლაქები და ჯოჯოხეთური განწყობილება განევრცო ქვეყნის კიდიდან კიდემდე. ფიქრთ მიუკარება მოლოდინი მოედო ყოველთა მაცოცხლებლისგან მიტოვებულ მიწაზე და იხოცებ-ავადდება ხალხი მძიმე ინფარქტებით, შეპარული ინსულტით, გულის, ტვინისა და ფილტვების უკმარისობით, ნევროზით – კრუნჩხვითი გათიშვებით და დაუდგენელი ფსიქიური სტრესებით. ცხოველებმაც ტანჯვითი მიძინება იწყეს. გაისმა ძაღლების შემზარავი გნიასი, აუტანელი წრიალი, წკავწკავი, ვედრებითი ყეფა ცისკენ მიშვერილი თვალცრემლიანი სახით. ცხენები უჟმურად ძიგძიგებენ და შეუწყვეტლივ თავს აკანტურებენ. განწირულის ხმით ბღავის ჯერ კიდევ ზოგიერთი ცოცხალი საქონელი, თვალებანთებული უზარმაზარი შავი კამეჩები გამუდმებით უხმობენ თავიანთ მხსნელ ნოეს. უსწრაფესი კატები ჯგუფ-ჯგუფებად მიიმალნენ. მუქი ყავისფერი მორიელები ბუდეებიდან ნერვიულად გამოძვრნენ, დაღოღავენ, შხამიან გრძელ, დახორკლილ კუდებს თავში ირტყამენ და იხოცებიან. მხოლოდ გველთა არაამქვეყნიური შინაგანი მოლოდინი, ოდნავ რხევადი ტანის უძრაობა უწამწამო-ჩაუხედავი თვალების გარინდვა და პირმოკუმული დუმილია გაურკვეველ-მიუწვდომელი.

მოუსვენარმა, ფეხებდაბარჯღულმა ჭიანჭველებმა შეწყვიტეს ხანგრძლივი შრომა-ფუსფუსი, თითქოსდა მათი აურაცხელწევრიანი ჯგუფები მწარედ დადუმდნენ... მიწისძვრასავით შეზარა ქვეყანა ჯგუფად შეყრილი, ჯაგარაბურ-ძგნული მგლების გაბმულმა ყმუილმა. ზღვის, ტბისა და მდინარეების აფორიაქებული თევზები ხმელეთს ასკდებიან, ზოგნი შურდულივით წყლიდან ამოვარდებიან, აღმოსავლეთს წიწკნა თვალს შეავლებენ და, გულნაკლულნი, ისარივით წყალშივე ჩაეშვებიან. მცენარეთა ფოთლებმა მოწყენილობა და ჭკნობა იწყეს.

▶

## პროზა

ულამაზესმა სხვადასხვა ფერ-ფორმის ვარდებმა სიხასხასე დაკარგეს და თავები საცოდავად დახარეს. მინდვრის ყვავილებს ცრემლდენა დაეწყოთ და განწირულები მდელოზე გაწვნენ. ფრინველთა ცაზე, ნერვიულად მიმოფანტული ჯგუფები წიოკით მზის შესახვედრად გაეშურნენ. კავკასიური ჯიშის ერთ დროს ხედვაგოროზი დედალ-მამალი არწივები, მწვერვალებზე ფრთებგაშლილ-ჩამოშვებულნი, ბრძოლის ველზე დამარცხებული მეომრებივით დასხდნენ და მოულოდნელი მოვლენებით გაგულისებულნი და თვალანთებულნი აღმოსავლეთით იმზირებიან.

უთუოდ რომ არსებობს ქვეყნიერებაში აზროვნების და ფიქრ-ხასიათის სხვადასხვა კატეგორიები, ღვთიური, კოსმოსური, პლანეტების, ხელოვანთა, მეცნიერული, ოცნებისეულ-დუმილხედვა და კიდევ ბევრი სხვა. თევზისეული გარინდვა რაღაც ფიქრისმაგვარ-უსასრულობისმიერი. ფრინველთა ჩახედვა-გახედვა და ფრთხილი ფიქრთძახილი. ასეთ დროს, შესაძლებელია, საგნებიც თავისებურად აზროვნებენ და დუმან. მათ შორის გველი, განცალკევებული უმსგავსო და შეუდარებელი ქვეწარმავლური სიმძაფრეა. მისი ვითომდა აზრი ან ოცნებას მიმსგავსებული, გარემოში გაურკვეველი მიმართულებითი ხედვა, ადამიანისათვის მიუწვდომელია. საერთოდ ის აზროვნებს? ფიქრობს?.. ალბათ სხვა რაღაც არსებობს ყოვლისიქითა შორეული. გაოცებს ამ სულდგმულის ულამაზესი სხეულის მკაფიოდ ხატულობა, ბუნების დამოუკიდებელი თვისება, რომელიც ყველასათვის შეუცნობადია; მართლაცდა, ამ ქვეწარმავალთ ხომ არ ჰყავთ ჩვენთვის მიუწვდომელი კოსმოსური კერპი? რასაც მტკიცე ინტუიციით ემსახურებიან? უფრო მორჩილობენ? თუ არადა, რატომ არიან აგრე უკიდურესად განყენებულნი?! თითქოსდა დევნილი სტუმრებია ჩვენი პლანეტის. ამრიგად ეს ურთულესი არსება, ამდენად დამოუკიდებელი და, გარემოსაგან გარიყული რომაა, ხომ არაა ბატონი თავისივე თავისა? ცოცხალთა მრავალ საერთო თვისებას კი ფლობენ, მაგრამ მათი ვარსკვლავეთური შორსდგომა და ჩაკეტილობა საკვირველია. გამიგონია მოხუც წინასწარმეტყველთაგან. ზამთრობით უკუნეთ ხვრელებში მძინარეთ, ვარსკვლავები ესიზმრებათ და ელანდებათ თურმე. გველები (მრავალია მათი სახეობა) მიწიერს, მათ მკვებავს და შემნახველს, მათგან ბევრ რამეს რატომღაც არ ჰგუობენ. სხვებისგან განსხვავებით გარინდულნი უსასრულოდ უცქერენ ზოგადად სიცოცხლეს, სივრცეს, სიკვდილს, მზეს და კიდევ რაღაცას; ღამის სიზმარეულში კი – მთვარეს და ვარსკვლავებს. ფრთხილები არიან ზომიერად და გარბიან არა დამფრთხალნი, უფრო იმ ინტუიციით, რომ სიკვდილი არ ჩამოაგდონ. მათ გარემოზე ბოროტი ზრახვები არ გააჩნიათ, არაფერს სპობენ და ანადგურებენ, იკვებებიან მწიფე ნაყოფით, ზოგჯერ მწერებს და ამფიბიებს ეტანებიან, რბილი, თიხაშერეული, ქონიანი მიწით. უცხოთაგან თავდასხმისას თავს იცავენ უმკაცრესი ზომებით. მათი უსუსურობის უმთავრესი დაცვაა შხამიანი სიკვდილის შემყრელი კბენა და, აქედან გამომდინარე, სიცოცხლის მალიკვიდირებელ სხვა მხეცებზე და ფრინველებზე უფრო, ყველას ეშინია მათი. აქაც უთუოდ ნახევრად გახსნილი ბინდმოსილი იდუმალებაა... გველებს ცოცხალთაგან არავისი და არაფრისა არ სწამთ. უფრო მეტად წარსულში ადამიანები, მათ მრავალ რელიგიაში აამაღლებდნენ. და ისმება კითხვა: – რატომ?! ზოგმა შეიძლება ირწმუნოს, რომ წარმართული თუ სხვა ალმსარებლობის ხერხემლის ნატეხი ხომ არაა ამჟამადაც ჩარჩენილი? აქ არის ისევ უსაშველო ამქვეყნიური ფსიქოლოგიური სირთულეები. ადამიანები, მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს მრავალმხრივ უგებს და უფრო წვდებიან ხოლმე მათ კოსმიურობას (სარწმუნოა რომელიმე ციური პლანეტა მართავდეს მათ...) ვიდრე გველს. მის არსებას ჩვენ ვერა და ვერ ვწვდებით, ხშირად თუ იშვიათად ვართმევთ სიცოცხლეს და შხამს ესაა და ეს. აქ მინდა მცირე წარსულის ცხოვრებისეული მონაკვეთით შემოვიფარგლოთ. ძველი კოლხები, გველს თუ იხილავდნენ თავიანთ საცხოვრისში, იქ არ მოკლავდნენ, შიო-შიოს შეძახილით უვნებლად გარეთ გააგდებდნენ, მაგრამ ამ პროცესს ბურძგლების ამყრელი შიშიც მოჰყვებოდა, ამჟამადაცაა ასეთი რიტუალის მაგვარი წესი სამეგრელოსა და ლაზეთში. ესეც ხომ უზარმაზარი კოსმოსური წეს-იდუმალებაა გამარადიულებული... გველს არცერთი არსება არ ბაძავს, იმდენად შორეული და განსხვავებულია ყველასაგან თავისი ბუნებით. ერთმანეთი ძალიან უყვართ. თუ ახლად გამოჩეკილი შვილი ძლოკა მოუკლეს, დედა გველი თავს იკლავს: ეს უკვე ცალკე ისევ, კოსმოსური ან ქვეწარმავლური ზნეობის მიუწვდომელი სივრცეა... გველი ზამთრობს, სიზმარეული ძილით ხვრელში, მარტოობის დუმილ-სევდა შორეული ციდან მოსდის, მწირი-მძაფრი, მსწრაფ-სიკვდილის მომტან-მფენი. თავად გაქრობისა არა იცის რა, და არცა აქვს შიში მისი.

აწრიალდნენ ციხეებში ისედაც სევდის ზღვაში მყოფი სხვადასხვა წესის, ზნეობისა და აზროვნების, ბედით, ადამიანებისაგან თუ თავიანთი თავითვე დაჩაგრული პატიმრები – მათგან არავითარი მღელვარება და შეთქმულება, მხოლოდ ლოდინია და...

„განსაცდელის ჟამს ყველა უბედურება ერთად იყრის თავს“ (იოანე დამასკელი).

ზეკანონებიდან გამომდინარემ უნდა ვირწმუნოთ, ღვთისგან გაჩენილი სიცოცხლე რომ ხელშეუხებელია და არანაირი დანაშაულის მართლმსაჯულება მას არ უნდა ექვემდებარებოდეს. მხოლოდ უფალსა აქვს უფლება თავისი გაჩენილი სიცოცხლის იმქვეყნად დროულად წაყვანისა. სასჯელმისჯილებში რატომღაც მსხვერპლი არ არის. ბადრაგები კი სახემოგრეხილები და კრუნჩხვიანები, ნდობით აღჭურვილი პატიმრები დაწესებულების შენობიდან გაჰყავთ. საერთოდ, ჩაბნელებული, მკაცრსევდიანი დილეგებიდან ჩამიჩუმი არ ისმის. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მღვდლებს,



მონაზვნებს, ბერებს, მღვდელმთავრებს და ეკლესიის მსახურთაც ლოცვა-ვედრებაში მყოფთ, სამარადისოდ მიეძინათ. იმავე მდგომარეობაში არიან მოსამართლეები, პროკურორები, ძალოვანი განყოფილებების ხალხი. იურისტ-ვექილები უაზროდ გათიშულან. ექიმები, პედაგოგები და მოზარდები თითქოსდა უძლებენ ამ ტანჯვას... ერთ-ერთი ახალგაზრდა, ნიჭიერი ხატმწერი ბერი უვნებლად გადარჩა; იგი, იმ უმძიმესი საათების განმავლობაში, თავის მიერ ფიცარზე მოხატულ ოქროსფერ ჯვარზე შეუსვენებლივ ლოცულობდა, ჯვარი ყოფილა დამრეცკუთხოვანი თავებგანიერი და ირგვლივ ხაზობრივად მზეშემოვლებული, ეჭვგარეშე და უთუოდ სარწმუნოა, მზის და ჯვრის ერთობლივმა მართალმა გამოხატვამ გადაარჩინა გამჭრიახი და შეგნებული ხატმწერი-ბერი. ამ უჭკვიანეს, ღრმადმორწმუნე და უფლის მიმბაძველ ბერს ჰყავდა სულიერად ახლობელი თავისი მრევლიდან, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ არსებული ცხოვრება და ზნეობა ათი მცნების მაგალითი იყო, თითქოსდა ზეციდან მოცქერალ წმიდანებსაც ხიბლავდა მისი ცხოვრების ღვთივგანგებულობა. ღარიბი იყო, მაგრამ სულიერად მრავალ მდიდარზე უფრო კეთილშობილური, ბრძენი და სიტყვაძუნწი იყო, ჩაფიქრებული, თან რომელიღაც ზეცის სისავსიდან ყოველთვის ღიმილიანი, ზოგჯერ გამოხედვასევდიანი და მორჩილი. მისი ამქვეყნიდან მოშორება ნებისმიერ ავკაცს შეეძლო, მაგრამ უხილავი ძალებისაგან შედარებით დაცული იყო.

ჰყავდა დედა, შვილები, მეუღლე – მამა, მომხდურ მტერთან გმირულ ბრძოლაში დაცემული. საშუალოდ მორწმუნე, ასევე შორეული ფიქრებით და აზროვნებით პლანეტარიუმისკენ მიდრეკილი და რომელიღაც ვარსკვლავზე დამოკიდებულ-შეყვარებული... მშრომელი და უკეთურთა მგმობელი. უცნაურ სიზმრებს უჩიოდა ხშირად, რაზეც ზოგჯერ ღიმილით უყვებოდა თავის ახლობელს, ბოლო ხანებში უხასიათობა და მოწყენილობა დაეტყო.

წუხდა ცუდ სიზმრებზე და ებრძოდა თავისთავს... ახლობელი რომ ეტყოდა, რატომ ხარ ასეთ ცუდ განწყობილებაზეო, – უკადრისი სიზმარი ვნახეო წუხელ, – იყო პასუხი. რა ნახე ასეთი, შე დალოცვილო, მოგვიყევიო; ამ შემთხვევაში ის არავის არ ეუბნებოდა არაფერს და თავის ფიქრებთან გამარტოხელდებოდა.

ბოლო დღეებში სულ შეიცვალა და ფიზიკურად დასუსტდა, დაპატარავდა. რა მოხდაო მის თავს ასეთიო, უკვირდათ ახლობლებს – ნაცნობებს. შემდეგში თავის მეზობელ ბერიკაცს გამოუტყდა და უამბო სიზმრის უთქმელი შინაარსი: სიზმრად ზნედაცემულ ქალებთან ვცხოვრობ და ზოგჯერ მამათმავალი მამაკაცების მსხვერპლიც ვხდებიო. აღელვებულმა მოხუცმა ასე უთხრა: – მიანერწყვე ეშმაკს და შენს ბერთან ერთად ხშირად ილოცეო! მაინც არ დაადგა საშველი ეშმაკებშესეულს და ერთ უბედურ დღეს თავისი სამზარეულოს, კერიის ქვაბის დასაკიდ ნაჭაზე ჩამომხრჩვალი იხილეს – აქაც იმძლავრა სატანამ და გვაჯობა...

ეს შემაძრწუნებელი ამბავი მზის სამი საათით დაგვიანებით ამოსვლამდე ერთი დღით ადრე მომხდარა. რამდენიმე დროის გასვლის შემდგომ და ახლაც არ იცის ბევრმა, რატომ გახდა ამდაგვარი უპატიოსნესი ადამიანი ასეთი გაუგონარი უხილაობის მსხვერპლი.

საშინელი დრო მომწიფდა და ითარეშა ეშმაკმა...

აღელვებულმა ბერმა-ხატმწერმა რომ გაიგო მისი უზომო ტანჯვა, ცოდვილიანობა, ქალივით მოთქვამდა თურმე, დამსაჯე უფალო! არ მეპატიება, რომ დავიგვიანე და დროზე ვერ ჩავწვდიო მის ფარულ ცოდვა-ეშმაკეულ შემოსევებსო...

ამ დროს მზე მანათობელი არ ეკარებოდა ქვეყანას, და შეშინებული სხეულით კანკალებდა ცოცხალი თუ მკვდარი...

დრო თითქოს მიეჯაჭვა უხილაობის ბნელ ბოძზე...

ეშმაკეული ცოდვა-მადლი, ფიქრი, აზრი, ფანტაზია, წარმოსახვები მსხვერპლი და სიზმრები უხილაობის შავ ქვაბში ეყარა. კოსმოსის საშინელი სიშორიდან კი გაურკვეველი გამკივანი ხმა მოჟონავდა დედამიწის ქვესკნელამდე გამავალი... მფრინავებს, გემის კაპიტნებსა და მეზღვაურებს არ შეხებია ეს ჯოჯოხეთური ტალღა; მხოლოდ უხასიათობა და ნევროზი აწუხებდათ. წყალქვეშა ნავებისა და გემების ეკიპაჟებმა მძიმე ფორმით იგრძნეს ყოველივე და წყლის ზედაპირზე ამოტივტივდნენ.

სიკვდილი სამყაროს სასტიკი, ბნელზე ბნელი და სიცოცხლის დამთრგუნველი მანქანაა, უცხო უხილავი ფორმის შორეული ვარსკვლავეთის ავთვისებიანი თანამგზავრივითაა ყოველთა წერტილის დამსმელი (და, არის). ის უფერული და უკეთურია თავის გამოცხადებამდე, ზოგჯერ ჩაგვიქროლებს ხოლმე უმძაფრესი და უმძიმესი განწყობილებით და მწარედ შეგვანჯღრევს. მთლიანობაში ყოველ ცოცხალ არსებას ერიდება მისი და რატომ? ის ხომ უსასრულობაში სხვადასხვა ფუნქციებით დედამიწის შემვსებ-აღმდგენელი და სულთა სივრცეში გადაადგილების შეუცნობადი



აუცილებელი კანონ-ძალაა და მაინც ქვეყნიერების უსასტიკესი ფორმაფერსახეა...

„უბედურებამ კი არ უნდა დათრგუნოს, არამედ მისმა დათმენამ გააძლიეროს“ (სტენდალი).

მილიარდერებს და მილიონერებს ვერ უშველა აურაცხელმა ოქრო-ვერცხლმა, ერის და ქვეყნის საბადოებიდან უგონოდ ამოღებულ გამდიდრებულთ.

„სამართლიანობა ის იქნება, რომ თვით ბოროტება გვძულდეს, ბოროტის მოქმედი თვით ისეთი ადამიანი კი, როგორც ღვთის ქმნილება – გვიყვარდეს...“ (ავგუსტინე).

დუმს უფალი, დრო არავის არ ელოდება...

მზე არა ჩანს...

მოსვლა – მოლოდინი, მრავალ გრძნობათა ტევადობაა. ხოლო წარსული, რაგინდ კარგი იყოს, სევდის სავსეობაა სხვადასხვა ხასიათფენოვანი. ტრაგიკული თუ შედარებით ცუდი ფორმის კი, სულიერი უძირო სიბნელეა, ტანჯვის მომგვრელი.

ჩაფიქრებულან მირონმდინარე, უკეთილშობილესი ხატები ეკლესიური დანისლული მზერით... ამ შეჭირვების ჟამს ამაზრზენად გაიბზარა მრავალი ძველი თუ ახალი შენობის კედლები. მხოლოდ ეკლესია-მონასტრებს არ შეხებია ეს უცხო გამაოგნებელი ზეციური მბორგავი წნევა. შეჩერდა ელექტროსადგურები, შეწყდა ტელემაუწყებლობა და გამოირთო ინტერნეტი, არ ღაღადებენ რადიოარხები... შეფერხდა ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა (ზოგიერთის გარდა). იმ საათებში არ მომხდარა მშობიარობაც ნებისმიერი ცოცხალი არსებისა: თითქოს ძველი და ახალი საფლავებიც გაუგებრად ახმაურდნენ ქვესკნელის უსასრულობიდან. რატომაა, რომ მიცვალებულთან – მკვდართან ახლოს მისვლა ძალიან გვიჭირს? საფლავთან კი არა! საფლავთან იმიტომ, რომ იქ მიწა გვხვდება სიცოცხლით სავსე და ასევე მიცვალებულის მარადიული პატრონმომქცევი. ამ დროს გაურკვეველ კოსმოსურ სიკვდილ-დაინტერესებას ვგრძნობთ მიუწვდომელს – შორეულს და ღრმად სევდიანს, გარკვეულწილად ნისლოვნად მიმზიდველს...

„ჩვენი სული ჩვენს დაბადებამდეც არსებობდა და იარსებებს ჩვენი სიკვდილის შემდეგაც“ (პლატონი).

ქვეყნიერების მიუკარება კანონია – აუცილებლობიდან გამომდინარე, თავის დროზე, წმიდანებიც ანაყოფიერებენ თურმე დედამიწას...

ახალდაქორწინებულები და წყვილი საყვარლები თბილ, მეგობრულ სარეცელს შორდებიან და სხეულის კანკალით აღელვებულნი ფანჯარას მიაფრინდნენ, ზოგი მათგანი სიყვარულით ნაფერებ სიცოცხლესაც გამოეთხოვა.

აღამებულ-აძენძილი გარემოსაგან განერვიულებული ვაჟი სულაღტყინებუ-ლი აფრთხილებს თავის გულისსწორს: – ამ უმძაფრეს მოვლენებთან ერთად, არ მომწონს ჩვენს ირგვლივ ჟამმომდინარე სტიქიური ეს განწყობილება, შურიგე-ანანო! ახლავე გულ-მკერდზე შენი ცისფერი კაბა აიფარე და ძუძუებს გაუფრთხილდი. რატომ? და რა იგრძნო ისეთი ქალის მეგობარმა და რომელმა შორეულიდან მომდინარე ინტუიციამ შეძრა ასე, ჩვენთვის მიუწვდომლად?..

სიცოცხლის მარადიულობა-ჩაუქრობლობის მასულდგმულებელი მთავარი კვანძი თუ ოქროს უხილავი ძაფთაგანი, ანუ მშვენიერებისა და სილამაზის ცისფერი კაპილარი, მაგიური, იდუმალი და ზეციური მრავალელემენტნარევი წმინდანური ინტიმით ძუძუებზე გადის და ამიტომაცაა, ადამიანები განსაკუთრებით უფრთხილდებიან და მოკრძალება-მოწიწებით ექცევიან მზისებრ ფერთსავსე ნახევარსფეროს, რადგან ქალის – სხეულში თავისი ფორმით და თვისებით მზეა გადმოსული, თითქოსდა ფარული შიში და ხედვაა მისდამი. ქვეყნიერების მანათობლის უთვალავი კეთილი ელემენტი ხომ დედის ძუძუშია ჩანისლული. ეს, შესაძლოა, ქალის იყოს, შველის, ვეფხის, კენგურუს თუ სხვ. დავაკვირდეთ კარგად უძველეს ხატებს.ქმნილებაზე „ღმრთისმშობელი ყრმით“, როგორი მზისეული სიღრმეებითი-გაელფერებით, მოწიწებით და სიწმინდითაა შესრულებული მშობელი დედის ძუძუს მცირე მონაკვეთი ფრთხილი ხატმწერებისაგან. ის ხომ განსხეულებული სიცოცხლის რძით ამომავალი სავსე მზეა, იესო ქრისტემაცხოვრის გამზრდელი. დედის კოსმოგენური მთლიანობის სახე ღვთისმშობელშია გაცხადებული, ბუნებაში უფრო კეთილი ფორმა და უანგარო სიყვარულით გზავნა არ არსებობს...

ჯერ მიწას მიუბარებელ მიცვალებულთა სხეულები სიკვდილის ბნელის იდუმალქმედებით, უფრო და უფრო გაქვავებულნი, საშინელ სხეულ-ლოდებად გაყინულან. შეწყდა ქვეყნად ტირილი, დატირება, მოთქმა-გოდება, ხმაური, მხოლოდ გაკვირვების ნერვიული შეძახილებია. ქვეწარმავლებმა მიუვალი კუნაპეტი ნესტიანი ხვრელები მიატოვეს და ზევით მიწაზე მზის ლოდინში განწირულებივით გაწვნენ. თაგვები და ვირთხები ხუთი კილომეტრის რადიუსით ცეცხლწაკიდებულებივით დაძრწიან. ნეტავ, რას ეძებენ, ან ვის... თუ სადმე ომებია, შეწყდა თოფის ხმა, ურთიერთხოცვა და კაცთ კვლა ფულზე, ოქროზე, თანამდებობებზე და ქალზე. შენელდა ბოღმა, შური, სიძულვილი, მიწათ გაყოფაზე დაძაბულობა, პიროვნებათა შორის ეროვნული შუღლი; იმპერიული ტერიტორიული გაუმაძღრობა და მტრობა, დაპყრობითი საზღვრების გადალახვები, მოიშალა ავანტიურა და ღალატი. გაფერმკრთალდა სიყვარული და კაცთა კეთილი ურთიერთობა. ამ დროს ეშმაკეულმა ბოროტებმა, სახე და ფერი იცვალეს და ქამელეონებად იქცნენ. უმზეობით შეძრწუნებული ქვეყანა ქარშეპყრობილი საქონელივით ღმუის და სიკვდილი თითქოსდა მათ მწარე სნეულებისგან მხსნელად ეცხადება: სატანამ ქვეყნის გამგებლის მანტია ჩაიცვა და შავგვირგვინიან რქებაყრილ ატამანობასაც წაეპოტინა...

დუმდა სამზეო და უფალი – მომთმენი...

ეკლესიებში ია-იიისფერებ-ცისფერებითი სულთმიერი ნისლი ჩამოწვა და ყოველი ამქვეყნიური ხმა გაუვალ-გაურკვეველი გახდა. მხოლოდ ჯვრები იდგნენ მედგრად, მნათედ-მტკიცედ შემართულ, ცისკენ აისრულ გუმბათებზე. სამწუხაროდ, გადარჩენილთაგან, ზოგან მღვდელი მღვდელს დევნიდა, პატრიარქი პატრიარქს წყევლიდა და ანათემაზე გადასცემდა. თითქოსდა აირია პლანეტის კალენდარი და წელთაღრიცხვა, ჭირდა კაცთა ზნეობის დარეგულირება. დაუმძიმდა დრო ეკლესია-საყდრებს და ჯვარს...

ღმერთი ამ მწარედ არეულ დროს ისევ გააზრებით მისჩერებოდა...

სივრცე და მოლოდინი უსაზღვროა...

„მზეს ერთი ნაკლი აქვს – მას საკუთარი თავის დანახვა არ შეუძლია“. (სოკრატე)

ქვეყნიერების მაცოცხლებელ-მანათობელ-ყოვლისმპყრობელი მზე უფალი პატრონი, სულიერთა სასიმწაროდ, ძალიან იგვიანებდა...

მთები ჩამუქდნენ უჩვეულოდ. მდინარეები ულიმლამოდ კი მიედინებიან, მაგრამ მათი წყლის საამო ჩხრიალი არ ისმის. მეცნიერ-ასტრონომები, ასტროლოგები, მისტიკოსები და პლა-

გაგრძელება მე–14 გვ.

# მ ზ ე
## (პატარა წიგნი დიდ მოვლენაზე)

დასაწყისი მე–13 გვ.




ნეტარიუმით გატაცებული ხელოვანნი, მოლოდინად ქცეულნი, მხოლოდ მზის ამოსასვლელ ცის დასალიერს მისჩერებიან, სადაც მუქი ლურჯი ღრუბლის გრძელი მელანქოლიური სქელი ზოლი ჩაწოლილა. მხატვრები, პოეტები, მწერლები, ფილოსოფოსები, კომპოზიტორები, მუსიკოსები, მეცნიერები, ასტრონომები-ასტროლოგები და წინასწარმეტყველები გაკვირვებულები განცალკევებულად სხედან სიკვდილის თუ უფრო უცხო მოვლენების მოლოდინში.

„გონება, ცხადია, სუსტია იმ უსასრულო ობიექტებთან შედარებით, რომელთა სხსნასაც ცდილობს“ (აინშტაინი).

ოთხივ მხრივ ქარიც ჩადგა და ბუნებამ მნიშვნელოვანი რაღაც დაკარგა... უძრავადაა მოლურჯო-შავი ღრუბლები და ადგილს არ იცვლიან, ცაზე ვარსკვლავთ გუნდი არ ჩანს, თითქოსდა წაიშალნენ. მხოლოდ მის სიღრმეში გაურკვევლად მიბნედილი ლაქები და ხაზები შეინიშნება. დასავლეთში მარტოხელად დაკიდული მკრთალი მთვარე, გაოგნებულ-შეშინებული ერთ ადგილას დგას და დედის მომლოდინე ბავშვივით უკან იმზირება. ქვეყნების ხელისუფლებათაგან უმეტესობამ სამუდამოდ დატოვა სააქაო გამწარებული სახით. მათ შორის გადარჩენილები მხნე და უშიშარნი იმ საათებში სპირტიან სასმელებს უმალ დაეწაფნენ. უხილავი სიკვდილი, ყოველ ხილულზე ძლიერი, მუქ შინდისფერ ხაზებად გამჟღავნდა და ქვეყანას წამშლელ ბადე-საფარად მოედო. ლოდინ-მოლოდინი ბნელ უძველეს ბუნებრივ, თვითნაბად გვირაბებს დამსგავსებოდა.

მთვარის დაბნელება, რა თქმა უნდა, ღამის საათებში ხდება შუაღამემდე. ჯგუფი უახლოესი ადამიანებისა ამაღლებულ მინდორზე ვდგავართ შეუიარაღებელი თვალით და ვაკვირდებით ჩვენს ღამის ცის მშვენებას. ცნობისმოყვარეობამ, ლოდინმა და შიშნარევმა განცდებმა ერთად მოიყარა თავი. ნათელი მთვარე თითქოსდა ემზადება დედამიწის ჩრდილთან შესახვედრად და მოთმინების ძაფი უკიდურესობამდე შემოკლდა. პატიოსანი, მანათობელი დისკის დაპატარავება იწყება მარჯვნიდან, შენელებული მცოცავი სვლით. მთვარის დაბერება-კლება კი წარმოებს მარცხნიდან მარჯვნივ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჩვეულებრივი ყოველთვიური მოვლენაა, მაგრამ სევდის მომგვრელი. მეცოდება დიდი ქალაქის მცხოვრებნი, რადგანაც მთვარის სილამაზესა და სიღრმეში ჩამწვდომ ვარსკვლავეთის მოძრაობის პროცესს ვერ ხედავენ, რადგან მათ შორის ჩადგა ხელოვნური განწყობილების გავარვარებული ელექტრონათურა.

შემდგომ ყველანი დაძაბულნი ვხედავთ, თუ როგორ ნელ-ნელა დაპატარავდა მთვარე და უწვრილეს ნამგლად, დაეკიდა დალეულ-საცოდავ სანახაობად, ხოლო სააზროვნებოდ სიურეალისტური შეგრძნების და კოსმოსურ-ფილოსოფიური შინაარსის გახდა. აწი რა უნდა მოხდეს? ბავშვები უფრო შევშინდით. მთლიანად ხომ არ დავკარგავთ ზღაპრების მოსაყოლ უებარ საშუალებას? ბებიაჩემი, პარასკევა ჯაიანი შუაღამემდე მთვარის შუქით განათებულთ გვიყვებოდა მაღალმხატვრულ და შინაარსიან ზღაპრებს. სამწუხაროდ, არავის არ ჩაუწერია ისინი და დაიკარგა, ანუ სივრცის მეხსიერებაშია შენახული. მერმე მთვარე ნელ-ნელა გამოთავისუფლდა დედამიწის ჩრდილისგან და, უცნაურად განახლებული და ნათელ ვერცხლად გაბრდღვიალებული, ღამის და ცის ხელმწიფედ გაბატონდა. შვებით ამოისუნთქა ზეცამ, ქვეყანამ და ჩვენ... — ეს რაა, ბავშვებო, შარშანწინდელ მიწისძვრასთან შედარებით, — ჩაილაპარაკა მამაჩემმა და თუთუნი გააბოლა.

იმ წელს მარტვილის რაიონის ჩრდილოეთით, ქვიბიის ცამდე აზიდულ მთებში იყო მიწისძვრის ეპიცენტრი. მართლაც რომ საშინელი ტრაგედიის მოლოდინით ხალხი ტოვებდა სოფლებს, სახლებს, მოვლილ ეზოებს და მიეშურებოდნენ შავი ზღვისპირეთისკენ. გამოქცეული ადამიანების ტევა არ იყო ბარის სოფლებში და ქალაქებში. მწარედ ვიხსენებ იმ სიმწარის და სოფლის დაძაბულობის ბავშვობას. განსაკუთრებით საღამოობით იწყებოდა მიწის ტორტმანი, ქვესკნელური გრუხუნი, მცენარეების უთავბოლო იქით-აქეთ გადაწოლა და სახლების ადგილზევე ზანზარი. საბედნიეროდ, მაშინდელი მიწისძვრა ბიძგები დამანგრეველობამდე არ მისულა. სრულიად განსხვავებული განცდა, განწყობილება და უსიამოვნების უმძიმესი მოლოდინი, ბუნების გარემო სილამაზე და ადამიანების ერთად ყოფნა ანელებდა ფიქრებსშუა გამავალ ტრაგიკულ განცდებს. ყველაზე მეტად სამივე კოსმოსურ მოვლენა-დაძაბულობაში ძაღლები რეაგირებდნენ. სოფლის სხვადასხვა ოჯახებში ახალმოგებული ძროხების წაბლავლების ხმას კანტიკუნტად გაიგონებდით. ფრინველების ჩამი-ჩუმი არ ისმოდა როგორც შინაურების, ასევე გარეულების.

ისევ ჩვენგან ღრმად განყენებული უხილაობა დუმდა... მზის და მთვარის დაბნელება, ასევე მიწისძვრაც ხომ ბევრად მსუბუქი მოვლენა იყო მანათობელი პატრონ-პლანეტის ბნელეთში



დაკარგვასთან შედარებით. ღვთიური სიდიადის დაბნელებისას ამ ასტრონომიული შიშისმომგვრელ შემთხვევაში იმედის უძლიერეს ფორმად ჩანდა სახედაბინდული მზე; მთვარე კი თავის ღამეულ ხაზ-ფორმით სივრცეს არ მოშორებია. ხოლო მიწისძვრისას დედამიწა ჩვენთან ერთად იდგა და ნერვიულადაც თრთოდა. სამივე ურთულეს პლანეტათა მოვლენაში ჩვენ ერთად ვიყავით. გამაოგნებელი ფიქრთ მომგვრელად. ხოლო იმ ალიონის კატასტროფულ ბნელეთში ჩარჩენილი მზისგან მიტოვებული ხალხი უჩვეულოდ განცალკევდა ურთიერთისგან და თანდათანობით მიცვალებულთა იერსახით იბინდებოდა...

„სიკვდილის შიშით სიკვდილი უგუნურებაა“ (სენეკა).

გაურკვევლად და მიუდგომლად დუმდნენ ქვეყნიერების მხსნელები...

მარტვილის რაიონში არის პატარა მთაგორიანი ულამაზესი სოფელი, რომელიც წრიულადაა ჩაფენილი სოფელ კურზუსა და დობერაზენს შუა ეს სანაჭყებიოა, უძველესი ჭყონდიდის სიახლოვეს, რომლის მცხოვრებნი ამჟამადაც პატიოსანი მშრომელი და თავისი კუთხე-ქვეყნის პატრიოტი წარმართები თუ მზისთაყვანისმცემლები არიან. ამ უბედურების ჟამს დიდი და პატარა გაიძახოდა: ბჟა სი ქოგალე! არ დაგვივიწყო! ნუ მიგვატოვებ და ამოდი, გვაღირსე ჩხანა, ჩვენ ყველანი ყოველთვის ვლოცულობთ შენზე და საჭიროებისას სულხორციელად შემოგევლებით კიდეცო.

მრავალშრიან დუმილს შეევსო სივრცე და დრო — ფიქრი აზრს მოსდევდა, რომელიც ნაკურთხ სანთლისფრად ჟონავდა უნაკლოდ; მხოლოდ კოსმოსური ძალიან შორეული უბგერო შიდა ხმა ისმოდა — უფრო გრძნობადად ქცეული. უხილავი იყო ეს ყოველივე და დაუდგრომელი, რომელიც ვარსკვლავთა დასახლების მძაფრი მოძრაობით უსასრულობას მოიცავდა, ყოველთა სიახლოვეს კი მხოლოდ სული თუ ეახლებოდა, როგორც ღვთიური ფორმა — უცხო ელემენტი...

„სულიერი სიმშვიდე საუკეთესო გამოსავალია უბედურების დროს“ (მაკციუსი).

სოფლის ხანში შესულმა, ბუნებითაც განათლებულმა მასწავლებელმა, ჭაღარა ქალბატონმა კედლიდან ჩამოხსნა ქართველი მხატვრის მიერ ნატურიდან შესრულებული ფერწერული სურათი-ტილო „მზის ამოსვლა პარიზში, ნოტრდამთან“. იქ მყოფთაგან დიდი და პატარა ემთხვია სიტყვებით, ჩვენი მხსნელი და ყოველთა მანათობელიაო. თან მათთან მყოფ დაღონებულ სტუმარს, მართლმადიდებელ ეკლესიის მესანთლეს, ხანში შესულ, თმააბურძგნულ, შიშნაჭამ მამაკაცს მორიდებით მიმართეს, მზე რომ არ იყოს, თქვენს სალოცავ ხატებს და ეკლესიას თვალითაც ვერ იხილავდითო!.. ას წელს მიახლოებული პატარა ტანის, წელში მოხრილი, სახედანაოჭებული, ცისფერ-წვრილთვალება, დაღონებული მოხუცი ყოველ წუთს სულმოუთქმელად გოდებდა: ამოვა ბჟა მალე! ნუ გეშინიათ, ბაბა!.. მერე მორჩილებით ითხოვა, ის ჩემი წაბლისფერი დაუკოდავი მოზვერი ჩამოიყვანეთ მთიდან და ძველებური ადათით შესწირეთ ქვეყნის მანათობლის დიდებასო და ცრემლები ღაპაღუპით წამოუვიდა... სად ხარ, ჩვენო ბჟა, დაგვენახე! ნუ მიატოვებ ჩემს ისედაც ტანჯულ ქვეყანას, ოდიშს — ხშირად იმეორებდა საცოდავად სახე-ტანაძეძგვილი ბერიკაცი.

როგორც მთელ ქვეყანაზე, აქაც სამარისფერი ატეხილი სტიქია მძვინვარებდა ქარბორბალასავით. წინანდელი ის ყოველდღიური ცხოვრებისე-ული მძიმე მრავალი განცდა, რაც კი განუცდიათ ადამიანებს, თითქოსდა ახლობელი და შინაურული იყო და პირადული. დღევანდელი კი სრულიად შორეული და უცხო მოვლენა გახლდათ ნერვიული სიშორიდან მომდინარე, იდუმალ ციდან გადმოგდებული. მიწიერ მოვლენა-უბედურებას ვითომდა ახლავს იმედი მომავლის საშველისა: წარმოიდგინეთ, თვით სიკვდილიც კი; მიცვალებულს როცა დაკრძალავენ, ჭირისუფალსა და გარდაცვლილს შუა ყოვლისშემძლე ცოცხალი მიწა რომ ჩადგება, თითქოსდა ქვეცნობიერი იმედი გაჩნდაო ძალიან შორსმავალი კოსმოსური (ქვეყნად ბევრი რამე სიკვდილთანაა მიერთებული, მიწა სამყაროსეული სიცოცხლითაა მარადიული. მკვდარი მიწის ერთი ბელტიც არ არსებობს...). სიკვდილ-გარდაცვალებას მხოლოდ მიწა კურნავს, კეთილი. მიცვალებულთ ერთობაა მიწა, მარად ცოცხალი საფლავთ იმედი და სითბო. მზის სხივები ნათელი, უთუოდ რომ გარდაცვლილთა გლოვა და გახსენება, იდუმალი სიცოცხლეა ჩვენგან დავანებული. ხოლო ამ შემზარავსა და წარმოუდგენელ შემთხვევაში ადამიანები ვერ ჩაწვდომიან, დედამიწის შეჩერებაა კატასტროფული, მზის გაურკვეველი მძიმე მოვლენა, ვარსკვლავეთის მთლიანი დაღუპვა თუ შორეული, ძალიან მიუწვდომელი, მიუდგომელი, ისეთი, რომ დედამიწაზე არავითარი, ამ ვითარების გამოსწორების მეცნიერული საშუალება ოცნება-ფანტაზიითაც მოუძიებელი გახლდათ.

დაძაბული დრო-სივრცე და უკვე გარდასახული გარემო გაურკვევლად და უკუნეთის ფერად შეიკუმშა...

თავბრუდამხვევად შეძრული ადამიანი წარმოუდგენლად წუთი-წუთზე (სულიერად და ფიზიკურად) ილეოდა... ოჯახის პატარა ფერდაკარგული, გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი ბიჭი, ხშირ-ხშირად იმეორებდა, ძველ-კოლხურ წარმართულ თუ მზის თაყვანიმცემლობის მრავალი ათასი წლის წინანდელი კოსმოსის, კერძოდ მზის, მთვარისა და ვარსკვლავების სადიდებელ ლექსად ნათქვამს:

„ბჟა დიდა რე ჩქიმი,
თუთა მუმა ჩქიმი,
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი
და დო ჯიმა ჩქიმი“
(მზე დედაა ჩემი,
მთვარე — მამაჩემი,
მოციმციმე ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.)

— ეჰეი, თურმე როდის იწერებოდა ლექსები კოლხეთ-იბერიაში.

მერმე, ფიქრებით უკვე სამყაროს სივრცეებში მყოფი და ნაღვლიანი ბავშვი დიდ ბაბუას ჩაეხუტა და ეკითხება: — აწი რა მოხდება, ბაბუ? — ცუდი არაფერი, შურიგე, ბჟას რომ შემოვევლე, ამოვა მალე და...

სულიერი სიმშვიდე საუკეთესო გამოსავალია უბედურების შემთხვევაში. ბრძენნი ძლიერნი არიან ნებისმიერ დროს და მათგან ვინც იყო გადარჩენილი, მხოლოდ უტეხი სიმამაცისკენ მოუწოდებდა ხალხს.

ყოველგვარი დუმილი საამო და საცნაურია, მაგრამ მზის უჩვეულო გატრუნვა და დედამიწის უძრაობა კოსმოსისაგან განგაშშეყრილი საშინელება ყოფილა... ამ სამ საათში პლანეტის მეორე მხარის მიდამოები, სადაც მზე უძრავად აცხუნებდა, მოულოდნელობისგან უკიდურესი ნერვიული სტრესები მოედო ირგვლივეთს. წყალში, ხმელეთზე, თვალგახელილი და გაოგნებულნი მისჩერებოდნენ ცის კაბადონს და მზის ჩამაფიქრებელ უძრავ, მშვენებააყრილ ჩრდილებს. დიდი სხივღვთიური მანათობლის მაღალი ტემპერატურით და ჩრდილთ-ყოველთა უძრაობით, ფსიქოლოგიური შეკუმშვით, ნერვიული უძრაობით და საერთო ნაკლოვანებით იხუთებოდა იქაურობა. ჰაერსაც დაეკარგა ჟანგბადი, წონა და სიცოცხლისუნარიანობა.

„თუ ცუდს ველოდები, დრო გარბის, თუ კარგს — მიცოცავს“ (ვოლტერი).

თანამედროვეობის გამაოგნებელი ცივილიზაცია თანდათანობით ძალას და ფერს კარგავდა. ობსერვატორიების მეცნიერები ურთიერთთან გამუდმებულ კავშირში იყვნენ და კოსმოსური უცხო წალეკვის მძაფრ მოლოდინში ვარსკვლავთა სამზერ აპარატ-ხელსაწყოებს არ შორდებოდნენ და პლანეტების უჩვეულო ყოველწამიერ გადაადგილება-განწყობილება-მოვლენებს აფიქსირებ-დნენ... ჟამი დაბინდული არნახულად და გაუგონრად გაიწელა. თითქოს უკან იწყო სვლა. მოძრავი საგნებ-აპარატებიდან ყველაზე უფრო საათებს გაუჭირდათ. დროის ათვლას კი აწარმოებდნენ, მაგრამ მთავარი, წუთები თუ წამები უაზრობად იქცა. უკიდურესად აირია მათი სივრცობრივი ფუნქცია და მზის სისტემისეული საათ-წუთ-წამობრივი გათვლა. საათი გახლავთ გარემოს, სივრცის, დროის მაჯისცემის დათვლა. ის მხოლოდ ადამიანმა კი არ გამოიგონა, არამედ განგების სიკეთემ გამოიყვანა სამყაროს უსასრულობის სივრციდან — მზის სისტემის კვლავ დაუდგენელი დროის პირობითი ამთვლელი აუცილებელი და მართალი მექანიზმი... სამყაროს უკიდეგანო სივრცეში, დროთა სხვადასხვა განზომილებებია. ასევე მის მიუწვდომელ უშორეს უსასრულობაში, სიცოცხლის ურთიერთისაგან განსხვავებული ფორმები და სახეებია, რომლის იდუმალ საოცრებას ადამიანის გონება ანუ ცივილიზაციები ჯერჯერობით ვერ წვდება... დედამიწაზე არსებული სულიერი ფორმა განსხვავდება ალბათ, რომელიმე გალაქტიკის გულმფეთქავ პლანეტაზე მოფენილ არსებათა სულით, გონებით და სხეულის სხვა შემადგენლობისაგან. შესაძლებელია სრულიად განსხვავებული შემადგენლობის ჰაერით სუნთქავდეს იმ პლანეტაზე მცხოვრებნი ანუ მიუწვდომელი მაგნიტური უცხო ველებითი ხაზ-შუქდინებით იკვებებოდნენ. კოსმოსი ხომ უზარმაზარი შემოქმედია, რომელსაც განაგებს უსასრულობის ძალა ყოველთა განუზომლობისა...

დაიბნენ შუქ-ჩრდილები — მოიშალა მათი უზენაესისგან დაკანონებული მიმდევრობითი მოძრაობა-მოქმედებები. სადაცაა, ღამესა და დღეს შორის განსხვავება უკიდურეს წაშლამდე მივიდა, სინათლის წყარო, ფორმა და არსი წარმოუდგენელ გაუცხოებას მიუახლოვდა. გაურკვეველი სივრცის ვარსკვლავეთური დაუდგენელი უცხო თავბრუდამხვევი განზომილება ეუფლებოდა ქვეყანას.

„შიში, როდესაც საშიშია, ყველას ერევა“ (იბსენი).

მზის გასხივების ზეაღმტაცი განუსაზღვრელობა უკიდეგანოა, ღიმილის მომგვრელია, სამაგიეროს მიგება ამ ყოველმხრივ უძლიერეს მიუწვდომლობასთან. ჩვენს პლანეტაზე მოვლენილი რელიგიურ აღმსარებლობებ-ზე შეწირვები და პირადი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანები, ოდითგანვე გარდაუვალი ყოფილა. საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებით წარმართობამ შეიწირა ადამიანთა მოდგმის ულამაზესი ნაწილი და გაანადგურა თავისი რელიგიური, უაზრო და არანორმალური ფანატიკური რწმენიდან გამომდინარე. ნაწილობრივ ქრისტიანობაც ვერ გაექცა რთულ ზნეკოსმოსურ უკიდურესობებს და უფლის წმიდათაწმიდა ამბიონზე პირადი მსხვერპლმიტანები აუცილებელი გახდა. საუბედუროდ, ჰუმანური სარწმუნოების უერთგულეს მიმდევართ, წარმართები სიკვდილით სჯიდნენ. ამ შემთხვევაშიც ვერ გაექცნენ ღრმადმორწმუნეები გაუთვალისწინებელ დიდ მსხვერპლს. უფრო რელიგიურ ნიადაგზე ხოცავდნენ სიყვარულის სიკეთის და ურთიერთმეგობრობის ქრისტიანებს. ძალიან ხშირად, სარწმუნოებრივი დაპირისპირებები სამკვდრო-სასიცოცხლო ომებით მთავრდებო-და და რატომ და რაზედ? მრავალ რელიგიათა ღმერთებო, ასე ძნელია თქვენი შერიგება-მორიგება?! თუ ვერ უმკლავდებით კოსმოსურ გამოსხივებებს?..

უძველეს აღმსარებლობებში მსხვერპლად მიგება ძალაუნებურადაც იმართებოდა ჯანსაღი აზროვნების უქონლობით და ჭეშმარიტებასთან გონებრივი მიუწვდომლობიდან გამომდინარე. ამ დროს მზე პლანეტებს და თანამგზავრებს უმცირეს მოლეკულამდე იმდენად ზედამხედველობს, რომ უსასრულო ენერგიაც შესწევს, როგორც მოესურვება ისე წარმართოს თავისი სისტემა უზარმაზარი პლანეტების ჩათვლით. მაგრამ მზე უკიდეგანო პოტენციის მანათობელი ენერგიით სავსე, ზნეკეთილი წეს-მეუფეა ყოველთა მათ მიმართ, რომ მისხალითაც არ უხვევს და ცვლის სამყაროთა გამგებლის მაგნიტურ სხივძალოვან მრავალგანზომილებიან ზეფილოსოფიურ აზროვნებას და უსასრულობის უსაზღვრო სამყაროსეული კანონის უმძლავრესი, უკეთილშობილესი ფუნქციონერია საკვირველი და, უთუოდ, ქვეყნიერების უხილავი მფლობელის ყოველთა მომწესრიგებელი ზეძალაა, ალბათ პლანეტაზე არსებული ნებისმიერი აზროვნებისთვისაც მიუწვდომელი. ის რომელიღაც პლანეტის ვარდისფერი, უტეხი ლოდივით მყარი აბსტრაქციაა სასწაული მომრეგულირებელ-მაორგანიზებელი. ხელოვანთაგან ვასილი კანდინსკი, ხუან მირო, ტერენტი გრანელი და მათი მაგვარნი, ეჭვგარეშეა, მიახლოებით მაინც ფლობდნენ და აზროვნებდნენ თითქმის ამ შეუცნობელ არსებულზე...

**(გაგრძელება იქნება)**

რეზო ადამია,
**მხატვარ-პროზაიკოსი**



# IX-XI საუკუნეებში სამცხეში მოღვაწე საგვარეულოების ისტორიიდან



**მირიან ბაჰლაუჰდის** სამმა ძემ: **სულამ, ბეშქენმა** და **ლაკლაკმა,** საფუძველი ჩაუყარეს IX– XI საუკუნეებში სამცხეში მოღვაწე შემდეგ საგვარეულოებს: **ჩორჩანელების, ჯაყელების, ლაკლაკთა (ლაკლაკისძეების), ციხისჯვარელებისა** და **ხურსიძეების** საგვარეულოებს.

ცნობილი ქართველი მეცნიერის, **ნოდარ შოშიშვილის** აზრით: **გიორგი ჩორჩანელის** უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემდეგ, მთელი მისი სამფლობელო და ქონება მისი დის **ლატავრის** შვილებს გადაეცა. *„მისი უფროსი ვაჟი სულა გახდა ჩორჩანელთა ახალი საგვარეულოს ფუძემდებელი. შუათანა ვაჟმა ბეშქენმა სათავე დაუდო ჯაყელთა საგვარეულოს, ხოლო უმცროსმა ლაკლაკმა, ბაჰლაუნდების ახალი განშტოება წარმოქმნა – ლაკლაკთა. ახალი ჩორჩანელების (ხოლო შემგომ მათი განშტოება ხურსიძეების) საგვარეულო მონასტერი იყო ზარზმა. X საუკუნეში ზარზმის ევგტერი ააგო ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობის მონაწილე ივანე სულას ძემ (ალბათ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ნახსენები სულა მირიანის ძის ვაჟი). ივანე სულას ძის შვილიშვილები უნდა იყვნენ XI საუკუნის შუა ხანების მოღვაწეები ძმები გიორგი ჩორჩანელი და ფარსმან თმოგველი სულას ძეები. ეს გიორგი უკანასკნელია წყაროებში მოხსენიებულ ახალ ჩორჩანელთა შორის. შემდეგ მათ მამულს მათივე განშტოება ხურსიძენი დაეპატრონა“.*

ჯაყელებთან დაკავშირებით ნ.შოშიაშვილი წერდა, – საგვარეულოს დამფუძნებელი ჩანს ახალი ჩორჩანელების წარმომადგენელი **ბეშქენი** (მირიან ბაჰლაუნდის შუათანა ძე). მისმა შთამომავლობამ მეფისაგან მიიღო ჯაყისწყლის, ფოცხოვისა და ურავლის ხეობები. წყაროებში პირველ ჯაყელად თუხარისის ერისთავი ბეშქენი იხსენიება, ხოლო შემდეგ ყველის ერისთავი **მურვანი** (ალბათ ბეშქენის ძე). ბეშქენის ძის მურვანის ვაჟი იყო 1118 წელს ჯავახეთში თურქების მიერ მოკლული ბეშქენ II. 1178 წელს **მემნა ჯაყელმა** მხარი **გიორგი III-ის** წინააღმდეგ აჯანყებულ **ორბელებს** დაუჭირა. **თამარის** დროს, **ბოცო ჯაყელი გიორგი რუსს** მიემხრო. მეფემ მათ ჩამოართვა თანამდებობები და ციხისჯავრელებს გადასცა. ისინი გახდნენ ახალი ჯაყელები. ძველი ჯაყელები კი ბოცოსძეებად იწოდნენ. ნ.შოშიაშვილის აზრით, ხურსიძეთა გვარის ფუძემდებელი ჩანს XI საუკუნეში მოღვაწე **ხურსი,** რომელიც დაიღუპა შირიმნის ბრძოლაში. ახალ ჩორჩანელთა სამფლობელოს ნაწილი გადაეცა ციხისჯვარელებს, ნაწილი ჯაყელებს, ლაკლაკთა და ხურსიძეებს. შესაძლოა იმერეთში მოხსენიებული გიორგი და ხურსი, ასევე ხურსიძეთა წარმომადგენლები იყვნენ და, მაშასადამე, ხურსიძეები მიწას იმერეთშიც ფლობდნენ. ნ.შოშიაშვილი ციხისჯავრელებსაც ახალი ჩორჩანელების განშტოებად თვლიდა, რომლის ფუძემდებელიც სულა კალმახელი იყო, რომელსაც ბაგრატ IV-მ თორში მდებარე ციხისჯვარის ციხე უბოძა. სულას საგვარეულოს მეორე შტომ კალმახის საერისთავო დაიმკვიდრა და **კალმახელად** იწოდა. გიორგი რუსის აჯანყების დროს გამოჩენილი ერთგულების გამო თამარმა **ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელს** უბოძა სამცხის ერისთავთერისთავობა და სპასალარობა და უწყალობა ჯაყის ციხე, რომელიც ახალ **ჩორჩანელთა** მეორე განშტოების წარმომადგენელ **ბოცოს** ჰქონდა. ამ **ყვარყვარეს** შვილიშვილი **სარგის I** სამცხის მთავარი ხდება.

**მირიან ბაჰლაუნდისა** და მისი შვილების შესახებ ცნობა დაცულია **ბასილი ზარზმელის** *„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში.“* ამდენად, მნიშვნელოვანია თუ როდის დაიწერა ეს ნაწარმოები და რა პერიოდის ვითარებაა მასში ასახული. პ.ინგოროყვას აზრით, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ დაწერილი იყო VII საუკუნეში და ასახავდა VI საუკუნის ვითარებას. **ნ.ვაჩნაძე** სერაპიონ ზარზმელს IX საუკუნის მოღვაწედ მიიჩნევდა. **მ.ჩხარტიშვილის** აზრით, **„სერაპიონი VI ს-ის დამლევის, უფრო კი VII ს-ის I ნახევრის მოღვაწეა“** (სერაპიონ ზარზმელის მოღვაწეობის პერიოდის განსაზღვრა ქართველ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ჩვენ არ ვაპირებთ ამჯერად ამ საკითხის დაწვრილებით განხილვას. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ნახოს მ.ჩხარტიშვილისა და ნ.ვაჩნაძის ნაშრომები).

ვეთანხმებით იმ მეცნიერთა მოსაზრებებს, რომლებიც თვლიან, რომ სერაპიონ **ზარზმელი** VII საუკუნის I ნახევრის მოღვაწე იყო. მაშინ, ამავე პერიოდის მოღვაწეები გამოდიან **გიორგი ჩორჩანელი** და მისი სიძე **მირიან ბაჰლაუნდი.** ბასილი ზარზმელის მიხედვით: *„იყო ვინმე მთავარი დიდი და წარჩინებული ქვეყანასა ამას, რომელი ყოველთა ჰმატებდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაჲთა, რომლისა სივრცე საზღვართ ვრცელ და მრავალ იყო... ესე კაცი იყოფვოდა და მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცეოდა, რომელსა სახელი ეწოდა გიორგი, მეორედ ჩორჩანელი, რომლისა ტაძარი შენ იყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისა“.* გიორგის სიძლიერესა და გავლენაზე მიუთითებს მის მიერვე სერაპიონ ზარზმელისადმი ნათქვამი სიტყვები – *„არავინ წინააღმდგომ ჩვენდა არს ადგილთა ამათ, რომელთა გეგულების დაჳყრობად“.*

ჩვენ არაფერი ვიცით გიორგი ჩორჩანელის წარმომავლობის შესახებ, მაგრამ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ დაცულია ცნობები მისი მემკვიდრეების შესახებ: *„დაჲ გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა მირიანისი, ძისა ბეშქენ ბაჰლაუნდისაი ძისა იოანესი. ხოლო გიორგი შვილთაგან ოხერ და უქმ იყო, რამეთუ ორნი შვილნი სირჩოებასავე შინა წარსულ იყვნეს და შემდგომად მათისა დედაჲცა, ნათლად გამომყვანებელი მათი, მიიცვალა და სხვა მეუღლისა შეერთება არღაოდეს თავს იდვა... ყოველივე რაიცა აქვნდა და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი დასა მისსა შეჰვედრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთვისა, რომელთა ეწოდა სულა, ბეშქენ და ლაკლაკი“.*

ტერიტორიულად სად მდებარეობდა მირიან ბაჰლაუნდის სამფლობელო, სამცხეში თუ რომელიმე სხვა პროვინციაში, უცნობია, მაგრამ ჩვენი აზრით, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ისიც სამცხეში იყო.

გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების შემდეგ, *„ბირებითა ეშმაკისაჲთა იქმნა უწესოჲ ამბოხი, რამეთუ მოკლა ლაკლაკმან დისიძე თვისი, რამეთუ მძლავრობით ეტყოდა, ვითარმედ: ნაწილ უც მამულსა თანა თქვენსა დასა ამას თქვენსა, ვინაითგან თქვენცა დედისა მიერ გაქვთ. რომლისათვისაც განმრავლდეს სიტყვისგებანი ურთიერთას და ესრეთ მოკლა დისიძე თვისი. და ესე რაჲ ესრეთ იქმნა, განგრძელდა საქმე ესე სამ წელ. ხოლო წელსა მეოთხესა ამათ საქმეთასა განაბრწყინვა ღმერთმან დიდი იგი მღდელთმოძღვარი გიორგი შუარტყლელი, რომელმან დაიპყრა საყდარი აწყურისაჲ, რამეთუ არა ჯერ იყო ცხედარსა ქვეშე დაფარვაჲ სანთლისაჲ. და ხელთ იდვა რაი განგებაი სამცხისაჲ, დააწყნარა ყოველი მამული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთეთანი... და ვითარცა გარდახდა წელიწადი შვიდად აღთვალული, დასცხრეს და დადუმდეს ყოველნივე შფოთნი და უწესობანი წმიდისა ამის მღდელთმოძღვრისა გიორგის მიერ.“* როგორც ვხედავთ, ლაკლაკის მიერ საკუთარი დის ძის მკვლელობამ, სამცხეში საკმაოდ ხანგრძლივი არეულობა გამოიწვია. **ბასილი ზარზმელის** მიხედვით ვითარების სრულ დაწყნარებას შვიდი წელი დასჭირდა.

ჩვენი აზრით, **მირიან ბაჰლაუნდის** შვილები VII საუკუნის II ნახევრის მოღვაწეებად უნდა მივიჩნიოთ.

პირველ რიგში, შევეხოთ უფროსი ვაჟის, სულას შთამომავლების საკითხს. ჩვენ არ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ **სულა** გახდა ახალი ჩორჩანელების საგვარეულოს დამაარსებელი. **სულა მირიან ბაჰლაუნდის** უფროსი ძე იყო და ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ მას უნდა გაეგრძელებინა ბაჰლაუნდების საგვარეულო და მამისეული სამფლობელოს უმეტესი ნაწილიც მასვე უნდა დარჩენოდა. რა საგვარეულო სახელით მოიხსენიებოდნენ სულას შთამომავლები მომდევნო საუკუნეებში უცნობია. მაგალითად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ **სულა ბაჰლაუნდის** შთამომავალი იყო. X საუკუნის ზარზმის წარწერაში მოხსენიებული სულა – *„სახელითა ღმრთისაითა და წმიდისა ღმრთისმშობლისა მეოხებით, მე ივანე, ძემან სულაჲსმან აღვაშენე წმიდაჲ ეგუტერი. მას ჟამსა, ოდეს საბერძნეთს გადგა სკლიაროსი, დავით კურაპალატი, ადიდენ ღმერთმან, უშუელა წმიდათა მეფეთა და ჩუენ ყოველნი ლაშქარს წარგუავლინნა. სკლიაროსი გავაქციეთ, მას ქუეყანასა, რომელსა ჰქვიან ხარსანანი, ადგილსა, რომელსა ჰქვიან სარვენისნი, მუნ ესუენა ტახტი“.* ალბათ, ამ ივანე სულას ძის შვილი (ყოველ შემთხვევაში შთამომავალი მაინც) იყო XI საუკუნეში მოღვაწე, ბაგრატ IV-ის თანამედროვე, სულა **კალმახის ერისთავი.**

XI-XII საუკუნეებში სახელი **ბეშქენი,** ჯაყელთა საგვარეულოშია გავრცელებული და შესაძლოა გაზიარებული იყოს ნ.შოშიაშვილის თვალსაზრისი – **ჯაყელთა საგვარეულოს ფუძემდებლად ბეშქენ ბაჰლაუნდის მიჩნევის შესახებ.** ამ შემთხვევაშიც ერთადერთი არგუმენტია სახელი ბეშქენი. „მატიანე ქართლისაჲს“ თანახმად – *„ვერ წაიღეს ატენი, რამეთუ ციხეთაუფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისასა, თვინიერ ფარსმან თმოგველისა და ბეშქენ ჯაყელისა თუხარისისა ერისთავისა“.* მემატიანეს ეს ცნობა 1045-1047 წლების ამბებს ეხება. XII საუკუნეში ჩვენთვის ცნობილია კიდევ ერთი **ბეშქენ ჯაყელი, დავით აღმაშენებლის** თანამედროვე. 1118 წელს დავით აღმაშენებელს *„მოართუეს ამბავი ბეშქენ ჯაყელისა ჯავახეთს თურქთაგან მოკვლისა“.* რა თქმა უნდა, სავსებით მისაღებია მოსაზრება, რომ XII საუკუნეში მოღვაწე ბეშქენი (II), XI საუკუნეში მოღვაწე **ბეშქენის (I)** შვილიშვილად მივიჩნიოთ. რაც შეეხება კიდევ ერთ ჯაყელს, XI საუკუნის 60-იანი წლების ამბების თხრობისას „მატიანე ქართლისაჲ“ მოიხსენიებს ყველის ერისთავს **მურვან ჯაყელს** – *„გამოგზავნა (ბაგრატ IV-მ) ხილვად ივანე ძე ლიპარიტისი და ნიანია ძე ქუაბულისა და მურვან ჯაყელი ერისთავი ყუელისა“.* ბეშქენ I და მურვანი სავარაუდოდ იყვნენ ძმები. ამაზე მიუთითებს აგარის მონასტრის წარწერაში მათი მოხსენიების კონტექსტი – *„ერისთავთ ერისთავთა ბეშქენ და მურვანის მლოცველმან, მე, ეფრემ ხელვყავ შენებად ტრაპეზისა ამისა“.* XI საუკუნის შუა ხანებში ჩვენთვის ცნობილია ჯაყელთა საგვარეულოს კიდევ ერთი წარმომადგენელი – **ბოცო,** რომელიც **მარზპანი** იყო. **ბოცო ჯაყელი** აშკარად ბეშქენისა და მურვანის თანამედროვეა. ალბათ მათი ძმა არ არის, მაგრამ უახლოესი ნათესავია.

მეცნიერთა ნაწილი ჯაყელთა საგვარეულოს დაწინაურებას XI საუკუნის 30-იან წლებში ვარაუდობს და საქართველოდან ბიზანტიაში ცნობილი ფეოდალის, ჩანჩახი ფალელის წასვლას უკავშირებს და თვლის, რომ ჯაყელები **ჩანჩახი ფალელის** ადგილს იკავებენ. ჩვენ არ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას. XI საუკუნის შუა ხანებში, **ბაგრატ IV-ის** დროს, ჯაყელები საკმაოდ დაწინაურებული არიან: თუხარისის ერისთავი ბეშქენი და ყველის ერისთავი მურვანი ერისთავთერისთავის საპატიო ტიტულით მოიხსენიებიან, ბოცო კი მარზპანია (მარზპანობა XII საუკუნეში მონაპირეობამ შეცვალა). ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჯაყელთა დაწინაურება გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე XI საუკუნის 30-იანი წლებია.

მირიან ბაჰლაუნდის სამი ვაჟიდან, წყაროებში ყველაზე მეტი ინფორმაცია ლაკლაკის სავარაუდო შთამომავლების ირგვლივ არსებობს. ზარზმის ეკლესიის სამწერლობელზე შემდეგი სახის წარწერაა – *„ქ. სახელითა ღმრთისაჲთა, მე ფარსმან ერისთავმან, ძემან კურთხეულისა ცოდვილისა ივანე ლაკლაკისმან, შევქმენი ესე სამწერლობელი სალოცველად ჩემ და შვილთა ჩემთათვის, ყოველთა სახლისა ჩუენისათა და მოსახსენებლად სულკურთხეულთა მშობელთა და ძმათა ჩემთათვის და ყოველთა სახლისა ჩუენისა გარდაცვალებულთათვის და დავახსენ საყდარსა ზარზმას, მამულს ჩემსა, წინაშე ხატისა ფერისცვალებისასა აწ წმინდანო მღვდელნო და დიაკონნო რომელნი იმსახურებდეთ ხორცსა და სისხლსა უფლისასა ჩუენისა იესუ ქრისტესა, მოგვიხსენიეთ წმიდასა ლოცვასა თქუენსა“.*

ალბათ, ეს **ფარსმან ერისთავი** უნდა გავაიგივოთ ზარზმის ფერისცვალების ხატის 886 წლის წარწერაში მოხსენიებულ **ფარსმანთან. ექ.თაყაიშვილის** მიხედვით წარწერა შემდეგი სახით იკითხება: *„სახელითა ღმრთისაითა შეიმოსა ხატი ესე მწედ მაწყუერელისა გიორგისა, უფალთა: ფარსმან ერისთავისა, ივანესა, პატრიკისა, მირიანისა, ფერისა, სულასა, ერისა მათისა. ქრისტეს მიერ მამასახლისობასა პავლესა ქორონიკონ რვ“.* წარწერაში პირველად დასახელებულია ფარსმანი და ის ერთადერთი მოიხსენიება ერისთავის ტიტულით. აქედან გამომდინარე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ საგვარეულოს მეთაური ფარსმანია. თუ რა ნათესაური კავშირი აქვს ფარსმან ერისთავს წარწერაში მოხსენიებულ სხვა პირებთან, უცნობია. **ივანე, პატრიკი, მირიანი, ფერი** და **სულა** ალბათ **ფარსმანის** ახლო ნათესავები არიან.

საინტერესო ცნობებს შეიცავს ხურციძეთა შესახებ ზარზმაში არსებული 1045 წლის წარწერა – *„აღეშენა წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ სახელსა ზედა წმიდისა იოანე მახარებლისა ნებითა ღმრთისაითა და ბრძანებითა ყოველსა ქვეყანასა სახელგანთქმულსა ხურციძისა პატრონისა ფარსმანისათვის, სულსა მისსა განუსვენოს და შეუნდოს ღმერთმან, მღვდელთმთავართ მთავრობასა ხურციძისა პატრონის მაწყვერელისა სერაპიონისა, ქორონიკონს სჲ“.* ექ. თაყაიშვილის აზრით, სწორედ ეს ფარსმანი მოიხსენიება ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში, თავის ძმასთან – **გიორგი ჩორჩანელთან** (ეს სხვა გიორგი ჩორჩანელია და არა სერაპიონ ზარზმელის თანამედროვე) ერთად.

ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში წერია, რომ 19 სექტემბერს *„აღაპი არს მამისა არსენისი, ფარსმან ყოფილისა“*; 13 თებერვალს: *„აღაპი არს გიორგი ჩორჩანელისაჲ, ფარსმანის ძმისაჲ“;* 22 იანვარს: **„აღაპი არს სულაისა, ფარსმანის და ჩორჩანელის მამისაჲ“.** „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ მიხედვით კი ირკვევა, რომ ფარსმანსა და გიორგის ყავდათ ერთი დაც. ათონშივე იყო დაწესებული 24 ნოემბერს „აღაპი მიქელ ლაკლაკისაჲ“.

1045 წლის წარწერის მიხედვით, ფარსმანი გარდაცვლილია. ამაზე მიუთითებს სიტყვები: *„სულსა მისსა განუსვენოს და შეუნდოს ღმერთმან“.* ათონის მონასტრის აღაპებში მოხსენიებული ფარსმანი, როგორც ირკვევა, ბერად აღიკვეცა **არსენის** სახელით.

ზარზმის ფერისცვალების ხატის, ღვთისმშობლის ხატის, 1045 წლის ეპიგრაფიკულ წარწერასა და ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში მოხსენიებულ პირებს შორის ნათესაური კავშირის დადგენა მეტად რთულია.

IX-XI საუკუნეებში მოღვაწე ჯაყელებს, ციხისჯვარელებს, ლაკლაკთა, ხურციძეებსა და ჩორჩანელებს შორის ურთიერთმიმართების განსაზღვრა, ვინ ვისი წინაპარი, მემკვიდრე თუ განშტოებაა, მეტად რთულია და შესაძლებელია მხოლოდ პიროვნებების სახელებზე დაყრდნობით და, ისიც, იმის გათვალისწინებით, რომ საგვარეულოებში ხშირად ერთი და იგივე სახელები ტრიალებდა.

**მიხეილ ბახტაძე**
**პროფესორი**

# თამარის საფლავის

ჯაბა სამუშია

*ნაწილი I*

ჩვენი ერის წარსულში ბევრი რამაა ბურუსით მოცული, მაგრამ თითოეულ ქართველს რომ ჰკითხო, ყველაზე გასაიდუმლოებული მოვლენა რომელია საქართველოს ისტორიაში, ბევრი, უყოყმანოდ, თამარ მეფის დასაფლავების ისტორიას დაასახელებს.

აგერ უკვე რამდენი საუკუნეა, რაც თამარის დასაფლავებისა და მისი დაკრძალვის ადგილი დავის საგანია. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მიუთითებენ თამარის საფლავს. ხალხი კი ათასგვარ ლეგენდას ყვება თამარის დასაფლავების შესახებ.

თამარის დასაფლავების შესახებ ხშირად გაიგონებთ არა ერთ ლეგენდას. ტრადიცია საკმაოდ მტკიცეა და ამიტომაც საქართველოს სხვადასხვა მხარეში დღესაც კი სჯერათ, რომ თამარი სწორედ მათ კუთხეშია დასაფლავებული. სრულიად სამართლიანად მიუთითებს **ივ.ლოლაშვილი,** რომ ***„ქართველთა ყველა ტომს უნდოდა თამარის ნეშტი მის მხარეში ყოფილიყო დაკრძალული“***. თამარის საფლავს უთითებენ ვარძიაში, გელათში, სვანეთში, კახეთში... თამარის გასაიდუმლოებული აკლდამის ვითომდა ადგილსამყოფელის ჩამოთვლა საკმაოდ შორს წაგვიყვანს. ამ თემაზე შექმნილ ლეგენდათა უმრავლესობა ერთმანეთს ჰგავს. თამარს საიდუმლოდ ასაფლავებენ. ზოგ თქმულებაში, თორმეტ კუბოს სხვადასხვა მიმართულებით წაიღებენ და ფარულად მარხავენ. არავინ უწყის რომელშია ჩასვენებული თამარი. ზოგი ლეგენდის მიხედვით მესაფლავეები თავს იკლავენ, რომ არ გასცენ და გაამჟღავნონ თამარის დასაფლავების ადგილი. ასევე საინტერესოა, რომ, რატომღაც, თამარ მეფის საფლავის გასაიდუმლოება ხდება გარეშე მტრის შიშით. აი მაგალითად, ხალხური გადმოცემა *„თამარ მეფის საფლავი ვარძიაში“.* ეს თქმულება უშუალოდ თამარს ათქმევინებს: ***„ვაი თუ მართლა მიცვალების შემდეგ ჩემი გვამი ამ ურჯულოს*** *(იგულისხმება ოსმალო ფაშა?)* ***ხელში ჩაუვარდესო“.*** ამის გამო მეფემ ბრძანა: ***„როდესაც ჩემი აღსასრულის დღე მოვიდეს და გარდავიცვალო, ამ მონასტერში მიწის პირად დამასაფლავეთ და ეს სამი ბოძი ამ მონასტერს მაშინ შეუდგითო“.*** მართლაც, თამარის გარდაცვალების შემდეგ, ოსმალო ფაშამ მეფის საფლავის მოძიება და შეურაცხყოფა გადაწყვიტა. ***„შევიდა ფაშა მონასტერში, ნახა სამი ბოძი და შედგა: არ იცოდა რომელი ბოძისთვის მოეკიდა ხელი, რომელი ბოძი გადმოექცია და ამოეღო სამარიდან თამარის გვამი. ბევრი ფიქრის შემდეგ ფაშა პირველ ბოძს მიადგა და დაუწყო ნგრევა. ბოძმა ხმა ამოიღო და ფაშას უთხრა: – მე ტყუილად მანგრევ, აგე ამ მეორე ბოძის ქვეშ არის თამარი დასაფლავებულიო“. ფაშამ მეორე ბოძის დანგრევაც გადაწყვიტა, მაგრამ არც იქ და არც მესამე ბოძის ქვეშ არ აღმოჩნდა თამარის საფლავი. “ გაუკვირდა ფაშას, ღმერთს დიდება შესწირა და სთქვა: – ცოცხალიც დიდებული და ძლიერი იყავ და მიცვალებულიც არა ჰკარგავ შენს დიდებასა და ძლიერებასო“.*** ანარადა, მეორე ლეგენდა *„თამარ მეფის საფლავი გელათში“*: ***„შახაბაზი დამუქრებია თამარს, სტამბოლი რომ ჩამოართვა თამარმა მოხერხებით... ამ მოტყუებისთვის ცოცხალი ხომ ვერ ჩაგიგდე ხელში და მკვდარს მაინც გიშოვიო“.*** მიუხედავად იმისა, რომ ამ ლეგენდებში აშკარა ანაქრონიზმია, როგორც ოსმალთა ფაშის, ასევე შაჰ-აბასის მოხსენება (ამ ციკლის ნაწარმოებებში ეს ხშირი შემთხვევაა), მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ თამარის საფლავს მალავენ მუსლიმან დამპყრობელთა გამო, ეს მეტად ნიშანდობლივი დეტალია. მართებულად შენიშნა **კ.გრიგოლიამ**, რომ ასეთი სახის თქმულებების გაჩენა მხოლოდ თურქ-ოსმალებისა და ყიზილბაშური ირანის გამუდმებული შემოსევების შემდეგ შეიძლება წარმოშობილიყო.

უნებლიედ იბადება ერთი კითხვა: ნუთუ რამე სიმართლე შეიძლება იმალებოდეს ამ გადმოცემების ქვეშ? რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვგულისხმობთ ოსმალეთის ფაშასთან თუ შაჰ-აბასთან თამარის დაპირისპირების ისტორიას. ეს ნამდვილად ხალხის ფანტაზიის ნაყოფია. საუბარია იმ ტენდენციაზე, რომ, რატომღაც, ლეგენდებში საგულდაგულოდ მალავენ თამარის საფლავს. მაგრამ სანამ ამ შეკითხვაზე გავცემდეთ პასუხს, ორიოდე სიტყვით იმ ცნობების შესახებ, რომლებიც თამარის გარდაცვალებისა და დასაფლავების თაობაზეა დაცული ოფიციალურ მემატიანეთა ფურცლებზე:

1206 წლის ზაფხულში თამარ მეფე ნაჭარმაგევში ისვენებდა. სამეფო სასახლეში მხიარულება სუფევდა, მაგრამ გარშემო მყოფნი თვალნათლივ ამჩნევდნენ, რომ მეფე შეუძლოდ იყო. დღითი-დღე უძლურდებოდა თამარი, დიდხანს სიარული უჭირდა. საუკეთესო მკურნალები მოუყვანეს მეფეს, მაგრამ ამაოდ, სენი თანდათან უფრო და უფრო ძლიერდებოდა. იქნებ ნაჭარმაგევის ჰავამ აწყინაო და თამარი სასწრაფოდ თბილისში წამოიყვანეს. ქალაქის სანახებში, დასოდ წოდებულ ადგილას გაიყვანეს ავადმყოფი. აქ მეფეთა დასასვენებელი იყო. ოდითგანვე და იფიქრეს, იქნებ აქაურმა კლიმატმა არგოსო. მაგრამ არც ამ ღონისძიებამ გამოიღო შედეგი. ამასობაში ზამთარიც დადგა, მეფე თავის სასახლეში, აგარას ციხეში აიყვანეს. ხალხი ეკლესიებში ღამისთევით ლოცულობდა, ღმერთს შესთხოვდნენ თამარის კეთილდღეობას. მკურნალები კი ყველაფერს აკეთებდნენ მეფის გადასარჩენად. მაგრამ ამაოდ... 1207 წ. 27 იანვარს ქართველთა სახელოვანი მეფე გარდაიცვალა.

თამარის თანამედროვე ისტორიკოსთაგან ჩვენამდე სამი თხზულებაა შემონახული.

*„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისა“, „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე.“* ყველა ეს თხზულება თამარის გარდაცვალების ახლო ხანებშია შექმნილნი. ამდენად, ამ ავტორებს კარგად უნდა სცოდნოდათ თუ სად დაასაფლავეს თამარი. ამ თხზულებებში (განსაკუთრებით თამარის ისტორიკოსებთან) თამარის გარდაცვალების ამბავი ისეთი ტრაგიზმით და მძაფრი ემოციებითაა გადმოცემული, რომ აშკარად ყოველი ეს საკუთარი თვალით დანახულისა და განცდილის აღწერას წარმოადგენს.

## „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“

*„ამისთჳსცა მოხედნა რისხვით მოწყალემან ღმერთმან სამკჳდრებელსა თჳსსა, და მიიცვალა მეფე თამარ Ãმელსა (იგულისხმება ტაბახმელა) დგომასა შინა. მოიწია მწუხარება დიდი და მიუთხრობელი მკჳდრთა საქართველოსათა. და ძნელად გამწარებულნი იტყებდეს და ისხმიდიან თავსა ნაცარსა და მტუერსა ათაბაგი და ყოველნი... და წარიყვანეს სამკჳდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა. და დაუტევა სამეფო ძესა თჳსსა ლაშას.“*

## „ცხოვრება მეფეთ-მეფე თამარისა“

*„მაშინ განვიდეს ყოველნი მწარედ მტირალნი. და თამარ დაიძინა ძილი იგი მართალთა თუესა ინვარსა ი-ჱ (18). და აღივსო მზე ქართლისა, და საფლავმან სადიდებელად თჳსად დაგუაჭირვა ცხოვრება მსოფლიო ყოველთა ქრისტიანეთა... მაშინ უკუე აღმოიყვანეს და მცირეთა შინა დღეთა მცხეთად დადვეს, და მერმე უკანასკნელ თჳთ მუნვე გელათს დაამკჳდრეს თჳსსა შინა სამარხოსა, დიდებად მუნ შინა დამკჳდრებელთა პაპათა და მამათა მისთა, სახელოვანთა დიდთა მეფეთა თანა.“*

## „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე“

*„მეფობასა შინა დაყო ოცდასამი წელიწადი და აღვიდა წინაშე ღმრთისა, სადა-იგი მკჳდრობენ წინასწარმეტყუელნი და მამათმთავარნი და მეფენი, თუესა იანვარსა თორმეტსა, დღესა ოთხშაბათსა, აგარათა სომხითისათა, ქრონიკონსა ოთხასოცდაშჳდსა. დამარხეს ახალსა მონასტერსა, გელათს.“*

თამარის საფლავის შესახებ ცნობები ქართულ ნარატიულ ძეგლებში ამით არ ამოიწურება. ჩვენს ხელთაა ასევე მეტად საინტერესო დოკუმენტი, 1260-1267 წლებში შედგენილი ლიხთ-იმერთა მეფის დავით ნარინის მეუღლის თამარის მიერ გელათის მონასტრისადმი შეწირული სიგელი. მასში დედოფალი საგანგებოდ აღნიშნავს: *„და თჳთ იგი სიგელი და ბეღესგან ჩემთჳს მოცემული დაწერილი დავსდევ დიდსა მონასტერსა შინა, კითხჳთა, მოჴსენებით და მოწმებითა დიდისა მოძღუართ-მოძღურისა, დავითის მწირველისა ანტონისითა, დიდისა მონასტრისა წინამძღურისა, პატრონთა მწირველისა იოვანესითა, პატრონთა გამზრდელისა, თამარის მწირველისათა ილარიონ ფავნელისათა...“* როგორც ვხედავთ, XIII საუკუნის II ნახევარში გელათში თამარის საფლავია ცნობილია და მას მწირველიც ჰყავს მიჩენილი – ***ილარიონ ფავნელი***, დავით ნარინის გამზრდელი. იქვე იხსენიება დავითის საფლავიც და მისი მწირველი – **ანტონი.** გელათის მონასტრის ძმობა ამ ორი დიდი ქართველის საფლავს საგულდაგულოდ უვლიდა. არ გამოვრიცხავთ, რომ ამ დროს დავითი და თამარი უკვე წმინდანად ყოფილიყვნენ შერაცხილნი. თავად სიგელი ამ მიმართულებით არანაირი მტკიცების საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ასე განსაკუთრებით ამ ორი მეფის გამოყოფა სხვა მონარქებიდან, თითქოს ამ ვარაუდის დაშვების საშუალებას იძლევა.

XVII საუკუნის მემატიანე ***ფარსადან გორგიჯანიძე*** აღნიშნავს: ***„წაასვეს მამა-პაპათ სამკვიდროს საფლავსა გელათ-ქუთათისისა და მიაბარეს საფლავსა და ს(ა)ხლსა ყველა – წმიდისა პატიოსანი მეფეთ-მეფე თამარი.“***

**ვახუშტი ბატონიშვილი** გელათის მონასტერზე საუბრისას საგანგებოდ დასძენს: ***„ეკლესია ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა... აღაშენა აღმაშენებელმან დავით მეფემან და უწოდა სასუფეველს გენაათა და აწ უწოდებენ გელათს... ამას შინა დაფლულ არიან აღმაშენებელი, გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან, დავით და სხუანიცა. და აწინდელი მეფენი შემდგომად განყოფისა იფლვიან იმერთანი.“***

XIX საუკუნეშიც კი ქართული საზოგადოებისთვის თამარი გელათში განისვენებდა. **იოანე ბატონიშვილი** თავის „კალმასობაში“ მთავარ გმირს **იოანე ხელაშვილს** გელათის მონასტერში მიიყვანს, სადაც გაენათელი ეპისკოპოსის ბრძანებით ადგილობრივი დეკანოზი მას მონასტერს ათვალიერებინებს: ***„გენათელმა უბძანა დეკანოზს წარყვანება მისი და წარიყვანა ბერი იგი... და მერე აჩვენნეს საფლავნი მეფეთანი, და ამასთან – თამარ მეფისა და დავით აღმაშენებლისა.“***

XVIII-XIX საუკუნის პოეტი **პეტრე ლარაძეც** თამარის საფლავს გელათში უთითებს. გადმოცემით იგი თბილისში სამეფო ბიბლიოთეკის გამგე ყოფილა და საკმაოდ განსწავლულ პიროვნებად გვევლინება. ამდენად, მას უხდებოდა ისეთ საზოგადოებაში ყოფნა, სადაც შეუძლებელია არ ყოფილიყო მსჯელობა თამარის განსასვენებლის თაობაზე. ასევე ნიშანდობლივია, რომ პეტრე ლარაძე ახლდა **გიორგი ავალიშვილს,** როდესაც ეს უკანასკნელი გელათის მონასტერს ეწვია. ამიტომაც პ. ლარაძის ცნობა, რომ ***„დამარხეს გვამი მეფისა მის (თამარის) გელეთსა შინა“,*** ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია.

გიორგი ავალიშვილმა 1819-1820 წლებში მოილოცა პალესტინის წმიდა ადგილები. მან თავისი მოგზაურობა აღწერა საინტერესო ნაშრომში – *„მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე“*. გ. ავალიშვილი 6 ივლისს გავიდა თბილისიდან, 20 ივლისს კი მან მოინახულა გაენათელი ეპისკოპოსი და დაათვალიერა გელათის მონასტერი. აი რას წერს იგი: ***„მარცხენით კერძო შინაგან წმიდისა ტაძრისა ამის კედელსა ზედა იხილვებიან სახენი საქართველოს მეფეთა, დედუფალთა და ძეთა მათთა: დავით აღმაშენებლისა და სხვათა. იატაკი, ვითარცა საკურთხეველისა, ესრეთვე წინაშე კანკელისაცა არს დაფენილ თეთრისა ქვათა, ამას შინა არიან დაფლულ მეფენი: გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან დედუფალი, დავით, კვალად დავით და სხვანიცა, რომელთაცა სამარხვონი არღა უკვე იპოვნებიან ადრით ჟამითვე“.***

გელათში მოღვაწე სასულიერო პირთა შორის თამარის მონასტერში დასაფლავების ტრადიცია საკმაოდ მყარი იყო. ამიტომაც იქ მისულ მომლოცველებს საგანგებოდ აჩვენებდნენ თამარის საფლავად ცნობილ აკლდამას. სხვათაშორის, ეს ტრადიცია დღემდისაა მოღწეული. ზემოთ მოხმობილი წერილობითი წყაროებიდან დავინახეთ, რომ თამარის გელათში დაკრძალვის ფაქტი საყოველთაოდ მიღებული იყო XIX საუკუნემდე. ამას ერთგვარად ამყარებდა ისიც, რომ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთი მინაშენს, ხალხური ტრადიციით, თამარის ეკვდერს ეძახდნენ.

ამდენად, თანდათან იმ ადგილს მივადექით, სადაც ისტორიული ტრადიციით თამარის საფლავია საძიებელი.

1846-1847 წლებში **ა. მურავიოვმა** იმოგზაურა საქართველოსა და სომხეთში. იმერეთში ყოფნისას იგი მიტროპოლიტ **დავით წერეთელის** მიწვევით გელათის მონასტერს ეწვია და მისი სიწმინდეები მოილოცა. ა. მურავიოვი საკმაოდ დაწვრილებით აღგვიწერს გელათის მონასტერს და მის სიწმინდეებს. ავტორის მითითებით, ტაძრის გვერდითა, მარჯვენა შესასვლელი ანდრია პირველწოდებულის სახელზეა ნაკურთხი, ***„უჩვენებენ ერთ კონკრეტულ საფლავს“***, სადაც განისვენებს დიდი თამარ დედოფალი. ა. მურავიოვმა იცის, რომ ხალხური გადმოცემები თამარის საფლავს უთითებენ სვანეთში, ვარძიაში და ა. შ. ტაძრის დათვალიერების დროს მიტროპოლიტ დავით წერეთელს მისთვის უჩვენებია მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის ეკვდერი (ანუ თამარის სამარხად ცნობილი ნაგებობა) და მოუყოლია თამარის ხსენებასთან დაკავშირებით რა წესი სრულდებოდა საუკუნეების განმავლობაში. ა.მურავიოვი წერს: ***„დავით მიტროპოლიტი მარწმუნებდა, რომ სოლომონის მამის, ალექსანდრე მეფის, დრომდე ყოველწლიურად თამარ მეფის ხსენების დღეს ახდიდნენ მისის საფლავის ქვას და პანაშვიდს იხდიდნენ. ასეთი მყარი გადმოცემა რაღაცაზე უნდა ყოფილიყო დაფუძვნებული. ადვილი შესაძლებელია, ეს ჩვეულება შეწყდა იმდროიდან, როდესაც მეფე ალექსანდრემ იქ დაასაფლავა თავისი მეუღლე მარიამ დადიანი“.*** ამდენად, XIX საუკუნის 40-იან წლებში თამარის საფლავის ქვის ახდა და პანაშვიდის გადახდა უკვე აღარ ხდებოდა. სხვა ცნობით, ეს ტრადიცია XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისშიც ყოფილა. მ.ალავიძეს თავის სტატიაში – *„თამარ მეფის ეკვდერი გელათში,“* მოჰყავს მხარეთმცოდნე **პ. ჭაბუკიანის** მონათხრობი: *„გელათის მონასტერში ტრადიციად იყო რწმენა: თამარი აქ მარხიაო და ემსახურებოდნენ გარდაცვალებისა და დაბადების დღეს.*

*სამხრეთ-აღმოსავლეთი ეკვდერი წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელს ატარებდა თამარის გარდაცვალებამდე, თამარის გარდაცვალების შემდეგ კი – თამარის სახელს (რაკი თამარი წმინდანად ჩარიცხეს). ეს ეკლესია გარედან გელათის ტაძრის სხვა ეკვდერებთან შედარებით მდიდრულად არის მოჩუქურთმებული.*

*მონასტრის ბერებმა დოდო ჭიჭინაძემ, ეპიფანე გაბილაიამ, ეპიფანე ზაქარაშვილმა და სხვებმა 1910 წელს მიამბეს, რომ თამარის გარდაცვალების დღეს, ყოველწლიურად, გელათის მონასტრის გაუქმებამდე, თამარის საფლავზე (სამხრეთ კედელთან) პანაშვიდს ასრულებდნენ. საფლავს ახდიდნენ ქვას (სხვათა შორის, ფიქალს ერთი ნაპირი ჩამოტეხილი აქვს). აკლდამიდან ამოყრიდნენ სილას, ძვლებს დაანახვებდნენ ყველას, რათა გაექარწყლებინათ ლეგენდა – თამარი არ მომკვდარა, სადღაც გამოქვაბულში სძინავს, გაიღვიძებს და საქართველოს მტრისგან გამოიხსნისო... „თამარობას (თამარის დღეობის დღეს)“ – პირველ მაისს (ძვ. სტილით) მთელი საქართველო აღნიშნავდა. გელათში ამ დღეს იმართებოდა საერთო ზეიმი: გართობა, ცხენოსნობა, ბურთაობა, სიმღერა“.*





როგორც თამარის თანადროულ, ასევე შემდეგდროინდელ ისტორიკოსთა თუ მოგზაურთა ჩანაწერებიდან, კარგად ჩანს, რომ თამარის დასაფლავება საიდუმლოდ არ მომხდარა. საყვარელი მონარქი ხალხმა დაიტირა და გელათში დაკრძალა. თამარის საფლავის გაუჩინარების ისტორია მოგვიანო ხანებში უნდა შექმნილიყო.

*ნაწილი II*

1920 წელს **ექ.თაყაიშვილმა** საკმაოდ თამამი გადაწყვეტილება მიიღო. მან მთავრობისაგან გელათის ტაძარში გათხრების ჩატარების ნებართვა გამოითხოვა. იმავდროულად, ქუთაისში იგი შეხვდა ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტს **ნაზარის** და მისგანაც მიიღო თანხმობა. ეს იყო პირველი და ერთადერთი მცდელობა მოეძებნათ თამარ მეფის გასაიდუმლოებული აკლდამა. საერთოდ, წმიდა ექვთიმე რამდენჯერმე სტუმრობდა გელათის მონასტერს და მის არქივში ამის

▶

# საიდუმლოება

ამსახველი არაერთი ჩანაწერი არსებობს. მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ჩანაწერებისა დღემდე გამოუქვეყნებელია.

ექ. თაყაიშვილის არქივში, გელათისადმი მიძღვნილ მასალათა შორის, თვალში საცემია მისი შავი ჩანაწერი – *„გელათი, 1920 წ. 26 ივლისი. თამარის ეკვდერი."* შემდგომ გვერდზე ავტორს მიუწერია: ***„გელათი 1920 წელი. იმერეთის დედოფლის თამარის ეკვდერი. ეს საფლავი შემოწმებულია 1920 წელს."*** ამას მოჰყვება გაკრული ხელით ქართულად და რუსულად წარმოებული რამდენიმე გვერდიანი ჩანაწერი, რომელშიც აღწერილია ექ.თაყაიშვილის მიერ გელათში წარმოებული გათხრების დეტალები.

გელათში მასშტაბური გათხრების ჩატარების იდეა 1920 წლამდე **დ.ბაქრაძესაც** ჰქონია. **ს.ღოღობერიძე**, რომელმაც ფრანგულიდან თარგმნა და განმარტებები დაურთო **მარი ბროსეს** *„საქართველოს ისტორიას"*, სქოლიოში აღნიშნავს: ***„სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი საფლავი დიდის მეფის თამარისა. განსვენებული დ.ბაქრაძე იმ აზრის იყო, რომ თამარი გელათში უნდა ესვენოს, და კიდეც გამოითხოვა ნებართვა იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისაგან იმის სამარხის საძიებლად და იატაკის აღებას აპირებდა გელათში, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა და ვეღარ მოასწრო თავის სურვილის აღსრულება".*** ამის შემდეგ ეს იდეა თითქოს მიივიწყეს. 1920 წელს კი ექ. თაყაიშვილმა, იმერეთის სამღვდელოებასთან შეთანხმებით, გელათში, თამარის ეკვდერში ერთი საფლავი გახსნა.

ექვთიმესეულ ჩანაწერებში აღნიშნულია: ***„სასაფლაო, თამარისად წოდებული, დასავლეთ ჩრდილოეთის კუთხესთან არის ეგუტერისა და აქ დასავლეთის კედელს განჯინა აქვს განიერი. მეორე სასაფლაო არის სამხრეთ აღმოსავლეთის მხრით კედლის ძირში კანკელის მახლობლად.***

***კანკელი ეგუტრისა ხისაა, უბრალო; ეგუტერს შემოსავალი აქვს სამხრეთის კარის ბჭიდან. სარკმელი აქვს აღმოსავლეთით და საკურთხეველში და სამხრეთის კედელში.***

***სამხრეთის კარიბჭე უწინ მოხატული ყოფილა. დღეს კი გადარჩენილია ფრესკათა ფრაგმენტებიღა. მის მარჯვნივ თამარის ეკვდერია, მარცხნივ კი წმიდა მარინესი. თამარის ეკვდერის ოთკუთხედი ნაწილი 17,6 კვ.მ ფართობისაა. აღმოსავლეთით აქვს მას ნახევრადმორგვალებული საკურთხეველი (მისი გნია 3,8 მ, ხოლო სიღრმე ცენტრიდან 2მ.). აქვს სამი სარკმელი: ერთი აღმოსავლეთის ნახევრადმორგვალებულ კედელშია გამოჭრილი, ორიც სამხრეთის კედელში. მათგან შემოსული სინათლე მთელს ეკვდერს ანათებს და მზიან ამინდში ყველა ფრესკა კარგად მოჩანს. ახლა იქ აღარც კანკელია და აღარც სამლოცველო. ინვენტარიც იქიდან გატანილია."***

როგორც ამ ჩანაწერიდან ჩანს, „კომისიას" გაუხსნია ერთი საფლავი, ფრესკის ძირში მდებარე. ეს დასტურდება ექ.თაყაიშვილის მიერ ჩატარებული გათხრებისას წარმოებული შავი ჩანაწერების საფუძველზეც. მასში ვკითხულობთ: ***„ქვის ზომა თამარის საფლავისა: სიგრძე 1 მეტრი და 86 სანტიმეტრი. კედლიდან მეორე საფლავის ქვის ზომა: სიგრძე 1 მეტრი (და) 90 სანტ., განი 96 სანტ.***

***გავხსენით საფლავი!***

***კედლები საფლავისა ამოშენებულია გათლილის ქვებით..."***

ამას მოსდევს ამოსვენებული ძვლების დეტალური აღწერა. მეორე საფლავის გახსნაზე ექვთიმეს ჩანაწერებში არაფერია ნათქვამი.

ამდენად, ექვთიმემ თამარის ეკვდერში ნახა ერთი აკლდამა, რომელშიც ოთხი მიცვალებული აღმოჩნდა. ამის შემდეგ მან მუშაობა შეწყვიტა. ექვთიმეს არ გაუთხრია თამარის ეკვდერში მოთავსებული სხვა საფლავები. რამდენად მართალია ის ვერსია, რომ, თითქოს, სამღვდელოებამ მას ცილი დასწამა, გელათის საფლავებში ოქროს ეძებსო, ამის გადამოწმება დღეისათვის ძნელია. პირადად ჩვენ, გელათში, თამარის აკლდამის შესწავლისას, გვიამბეს, რომ მუშაობისასა, შესვენების ჟამს, იქ მყოფთ წაუკითხავთY გელათის ჩრდილოეთ მინაშენის კარიბჭეში დაკრძალული **ზაქარია ქვარიანის** საფლავის ქვაზე გაკეთებული წარწერა: ***„ქ. ღმერთო შეიწყალე კათალიკოზი ზაქარია. ესე საფლავი ჩემი არის და ვინცა ეს ჩემს უკან გახსნას, შეჩვენებულ იყოს..."*** ამ წყევლა-კრულვის გამო მუშებს შეშინებიათ და თამარის ეკვდერში გათხრები შეუწყვეტიათ. სამწუხაროდ, ამ გადმოცემის სისწორეც ვერ გადავამოწმეთ. ფაქტი ერთია, დიდი სამზადისის მიუხედავად, რაღაც დღემდის დაუდგენელ მიზეზთა გამო, ექ.თაყაიშვილმა გელათში გათხრები შეწყვიტა. Yთამარის საფლავის საიდუმლო კვლავ ამოუხსნელი დარჩა.

თამარის საფლავის ძიება მკვლევარს ორი კარდინალურად განსხვავებულ მოსაზრებამდე მიიყვანს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ორივეს არსებობის უფლება აქვს. ქართველთა თაობები საუბრობენ, ეძებენ თავისი სათაყვანებელი მეფე-ქალის საფლავს, მაგრამ... უნდა ვაღიაროთ, რომ კონკრეტული ნაბიჯი მხოლოდ ერთხელ გადაიდგა ექ.თაყაიშვილის მიერ, – მანაც, სამწუხაროდ, საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. ვიდრე თამარის საფლავის გასაიდუმლოების ვერსიას მივიღებდეთ, ჯერ, ბუნებრივია, თავად საფლავის მოძიების საქმეში კონკრეტული ნაბიჯი უნდა გადავდგათ. ამისათვის კი საჭიროა არქეოლოგიური გათხრების წარმოება გელათში.

ჩვენს წინაა ორი ვარაუდი: ერთის მიხედვით – თამარი დასაფლავებულია გელათის მონასტრის მთავარ ტაძარში, ან თავისავე სახელობის ეკვდერში, ანარადა, წმინდანად შერაცხვის შემდეგ, მისი ნაწილები საკურთხეველში გადააბრძანეს.

მეორე აზრით კი, – თამარი მართლაც იყო დასაფლავებული ღვთისმშობლის ეკლესიის სამხრეთ მინაშენში, მაგრამ, მტრის შემოსევის შიშით, ის იქიდან გადაასვენეს ფარულად.

თამარის საფლავის ძიებისას, არსებულ მასალას გელათის მონასტრამდე მივყავართ. ასე რომ, ამჟამად ერთი რამ ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ თამარი გელათშია დასაფლავებული და მისი აკლდამაც აქაა საძიებელი.

### ჰიპოთეზა პირველი

თამარის გელათში დასაფლავების ფაქტს დიდი ტრადიცია აქვს. ყველა საისტორიო წყარო, თამარის თანამედროვე თუ შედარებით გვიანდელი, ხაზგასმით უთითებენ, რომ სახელოვანი ქართველი მონარქის აკლდამა გელათის მონასტერშია, თავისი დიდი წინაპრების გვერდით. ამასთანავე, გვიანდელ წყაროებში არსადაა აღნიშნული თამარის გელათიდან გადასვენების ფაქტი. საკითხავია, ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენა როგორ ამოიშალა ერთთავად ქართველთა ისტორიული მეხსიერებიდან?

კონკრეტულად სად შეიძლება თამარის საფლავის ძიება გელათში?

ასეთად დაახლოებით სამი ადგილი შეიძლება გამოვყოთ:

**პირველი:** *ტაძრის სამხრეთ მინაშენში ე.წ., თამარის ეკვდერში.* **მეორე:** *გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის საკურთხეველში და*, **მესამე** – *ამბიონის წინ.*

ტაძრის სამხრეთ მინაშენი, ე. წ. თამარის ეკვდერი:

გელათში, თამარის ტაძრის სამხრეთ მინაშენში, ე.წ. თამარის ეკვდერში, დასაფლავების ტრადიცია იმდენად მტკიცეა, რომ მისი უგულვებელყოფა შეუძლებელია. თამარის ცხედარს, მცხეთიდან გადმოსვენების შემდეგ, საუკუნე განსასვენებელს ამ ეკვდერში მიუჩენდნენ. ამჟამად, ეკვდერში ორი საფლავია. შამწუხაროდ, ორივეზე წარწერები გადაშლილია. არსებობს ვარაუდი, რომ ეკვდერში მესამე საფლავიც არსებობდა. მისი კვალი დღეისათვის არ იძებნება. მართალია ექ. თაყაიშვილმა ეკვდერში აწარმოა გათხრები, მაგრამ, როგორც აღინიშნა, მან მხოლოდ ერთი საფლავი გათხარა. მეორე საფლავისთვის მას ხელი არ უხლია. ეს იყო და ეს. კომპლექსური არქეოლოგიური გათხრები მას თამარის ეკვდერში არ უწარმოებია, ამის არც სახსრები და არც სხვა საშუალება იმ ხანად არ იყო. ამ მიმართულებით სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. საჭიროა ეკვდერის გულდასმითი შესწავლა, არა მარტო საფლავების ნახვა, არამედ, ეკვდერის საკურთხევლის, მისი ტრაპეზის ადგილის დათვალიერება. პირადად ჩვენ, ნაკლებ სავარაუდოდ მიგვაჩნია ეკვდერში არსებულ მეორე საფლავში თამარის წმიდა ნაწილების არსებობა. ეს აკლდამა **დავით ნარინის** და მისი ოჯახისა უნდა იყოს.

XVIII საუკუნის 30-იან წლებში თამარის საფლავად მიჩნეული აკლდამა უკვე ცარიელი იყო. სავარაუდოა, რომ თამარ მეფე მანამდე უნდა გადაესვენებინათ.





თამარის ეკვდერი

### გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის საკურთხეველი

იმ შემთხვევაში, თუ თამარის საფლავი მისავე სახელობის ეკვდერში არ არის, მაშინ იბადება კითხვა, სად უნდა ვეძიოთ სახელოვანი მეფე-ქალის აკლდამა? მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წმიდანად შერაცხის შემდეგ თამარი უნდა გადაესვენებინათ, დიდი ხანია მუსირებს ქართველ მეცნიერთა შორის. მართალია მას მოწინააღმდეგეებიც ყავს, მაგრამ, ვფიქრობთ, დღეისათვის, თამარის საფლავის ძიებისას, ეს არის ერთადერთი ლოგიკური ვარაუდი. წმიდა ნაწილების საკურთხეველში გადაბრძანების ტრადიცია უცხო არ იყო საქართველოში. პირადად ჩვენ ამ მოსაზრებას უფრო ვემხრობით. საკურთხეველშივე უნდა იყოს დავით აღმაშენებლის ნეშტიც გადასვენებული. XX საუკუნის დასაწყისში, გადაუმოწმებელი ინფორმაციით, დავითის აკლდამაც გაიხსნა, თუმცაღა, იგი ცარიელი აღმოჩნდა. დავით IV-აღმაშენებლის წმიდა ნაწილებიც გელათის მთავარი ტაძრის საკურთხეველშია საძიებელი.

**ა.მურავიოვი**, თავის გელათში მოგზაურობის აღწერისას, ამ საკითხსაც შეეხო. იგი დავით IV-ის ტაძარში, საკურთხეველში, საიდუმლო ადგილას გადასვენების დროსაც კი აკონკრეტებს: ეს სოლომონ I-ის მეფობისას განხორციელდა *„რათა გადაერჩინა ისინი ლეკების თავდასხმისაგანო."*

გადასვენების ფაქტს ადასტურებს **მ.საბინინიც:** *„რაოდენსამე დროსა, ოდეს წმიდა ეკლესიამ შერაცხა დავით მეფე წმიდათა შორის, დიდის მოწიწებით იქმნა აღმოსვენებულ წმიდა ნაწილნი მისნი და დაკრძალულ განათის საკრებულო ეკლესიის ტრაპაზის ქვეშო."* ეკლესიას შესაძლებელია იგივე გაეკეთებინა თამარ მეფის წმინდანად შერაცხვის შემთხვევაშიც (ჩვენ სხვა ვარაუდსაც ვუშვებთ, თუ როდის შეიძლება მომხდარიყო თამარის საკურთხეველში გადასვენება).

### გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძრის დარბაზი

ქართველ მეფეთა აკლდამები ძირითადად ტაძრის დარბაზშია საძიებელი, ამბიონის წინ. გელათთან ერთად საქართველოს მეფეთა საძვალედ ითვლებოდა სვეტიცხოველიც. ვახტანგ გორგასალი, ერეკლე II, გიორგი XII და სხვა მონარქები სწორედ ამბიონის წინ არიან დასაფლავებულნი. შეიძლება აქ თამარის საფლავი ნაკლებ სავარაუდოა, მაგრამ დაახ. 23 ქართველი მეფიდან დიდი ნაწილის საფლავები ტაძრის მთავარ დარბაზშია საძიებელი. ვარაუდის სახით შეიძლება დავუშვათ, რომ აქვე იყო დაკრძალული ან, არადა, გადმოსვენებული თამარიც (რაც ნაკლებ დასაჯერებელია).

### ჰიპოთეზა მეორე

ყველა ხალხურ გადმოცემაში თამარის საფლავი საგულდაგულოდაა დამალული. ბუნებრივია, თამარის ნეშტის საიდუმლოდ დასაფლავების ისტორიასაც აქვს არსებობის უფლება. მსოფლიო ისტორიაში ცნობილია მონარქთა საიდუმლოდ დასაფლავების არაერთი ლეგენდა. ჰუნების მრისხანე მბრძანებელი **ატილა** საკუთარი ქორწილის ღამეს გარდაიცვალა. მისი ცხედარი საგანგებო კარავში დაასვენეს და რამდენიმე დღე გლოვობდენ, შემდეგ, ღამით, ჩაასვენეს სამ კუბოში (ოქროს კუბო ჩადეს ვერცხლისაში, ეს კი უბრალო ლითონისაგან გაკეთებულში ჩაასვენეს) და ფარულად დამარხეს. ამ პროცესიის მონაწილე მსახურები ყველა დახოცეს, რომ ამიერიდან ატილას საფლავი არავის მოეძებნა. მეორე დიდი დამპყრობლის **ჩინგიზ-ხანის** საფლავიც საგანგებოდ გადამალეს. სიკვდილის შემდეგ მონღოლთა იმპერიის დამაარსებელი მისსავე არჩეულ ადგილას წაასვენეს. ლეგენდის მიხედვით, გზაში, ვინც კი ხვდებოდათ, ყველას კლავდნენ. დღეისათვის, მონღოლები ჩინგიზ-ხანის დასაფლავების მხოლოდ სავარაუდო ადგილს უთითებენ. თამარის საფლავის გადამალვის ანალოგიური ლეგენდაა დაცული სერბულ ეპოსშიც. XIV ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა ცნობილი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე **მარკო კრალევიჩი**. იგი საკმაოდ პოპულარული იყო სერბეთში, იბრძოდა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის თურქთა ბატონობის წინააღმდეგ. გარდაცვალების შემდეგ კი მის საფლავს ნიშანი არ გაუკეთეს, რათა მტერს არ ეპოვა. ანალოგიური მოტივი დამახასიათებელია, როგორც ევროპის, ასევე აზიის ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში.

ბუნებრივია, მკითხველი იკითხავს, მართალია თამარის საიდუმლოდ დასაფლავება ლეგენდაა, მაგრამ ეს თქმულებები თავისდაუნებურად ხომ არ წარმოიშვა? ნუთუ მათ არავითარი საფუძველი არ ჰქონდათ?

როგორც ზემოთ ითქვა, ეს გადმოცემები შეუძლებელია თამარის გარდაცვალების ახლო ხანებში გაჩენილიყო. იმხანად საქართველო იმდენად ძლიერი იყო პოლიტიკურად, რომ ქვეყანაში არავის არ უნდა ჰქონოდა სათაყვანებელი მეფის საფლავის შეურაცხყოფის შიში. სხვათაშორის, ვერც ხვარაზმელებმა და ვერც მონღოლებმა ვერ მოახერხეს დასავლეთ საქართველოში გადასვლა და გელათის აოხრება. თამარის გარდაცვალებიდან დაახლოებით სამი საუკუნე გელათს მტრის თავდასხმა და აოხრება არ უნახავს. როგორც ზემოთ დავინახეთ, თამარის თანამედროვე ისტორიკოსები კი არ ასაიდუმლოებენ მეფის დასაფლავების ადგილს, არამედ, ხაზგასმით უთითებენ, რომ მეფე-ქალი გელათშია დაკრძალულიო. ამ თემაზე შექმნილ ლეგენდებში თვალშისაცემია ისიც, რომ უცხო დამპყრობელი თამარის საფლავის შეურაცხყოფას ლამობს და, სწორედ ამიტომაც, მას ბერები თუ მესაფლავეები საგულდაგულოდ მალავენ. ამასთანავე, თქმულებებისა და ლეგენდების სიუჟეტში თამარის მოწინააღმდეგედ გამოყვანილია ის პირები, რომლებიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ცხოვრობდნენ. შაჰ-აბასი; სტამბოლის ხონთქარი; ოსმალოს დიდი ფაშა და სხვა. ქართველ მეცნიერთა სრულიად სამართლიანი მინიშნებით, ამ გადმოცემებში გვიანდელი მოტივები იკითხება.

ყოველივე ეს გასაგებია. მაგრამ ხომ შეიძლება სადღაც იმალებოდეს სიმართლის მარცვალი. ჩვენი ვალია ყველა არსებულ კითხვას გავცეთ პასუხი, მით უმეტეს, რომ თამარის საიდუმლოდ დასაფლავების ლეგენდა ხალხში ყველაზე პოპულარულია. შეიძლება თუ არა რაღაც ახსნა მოვუძებნოთ ამ გადმოცემებს? მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, თუ შეიტყობს, რომ ამ კითხვაზე შეიძლება დადებითი პასუხი მიიღოს. ერთია, ჩვენ ვეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას და, მეორე, აქვს თუ არა მას არსებობის უფლება? ასეთი მსჯავრი მკითხველს უნდა მივანდოთ.

1509 წლის ახლო ხანებში ***„ქუთაისს თათარნი მოვიდნენ"***. მათ მოარბიეს ქალაქი და გეზი გელათისაკენ აიღეს. მემატიანეს თქმით, ***„დაწვეს დიდი მონასტერი გელათისა შიგნით და გარეთ..."*** თურქებმა ისე გაანადგურეს მონასტერი რომ, მოგვიანებით, იმერეთის მეფეს, ბაგრატ III-ს, დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რათა კვლავ აღედგინა მტრისაგან შემუსვრილი გელათი. ქართული წყაროები **ბაგრატს** ამის გამო გელათის ***„მეორედ მაშენებელს"*** უწოდებს. მისი ოჯახის ფრესკა კი დავით აღმაშენებლის გვერდითა გამოსახული. გელათი და მისი მიდამოები თუ დაგითვალიერებიათ, ადვილად შემჩნევთ, თუ რა ლამაზად მოსჩანს ქუთაისი, უქიმერიონის მთა და მასზე აღმართული ბაგრატის ტაძარი და სამეფო სასახლე. საოცარი სანახავია ეს პეიზაჟი, განსაკუთრებით მწუხრისასა, როდესაც წამიერად იცვლება ფერთა გამა. ისტორიკოსები ყოველთვის ცდილობენ წარმოსახვით აღადგინონ გარდასული მოვლენები, იქონიონ დიალოგი წარსულთან. გააცოცხლონ გმირები და მათი რეალური გარემო. ხშირად ეს ხერხდება. არის შემთხვევები, როდესაც ასეთი მცდელობები წარუმატებელია. ამჯერადაც შევეცდებით წამიერად წარმოვიდგინოთ ის ავბედითი დღეები, როდესაც ქუთაისს თურქ-ოსმალთა ლაშქარი შემოეწყო. გელათის მონასტრის ბერები, ფაქტობრივად, შორიდან უყურებდნენ ამ ტრაგედიას. აქა-იქ, ქალაქის თავზე, კვამლი ავარდა. შემდეგ, სამეფო სასახლეში იფეთქა ხანძარმა. საუკუნეების მანძილზე მტრისაგან შეუვალი ქუთაისი იწვოდა. გელათიდან ყოველივე ეს ხელის გულზე ჩანდა. ყველამ კარგად იცოდა, მტერი დღეს თუ ხვალ მონასტერსაც მოადგებოდა. გელათში ერთბაშად ყველაფერი აირია. ბერები ხატებს, სიწმინდეებს მალავდნენ. ასეთ ვითარებაში რა ბედი შეიძლება სწვეოდა ორი წმინდა მეფის – დავით აღმაშენებლისა და თამარის წმიდა ნაწილებს?! ვფიქრობთ, პასუხი ძნელი არ უნდა იყოს. – ისინი, სხვა სიწმინდეებთან ერთად, უნდა გადაემალათ. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში ბერები შორეულ მოგზაურობას არ დაიწყებდნენ. წმინდა მეფეთა ნაწილები, საიდუმლოდ, იქვე, მონასტრის მიდამოებში უნდა დაეფლათ. არაა გამორიცხული, სწორედ ამან შეუწყო ხელი თამარის საიდუმლოდ დასაფლავების ვერსიის წარმოშობას. გავიხსენოთ ამ ციკლის ერთ-ერთი გადმოცემა: ***„თამარი და დავითი გელათს ასაფლავიან... თამარი რომ მომკვდარა, ოსმალების შიში ქონია ხალხს და მისის დასაფლავება ერთ წმინდა ბერს მიანდვეს. რომ დაუსაფლავებია თამარი, თავი მოუკლავს ამ ბერს. რომ მოვბრუნდები, შინ მაინც მათქმევინებენ ამასო და ისევ საკუთარი ხელით თავი მოვიკლა, ჯობია, დროზეო."***

ის, რაც ზემოთ ითქვა, არც სადმეა აღწერილი და არც საიდუმლო წიგნებიდანაა ამოკითხული. ესეც მცდელობაა ლეგენდის გაცოცხლებისა, მაგრამ წერტილი აქ არ უნდა დაისვას. ამ ლეგენდასაც აქვს დასასრული. თურქ-ოსმალთა ქარიშხლის გადავლის შემდეგ, ბერებმა სათაყვანებელ ქართველ მეფეთა წმიდა ნაწილები კვლავ მონასტერში დააბრუნეს, მაგრამ მათი ძველ აკლდამებში ჩასვენება მაინც საშიში იყო და ისინი მთავარი ტაძრის საკურთხეველში დამარხეს, საიდუმლოდ. ბუნებრივია, ესეც ჩვენს წარმოსახვაში გაცოცხლებული ლეგენდის გაგრძელებაა. ამდენად, რეალურ ისტორიულ ფაქტებს თუ აღდგენილ ლეგენდებს მაინც მივყავართ იქითკენ, რომ თამარის წმიდა ნაწილები ვეძიოთ გელათის ღვთისმშობლის შობის ტაძარში.

# ეპიზოდი მეფეთ-მეფე თამარის მოღვაწეობიდან

მეთორმეტე საუკუნის მიწურულში, ჩვენი ქვეყნის უპირველესი თანამდებობრივი სავარძელი, უფლისაგან უმაღლესი სიბრძნით დაჯილდოებულმა თექვსმეტი წლის თამარმა დაიკავა.

ეს მოხდა 1178 წელს, მაშინ, როდესაც სახელოვანმა მეფე გიორგი მესამემ საკუთარი შვილი – თამარი ტახტის თანამოზიარედ აკურთხა.

გავიდა ექვსი წელი და 1184 წლის მარტის დასასრულს დიდი მეფე გიორგი მესამე გარდაიცვალა.

იმ მომენტისათვის დამახასიათებელი რთული მდგომარეობის სათავისოდ გამოსაყენებლად და ქვეყანაში შინააშლილობის გამოსაწვევად, მეფის მიერ დამარცხებულმა, სამართლიანად დასჯილმა დიდგვაროვნებმა თამარის ტახტის მემკვიდრეობის სამართლიანობის საკითხი სადავოდ აქციეს.

სწორედ ამიტომ, ქვეყნის ერთგულმა და სახელმწიფოს სათავეებში მოღვაწე პიროვნებებმა, საქართველოს სამეფო ტახტზე თამარი სასწრაფოდ, განმეორებით აკურთხეს.

კურთხევის რიტუალი ლიხთიმერელმა წარჩინებულებმა და საეკლესიო მოღვაწეებმა: ქუთათელმა ეპისკოპოსმა **ანტონმა** და რაჭათაკვერის ერისთავმა **კახაბერმა** აღასრულეს. ამ უკანასკნელმა კი თამარს ჯარის მთავარსარდლობის და სამეფოს უზენაესი წინამძღოლობის დასტურად, ხმალიც შემოარტყა წელზე.

იმ უმაღლეს სახელმწიფოებრივ-სარწმუნოებრივი ცერემონიალის აღსრულებას, სავარაუდოდ, ალბათ, საქართველოს მაშინდელი პატრიარქი – **მიქაელ მეოთხეც** ესწრებოდა. ის ქართულ დედაეკლესიას 1178–1187 წლებში ედგა სათავეში.

წმინდა მეფე თამარი განსაკუთრებული მოკრძალებითა და სიყვარულით იღვწოდა ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეკლესიის გასაძლიერებლად, ყოველ საშუალებას იყენებდა ღვთისმსახურების და მრევლის დასაახლოებლად.

კეთილმსახურმა მეფემ შესძლო და იერუსალიმიდან საქართველოში ეკლესიური მსახურებისათვის დააბრუნა მცხეთის ყოფილი კათოლიკოსი – **ნიკოლოზი,** რომელიც პატიოსნებით, ნიჭიერებითა და ცოდნით სახელგანთქმული პიროვნება ბრძანდებოდა. მასთან ერთად, საქართველოში ჩამობრძანდა კიდევ სხვა მრავალი წმინდა და იმ პერიოდისათვის განათლებული თვალსაჩინო მოღვაწე.

თამარმა ამის შემდგომ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელსაც სწორედ ეს ჭეშმარიტი მღვდელმსახური **ნიკოლოზი** თავმჯდომარეობდა.

კრებას ესწრებოდა ჩვენი დედასამშობლოს თითქმის ყველა ცნობილი ეპისკოპოსი, **მონაზონი,** მეუდაბნოე და საღმრთო რჯულში ღრმად განსწავლული ადამიანი, მემატიანეს თქმით: „ყოველნი სამეფოსა თვისისა მღვდელთ-მოძღვარნი“.

მემატიანე **ბასილი** ეზოსმოძღვარის ღრმა რწმენით, დიდმა თამარ მეფემ, სწორედ საეკლესიო კრების ჩატარებით „იწყო აღლესვად ორპირისა მახვილისა მოსარეველად თესლთა ბოროტთა“.

ბასილი ეზოსმოძღვარი „ქართლის ცხოვრება“-ში გადმოგვცემს თამარის განსაკუთრებულ ღვაწლს რჯულისა და რწმენის განმტკიცების საქმეში და საუბრობს მეფის პიროვნულად საოცარ მსგავსებაზე ბიზანტიის პირველი უდიდესი ქრისტიანი იმპერატორის – **კონსტანტინესადმი** (ყველამ ვიცით, რომ ეს უბრწყინვალესი პიროვნება დიდი წმინდა ელენეს შვილი ბრძანდებოდა), რომლის ინიციატივით გაიმართა ეკლესიის პირველი მსოფლიო კრება 325 წელს ნიკეაში. სწორედ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, ანუ უმაღლესი ქრისტიანული სამღვდელოების კრებაზე წყდება უმნიშვნელოვანესი საეკლესიო საკითხები, აწესებენ სარწმუნოებისა და კულტის ნორმებს, ასწორებენ ან ადგენენ ახალ წესებს, აფასებენ ან უარყოფენ სხვადასხვა კონცეფციებს, განსაზღვრავენ ერესებთან ბრძოლის მეთოდებს, ამტკიცებენ დოგმებს და იღებენ ეკლესიის გაძლიერების ღონისძიებებს.

სიტყვამ მოიტანა და აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ჩვენი ერისთვის ნამდვილად საამაყოა ნიკეას პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ბიჭვინთელი და ტრაპენზუტელი ქართველი ეპისკოპოსების: **სტრატოფილესა და დომნეს,** იგივე **დომნუსის** მონაწილეობა.

ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის ბრწყინვალე ტრადიცია, შემდგომ საეკლესიო კრებებზეც შენარჩუნდა და, როგორც კანონწესი, მის მუშაობაში მონაწილეობას ჩვენი სამშობლოდან ერთი წარმომადგენელი მაინც იღებდა.

**ბასილი ეზოსმოძღვარი** თავის უკვდავ თხზულებაში თამარ მეფეს **„მეორე კონსტანტინესაც“** კი უწოდებს.

დიდი ივანე ჯავახიშვილის მტკიცებით, საეკლესიო კრების გამართვის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მაშინდელი ქართლის პატრიარქის – **მიქაელის** განთავისუფლება, რადგან სხვადასხვა გზით მას მითვისებული ჰქონდა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი თანამდებობა (კათოლიკოსობა, ჭყონდიდელობა, მწიგნობართუხუცესობა, მაწყვერელობა), რაც სახელმწიფოს მართვის სისტემაში ქმნიდა უამრავ დაბრკოლებას, რაზედაც, უფრო





დაწვრილებით ტექსტის მომდევნო ნაწილში ვისაუბრებთ.

ქართული საეკლესიო კრების მიმდინარეობისას, კეთილმსახური მეფე თამარი ტახტზე არ დაბრძანებულა, ვინაიდან, ასე რომ მოქცეულიყო, წესის მიხედვით, მისგან მარჯვენა მხარეს უნდა დამჯდარიყო ქართლის კათოლიკოსი – მიქაელი, ვისაც *„საეკლესიო წესის დარღვევით ჰქონდა ჭყონდიდელობა მიტაცებული. ესეც არ უკმარნია, მწიგნობართუხუცესობა და მაწყვერელობაც მიუტაცია.*

*მაწყვერელი ეპისკოპოსი უნდა დამჯდარიყო ქართლის კათოლიკოსის ქვემოთ, იგი ერთ-ერთ უმთავრეს, საპატიო, სამეფო კარზე დიდი გავლენის მქონე კათედრას წარმოადგენდა. ხოლო, რაც შეეხებოდა ჭყონდიდელს, იგი მეფის მარცხნივ უნდა დამჯდარიყო. „სამეფო წესით“ თამარის დაჯდომის შემთხვევაში, „განგება დარბაზობის“ წესი სრულად ვერც შესრულდებოდა, მეფის მარჯვენა, მარცხენა და სხვა მთავარი ადგილები ერთ კაცს ჰქონდა მიტაცებული. ეს ყველა დამსწრე ეპისკოპოსისათვის თვალსაჩინო იყო...“*

იმხანად, ამირსპასალარ **ყუბასარის** სერიოზულად ავად გახდომის გამო, მიქაელის ისედაც დიდ ძალაუფლებას (ჭყონდიდელ - მწიგნობართუხუცესობას), ემატებოდა ქვეყნის ლაშქრის, სპის განმგებლობაც. როგორც ირკვევა, დიდგვაროვანთა სურვილით ყუბასარი ჩამოშორებულ იქნა ამირსპასალარობას. მის ნაცვლად სხვა პიროვნების აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ, რასაკვირველია, მიქაელის ძალაუფლება მნიშვნელოვნად შესუსტდა.

საფიქრებელია, რომ კრებაზე მიბრძანებულმა მეფე თამარმა სწორედ ამიტომაც მიმართა იქ მყოფთ სიტყვებით, რომელიც დაახლოებით საუკუნის წინ, საქართველოს დიდი კათოლიკოს-პატრიარქის, ეპისკოპოს **ლეონიდეს** გადმოცემით, ასეთი შინაარსის გახლდათ:

*„წმინდაო მამანო, თქვენ დადგენილი ხართ ღვთისაგან მოძღვრებად და გამგებლებად ეკლესიისა, თქვენ მოგთხოვთ ღმერთი პასუხისგებას ჩვენი ცხონების შესახებ. მიაქციეთ მკაცრი ყურადღება ქრისტეანთა ცხოვრებას, კეთილი მხარე ამ ცხოვრებისა განამტკიცეთ, ხოლო რაც უგვანო და ბოროტი რამაა მასში, უსათუოდ მოსპეთ, მოჰკვეთეთ და სასტიკად აკრძალეთ დადგენილებით. გასწორება იწყეთ ჩემითგან, რადგანაც სიდიდეს ვატარებ მეფობისათვის და არა ღვთის საგმობლად, ნუ მოერიდებით მთავრებს მათი დიდკაცობის გამოისობით და ნურც უბრალო პირებს შეურაცხყოფთ მისთვის, რომ იგინი უბრალონი არიან. თქვენ კეთილი დადგენილებანი მოახდინეთ, და მე მათი შესრულებით დაგეხმარებით, თქვენ სწავლა მოგვეცით, და მე თქვენ სწავლას შევითვისებ და სხვებსაც შევათვისებ, თქვენ მაგალითი დაგვიყენეთ წინ, და მის განხორციელებას მე ვიდებ თავს. ორივე მხარემ ხელი ხელს მივცეთ სარწმუნოების დაცვაში, რომ არ ჩავცვივდეთ ღვთის პასუხისგებაში თქვენ. როგორც მღვდლები, მე, როგორც მეფე, თქვენ, როგორც უმფროსი გამგენი, მე, როგორც უბრალო დარაჯი“.*

პირობისამებრ, დავუბრუნდეთ წერილის წინა ნაწილში წამოჭრილ თემას, – თუ რას ნიშნავდა ქართლის კათოლიკოსის მიერ მწიგნობართუხუცესობისა და ჭყონდიდელობის მითვისება.

ივანე ჯავახიშვილის რწმენით, კათოლიკოს მიქაელის სურვილსა და გეგმას, მის თანამზრახველთა ჯგუფთან ერთად, უდავოდ პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა და სახელმწიფოში ხელისუფლების ხელში ჩაგდების საბოლოო მიზანს წარმოადგენდა.

ვინაიდან, ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელის ძალაუფლებას, თანდართული ვაზირთა შორის უპირველესობის ტიტული, აგრეთვე მწიგნობართუხუცესის თანამდებობა, რომელიც „მეფის მამად“ მიიჩნეოდა და მის გარეშე მეფეს სახელმწიფო სამართალი ერთპიროვნული გადაწყვეტილების გატარების უფლებამოსილებას უზღუდავდა, ფაქტიურად, მიქაელს მექანიკურად თვით უპირველეს ხელისუფალზე მეტ ძალას ანიჭებდა ქვეყანაში.

იმის გათვალისწინებით, რომ უმაღლეს ხელისუფალს პრაქტიკულად ეკლესიურ საქმიანობაში ჩარევის ნება არ ჰქონდა, ხოლო მიქაელი *„ორისავე საერო–სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლების მქონებელი და გამაერთიანებელი იყო, რადგანაც კათალიკოზი იყო, ეს გარემოება სახელმწიფოსა და საერო ცხოვრებაში აუცილებლად ეკლესიის გაბატონებას მოასწავებდა. ეს საისტორიო მეცნიერებაში წოდებულ ცეზაროპაპიზმს უდრიდა და რომის ეკლესიის უფლებრივ შემეცნებას მიემსგავსებოდა... ეკლესიის მესვეურთ პოლიტიკური უპირატესობის ხელში ჩაგდებაც უცდიათ და მოუხერხებიათ კიდეც“.*

საგანგებოდ მოწვეულმა კრებამ განიხილა და მიიჩნია, რომ კათოლიკოსის მოქმედება საეკლესიო ნორმა-კანონებს ზოგ შემთხვევაში არღვევდა, მაგრამ *„მიქაელი ვერა განაყენეს“*, თუმცა ბევრს ეცადნენ, ხოლო *„სხვანი ვინმე ეპისკოპოსნი შეიცვალნეს და მათ წილ საღმრთონი კაცნი დასხნეს და სხვანი საეკლესიონი წესნი განმართნეს უდებთა მიერ დახსნილნი“.*

ისე კი, მართალია, ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდეგ, საეკლესიო კრების მონაწილეებმა კათოლიკოსის საქმიანობაში გარკვეული სახის დარღვევები მაინც აღმოაჩინეს, მაგრამ სერიოზული მნიშვნელობის დანაშაულად არ მიიჩნიეს და შესაძლებლად ჩათვალეს გაეგრძელებინა მუშაობა.

სწორედ ამიტომ, საეკლესიო თავყრილობამ თამარსა და მის მთავრობას მიქაელის კათოლიკოსობიდან განთავისუფლებაზე თანხმობა არ მისცა. ასე რომ, მეფისა და საზოგადოებისათვის არასასურველ კათოლიკოს **მიქაელ მირიანის ძის** გადაყენება ვერ მოხერხდა. მიქაელს სიცოცხლის ბოლომდე შეუნარჩუნდა მწიგნობართუხუცესობა-ჭყონდიდელობაც.

მიქაელი საეკლესიო კრების გამართვიდან მალე გარდაიცვალა.

თამარმა მოწინააღმდეგე მიქაელის წუთისოფლიდან გასვლისთანავე გააზრებულად და მშვიდად განახორციელა ახალ ვეზირთა თანამდებობებზე დანიშვნა. მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელად და ვეზირად დაამტკიცეს **ანტონი,** ხოლო **თევდორე მეორე** – კათოლიკოს-პატრიარქად *(თევდორე II ეკლესიის უმაღლესი პირის თანამდებობაზე დაახლოებით თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის მანძილზე მოღვაწეობდა. შემდგომ ის ბასილი მეოთხემ შეცვალა 1204 წელს).*

ქვეყანა აღმშენებლობამ მოიცვა, რასაც, მოკლე პერიოდში, სახელმწიფოს სრულიად დამშვიდება მოჰყვა.

თამარი ეკლესია-მონასტრებს მხოლოდ საქართველოში როდი აგებდა: მან მრავალი დანგრეული ღვთის სახლი აღადგინა საბერძნეთსა და იერუსალიმში. იმავე ადგილებში ახალი სალოცავებიც ააგო და ბევრი მონასტერი გაანთავისუფლა ურჯულოებისათვის ხარკის გადახდისაგან.

**ბასილი ეზოსმოძღვარი** „ქართლის ცხოვრება“-ში გვამცნობს, რომ მხოლოდ ყოვლივეს მმართველ-ყოვლადუზენაეს ღმერთს შეუძლია თამარ მეფის მიერ სამშობლოსათვის გაწეული ყველა წარმატებული საქმის აღწერა, მათ შორის, ეკლესიის გაძლიერებისა და, როგორც ვერავინ შესძლო ადამიანის თავზე თმის ღერის ზუსტი რაოდენობის დადგენა, ასევე კაცთაგან არავის შესწევს ძალა იმ უდიდეს ნაღვაწთა სრულად გადმოცემისა, რომელიც უწმინდესმა თამარ მეფემ გასწია.

ამიტომაც წარმოსთქვა საქართველოს დიდმა შვილმა, მუდამდღე სამშობლოს წარსულსა და მომავალზე მაფიქრალმა **პავლე ინგოროყვამ** აგრერიგად:

*– „...საქართველოს სახელოვანი მრავალსაუკუნოვანი ძველი ისტორიის მანძილზე, რომელსაც ამშვენებს მთელი წყება დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა, თამარის გვერდით შესაძლოა დავაყენოთ მხოლოდ ერთი პიროვნება – დავით აღმაშენებელი, – ღირსეული თანამოდასე თამარ მეფისა.*

*თამარი იყო უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, მაგრამ ამით ყველაფერი არ არის თქმული.*

*თამარი იყო ბრძენი ხელმძღვანელი ერისა, ხოლო ქართველმა ხალხმა კიდევ უფრო შეიყვარა თამარი იმის გამო, რომ თამარში სრულყოფილად განსახიერდა ნამდვილი სიბრძნე დიდი სახელმწიფო მოღვაწის, ხოლო ამასთან მორალური სინათლე და სიდიადე დიდბუნებოვანი ადამიანისა... რომლის ნათელი გონება უნათებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების ბრწყინვალე აღმავლობას...“*

მჯერა, იოლად შევთანხმდებით იმაზე, რომ უკვდავმა მეცნიერმა ამ სიტყვებით, მთელი ქართველი ერის გულისნადები ამოსთქვა... რომელმაც ისე შეიყვარა თავისი უძვირფასესი თამარ მეფე, რომ ასეთი მითიც კი შეუქმნა:

ხალხის თქმულებით, თამარი არ მომკვდარა, მხოლოდ მძინარე ოქროს კუბოში ასვენია, კუბო საიდუმლო ადგილას არის და ანგელოზები იცავენ. მოვა დრო და თამარი გაიღვიძებს. ეს მაშინ მოხდება, როცა ხალხი მეტისმეტად შეწუხდება და სიცოცხლის სასო გადაეწურება. მაშინ აღდგება თამარი, ძლევს მტერს და ქვეყნიერების ხელმწიფობას დაიბრუნებს. მის სამეფოში მარადიული გაზაფხული იქნება.

თამარის მეფობის სხვადასხვა მონაკვეთში ქართული დედაეკლესიის ბედს წარმართავდნენ უდიდესი კათოლიკოს-პატრიარქები, ჭეშმარიტი მამულიშვილები:

*თევდორე II (1188–1204 წლებში);*
*ბასილი IV (1204–1205 წლებში);*
*იოანე V (1205–1210 წლებში);*
*ეპიფანე (1210–1220 წლებში);*
*მიქაელ IV (1178–1187 წლებში).*

წინამდებარე წერილში ძირითადად ვისაუბრეთ **მიქაელ მეოთხეზე,** რომელმაც, სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიაში ქვეყნისა და თამარ მეფის მოწინააღმდეგე, არასასურველ პიროვნებად დაიტოვა სახელი.

**ლევან გვეტაძე**

## მესხეთს

გადაიყარა ღრუბელი,
ცა გაიწმინდა, განათდა,
მესხეთი, ჩვენი მესხეთი,
გაიზარდა და განახლდა.

მე რომ მიყვარხარ, მესხეთო,
რომ აგვიზარდე რუსთველი
და ამით ისტორიაში
ჩაწერე ოქროს ფურცელი.

შენ ბევრჯერ ბევრი გინახავს,
ტანჯვა-წამება სოფლისა,
მაინც მხნედ დარჩი ბოლომდე,
აღმზრდელო დიდი მგოსნისა.

შოთამ დაგტოვა, მესხეთო,
შეყვარებულის დარდითა
და გულდამწვარი პოეტი
იერუსალიმში წავიდა.

როს მიდიოდა, ტიროდა,
ცრემლები ჩამოდიოდა
და გულდამწვარი მგოსანი
მხოლოდ ერთ რამეს ჩიოდა:

– „შენ გენაცვალე, მესხეთო,
ტყით დაფარულო კლდიანო,
შენ რომ გშორდები, ვტირივარ,
ცრემლები ჩამომდიანო“!

მეც შენ გიმღერებ, მესხეთო,
ჩემი ალალი გულითა,
შენზედ ვლოცულობ, ნიადაგ,
გულწრფელი სიყვარულითა.

მთქმელი აკაკი მაჭარაშვილი

## შოთას კალამი

სად ჰპოვე, შოთავ, კალამი,
რომელი ქვეყნის კუთხეში,
სად დაგეტია ეგ სიბრძნე,
მაგ ოქრომკერდის უბეში?

მზე მოგივიდა წინამძღვრად,
ზეცამ მოგართვა კალამი,
ჩახრახის მთებმა დაგლოცეს,
აგიფრიალეს ალამი.

რამდენჯერ ფიქრი დარაზმე,
კარიკარ დაიარები,
რამდენს აღუგზნე გულისთქმა,
გაუღე სიბრძნის კარები.

შენი აზრები გვაღვიძებს,
ჩვენთან ხარ, ხალხის გენიავ,
შენი სიბრძნე და სიმდიდრე
ქვეყანას გადასწვდენია.

**მთქმელი ონისიმე ლონდარიძე,**
**სოფელი სარო, ასპინძის რაიონი.**
**ჩაიწერა ილია მაისურაძემ.**
**17 ივნისი, 1965 წელი**

## თამარ მეფე და რუსთაველი

თამარი ძლიერ გაკვირვებული იყო რუსთაველის ნიჭით და ერთხელ უთხრა, დაეწერა რამე და უნაყოფოთ არ დამარხულიყო მიწაში მისი ტვინი. რუსთაველმა უთხრა, მასაც, როგორც დედოფალს, რაიმე დაეტოვებია ძვირფასი საუნჯე.
თამარმა ამაზე მიუგო:

თამარ დედოფალი ვიყავ,
კარგი საქმე დავიგდეო,
ზღვაში ჩავყარე მიჯნები,
ხმელეთს სახელი გავიგდეო,
ამდენი საქმის მომქმედმა,
ცხრა ადლი ტილო წავიღეო.

*რუსთაველმა მიუგო:*

თითი მიგიგავს კალამსა,
ტურფასა მწერალისასა,
ბაგენი ვარდის ფოთოლსა –
შორს მოფენილსა მზისასა.
სითეთრე თოვლის ნაბუქსა
იალბუზისა მთისასა,
რაც ჯელი კაცი შენ გნახავს–
რჯულსაც განაგებს თვისასა.

**მიხეილ ჩიქოვანი,**
**„შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი“,**
**გამომცემლობა „მეცნიერება“,**
**თბილისი 1966 წელი, გვ.56**

## რუსთაველო

რუსთაველო, ჩვენ ამ სახელს,
ოდითგანვე ტკბილად ვმღერით,
შენი წიგნით ყანას ვხნავდით,
ციხე-კოშკებს ვაშენებდით.

კლდეზე ვკვეთდით სალოცავებს,
ქვებზე ვწერდით ლექსის ბწკარებს,
შენს წიგნს ხალხი ზეპირობდა,
ძღვნად ატანდნენ კოხტა ქალებს.

ვერ შემოგბედა ბუნებამ
გამოსარჩლება ფერითა,
იადონმა და ბულბულმა,
სიამტკბილობა ენითა,
ცამ შემზარავი ქუხილით
და სიკეკლუცემ – ლხენითა!

გველი ხვრელიდან ამოგყავს
ტკბილმოუბარი ენითა,
ხმელი ხეც მკვდრეთით აღმდგარა,
სამართალითა შენითა,
დღე დღეობს... სიბრძნე ნათელი,
არ იბინდება ბნელითა.




მესხო, ყოველი ქართველი
მტერს შენი სიტყვით ხვდებოდა,
ჰკვეთდა, კუწავდა ყიზილბაშს,
ომში გმირულად კვდებოდა.

კვდებოდა სამშობლოსათვის,
თავის მამულში რჩებოდა,
კვლავ აღადგენდა კერიას,
კვლავ ჯალაბობა ჩნდებოდა.

წინაპართ ნასახლარებზე
კვლავ ისმის ძველი ქართული,
„მრავალჟამიერს“ გუგუნებს
ხალხი, შრომაში გართული.

იხაროს მშრომელთ მარჯვენამ,
ემრავლოს ტკბილი დღენია,
„კეთილმა სძლია ბოროტსა,
არსება მისი გრძელია“.

**მთქმელი ზ.ს. ზედგინიძე**

## რაც გარიჟრაჟზე დათესე...

ვინ არის შენი მძლეველი,
დე, ღმერთმა წილი ყაროსა,
მიწაც რომ გაქრეს, დარჩები,
ოღონდ ცამ იკამკამოსა.

ცეცხლს უგულობა ახარებს,
მელექსეს – გული მწველია,
ცეცხლსა ვინ მისცა ცეცხლობა?..
ის შენი ანაწერია!

ფარშიმშერობენ ბწკარები,
ყველა სიტყვები ანათებს,
მზე გვიამბორებს სიცოცხლეს,
ვეფხვი – მიუვალ ქარაფებს,
შენმა თვალმარგალიტებმა
ცვარ-ნამზე გაიბალახეს.

მზის მაწუხარი ნესტანი
და თინათინი დარობენ,
ავთო, ტარია, ფრიდონი
ჯადოზე ჯადოქარობენ,
ქაჯეთის მესაფლავენი
დაჩაგრულებსა წყალობენ.

რაც გარიჟრაჟზე დათესე,
მომსკდარა ცეცხლის ხნულშია
და დასტამბურა უებროდ
ქართველი კაცის გულშია.

**მთქმელი ზაქრო ფილაშვილი**

***

მოვიდა შოთა რუსთველი,–
მესხეთში დადგა დარია,
„ვეფხისტყაოსნის“ გმირებმა
გაგვიღეს სიბრძნის კარია.

***

მესხეთის მთანო იხარეთ,
ტყენო, გაიდგით ფესვია,
ქვეყანა იმკის სიკეთეს,
რაც შოთას დაუთესია.

***

შენ დაგელოცოს სულმნათო
კალამი, მარჯვე ხელია,
შენმა სიბრძნემ და გენიამ,
ანედლა ხენი ხმელია.

**ჩაიწერა ციური მელიქიძემ 1990 წელს**

## ჯავარი მარგალიტისა

თუმც შენი დაბადებიდან გახდა
რვა საუკუნეა,
ჯავარი მარგალიტისა ჯერ
ვერვის დაუწუნია;
კალამი ბატის ფრთისაი ფოლადს
ვერ გაუღუნია,
თაობით თაობამდენა ქედს გიხრის
მთელი დუნია.

ხარ პოეზიის შუქურა,
მგოსანი სწორუპოვარი
გაუკვალავის მეკვლე ხარ,
მარგალიტისა მთოვარი,
ერს დაგვიტოვე ქართველსა
განძი რამ ძნელსაშოვარი,
ქვეყნად სხვას ჰქონდა ცოტასა,
მსგავსი რამ მონაპოვარი.

ბევრნი დაეცნენ ციხენი,
გაქრნენ და ჩაიარესა,
შენმა პოემამ გაუძლო
ყველა ჭირსა და მწარესა;
დუშმანსა შემოსეულსა, ველურსა,
მოხარხარესა,
იგი ვერც ძალით წაიღეს,
ვერც მალვით მოიპარესა.

შოთავ, მზის თვალით მჭვრეტელო,
გლახის და დიდებულისა,
ერთფერად შემფასებელო,
ტყვითა და მეფედ სმულისა.
ვარდისა ვარდად მნახველო,
თუნდ ნეხვზე ამოსულისა,
მრავალიც დაგვბადებიყოს
შენებრ ლამაზი სულისა.

მტერთან ცეცხლი ხარ გენია,
მახვილის შამამქნეველი,
ხმლითა ლომისა გამკვეთი,
ხელით ვეფხვისა მძლეველი,
ქვეყნად არ არის კუთხეი,
რომ იყო შეუმჩნეველი,
ზედ დაახატე ინდოეთს
ქართველთ მთა-ბარი, ტყე-ველი.

შენი ჩანგი და პოემა,
სამჭედლო გმირობისანი,
ძველი და მუდამ ახალი,
დარზე რომ შუქი მზისანი,
უცვეთელი და გამჭრელი,
რო ტარიელის ისარი,
ხმლის და შვილდის დროს რაც იყო,
ატომის დროსაც ის არის.

ოქროს ჭაბუკის აღმზრდელო,
ოქროს აკვანის მრწეველო,
მთესველო სიყვარულისა,
ცრემლად სისხლისა მთხეველო,
დედაო სილამაზისა,
იმასთან ღამის მთეველო,
სიყვარულისა ძალითა ქაჯეთის
დამანგრეველო.

რად გვინდა პალესტინაში
ძებნა საფლავის ქვებისა,
კაცთა გულებში მარხია ის,
ვინცა არა კვდებისა,
თვით სიყვარულით ვინც იწვის
და სანთლად აენთებისა,
სანამ სიცოცხლე არსებობს,
არც ეს სანთელი ქრებისა.

მთქმელი ივანე წიკლაური,
ჩაიწერა დ. გოგოჭურმა,
სოფელი არხილოსკალო

## გეძახის შენი რუსთავი

სიბრძნე და აზრი მაღალი,
შენებრ ვის შეუკონია,
არცა გყავს ქვეყნად ბადალი, –
ქართული ლექსის გოლიათს.

ხარობს, რაც დაგითესია,
დაზრდილან შენი მართვენი,
გახედე საქართველოსა,
დალოცე ხალხი ქართველი.

მოდი, ამ მზეს და სიცოცხლეს
სიტყვა უთხარი ახალი,
გეძახის შენი რუსთავი,
დღეს შენი სიბრძნით მაღალი!

**მთქმელი დ. გურგენიძე,**
**სოფელი ხიდარი,**
**ხარაგაულის რაიონი**

# ვეფხვის მეტაფორის გააზრებისათვის – „ტარიელს

შოთა რუსთველის მხატვრულ-ესთეტიკურ კონცეფციაში ცენტრალური პოეტური სახე ვეფხია, რომელსაც მრავალმხრივი მხატვრული ფუნქცია აკისრია და პოემის დედააზრის გადმოცემაში უმთავრეს როლს ასრულებს. „ვეფხისტყაოსნის“ სიმბოლიკა, ნესტან-დარეჯანის ვეფხად წარმოსახვა, ტარიელის ვეფხისტყაოსნობა, პოემის მთავარ პერსონაჟთა ვეფხის ტყავთან თანაზიარება, უძველესი მითოლოგების ლიტერატურული გარდასახვაა და მისი ფესვები უშორეს წარსულშია საძიებელი. ვახტანგ მეექვსიდან მოყოლებული, რუსთველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში ვეფხის სიმბოლიკა მრავალგზის იყო კვლევის საგანი. კამათისა და განხილვის საგნად იქცა ისიც, თუ რომელი ცხოველი იგულისხმება ვეფხში – საკუთრივ ვეფხი, ტიგრისის (თიგრის) სახელით ცნობილი, თუ ჯიქი, პანთერა, ლეოპარდი, ავაზა.

ვეფხისადმი დამოკიდებულების კვალი, უწინარეს ყოვლისა, მითოსსა და ზეპირსიტყვიერებაში შეინიშნება. ქართულ ხალხურ და რელიგიურსარწმუნოებრივ წარმოდგენებში ვეფხსა და მის ტყავს, ზოგადად, ცხოველის, ნადირის ტყავს, უძველესი დროიდანვე ეჭირა მნიშვნელოვანი ადგილი, რომლის გამოძახილი მრავალი სხვა ქვეყნის კულტურასა და ენაშიც შეინიშნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძველეგვიპტურ, შუამდინარეთის, ძველი საბერძნეთისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მითოსში დადასტურებული სიმბოლური ფუნქცია ვეფხისა, რომლის გარეთმიანი ტყავის შესამოსლად გამოყენება საერთო კულტურულ დონეს არეკლავს. „ვეფხისტყაოსანი“ თითქმის ყველა კულტურულ სამყაროსთან ამყარებს დიალოგს, მაგრამ დომინანტური, წარმმართველი ქრისტიანობაა. ქრისტიანული საღვთისმეტყველო ლიტერატურის, ქრისტიანული მსოფლმხედველობის გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ვეფხის მხატვრული სახის გააზრება. წმ. ბასილი დიდმა ლომისა და ვეფხის სიმბოლური სახეები იუდასა და იოსების, მისი შვილის ეფრემის, ჩამომავალთა საკულტო ცხოველებად მიიჩნევიან და იოსების ჭრელ სამოსელთან ვეფხის ტყავის სამოსლის შედარება შემთხვევითი ფაქტი არაა; იუდა სამეფო შტოს ფუძემდებელია, მისი ჩამომავალია ბიბლიური იესე, რომლის უმრწამესი ძე დავითი ისრაელის მეორე მეფე გახდა და ღვთისაგან ცხებული იყო. იოსები არაა სამეფო შტოს ფუძემდებელი, იგი გვერდითი შტოა, შესაბამისად – მისი ჩამომავლები გვერდითი შტოს წარმომადგენლები არიან. ვეფხის ტყავის სამოსლით შემოსვლა შობას, ხელახლა დაბადებას, სულიერ აღმოშობას უკავშირდება. ეს ბიბლიური წანამძღვრებია გასათვალისწინებელი ტარიელის ვეფხისტყაოსნობის არსის გასააზრებლად.

ვეფხი ნესტან-დარეჯანის სიმბოლური ხატია, მხატვრული სახეა, მეტაფორაა, ვეფხის ტყავის სამოსელი და ქუდი – ტარიელისა. „ვეფხისტყაოსანში“ ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ცხოვრების ორი პერიოდია გადმოცემული: 1. ინდოეთის სამეფოში ნესტანის უფლისწულობისა და ტარიელის ამირბარობისა; 2. ინდოეთიდან გასვლის ხანგრძლივი პერიოდი, როდესაც ინდოეთში საღვთოსიბრძნენაკლულ მეფის ასულს უნდა შეეძინა იგი და გამხდარიყო „მაღალი და მაღლად მხედი“, ტარიელს კი მოეპოვებინა მიჯნური და სამეფო. ტარიელმა განრისხებული ნესტან-დარეჯანი ვეფხს შეადარა, ხოლო, მოგვიანებით, ფატმანმაც ვეფხად აღიქვა და მის ერთ-ერთ სახეობასაც, ავაზას შეადარა, ე. ი. მასში ჯერ კიდევ იყო ვეფხვის თვისებები დავანებული. ქაჯეთის ციხიდან მიჯნურისათვის ნესტანის გაგზავნილი წერილი მოწმობს, რომ ვეფხის ნეგატიურ თვისებათაგან აღარაფერი მას არ შერჩენია. ე. ი. ის უარყოფითი თვისებები, რაც ნესტან-დარეჯანში, როგორც „პირგამეხებულ ვეფხში“ იყო, დაითრგუნა და იგი საბოლოოდ „ვეფხად შვენიერად“ გარდაისახა, როგორადაც შემოინახა ტარიელის მეხსიერებამ. ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ქაჯეთის ციხიდან მისი გამოხსნა.

ვეფხი თავისი სიძლიერის, მოქნილობის, გრაციოზულობისა და მომხიბვლელობის გამო, ერთი მხრივ, ქალური მშვენიერების, ძლიერების, მეორე მხრივ, სისასტიკის სიმბოლოდ ერთდროულად წარმოიდგინება და მას მითოსურ-საკრალური ტრადიცია აქვს. ვეფხის ტყავის სამოსელი და ქუდი მისი მფლობელის ქალღვთაებისაგან რჩეულობის სიმბოლოდ მოიაზრებოდა. ვეფხის ტყავის სამოსელი და ქუდი ისტორიულად მეფეთა აქსესუარია. ტარიელის ვეფხისტყაოსნობა მიუთითებს ნესტან-ტარიელის ერთიან მხატვრულ სისტემაში გააზრების აუცილებლობას, იგი ერთდროულად გულისხმობს რუსთველის პოემის ორ მთავარ პერსონაჟს, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა დასაწყისშივეა მონიშნული: „ამბავი დასაწყისი პირველი. ამო და სასმენელად შვენიერი სწავლისათვის მოშაირეთა, **ტარიელ და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ**“.



ნესტან-დარეჯანის ხატ-სახეებიდან კონცეპტუალურია ვეფხი, ხოლო ტარიელისა – ვეფხისტყაოსნობა. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთაგან ნესტან-დარეჯანი ვეფხად აღიქვეს ტარიელმა და ფატმანმა, რაც მათს ესთეტიკურ ბუნებასა და გემოვნებაზე მეტყველებს. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები აფასებენ ტარიელის ვეფხისტყაოსნობას და სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებენ; პოემის დასაწყისშივე როსტევანის, თინათინისა და ავთანდილის დაინტერესება უცხო მოყმის ჩაცმულობა-ალკაზმულობითა და მდგომარეობით უკვე განსაზღვრავს პოემის სიუჟეტს, მთავარ პერსონაჟთა სახე-ხასიათს; უცხო მოყმის, – ტარიელის პოვნის შემდეგ კი არაბეთში დაბრუნებული ავთანდილი როსტევანს, თინათინსა და სამეფო კარს უყვება ტარიელის გავეფხისტყაოსნების ამბავს, აღნიშნავს, რომ „ვეფხისა ტყავი აცვია“ და „აღარა ნახავს სოფელსა“; ხოლო თინათინთან საუბრისას განაცხადებს: „ვითა ვეფხსა წავარნა და ქვაბი აქვსო სახლად, მენად“; ტარიელის ამბავი იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ არაბეთში, ხოლო ტარიელი იმდენად ახლობელ ადამიანად იქცა მათთვის, რომ ავთანდილის დაბრუნების შემდეგ, მის მიერ ტარიელის ამბის თხრობის შემდეგ არაბეთის სამეფო კარზე ნადიმი იმართება, რომელიც, ცხადია, ავთანდილის დაბრუნებითაც არის განპირობებული, მაგრამ ტარიელის ამბის გაგებით იმდენად ძლიერია არაბთა მეფის დადებითი განწყობა და მხიარულება, რომ შოთა რუსთველი სამეფო კარის სიხარულსა და აღტაცებას იშვიათი მეტაფორული ხატ-სახით გადმოგვცემს: „სახლ-საყოფი არა ჰმართებს, ცამცა გაიდარბაზესა“.

გულანშაროში ნესტან-დარეჯანის ადგილსამყოფელის შეტყობით გახარებული ვაჭრის სამოსლისაგან განძარცვული ავთანდილი ფატმანს, რომელმაც არც იცოდა, თუ ვინ იყო მის მიერ გადარჩენილი მზეთუნახავი ქალი, უამბობს ტარიელის თავგადასავალს და ნესტან-დარეჯანსაც გააცნობს: „ამბავი – ტარიელისგან შემოსა ვეფხის ტყავისა“, ხოლო ფატმანმა ამ ამბავს უმაღლესი შეფასება მისცა:

*ფატმან თქვა: „ღმერთსა დიდება,*
*საქმენი მომხვდეს, მო, რანი,*
*დღეს რომე მესმნეს ამბავნი,*
*უკვდავებისა სწორანი“.*

სწორედ ფატმანის სიტყვებია ამოსავალი, რომელთა მეშვეობით შეიძლება დაზუსტდეს ნესტან-დარეჯან-ტარიელის ამბის ალეგორიული მნიშვნელობა. „ამბავნი, უკვდავებისა სწორანი“ გულისხმობს საღვთო ისტორიას, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიული განმარტების საფუძველს იძლევა.

ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის, ავთანდილისა და თინათინის მხატვრული სახეები და მათი ქცევები შთაგონებულია ბიბლიური სახისმეტყველებითი პრინციპებით. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები შედარებულნი არიან ედემის ხესთან. ბიბლიის პირველ თავებში მოთხრობილია სამყაროს შექმნის, მათ შორის პირველ ადამიანთა შექმნის შესახებ. ადამი და ევა უცოდველი ცხოვრებით ცხოვრობენ სამოთხეში, მაგრამ დაარღვიეს ღვთის მცნება და იგემეს აკრძალული ხის ნაყოფი, რის შემდეგაც ღმერთმა ისინი სამოთხიდან გააძევა. ხე ცხოვრებისა დაკარგული მარადიული ცხოვრების, უკვდავების, საღვთო სიყვარულის სიმბოლოა. ამიტომაც ენიჭება სიმბოლური ფუნქცია ტარიელის საუბრებს ნესტან-დარეჯანის შესახებ, როგორც ედემს დანერგულ ხეზე. „ედემის ხე“, „ედემს ნაზარდი ალვა“, „მსგავსია ედემს ზრდილისა“ შოთა რუსთველის პოემის გმირთა რჩეულობას წარმოაჩენს და მხოლოდ მათი გარეგნობის გამოსახატავად არ გამოიყენება, მათ უფრო ღრმა, სიმბოლური მნიშვნელობა აკისრია, მათ მიღმა ის სულიერებაა მინიშნებული, რაც პოემის მთავარ პერსონაჟებს ახასიათებთ. „ვეფხისტყაოსანში“ მრავალგზის ნახსენები სიმბოლო ადამიანისა – ხე, უმეტესად კი ალვა, არის ღვთის მიერ საუკეთესო ადგილზე დანერგილი და ღვთისაგან ზეგარდმო განსაკუთრებული ზრუნვითა და მადლით ნაზარდი, იგი ველური არ არის. ეს მეტაფორა – ედემის ხე, ედემს ნაზარდი ალვა – ძველთუძველესია, იგი ბიბლიიდან, შუამდინარული მითოლოგიიდან და პოეზიიდან მომდინარეობს, უძველესი მითოლოგიური წარმოდგენები ამგვარი მეტაფორული აზროვნებითაა გაჯერებული. ქრისტიანულ მწერლობაში „ედემს ზრდილი“, „ედემის ნერგი“ სამოთხეში დამკვიდრებულ, მეტაფორულად – „დარგულ“, ადამს, ჯერთ უცოდველს, გულისხმობს და იგი სათავეს ბიბლიიდან იღებს. რუსთველთან მთელი პოემის მანძილზე ხორციელდება ედემს მოშორებული ედემის ნერგის თავის ბუნებრივ სამყოფელში დაბრუნების ურთულესი სულიერი პროცესი. ბიბლიურ-ევანგელური მეტაფორული აზროვნების გამოხატულებაა „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები, რომლებშიც საღვთისმეტყველოფილოსოფიურ აზრთან ერთად პერსონაჟთა სახეები იკვეთება.

ტარიელ-ნესტან-დარეჯანის ინდოეთიდან გადახვეწა ადამისა და ევას სამოთხიდან გაძევების ენიგმა-ალუზიაა, რის გამოც რუსთველის პოემის პერსონაჟები უნდა შეეცადონ დაკარგული სამოთხის, – ინდოეთის მოპოვებას. ინდოეთში სამეფო ტახტის პრობლემა იმთავითვე მოუწესრიგებლად არის წარმოჩენილი პოემაში. მეფე ფარსადანს, სამეფო საგვარეულოს პირდაპირი შტოს წარმომადგენელს, შვილი არ ჰყავს; სარიდანის მიერ მეშვიდე სამეფოს ექვსი სამეფოსათვის შეერთების შემდეგ ფარსადანმა გადაწყვიტა ტარიელის შვილად აყვანა, მაგრამ ეს საბოლოო



არ აღმოჩნდა, რადგან ტარიელის შვილად აყვანიდან ხუთი წლის შემდეგ მეფეს ასული შეეძინა, რომელიც თავის მემკვიდრედ მიიჩნია. საინტერესო ისაა, რომ ფარსადანი ტარიელს მამას უბრუნებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ტარიელს გამეფების პერსპექტივა აღარ აქვს. ტარიელმა თვითონ უნდა მოიპოვოს სამეფო ტახტი, რაც საკმაოდ რთული ამოცანაა. ნესტანის გათხოვებასთან დაკავშირებით ინდოეთის მეფესთან გამართულ თათბირზე ტარიელმა თავისი და ნესტან-დარეჯანის სიყვარული ვერ დაიცვა. ფარსადან მეფე ხვარაზმშას შვილის ზედსიძედ მოყვანის სურვილსა და გადაწყვეტილებას ტარიელის პასუხის შემდეგ აცხადებს, რასაც ჯერ დედოფალი, შემდეგ ტარიელიც მიემოწმა. ის სამი დიდებული, თათბირს რომ ესწრება, მხოლოდ დეკორაციაა, ისინი არც არაფერს ამბობენ, არც მოქმედებენ. შუა საუკუნეების სახელმწიფოს პრინციპები, დინასტიური ცხოვრება და იდეოლოგია პიროვნულ ფაქტორს არ ითვალისწინებს, რის გამოც მეფეთა ქორწინება პოლიტიკურია. ასე რომ, ინდოეთმა უნდა მისდიოს დინასტიურ-იდეოლოგიურ კონცეფციას მეფის ასულის გამეფებისაც და ქორწინებისაც. ამგვარი პოლიტიკურ-იდეოლოგიური პრინციპების გათვალისწინებით, უგულებელყოფილია ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის პიროვნული ინტერესები და სიყვარული.

მშობლების გადაწყვეტილება და ტარიელის დუმილი თათბირზე მალევე გახდა ცნობილი ნესტან-დარეჯანისათვის, რომელმაც ეს ფაქტი შეაფასა მამისა და მიჯნურისაგან მისი ღირსების შელახვად. ამიტომაც დაუხვდა იგი მიჯნურს ვეფხვივით პირგამეხებული:

**„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირგამეხებული“.**

ეს ხატება გახდა რუსთველის პოემის მთავარი, ცენტრალური მხატვრული სახე, მეტაფორა, სიმბოლო, შემდგომ კი ალუზია, ხოლო სხვათათვის – ენიგმა. ნესტან-დარეჯანის რთული შინაგანი სამყარო, წინააღმდეგობრივი ბუნება, სულიერება შოთა რუსთველმა მისი ხასიათის შესატყვისი მხატვრული სახე-სიმბოლოთი გადმოგვცა. მისი რთული სულიერი მდგომარეობა გარეგნობაშიც გამოვლინდა: „ვეფხი პირგამეხებული“, ერთი მხრივ, ნესტანის გარეგნული, ფიზიკური მდგომარეობის, აგრეთვე მშვენიერების, გამოხატულებაა, მეორე მხრივ, სულიერი მღელვარების, მრისხანების, მის შინაგან სამყაროში მიმდინარე რთული პროცესის დადასტურებაა, რაც ტარიელის, ვითარცა ესთეტი პიროვნების, მეხსიერებაში თანდათან გარდაისახა „ვეფხად შვენიერად“, თუმცა იგი მაშინვე რომ მშვენიერად იქნა აღქმული ტარიელის მიერ, მიუხედავად ნესტან-დარეჯანის მრისხანებისა და მძვინვარებისა, ამას თვით ტანხატულა ვეფხის მშვენიერება და სილამაზე იმთავითვე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, ტარიელის შეგნებაში ვეფხვის გარეგნული მშვენიერება კი არ არის ნესტან-დარეჯანის შინაგანი ბუნების გამომხატველი, არამედ იგი მოტივირებულია თვით ვეფხის თვისებებით. ნესტანი ვეფხად მაშინ იქცევა, როდესაც უკიდურეს განსაცდელში აღმოჩნდება. ნესტანში დავანებულია ვეფხის ნეგატიური თვისებები, რომელთაგან უნდა გამოვყოთ მისი სივერაგე და დაუნდობლობა. ცხადია, ნესტან-დარეჯანი მეტისმეტად ახალგაზრდაა იმისათვის, რომ ღვთაებრივი სიბრძნე სრულად ჰქონდეს გაცნობიერებული, თუმცა ბრძნულად წვრთნიდნენ:

**„მას სიბრძნისა სასწავლელად თვით მეფემან მისცა შვილი“** (332/330),

რაც იმას გულისხმობს, რომ პატარაობიდანვე უნდა შეეთვისებინა საღვთო სიბრძნე. მაგრამ კონკრეტულმა შემთხვევამ, რომელიც მის პიროვნულ ღირსებასა და პირადულ ბედნიერებას შეეხო, იგი დაუნდობელი და შეუპოვარი გახადა, საკუთარი მამის წინააღმდეგ აამხედრა, რაც მითოსური შეხედულებებისა და წინარუსთველური ლიტერატურის ჰიპოდიგმურ-პარადიგმულ გამოძახილად აღიქმება. ნესტან-დარეჯანი გამოკვეთილი ინდივიდია, დამოუკიდებელი პიროვნებაა. ტარიელის დახასიათებით, რომელშიც უმეტესად გარეგნულ სილამაზეზეა ყურადღება გამახვილებული, იგი რთული პიროვნებაა, რთულია მისი ხასიათი, შინაგანი სამყარო, მთავარი კი ისაა, რომ იგი წონასწორობას არასოდეს კარგავს, უმძიმეს, უკიდურესად დაძაბულ, ძნელად გასარკვევ სიტუაციაში გონებას იკრებს, ცდილობს საღად იაზროვნოს და გამოსავალი მოძებნოს. შეიძლება ითქვას, რომ მასში გარეგნული მშვენიერება და გონებრივი მონაცემები ჰარმონიულადაა შეზავებული. იგი იღებს მკვეთრ, სისასტიკით აღსავსე გადაწყვეტილებას, რომელსაც სისხლის დაღვრა მოჰყვა. ნესტან-დარეჯანი, როგორც პერსონაჟი, ნაწილობრივ, მეფის ასულის მითოსური სახის ანარეკლიცაა და ვეფხისტყაოსნამდელი ლიტერატურული ნაწარმოებების პერსონაჟთა მემკვიდრეც. მითოსში ადამიანის გაღვიძებული სული, გონება, უმაღლესი ცნობიერება ყოველთვის მეფის ასულის სახეში სიმბოლიზდება.

რუსთველისათვის გარეგნულ ფაქტორთან ერთად ამოსავალია პერსონაჟთა ფსიქოლოგიური, სულიერი და ინტელექტუალური მდგომარეობა. ნესტან-დარეჯანის შედარებას ვეფხვთან ის მხატვრული ფუნქცია აკისრია, რომ ერთდროულად მიუთითებს პერსონაჟის გარეგნულ მშვენიერებასა და სულიერ-ინტელექტუალურ მდგომარეობას. ვეფხვის ვიზუალურ-ამსახველობითი მხარე გარეგნული მშვენიერების ესთეტიკური აღქმისა და განცდის საფუძველია. ამასთან, ვეფხის თვისებათა გამოვლინებაცაა. ტარიელმა ნესტანი შეადარა ტანხატულა, შავ-ყვითლად შეფერილ ვეფხს, რომელშიც კონტრასტული ფერების – შავისა და ყვითლის (იგივე ოქროსფერის) მონაცვლეობით მწუხარება-მრისხანებისა და სიდიადე-სინათლის სიმბოლური აღქმაა ჩადებული. ვეფხის ტყავის სიჭრელე, შავ-ყვითლის მონაცვლეობა პერსონაჟის ხასიათის მრავალფეროვნებას მიანიშნებს. ვეფხის ფერი, სიჭრელე – შავ-ყვითლის მონაცვლეობა, ორ მხარეს მოიცავს: ვიზუალურს, რომელიც ამსახველობითი პრინციპის შედეგად აღიქმება და, ლოგიკურს, რომელიც აზროვნების შედეგად მიიღება. იგი განსახოვნებული და განფენილია ორ მთავარ პერსონაჟზე, რომელთა გარეგნული, სულიერი და ინტელექტუალური მონაცემები, მათი ცხოვრების ტეხილებით აღსავსე გზა ტრაგიკული მშვენიერების ნიშნითაა აღბეჭდილი და გადმოცემული შოთა რუსთველის მიერ. აგრეთვე, ვეფხის ფერი და მისი ფუნქცია სავსებით გასაგებია პოემის სხვა პერსო-

ნაყებისათვის, რომლებიც ნაზიარებნი არიან ვეფხის ტყავის სიმბოლიკის ცოდნას. ვეფხის ფერის ვიზუალურ-ამსახველობითი მხარე გარეგნული მშვენიერების აღქმის, ესთეტიკური აღქმისა და განცდის საფუძველია, ხოლო ლოგიკურ-აზრობრივი მხარე – აზრის სილამაზის, აზრის ესთეტიკის საფუძველი. შავისა და ყვითლის მონაცვლეობა, მათი გამოყენება დადებითი და უარყოფითი ფუნქციით, მათი კონტრასტულობა პოემის მთავარ პერსონაჟთა რთულ ხასიათს გამოხატავს, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების მთავარ ნიშნულებს მიუთითებს. ვეფხვის ფერები, ერთი მხრივ, ვიზუალური ფენომენის გრძნობად-ესთეტიკურ და, მეორე მხრივ, სიმბოლურ, ალეგორიულ, ენიგმურ შესაძლებლობებს აერთიანებს.

ნესტანის ვეფხად წარმოსახვას უკავშირდება ტარიელის ვეფხისტყაოსნობა, გამოქვაბულისა და უდაბნოს მკვიდრობა, რაც დროსივრცულად შემოსაზღვრულია. ტარიელი ვეფხის ტყავის სამოსელს იცვამს და მისსავე ქუდს იხურავს უდაბნოში გასვლისას და გამოქვაბულში დამკვიდრებისთანავე. ტარიელმა ნესტან-დარეჯანი გამოქვაბულში დამკვიდრებამდე ბევრად ადრე დაკარგა, მაგრამ ვეფხის ტყავის სამოსელი მაშინვე არ ჩაუცვამს. მან იგი ჩაიცვა გამოქვაბულში დაბინავების შემდეგ. ტარიელი გამოქვაბულის დატოვებისას წარმოგვიდგება ვეფხის ტყავის სამოსლის გარეშე, ქაჯეთის ციხეზე საომრად მიმავალს უკვე აღარ ჰმოსავს იგი და გამოქვაბულში ნაპოვნ კიდობანში შენახული საკვირველი ჯაჭვ-აბჯრით აღჭურვილი მიეშურება ბოროტ ძალთაგან მიჯნურის გამოსახსნელად. ვეფხის ტყავის სამოსლით შემოსვა სულიერ აღმოშობას, ხელახლა დაბადებას უკავშირდება. ყოველივე ეს ერთიან მხატვრულ სისტემად ყალიბდება. ტარიელის ვეფხის ტყავის სამოსლით შემოსვას, ვეფხისტყაოსნობის არსის ახსნას უკავშირდება გამოქვაბულის, მღვიმის, უდაბნოს, კარვის, „ჩაკარაბაკების“, ნესტან-დარეჯანის კიდობნით ზღვაში გადაკარგვის, ქაჯეთის ციხის მხატვრული ფუნქციის განსაზღვრა. ტარიელი უდაბნოსა და გამოქვაბულის გავლით, ვეფხვის ტყავის სამოსლისა და ქუდის ტარებით აღწევს სულიერ სიმაღლეს, განწმენდას, რითაც ახალ სამყაროს, ახალ სულიერ არსებობას უყრის საფუძველს.

ცნობიერება“, მოიპოვოს საკუთარი „მე“, ხელახლა აღმოაჩინოს იგი, აწ უკვე სულიერად განწმენდილი და ზნეობრივად განსრულებული, შეეცადოს მარადიული ღირებულებების შეცნობას და ეზიაროს ღვთაებრივ სიბრძნეს.

გამოქვაბულში ტარიელის ცხოვრებისა და უდაბურ ადგილებში ხეტიალის პერიოდი მისი თვითჩაღრმავების, საკუთარი თავის შეცნობის პერიოდია, როდესაც უნდა გაისიგრძეგანოს სამყაროს გახლეჩის მიზეზები, იგი კვლავ უნდა აღიჭურვოს იმგვარი ბუნებითა და სულიერებით, რომ კვლავ გახდეს „სახე მზისა ერთისა“, კვლავ აინთოს „ღმერთისაგან ანთებული სანთელი“ **(„ღმერთმან მისგან ანთებული სანთელიმცა რად დაგავსო?“ 602/599)**. ტარიელის ვეფხისტყაოსნობა თვითდამკვიდრების აუცილებელ წინასაფეხურად იქცა. მას ვეფხის ტყავის სამოსელს ასმათი უკერავს, რაც მეტაფორულ-სიმბოლურია. ასმათი მოწმეა ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის სიყვარულისა, მეტიც, მათი ურთიერთობის წარმართვაში დიდი წვლილიც მიუძღვის. ამიტომ ყველაზე უკეთ მან იცის, რა გადაიტანეს მიჯნურებმა, როგორ წარიმართა მათი სიყვარული; იგი მოწმეა მათი საუბრებისა და განსჯისა.



# და ნესტან დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უხმობენ”



ტარიელი თავად გვიხსნის იმ მიზეზებს, თუ რამ მიიყვანა ვეფხისტყაოსნობამდე, გამოქვაბულამდე, უდაბნომდე. მისი გზა ინდოეთის სამეფო ტახტისაკენ ნესტან-დარეჯანზე, ხოლო მისკენ მიმავალი გზა – უდაბნოსა და გამოქვაბულში ცხოვრებაზე გადის. ტარიელი ავთანდილის წინაშე კიდევ ერთხელ იხსენებს თავის მძიმე და მწარე წარსულს, განსაცდელით აღსავსე ცხოვრებას, ვინაიდან იგი მას ტანჯავს, არ ასვენებს. ტარიელმა არა მხოლოდ თანაგრძნობა გაუწია ავთანდილს და მოუთხრო თავისი თავგადასავალი, ტარიელის ამბავი – „შემოსვა ვეფხის ტყავითა“ – არ უნდა დაიკარგოს, არ უნდა გაქრეს. ცოდნა ტარიელის შესახებ, ცოდნა მისი ვეფხისტყაოსნობის შესახებ, უნდა გადაეცეს ასაკით უმცროსს – ავთანდილს. მით უმეტეს, ტარიელი, ვითარცა ვეფხისტყაოსანი მოყმე, თავისი არჩეული ვეფხის ტყავის სამოსლითა და ქუდით თხრობის გარეშეც თავად აწვდის გარკვეულ ცნობას მნახველთ, საკუთარი განსაცდელის, სიმძიმილის, ტანჯვის შესახებ ატყობინებს მათ, ვისაც ვეფხისტყაოსნობის არსი ესმით. აქ ორივე მხარის – აღმქმელისა და აღსაქმელის არსობრივი და აზრობრივი სივრცე ერთმანეთს გადაკვეთს.

ვეფხისტყაოსნობით ტარიელი მითოსური და ძველი ლიტერატურული ტრადიციების კვალობაზე წარმოჩნდება, რაც უძველესი კულტურული სივრცისაკენ მიბრუნებას, მითის აღორძინებას – რემითოლოგიზებას ნიშნავს, მაგრამ ვეფხვის ტყავისა და ქუდისაგან განძარცვით ხდება ვეფხისტყაოსნობის, როგორც მოვლენის, დემითოლოგიზება. ტარიელისათვის ვეფხისტყაოსნობა არის ღმერთის, ჭეშმარიტების, მიჯნურის ძიება, „მღვიმური ცნობიერების“ დაძლევაზე ზრუნვა.

ტარიელის გზა ინდოეთის სამეფო ტახტისაკენ ნესტან-დარეჯანზე, ხოლო გზა ნესტანისაკენ – გამოქვაბულსა და უდაბნოზე გადის. როგორც ნესტან-დარეჯანის გადაკარგვა ინდოეთიდან კიდობნით არის მისი სულიერი გარდასახვის საწყისი ეტაპი, რათა ახალი შინაგანი სამყარო მოიპოვოს და სულიერ სრულყოფას მიაღწიოს, ასევე ტარიელმაც უდაბნოში უნდა იხეტიალოს, გამოქვაბულში დამკვიდრდეს და იცხოვროს, ჩაიცვას ვეფხის ტყავისაგან შეკერილი სამოსელი, დაიხუროს „ვეფხის ტყავისა ქუდივე“, რაც დიდი სიმძიმილის ტარებისა და ჭეშმარიტი ზნეობრივი სამყაროს წვდომის სიმბოლოდ აღიქმება, ხანგრძლივი დროის მანძილზე სისხლის ცრემლები ღვაროს, რათა საბოლოოდ დაძლიოს „მღვიმური

მან ძალიან კარგად იცის, რატომ გადაიკარგნენ ნესტან-დარეჯანი და ტარიელი ინდოეთიდან. ასმათი ტარიელის ცხოვრების შემფასებელიცაა გამოქვაბულში თანაცხოვრების პერიოდში და ამას ეუბნება კიდეც ტარიელის დასახმარებლად გამოქვაბულში მეორედ მისულ ავთანდილს: **ჯერთ მისი მსგავსი სასჯელი არცა ვის ამბვად ჰსმენია:**

> **არა თუ კაცთა, სასჯელი ქვათაცა**
> **შემაძრწენია**
> **დიჯლადცა კმარის, მას რომე თვალთაგან**
> **ცრემლი სდენია (851/850).**

ვეფხისტყაოსნობის არსის განსასაზღვრად უმნიშვნელოვანესია სამოსლის სიმბოლიკა, რომლის მეტაფორულობა მოტივირებულია ბიბლიურ-ევანგელური სწავლებებით, სალვთისმეტყველო ლიტერატურით. სამოსლის სიმბოლურობა ბიბლიის პირველსავე წიგნში – შესაქმის წიგნშია მინიშნებული. ღმერთმა შექმნა პირველი, უცოდველი ადამიანები – ადამი და ევა, რომლებიც ნათლით შემოსა და საცხოვრებლად სამოთხე დაუმკვიდრა. მაგრამ მათ იგემეს აკრძალული ხილის ნაყოფი, რამაც მიახვედრა ისინი, აწ უკვე ნათლის სამოსლისაგან განძარცვულნი, რომ შიშველნი იყვნენ, მათ ფიზიკური სიშიშვლე შეიგრძნეს. ღმერთმა თავდაპირველი სამყოფლიდან, სამოთხიდან გამოაძევა და „უქმნა უფალმან ღმერთმან ადამს და ცოლსა მისსა სამოსელნი ტყავისანი და შეჰმოსნა მათ“ (შეს. 3, 21). ტყავით, ანუ უსულო, მკვდარი ნივთით შემოსვა ღრმა და ფარული აზრის მომცველია; ერთი მხრივ, ღმერთმა ადამსა და ევას ნათლის სამოსლის ნაცვლად მკვდარი, უსულო ნივთითა თუ საგნით შემოსვით მიანიჭა მოკვდავობა, მისცა იმგვარი ფიზიკური სხეული, რომლის მხოლოდ ნათლით მოსილ სახეს ატარებდა ადრე; მეორე მხრივ, ისინი ტყავის სამოსლით სინანულის სასწავლებლად შემოსა; ნათლის სამოსლისაგან განძარცვულთ უნდა ხსომებოდათ ჩადენილი პირველცოდვა, რომლისგან განთავისუფლება მხოლოდ ნათლისღებით გახდა შესაძლებელი. ამიტომ ქრისტიანულ ლიტერატურაში სამოსელი ნათლისღების, ქრისტეშემოსილობის მნიშვნელობას იძენს. საგალობლებში, ლოცვებში, განსაკუთრებით ნათლობის ლიტურგიის აღსრულებისას შესასრულებელ ლოცვებში საუბარია ნათლისღებაზე, ვითარცა ქრისტეთი შემოსვაზე: „რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელ გვიღებიეს, ქრისტე შეგვიმოსიეს“.

ტყავის სამოსელი და ტყავისავე ქუდი ცოდვის, ცოდვიანობის სიმბოლოა, იგი პირველცოდვის შედეგად ზესთასოფელთან კავშირის დაკარგვას ნიშნავს. პოემაში აღწერილი ყოფა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა სამეფო პალატებში ადამისა და ევას სამოთხისეული ცხოვრების ალუზიაა; ამდენად, ადამისა და ევას ცოდვით დაცემამდელი მარადიული არსებობაა ნესტან-ტარიელის არქეტიპული არსი. სამეფო კარზე, სასახლეში ყოფნისას, ტარიელი და ნესტანი ნათლით მოსილნი, ანუ უცოდველნი არიან. მათი ამაღლებული სიყვარულია მათი ნათლის სამოსელი. სიყვარულით გასხივოსნებულნი, მზიური ნათლით მოსილნი, უზრუნველად და უშფოთველად მკვიდრობენ ინდოეთში, ვიდრე ხე ცნობადისა და ხე ცხოვრებისას ნაყოფის, აკრძალული ნაყოფის გემოს არ იხილავენ. სამყარო ორად იხლიჩება: 1. მარადიულად არსებულად და 2. წუთისოფლისეულად, ანუ, ქრისტიანული მსოფლმხედველობის კვალობაზე განირჩევა ზესთასოფელი და სოფელი. ხვარაზმშას შვილის მოკვლის შედეგად ტარიელ-ნესტან-დარეჯანი, წუთისოფლის ზღვაში დანთქმულნი, ღმერთის, ჭეშმარიტების, სამყაროს, სიკეთის, სიყვარულის, მოყვასობის შესაცნობად გარესამყაროში გადიან.

ტარიელის ვეფხისტყაოსნობასა და გამოქვაბულში მის დამკვიდრებას შორის ორგანული კავშირია. მასში ერთდროულად ორი პლანი იკითხება: ერთი მხრივ, მითოსური შრე გამოსჭვივის და, მეორე მხრივ, ბიბლიური სახისმეტყველება ირეკლება. ვეფხის ტყავის სამოსლით მოსილი ტარიელის, როგორც ვეფხისტყაოსანი მოყმის, დემითოლოგიზება ხდება იმიტომ, რომ ტარიელის ვეფხის ტყავით მოსილობა დროებითია, ცნობილ მითიურ გმირებს იგი მუდმივად მოსავთ და მათი გმირობის გამოხატულებაა. ტარიელი მთელი არსებითაა ვეფხისტყაოსანი მოყმე, ამიტომ, რა თქმა უნდა, თავზეც ვეფხვის ტყავისაგან შეკერილი ქუდი უნდა ეხუროს. ტარიელი, როგორც ვეფხისტყაოსანი მოყმე, გამოქვაბულში ცხოვრობს; მან, გამოქვაბულიდან გამოსულმა და ვეფხის ტყავის სამოსელ-თავსაბურავისაგან განძარცვულმა, უნდა მოიპოვოს ჯერ ნესტან-დარეჯანი და შემდეგ ინდოეთი. ტარიელი იხდის ვეფხის ტყავის სამოსელსა და ქუდს, იგი მუზარადასხმული ქაჯეთის წინააღმდეგ მებრძოლ რაინდად გვევლინება.

ვეფხისტყაოსნობა ტარიელისათვის დროებითი შენიღბვაა ვინაობის დასამალავად განმარტოებისათვის; იგი გაფრთხილებაა სხვათათვის, ვინაიდან ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის თავს დატეხილი უბედურება მთელ სამყაროზე შეიძლება გავრცელდეს, რის ასაცილებლად აუცილებელია ტარიელის განძარცვა ვეფხის ტყავის სამოსლისა და ქუდისაგან. ტარიელის ვეფხისტყაოსნობა მაჩვენებელია მისი სულიერი თვითჩაღრმავებისა, რაც შემდგომ თვითდამკვიდრებად უნდა გადაიქცეს, ტარიელის პიროვნებაში „ძველი კაცის“ გარდასახვისა „ახალ კაცად“ სულიერების მოპოვების გზით, ე. ი. მზადებაა სულიერი განახლებისათვის, „მღვიმური ცნობიერების“ დასაძლევად.

ვეფხისტყაოსნობა რუსთველის პოემაში ამბივალენტურია, რამდენიმე თვალსაზრისით ანტინომიური მნიშვნელობისაა: იგი ტარიელის რაციონალურობისა და ემოციურობის შედეგია, რადგან დროით შემოფარგლულ მძიმე გრძნობად-ემოციურ მდგომარეობაში მყოფმა მიიღო გადაწყვეტილება სივრცეში გადანაცვლებისა, ანუ უდაბნოში, გამოქვაბულში დამკვიდრებისა და ვეფხის ტყავის სამოსლით შემოსვისა, ამავე ცხოველის ტყავის ქუდის ტარებისა, რაც უძველესი მითოსური და ლიტერატურული ტრადიციების გაგრძელებაა. ცნობილია, რომ მითოლოგიური გადმოცემებისა და წინარელიტერატურული ნაწარმოებების მრავალი გმირი იმოსება ვეფხის ტყავის სამოსლით, მაგრამ ტარიელის ვეფხისტყაოსნობა ლიტერატურულ-მხატვრული სიახლეა, რადგან იგი თავის წინამორბედ ვეფხისტყაოსან გმირთაგან განსხვავდება სულიერების თვალსაზრისით, რაც იმას მიუთითებს, რომ ტარიელის ვეფხისტყაოსნობა, ერთი მხრივ, თუ რემითოლოგიზაციაა, მეორე მხრივ, დემითოლოგიზაციაა. მასში წინაქრისტიანული მითოპოეტური გამომსახველობითი საშუალებები და ქრისტიანული სახისმეტყველება ირეკლება. ამიტომ ტარიელის ვეფხისტყაოსნობა ერთდროულადაა შუასაუკუნეობრივი და რენესანსული ესთეტიკური პრინციპების გამოხატულება; იგი წინარელიტერატურულ ტრადიციებსაც ასახავს და ეპოქალურ ლიტერატურულ სიახლეს, ახალი ესთეტიკური და ეთიკური ღირებულებების ერთიანობას ამკვიდრებს, რასაც სიბრძნის, გონიერებისა და გრძნობადის შერწყმა უდევს საფუძვლად. ტარიელის ვეფხისტყაოსნობა აუცილებელი საფეხურია მშვენიერი, ამაღლებული და ტრაგიკული სიყვარულის გასამარჯვებლად და დასამკვიდრებლად, ინდოეთის სახელმწიფოებრიობის მოსაწესრიგებლად და მსოფლიოს ჰარმონიულობის, პროპორციულობის შესანარჩუნებლად, იგი პოემის მხატვრული სამყაროს თანაზომიერებას ქმნის.

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირები იბრძვიან ახალი ეთიკურ-ზნეობრივი ღირებულებების მოსაპოვებლად, რათა მათ ცხოვრებაში „სულიერი თვალი“ გაიხსნას და განსაცდელი ბრძნულად გადაიტანონ; გმირმა იცის, რომ მას ამქვეყნად დათმენილი განსაცდელის წილ ზესთასოფელში, რუსთველურად – „მუნ“, მოელის ხსნა, სულიერი უკვდავება. „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა კათარსისი მხოლოდ ღმერთის, სამყაროსა და ადამიანის არსის შეცნობის, ტანჯვის, წვალების გადატანის, განსაცდელთა დაძლევის, მოყვასისადმი სიყვარულის გამოჩენისა და მისთვის გარჯის შედეგად მიიღწევა, ამიტომაცაა იგი რუსთველისათვის მსოფლმხედველობრივად კონცეპტუალური.

ტარიელმა, პოემის სხვა პერსონაჟებთან ერთად, ახალ ცხოვრებას დაუდო დასაბამი. მის მიერ მოპოვებული გამოცდილება ახალ ენას, ახალ ცნობიერებას მოითხოვს, ოღონდ ტრადიციულზე დამყარებულს, დროში უწყვეტს. „ვეფხისტყაოსანში“ ყველაფერი ახალია, ჯერთ უთქმელია. რუსთველმა თავად შექმნა ახალი მითი, ახალი სამყარო, მის პოემაში სხვადასხვა კულტურული ტრადიცია შეზავდა და თავადვე იქცა სხვათათვის წყაროდ, რასაც რუსთველისშემდგომი ხანის ქართული ლიტერატურა მოწმობს. რუსთველი თავად ქმნის და აყალიბებს ტრადიციას; „ვეფხისტყაოსანი“ ახალი ცნობიერების, ახალი აზროვნების საფუძველია, იგი ახალ ტრადიციას უდებს სათავეს. ახალ ცნობიერებას რადიკალურად განსხვავებული ენა, სხვა ხასიათი უნდა ჰქონდეს, აზროვნების არსებული ფორმებისაგან სრულიად განსხვავებული ხასიათი. ტარიელის ცნობიერება გამოქვაბულის ბინადრობის გავლის შემდეგ, ვეფხისტყაოსნობის ურთულესი ფსიქოლოგიური პერიოდის გავლის შემდეგ, ნესტან-დარეჯანის ამბის გაგების შემდეგ სრულიად იცვლება და სულიერად განწმენდილი ერთდროულად მოიპოვებს მიჯნურსაც და სამშობლოსაც.

**ნესტან სულავა,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

# რად გაქრა „თამარიანი“?

*(„ვეფხისტყაოსნის“ ბოლო სტროფის მართებულად გაგებისათვის)*



რუსთველის პოემა მთავრდება მხატვრულად სრულყოფილი პოეტური აბზაცით. ემოციური ძალით იგი ქმნილების ბევრ შიდა სტროფს არ ჩამოუვარდება. აი, ისიც:

**ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,**
**აბდულ-მესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,**
**დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა – დაუშრომელსა,**
**ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა.**

*(რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1966, გვ. 359)*

მეცნიერთა მიერ სამართლიანად არის გაზიარებული შეხედულება, რომ მითითებული სტროფი არ ეკუთვნის რუსთველს და იგი აშკარად ინტერპოლატორის ნაკალმარია. ამ მხრივ აღსანიშნავია ორი მძლავრი არგუმენტი:

1. პოემაში ავტორი არაერთხელ ავლენს საკუთარ პიროვნებას და ყოველთვის – პირველი პირით („მე, რუსთველი ...“ „დავჯე, რუსთველმა გავლექსე ...“ და ა.შ.). აქ კი ტაეპების ავტორი სხვაზე მიუთითებს: ტარიელი მის გულშემატკივარ რუსთველს უქიაო;

2. არ არის მოსალოდნელი, რომ თვითონ რუსთველს ქართული ლიტერატურის ისტორიკოსის როლი ეკისრა და თავისი პოემის ბოლოს ლიტერატურის ერთი ისტორიული მონაკვეთის მთელი პანორამა წარმოედგინა: იმან ის შექმნა, ამან – ეს და, ბოლოს, რუსთველმა დააგვირგვინა ეპიკის განვითარების ლიტერატურული პროცესიო. ეჭვი არაა, ამგვარ შეჯამებას „გარეშე მაყურებელი“ იძლევა.

აღნიშნული ტაეპები რომ ინტერპოლატორულია, დღეს ეს უდავო ფაქტად არის აღიარებული (*„ქართული მწერლობა“, I, თბ., 1984, გვ. 12).*



ვფიქრობთ, მითითებული სტროფი მალავს საიდუმლოს, რომელიც, ჯერჯერობით, გაუხსნელია.

ჩვენი მიზანია ამ საიდუმლოს გაცხადება.

ერთი შეხედვით, სტროფს ახასიათებს უცნაურობა:

ქრონოლოგიის სრული დაცვით ჩამოთვლილია გამოჩენილი ავტორები და მათი თხზულებანი, ოლონდ, რატომღაც, გამორჩენილია ჩახრუხაძის ბრწყინვალე პოემა „თამარიანი“.

როგორ ავხსნათ ეს?

თუ ქრონოლოგიურ პრინციპს გავედევნებით, მაშინ უნდა ვაღიაროთ: „ამირანდარეჯანიანი“ უფრო ადრეა შექმნილი, ვიდრე ჩამოთვლილი სხვა ტექსტები; „აბდულმესიანისა“ და „დილარგეთიანის“ დაწერის დრო არ ვიცით, ოლონდ „ტარიელიანისა“, თითქმის ზედმიწევნით არის დადგენილი (1205-1207). რა თქმა უნდა, ჩახრუხაძის „თამარიანი“ წინ უსწრებს „ვეფხისტყაოსანს“. მაშასადამე, ქრონოლოგიური თვალსაზრისით, „ტარიელიანის“ წინ უნდა წერებულიყო „თამარიანი“; მაგრამ სტროფი, ქრონოლოგიური აზრით, დუმს, „თამარიანს“ არც კი ახსენებს.

იქნებ, ამას იმიტომ აკეთებს, რომ მხატვრულ-ესთეტიკური კუთხით არ მიაჩნია იგი ღირსეულ ქმნილებად?

თუ მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპს გავედევნებით, შეუძლებელია არ ვაღიაროთ: ჩახრუხაძე ქართული სიტყვის დიდოსტატია, უკვდავი მგოსანია, რომელმაც ქრესტომათიული საზეპიროებით გაძეძგილი ტექსტი გვისახსოვრა. „თამარიანი“ გახლავთ კლასიკური სახოტბო პოემა, რომლის ბადალი იშვიათად თუ იწერება *(იქვე., გვ. 260).*

მაშასადამე, შეუძლებელია, საკვლევაძიებო სტროფის ავტორს ჩახრუხაძის ნაკალმარი მხატვრულ-ესთეტიკური მოსაზრებით დაეწუნებინა.

მაშინ დგება საკითხი:

„ვეფხისტყაოსნის“ დამაგვირგვინებელ, ე.წ. „შემაჯამებელ“ მონაკვეთში რად გაქრა „თამარიანი“?

ხომ არ არის აღნიშნულის მიზეზი რაიმე სხვა პრინციპი, რაც საფუძვლად უდევს საძიებელ პოეტურ შედევრს?

მიგვაჩნია, რომ პოემის ე.წ. „შემაჯამებელ“ მონაკვეთში „თამარიანი“ არც უნდა მომხვდარიყო.

საამისოდ აუცილებელია გავითვალისწინოთ რომანის პროლოგი, სადაც ავტორი ათვალწუნებით ეკიდება ლირიკული ნაწარმოების სახეობებს და ჭეშმარიტ პოეზიად მხოლოდ ვრცელ ეპიკურ ტილოებს სახავს.

შესავალში რუსთველი შაირობის თეორიას 8 პოეტურ აბზაცს უთმობს. აქ მისი დებულებები ცხადზე უცხადესია: კარგ ბედაურს გრძელი გასაჭენებელი შარა შეამოწმებს. ასევეა მელექსე. მას გამოცდის „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“. გრძელი ლექსი ლირიკა ვერ იქნება, ასეთი მხოლოდ ეპიკური ამბავია; პროლოგის ავტორი იწუნებს ერთი-ორი წვრილ-წვრილი ქმნილების ავტორებს: „მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი“. მისი გაგებით, ლირიკული გნომები ერთმანეთთან არაა დაკავშირებული. ერთი ეხება ერთ თემას, მეორე – მეორეს. ამიტომ ისინი გამოდის „უმსგავსო და შორი-შორი“.

აი, ასე გააქილიკა შემოქმედმა წვრილი ლირიკული ტექსტები.

სხვათა შორის, აქ რუსთველი სულაც არ გახლავთ ნოვატორი. იგი პირწმინდად იმეორებს თავისი დიდი წინაპრებისა და ლიტერატურული კერპების მოსაზრებებს *(იხ. მ. თავდიშვილის ნარკვევები: „ფირდოუსი და რუსთველი“, „ნიზამი და რუსთველი“).*

„ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელი ჭეშმარიტ პოეზიად არც მცირე ზომის ეპიკურ ტექსტებს მიიჩნევს. ასეთია, მაგალითად, ბალადა ან პატარა პოემა. ასეთი ნაწარმოებები მას შეჰყავს „მეორე ლექსის“ კატეგორიაში:

**მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,**
**არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა.**

აქ პირდაპირ და უმაგრამოდ ნათქვამია: წვრილი პოემა / ან ბალადა/ ერთგვარ წილს კი იდებს პოეზიაში, ოლონდ გულის განმგმირავ, სულში ჩამწვდომ სიტყვას მაინც ვერ ამბობს. ამ წვრილ-წვრილი პოემა-ბალადების ავტორს მე ვამსგავსებ ყმაწვილ, გამოუცდელ, ნორჩ მონადირეებს, რომელთაც დიდი ნადირის (ვთქვათ, ასეთია „შაჰ-ნამე“, „ვეფხისტყაოსანი“ ...) მონადირება არ ძალუძთ და ამიტომ წვრილ ნადირთ (კურდღელი, მაჩვი ...) ხოცავენო.

ავტორი ასევე აკრიტიკებს „მესამე ლექსს“. ესაა „სათრეველი“ სტროფები, კაფიები, სხარტულები. ისინი სანადიმოდ, სამღერელად, საამიკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა გასაქილიკებლად კარგია, მოსწრებულია, მისადაგებულია, ოლონდ ჭეშმარიტი და ნამდვილი პოეზია როდიაო!

ბოლოს პოეტი კატეგორიულად დაასკვნის: „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად “.

„გრძელად“ მთქმელნი კი არიან ჰომეროსი, ვერგილიუსი, ფირდოუსი, ნიზამი, რუსთველი ...

ყოველივე ამას ითვალისწინებს საკვლევი ლექსის ნიჭიერი მთხზველი.

მაშასადამე, პოემის ბოლოს დართულ შემაჯამებელ სტროფში ინტერპოლატორი იცავს ავტორის ნებას და ნაშრომებს არჩევს არა ქრონოლოგიური ან მხატვრულ-ესთეტიკური, არამედ ჟანრობრივი ნიშნით.

და, რაკიღა „ვეფხისტყაოსანი“ ეპიკური ქმნილებაა, შეჯამების ავტორი ჩამოთვლის ბოლო პერიოდის ეპიკურ ტილოებს და გვიჩვენებს, რომ ქართული მწერლობის ამ პროცესს თუ ვითარ აგვირგვინებს „ტარიელიანი“.

თუ ამ თვალთახედვით გავიაზრებთ ბოლო სტროფს, მაშინ გასაგები გახდება, რად არ ახსენა აქ მოშაირემ ჩახრუხაძის შესანიშნავი ქმნილება. დიახ, აქ „თამარიანის“ ადგილი ნამდვილად არ არის. ის ხომ ლირიკული ნაწარმოებია, სახოტბო-პანეგირიკული შედევრია, რომელიც არ გულისხმობს „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევას“.

ახლა კი ვნახოთ, როგორ არის რეალიზებული ეპიკური ჟანრის პრინციპი: პირველ ტაეპში ნახსენებია მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“. ტექსტი დღემდე არის მოღწეული და დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ – ეს არის ტიპური რომანი, ანუ ამბიანი ტექსტი.

მაშ, პირველი სტრიქონის მიხედვით, ეპიკური პრინციპი მართლდება!

მეორე ტაეპში ქრონოლოგიის დაცვით (და ჩვენ ვენდობით ამ ქრონოლოგიას) დასახელებულია იოანე შავთელის „აბდულმესია“.

დღემდე მოღწეულია ე.წ. „აბდულმესია“, რომელიც შეადგენს 107 სტროფს (დაახლოებით იმდენს, რამდენსაც ჩახრუხაძის ოდა) და გახლავთ არა ეპიკური (ამბიანი), არამედ ლირიკული ნაშრომი. კიდევ მეტი, ის არის ლირიკულ-პანეგირიკული ტექსტი. მას არავითარი ამბავი არ უდევს ფუძედ და ეპიკურ რომანად ვერ ჩაითვლება.

ამასთანავე, მხატვრული თვალსაზრისით, ე.წ. „აბდულმესია“ გაცილებით მდარეა, ვიდრე „თამარიანი“.

მაშასადამე, თუ „თამარიანი“ ვერ გახდა ღირსი „შეჯამებაში“ მოხვედრისა, რის გამო უნდა მოხვედრილიყო იქ ბევრად უფრო მდარე „აბდულმესია“?!

მაგრამ საქმეც ის არის, რომ „შეჯამებაში“ იგულისხმება ის „აბდულმესია“, რომელიც გახლდათ რომანი, ეპიკური თხზულება და, რომელიც, დაკარგულია. ჩვენს ხელთ არსებული 107 სტროფიანი ლირიკული ხოტბა კი დაწერილია 1661 წელს, მისი ავტორია იაკობ შემოქმედელი, ხოლო ქების ობიექტია იმერეთის ტახტზე ასული 14 წლის ყმაწვილი მეფე არჩილ შაჰნავაზის ძე.

ასე რომ, თუ „შეჯამების“ პირველ ტაეპში ნახსენებია რომანი „ამირანდარეჯანიანი“, მეორეში დასახელებულია ქრონოლოგიურად მომდევნო ეპიკური ქმნილება /ლექსად ან პროზით შესრულებული/ იოანე შავთელის „აბდულმესია“, აწ დაკარგული რომანი.

მესამე სტრიქონში მითითებულია ქრონოლოგიურად მესამე მნიშვნელოვანი ნაშრომი „დილარგეთიანი“. სარგის თმოგველის ეგ ეპიკური რომანი დაკარგულია. მისი აღდგენა ცადეს მოგვიანებით. მე-18 საუკუნის დამლევს პეტრე ლარაძემ აღადგინა ეს საგმირო-სათავგადასავლო ეპიკური რომანი, სადაც აღწერა აბაშეთის მეფის დილარის ხიფათიანი თავგადასავალი *(„ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, 3, გვ. 551; „ქართული ლიტერატურის ისტორია“, 2, თბილისი, 1966).*

ლარაძე სწორად მოქცეულა: დაკარგული ეპიკური ამბავი ჩაუნაცვლებია ეპიკურივე ტექსტით.

Dაბოლოს. მეოთხე სტრიქონში მითითებულია „ტარიელიანი“, რომელიც ამ გმირის ავბედობით გულდამწვარ ავტორს შეუთხზავს.

რა თქმა უნდა, „ტარიელიანი“, ანუ „ვეფხისტყაოსანი“, ლექსად დაწერილი კლასიკური რომანია და აქ იგი ისეა წარმოდგენილი, ვითარცა ქართული ეპიკური მწერლობის გვირგვინი.

ასე რომ, ჩვენი წერილის შედეგია ორი უმთავრესი დასკვნა:

**1. „ვეფხისტყაოსნის“ შემაჯამებელ ბოლო სტროფში, რომელიც ეფუძნება ეპიკურ ნაწარმოებთა ჩამოთვლის პრინციპს, ვერ მოხვდებოდა და არც მოხვედრილა ლირიკული შედევრი „თამარიანი“.**

**2. შეჯამების მიერ დასახელებული „აბდულმესია“ ვერ იქნებოდა და არც არის ლირიკულ-ხოტბითი ნაწარმოები; შავთელის ეპოსი „აბდულმესია“, რომელსაც შეჯამება გულისხმობს, დაკარგულია, ხოლო ჩვენს ხელთ არსებული 107 სტროფიანი ლირიკული ოდა, რომელში გმირი აბდულმესია ერთხელაც არაა ნახსენები, გახლავთ XVII საუკუნის ძეგლი „ქება მეფისა არჩილისა“ და მისი ავტორია იაკობ მიტროპოლიტი.**

**მურმან თავდიშვილი,**
*პროფესორი*

# რუსთველი და ფირდოუსი



ფირდოუსის „შაჰნამე“ იგივეა ირანელი ხალხისთვის, რაც შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ ქართველთათვის.

„შაჰნამესადმი“ ქართველთა დამოკიდებულებაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის, რომ მისი გმირთა სახელები: როსტომი, ზურაბი, ჯემშიდი, თეიმურაზი, გივი, გოდერძი, ბეჟანი, მანუჩარი, უშანგი, თამაზი, ლუარსაბი, ქაიხოსრო და სხვა, ოდითგანვე ეროვნულ სახელებად ქცეულა.

აგრეთვე ის, რომ ეს ნაწარმოები ქართულ ფოლკლორშიცაა გადასული, თანაც, იმდენად, რომ ჯერაც არიან ადამიანები, რომელთაც ახსოვთ მამაპაპათგან მონათხრობი ეპიზოდები „შაჰნამედან“, მაგალითად, ბეჟანის ამბავი.

„შაჰნამესადმი“ ქართველი ხალხის გამორჩეულად მიმართებაზე მეტყველებს ისიც, რომ პოემის მთავარი მითოლოგიური გმირი როსტომი, ფირდოუსის ქმნილებაში წარმოჩენილია, ძირითადად, ფიზიკური მონაცემებით, ქართველმა ხლხმა კი თავის ფოლკლორში მას ბრძენკაცის მანტიაც მოასხა, მაგალითად, მრავალი ხალხური ლექსი იწყება ასე: „როსტომ თქვა„:

როსტომ თქვა: ერთი არა სჯობს,
ამ ჩემსა მოგონებასა,
ერთხელ სიკვდილი სჯობია,
სულ მუდამ დაღონებასა.

„შაჰნამე“ და „ვეფხისტყაოსანი“ ორი ასწლეულით არიან დაშორებულნი ერთმანეთს, რომელთაგან პირველი შეიქმნა X, ხოლო მეორე – XII საუკუნეში, მაგრამ მათ ბევრი რამ აქვთ საერთო, რაც, განსაკუთრებით, ცნობილმა რუსთველოლოგმა მურმან თავდიშვილმა გამოავლინა და დაგვანახა თავის წიგნში „რუსთველი და ფირდოუსი“, ასე მაგალითად:

თურმე, „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“ და მსგავსი აფორიზმები, ისევე ამკობს სპარსულ პოემას, როგორც ქართულს;

თურმე, სიშავე ორივეგან ერთნაირად გამოიხატება ყორნის ფრთის საშუალებით;

თურმე, ვეფხის ტყავით იმოსებიან „შაჰნამეს“ გმირებიც;

თურმე, გამარჯვების მისაღწევად, ერთნაირად გადაიცვამენ ვაჭრის ტანსაცმელს ორივე პოემის პერსონაჟები და ასე შენიღბულად შევლენ მოწინააღმდეგის ადგილსამყოფელში;

თურმე, ერთნაირად ეგებებიან გამარჯვებულ სარდალს ქალაქგარეთ მეფეები;

თურმე, ღვინო ერთნაირად არის ვაჟკაცობის საზომი ორივე ნაწარმოებში;

თურმე, ლამაზი კაცები და ქალები ორივეგან არიან ალვისტანანი და აქვთ ორი კვირის მთვარის მსგავსი სახე, თვალები – მელნის, კბილები – მარგალიტების და მრავალი სხვა.

რამ გამოიწვია „ვეფხისტყაოსნის“ ამდენი თანხვედრა „შაჰნამესთან“?

მურმან თავდიშვილის აზრით, რახან „შაჰნამე“ ადრეულია „ვეფხისტყაოსანზე“, ეს გამოწვეულია სპარსული პოემის გავლენით ქართულზე.

რუსთველისთვის რომ „შაჰნამე“ ნაცნობი იქნებოდა, ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. არც იმაში უნდა შეგვეპაროს ეჭვი, რომ ეს ნაცნობობა გარკვეულ კვალს დატოვებდა „ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ ამ ორ ნაწარმოებს შორის არსებული თანხვედრათა მიზეზი უნდა ვეძიოთ არა „შაჰნამეს“ მიერ „ვეფხისტყაოსანზე“ გავლენაში, არამედ იმ საერთო ლიტერატურულ სივრცეში, სადაც იშვა ეს ორი ქმნილება.

ეს საერთო ლიტერატურული სივრცე კი არის – სპარსულ-მუსლიმური ლიტერატურული სივრცე, რომელიც ჩამოყალიბდა მახლობელ აღმოსავლეთში X საუკუნიდან, ახალ სპარსულ ენაზე, ირანის არაბთა ბატონობისგან განთავისუფლების შემდეგ.

ამიტომ ყველა ის, რაც საერთოა „შაჰნამეს“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის, ასევე საერთოა იმ სივრცეში შექმნილ სხვა მხატვრული ქმნილებებისთვისაც.

როგორც ცნობილია, XII საუკუნემდე ქართული ლიტერატურა იყო სასულიერო ხასიათის, ჰაგიოგრაფიული. XII საუკუნეში კი, მის გვერდით, აღმოცენდა და განვითარდა საერო მწერლობა, რომელსაც გვირგვინად დაედგა „ვეფხისტყაოსანი“.

ამ მოვლენას ანალოგი არ გააჩნდა ქრისტიანულ სამყაროს ლიტერატურაში, რითაც ქართულმა რენესანსმა საუკუნე-ნახევრით გაუსწრო ევროპულ რენესანსს.

ჩვენი ღრმა რწმენით, ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარების პროცესს, რომელსაც უკვე საკმაოდ ჰქონდა შემზადებული ნიადაგი ქართულ ნიადგზე, დიდად შეუწყო ხელი ქართულ-სპარსულმა ლიტერატურულმა ურთიერთობებმა. ამ დროს ხომ, თარგმანის გზით, დიდი რაოდენობით შემოვიდა სპარსული ლიტერატურა ქართულ მწერლობაში.

სწორედ ამ ორი ლიტერატურული სამყაროს გადაკვეთაზე იშვა „ვეფხისტყაოსანი“.

სწორედ ამიტომ აქვთ ამდენი საერთო ერთმანეთთან „ვეფხისტყაოსანსა“ და „შაჰნამეს“.

„ვეფხისტყაოსანი“ და „შაჰნამე“ ის ორი უკვდავი ქმნილებაა, რომლებიც აღმოსავლეთის ერთი მინდვრის ყვავილების ნექტრით არიან ნასაზრდოებნი, თუმცა ერთი სხვაობით:



რუსთველი, განსხვავებით ფირდოუსისგან, ასევე ნასაზრდოებია დასავლური მინდვირის ყვავილების ნექტრით და „ვეფხისტყაოსანი“ ერთადერთია მსოფლიო ლიტერატურაში, სადაც ასეა შეზავებული ერთმანეთში აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურული ღირებულებანი.

მოყოლებული მე-12 საუკუნიდან, თუ რამე ამაღლებდა ზნეობრივად და ზრდიდა გმირული სულისკვეთებით ქართველ ხალხს, ვფიქრობთ, „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად, უპირველეს ყოვლისა, ფირდოუსის „შაჰნამე“ იყო.

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ქართველები „შაჰნამეს“ გმირებს მანამდეც იცნობდნენ, სანამ შექმნიდა ფირდოუსი თავის უკვდავ ქმნილებას, იცნობდნენ მისი ფალაური პირველწყაროდან, რაც ქართულ წყაროებში „შაჰნამეს“ გმირთა სახელების ფალაური ფორმების არსებობით დასტურდება.

საქართველოში თუ ოდესმე ვინმეს მოუნდება რუსთველის გვერდით დადგას ვინმეს ძეგლი, ეს, ალბათ, ფირდოუსის ძეგლი უნდა იყოს.

## შენიშვნა

ჩვენი ყურადღება მიიპყრო „ვეფხისტყაოსნის“ მესამე სტროფის მესამე ტაეპის სარითმო ერთეულმა, რომელიც გამოცემათა მიხედვით, შემდეგი სახითაა მოცემული: **„შერისა“, „შე რისა“, „შე-რისა“, „შე, რისა“, „შე,-რისა“.** მას ხან დასმული აქვს მძიმე, ხან კითხვის, ხანაც – კითხვისა და ძახილის ნიშანი ერთად.

მოგვყავს მაგალითი „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ბოლო 1988 წლის გამოცემიდან:

„ვის ჰშვენის, – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
– მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა, –
მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, **შე-, რისა?**,
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მი- შერისა“.

როგორ ესმის აღნიშნული სარითმო ერთეული აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიას? Pპასუხი ცალსახაა, ესმის როგორც კითხვითი ნაცვალსახელი.

ჩვენ ეჭვი გვეპარება ამ ლექსიკური ერთეულის ტრადიციულ გაგებაში და გამოვხატავთ ჩვენს მოსაზრებას:

მაშ, რას უნდა ნიშნავდეს ჩვენთვის საინტერესო დაკვირვების საგანი? ჩვენი აზრით, ის უნდა მოდიოდეს არაბული ლექსიკური ერთეულიდან **შე’რ,** რომლის მნიშვნელობაა – **ლექსი.** ამ სიტყვისგან ნაწარმოებია **შა’ერ - პოეტი,** საიდანაც მომდინარეობს ქართულში არსებული სიტყვა – **შაირი.**

ორივე სიტყვა, ანალოგიური შინაარსითა და გარკვეული ფონეტიკური ცვლილებებით, შესულია სხვადასხვა აღმოსავლურ ენებში, მათ შორის სპარსულსა და ქართულში.

ამგვარად, **შერისა** უნდა გავიგოთ არა როგორც კითხვითი ნაცვალსახელი **„შე,-რისა“,** არამედ, როგორც არსებითი სახელი **შე’რ** - ლექსი.

გამომდინარე აქედან, ჩვენთვის საინტერესო ტაეპიც ასე უნდა გავიაზროთ: „მას, არა ვიცი, შევმართო შესხმა ხოტბისა **შერისა“,** ანუ – **ლექსისა.**

### შადი, შარდი თუ შართი?

ჩვენი ყურადღება მიიპყრო „ვეფხისტყაოსნის“ 374 (371) სტროფის, მეორე ტაეპის პირველმა სიტყვამ, რომელიც ხელნაწერების მიხედვით იკითხება შემდეგი ვარიაციებით: **შარდი // შადნი, შადი, შართი.**

ხელნაწერთა უმრავლესობა ამ ლექსებიდან მხარს უჭერს **შარდ-**ს. ასევეა 1712 წლის ვახტანგისეულ გამოცემაშიც, საიდანაც მოგვყავს აღნიშნული სტროფი:

„ავდეგ მსხდომნი ნადიმობით აემზადნეს ასაყრელად,
**შარდი** უთხარ ნუ ასდგებით მოვალ ხანსა დაუზმელად,
გამოვე და საწოლს შეველ მონა დადგა კარსა მცველად,
გული მივეც თმობა ქნათა აუგისა საკრძალველად“.

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონების მიხედვით **შადი** და **შართი** ასეა განმარტებული::

**შადი –** სპარს. მხიარულება.

ამ ორი სიტყვიდან **შადი** სწორად არის განმარტებული, ხოლო **შართ-**ის განმარტება ჩვენთვის გაუგებარია. ვფიქრობთ, იგი გამომცემლის მიერ კონტექსტის შინაარსიდან გამომდინარე არის განმარტებული.

რა უნდა იყოს **შართი?**

ჩვენი აზრით, **შართი** მომდინარეა არაბული ლექსიკური ერთეულიდან – **შარტ,** რომლის მნიშვნელობებია: 1. პირობა, 2. შეთანხმება, 3, სანაძლეო, ფსონი... ეს სიტყვა, სხვა აღმოსავლურ ენებში არის შესული, მათ შორის სპარსულშიც.

ვფიქრობთ, აღნიშნულ სტროფში საქმე გვაქვს სწორედ ამ ლექსიკურ ერთეულთან.

ტაეპიც ასე უნდა გასწორდეს:

**შარტი** (პირობა) უთხარ, ნუ ასდგებით, მოვალ ხანსა დაუზმელად.

**ნომადი ბართაია, აღმოსავლეთმცოდნე, პროფესორი.**

---

**თარგმანები**

## ანა ახმატოვა

### რუხთვალა მეფე

უსაშველოა ტკივილი გულში!
რუხთვალა მეფე მომკვდარა გუშინ.
შემოდგომის დღე სულს ლევდა დიდხანს,
დაბრუნდა ქმარი და მშვიდად მითხრა:
„ნადირობიდან ჩამოიყვანეს,
სხეული ბებერ მუხასთან ნახეს.
დედოფალია საბრალო ახლა,
სულ ერთ ღამეში ჭაღარა გახდა“!
ნახა ჩიბუხი, ბუხარზე იდო,
ღამის საქმეზე წავიდა თვითონ.
ჩემს გოგოს უნდა დავუფრთხო ძილი,
მის რუხ თვალებში რომ ჩავიძირო.
სარკმელს შრიალი ავსებს ვერხვების:
„შენს მეფეს ქვეყნად ველარ შეხვდები...“

## ვერონიკა ტუშანოვა

...
რამეზე მითქვამს უარი? –
მითხარ!
კოცნას მთხოვდი და –
გკოცნიდი გზნებით.
მთხოვდი, მეცრუა –
შენც გახსოვს, დიდხანს
რომ დავდიოდი
სიცრუის გზნებით.
მუდამ ვიყავი, როგორიც გსურდა:
ხან – ვიცინოდი,
ხან – ვდუმდი მხოლოდ...
თვინიერებას ზღვარი აქვს, მუდამ
ყოველ დასაწყისს აქვს თავის ბოლო.
სალი გონებით ბრალსა მდებ, თითქოს
მხოლოდ მე ვცოდე
სიტყვით და საქმით.
შენ ისურვე, რომ მე აღარ ვიყო...
ნუ შეშფოთდები –
მე უკვე გავქრი.
...
არ უარყოფენ, როცა ტრფობაა,
სიცოცხლე ხვალ ხომ არ დასრულდება.
არ შევიმჩნევ, რომ უშენობაა
და სწორედ მაშინ შენ გამოჩნდები.
მოხვალ, როდესაც ბნელი ღამეა,
როცა ქარბუქი შეარყევს მინებს.
და გაიხსენებ, რომ რახანია
აღარ ვუთბობდით ერთმანეთს თითებს.
და მოინატრებ ამ სითბოს ისევ,
უარყოფილი შენგან ჯიუტად,
რომ მოგინდება, დარეკვა მყისვე
და ველარ ითმენ სამ კაცს ჯიხურთან.
და თითქოს განგებ, ნელა მიღოღავს
ტრამვაი, მეტრო, ან კიდევ სხვა რამ.
თითქოს ქარბუქიც გზებს შენ გიღობავს,
ყველა გასასვლელს ნამქერით ფარავს...
სახლში კი სევდას და მდუმარებას
არღვევს მრიცხველის ხმა, წიგნების ფურცვლა,
დააკაკუნებ როცა კარებზე,
სულმოუთქმელად ამოხვალ უცბად.
ამისთვის სულსაც გავიღებ, მჯერა
დღემდე რომ ასე მოხდება მალე,
და გელოდები ამიტომ ჯერაც,
არ მოვცილდები მთელი დღე კარებს.

## ოსიპ მანდელშტამი

***
მინდა სხვებისდა დარად
მეც ვიყო შენი მოყმე,
ეჭვიანობით გამშრალ
ტუჩებით ბუტბუტს მოვყვე.
ვერ დააწყნარებს დამსკდარ
ტუჩებს ვერცერთი სიტყვა,
ამ შემდოვრებულ ჰაერს
უშენოდ ველარ ვიტან.
არ ვეჭვიანობ მეტად,
მაგრამ მინდიხარ, ისე
დავდივარ, თითქოს მალე
ჯალათს შევუშვერ კისერს.
აღარ გიწოდებ სატრფოს,
აღარც სიხარულს, ჩემი
შემიცვალეს და უცხო
სისხლის ამარა ვრჩები.
აი, სულ ერთი წამიც,
და გეტყვი, ვიდრე შემშლი,
განა სიხარულს, ახლა
წამებას ვპოვებ შენში.
დანაშაულის მსგავსად
შენსკენ მიზიდავს აგერ,
მთლად დაკვნეტილი ღელვით
ალუბლის ნაზი ბაგე.
ჩემთან დაბრუნდი მალე,
უშენოდ შიში მზაფრავს,
არ შემიგრძნიხარ სხვა დროს
ასე ძლიერად, მძაფრად,
ყოველი, რაც მე მინდა
ახლა ცხადია ისე.
არ ვეჭვიანობ მეტად,
მაგრამ გეძახი ისევ.

თარგმნა ვასილ გულეურმა

# მესხეთიდან გასახლების ისტორია ზოგიერთი


СОВ.СЕКРЕТНО.

ЦК ВКП(б)- ТОВАРИЩУ СТАЛИНУ. д. 1 стр. 68-

В районах Грузии, граничащих с Турцией, в настоящее время, по данным НКВД проживают со своими семьями 445 человек, вернувшихся из ссылки, конц-лагерей и других мест заключения после отбытия наказания за бандитизм, шпионаж, антисоветскую работу и другие преступления.

Большая часть вернувшихся прекратила свою контр-революционную антисоветскую работу и приступила к трудовой жизни.

Другая часть, в количестве 198 человек, ~~однако~~ продолжает оставаться антисоветски настроенными, является базой для проявлений закордонного и внутреннего бандитизма об'ектом вербовки иностранной разведки и ведет антисоветскую, подрывную работу.

Оставление этих лиц в пограничной полосе создает известную напряженность в районах, порождает эмиграционные настроения среди населения, способствует развитию бандитизма и пр.

Вторичная высылка этой категории лиц без семей, особенно не улучшит положение, так-как оставшиеся в районах репрессированные семейства, враждебно настроенные к Советской Власти, не прекратят своей контр-революционной ра-

...

ние НКВД СССР.

СЕКРЕТАРЬ ЦК КП(б) Грузии: (Л.БЕРИЯ).

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დეპორტაციის პროცესი, რომელიც მთავრობამ 1930-1950 წლებში განახორციელა, საკმაოდ მასშტაბურ ხასიათს ატარებდა. მილიონობით საბჭოთა მოქალაქეს შეეხო იძულებითი მიგრაცია, შეიცვალა ადამიანების ბედი, მეტიც, როგორც კვლევებით დასტურდება, სერიოზული ზიანი მიადგა ქვეყნის ეკონომიკასაც კი.

საბჭოთა სახელმწიფო აღარ არსებობს, თუმცა დეპორტაციის შედეგები დღემდე აქტუალურად იჩენს თავს და მათი გადაწყვეტა ხშირად ხდება იარაღი ამა თუ იმ პოლიტიკოსის ხელში. სამართლიანობის სახელით საუბრობენ და მოქმედებენ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული თვალსაზრისის მქონე ადამიანთა ჯგუფები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები. სიმართლე ერთია, თუმცა მისი დადგენა, შესწავლა და სერიოზული, მიუკერძოებელი ანალიზია საჭირო.

ჩვენი წერილის მიზანია, მკითხველს გავაცნოთ იმ ოფიციალური დოკუმენტური მასალის ნაწილი, რომელზეც ხელი მიგვიწვდა და რომელიც ეხება 1944 წელს საქართველოდან მოსახლეობის დეპორტაციას. მასალა, რომელსაც განვიხილავთ, არის სახალხო კომისრების საბჭოს, სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებისა და სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების, ასევე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული ოფიციალური დოკუმენტები (ჟურნალ „საარქივო მოამბის“ 2008 წლის მე-3 ნომრის დამატება, http://archive.security.gov.ge;, Иосиф Сталин—Лаврентию Берии: «Их надо депортиро-вать...»: Документы, факты, комментарии/ Вступ. ст., сост., послесл. Н. Бугай. —М.). დოკუმენტებმა შემოინახა სტატისტიკა, ჩანს გადასახლების პროცესი, საბჭოთა ქვეყნის პარტიული და სამთავრობო ხელმძღვანელობის დამოკიდებულება (მეტწილად სტალინისა და ბერიასი).

**რა იყო გასახლების მიზეზები და მიზანი?** დოკუმენტური მასალის მიხედვით (როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ მხოლოდ იმ მასალას შევეხებით, რომელიც 1944 წელს საქართველოდან, კერძოდ, მესხეთიდან მოსახლეობის გადასახლების პროცესს ასახავს. თუმცა დეპორტაცია 1944 წელს არც დაწყებულა და არც დასრულებულა), დეპორტაციის მიზეზი იყო სახელმწიფოს თავდაცვითი ნაბიჯი ისეთი ქმედებების აღსაკვეთად, როგორიცაა ბანდიტიზმის გამოვლენა, ფაშისტური რეჟიმის მხარდაჭერა, მოსახლეობის მხრიდან იმ ეროვნებასთან თვითიდენტიფიკაცია, რომელთანაც მიმდინარეობდა, ან სამომავლოდ შეიძლებოდა დაწყებულიყო საომარი ქმედებები და ასე შემდეგ. სამთავრობო აქტებში მცდელობაც კი არ არის ისეთ კითხვებზე პასუხის გაცემისა, როგორიცაა, ვთქვათ, რატომ გამოდიოდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამა თუ იმ ხალხების გარკვეული ჯგუფები, რა ჰქონდა საფუძვლად მათ უკმაყოფილებას და შეიძლებოდა თუ არა სავარაუდო შედეგების აცილება სხვაგვარად. ყველა ამ კითხვაზე პასუხი არ შეიძლება იყოს ცალსახა და მარტივი. მეცნიერები მიზეზებს ხედავენ სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული მეთოდებით საზოგადოების მართვის ხანგრძლივად შენარჩუნების სურვილში, ფედერაციის ქვეშ მკაცრი, ცენტრალიზებული სახელმწიფოს მძლავრი მარწუხების მოქმედებაში.

ჯერ კიდევ 1937 წელს ლავრენტი ბერია საქართველოს საზღვრისპირა რაიონების მცხოვრებთა გარკვეული კატეგორიის შესახებ სტალინს სწერს წერილს. დოკუმენტი დაცულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, (III), ფონდი 14, აღწერა 11, საქმე # 152 და წარმოადგენს მოსკოვში გაგზავნილი დოკუმენტების ასლს (მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტის მეორე პირებს) **(ვახტანგ გურული, ომარ თუშურაშვილი, სამმართველო, ლავრენტი ბერიას მიმოწერა იოსებ სტალინთან,** ჟურნალ „საარქივო მოამბის“ 2008 წლის მე-3 ნომრის დამატება). წერილს აზის გრიფი - „საიდუმლო“:

*„ამხანაგ სტალინს, საქართველოს რაიონებში, რომლებიც ესაზღვრება თურქეთს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (НКВД) მონაცემებით ამ დროისათვის ოჯახებთან ერთად ცხოვრობს 445 ადამიანი, რომლებმაც სასჯელი მოიხადეს ბანდიტობის, შპიონაჟისა და ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის, დაბრუნდნენ გადასახლებიდან, საკონცენტრაციო ბანაკებიდან და თავისუფლების აღკვეთის სხვა დაწესებულებებიდან. დაბრუნებულთა დიდმა ნაწილმა შეწყვიტა თავისი კონტრრევოლუციური ანტისაბჭოთა საქმიანობა და შეუდგა შრომით ცხოვრებას.*

*მეორე ნაწილი, 198 ადამიანის ოდენობით დღემდე რჩება ანტისაბჭოურად განწყობილი და წარმოადგენს სასაზღვრო დერეფნისგარე და შიდა ბანდიტიზმის ბაზას, უცხოური დაზვერვის გადაბირების ობიექტს და ეწევა ანტისაბჭოთა, ძირგამომთხრელ საქმიანობას.*

*ამ კატეგორიის პირების მეორედ გასახლება ოჯახების გარეშე, მდგომარეობას საგრძნობლად ვერ გააუმჯობესებს იმდენად, რამდენადაც რაიონებში დარჩენილი რეპრესირებულთა ოჯახები, საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილები, არ შეწყვეტენ თავიანთ კონტრევოლუციურ საქმიანობას.*

*განიხილა რა ეს საკითხი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო, გთხოვთ სანქციას, საქართველოს სასაზღვრო რაიონებიდან მითითებული 198 პირის ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ ოჯახებთან ერთად გასახლების თაობაზე. რისთვისაც, გთხოვთ, გამოსცეთ სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დადგენილება.*

*საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. ბერია, 1937 წლის 4 თებერვალი“.*

როგორც ვხედავთ, ბრალდებები საკმაოდ სერიოზულია, საფრთხეც დეტალურად აღწერილი და გასახლების კანდიდატთა მოთხოვნილი რაოდენობა მხოლოდ 198-ს შეადგენს, თანაც დაკონკრეტებულია კატეგორია – განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული ადამიანები და მათი ოჯახები. არ სახელდება არც ეროვნება, არც რელიგიური კუთვნილება. ამ დროს ლავრენტი ბერია არის საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (აირჩიეს 1931 წლის ოქტომბერში). სწორედ ამ ტიტულით აწერს ხელს სტალინისადმი მიწერილ წერილს. აღნიშნულ თანამდებობაზე მან 1938 წლის აგვისტომდე დაჰყო (ამ პერიოდში ლავრენტი ბერია საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანიც იყო). 1938 წლის 25 ნოემბერს ლავრენტი ბერია საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დაინიშნა, იმავდროულად, შეინარჩუნა სახელმწიფო უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობა. ახალ თანამდებობაზე ყოფნის დროს – 1944 წლის 24 ივლისს იწერება კიდევ ერთი წერილი სტალინისადმი: .

*„საქართველოს სსრ-ის თურქეთთან მოსაზღვრე რაიონებში ცხოვრობს თურქული მოსახლეობა. წლების განმავლობაში, ამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ნათესაურ კავშირშია თურქეთის მოსაზღვრე რაიონების მცხოვრებლებთან, ამჟღავნებს ემიგრაციულ განწყობას, ეწევა კონტრაბანდას და თანამშრომლობს თურქეთის დაზვერვასთან აგენტების გადმობირებისა და ბანდიტური ჯგუფების შექმნისათვის.*

*საქართველოს სსრ-ის მონაკვეთზე სსრკ-ის საზღვრის დაცვის გაძლირების მიზნით, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი მიზანშეწონილად მიიჩნევს გადაასახლოს ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონებიდან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო საბჭოდან თურქების, ქურთების და ხემშილების 16. 700 ოჯახი, სულ 86 000 სული ყაზახეთის, უზბეკეთის და ყირგიზეთის სსრ-ში.*

*სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლ. ბერია, № 789/ბ, 24 ივლისი, 1944 წელი“ (http://reksin.ru/news/news040406.shtml.html).*

როგორც ვხედავთ, ბრალდებები იგივეა, მაგრამ განსხვავებულია კატეგორიაც და მოსახლეობის რაოდენობაც. წერილში დასახელებულნი არიან თურქები, ქურთები და ხემშილები. ისევ არცერთი სიტყვა რელიგიურ კუთვნილებაზე. წერილზე რეაგირება, შეიძლება ითქვას, იყო მყისიერი. იმავე თვეში მომზადდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება, რომელსაც ხელს აწერს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ბ. სტალინი:

*„პროექტი*

*თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება*

*1944 წლის ივლისი.*

*საქართველოს სსრ სახელმწიფო საზღვრის დაცვის პირობების გაუმჯობესების მიზნით თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ადგენს:*

*1. გასახლდეს საქართველოს სსრ-ის სასაზღვრო ზოლიდან – ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებიდან და აჭარის ასსრ-დან – 16 700 მეურნეობა დასახლებული თურქებით, ქურთებით და ხემშილებით: მათ შორის ყაზახეთის სსრ-ში 40 ათასი ადამიანი, უზბეკეთის სსრ-ში - 30 ათასი ადამიანი, ყირგიზეთის სსრ-ში - 16 ათასი ადამიანი.*

*გადასახლება შეასრულოს სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა (НКВД СССР). დაევალოს სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს (ამხ. ბერიას) გადასახლება განახორციელოს 1944 წლის ნოემბერში.*

*2. ნებადართული იქნება ერთ ოჯახზე 1000 კგ. სხვადასხვა ნივთის, პროდუქტისა და ინვენტარის ქონა.*

*3. სასაზღვრო ზონიდან გასახლებულთა მიერ დატოვებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, ნაგებობების, ხეხილის ბაღებისა და სხვა ქონების მიღების ორგანიზებისათვის შეიქმნას კომისია საქართველოს სსრ ცენტრალური სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ამხანაგ ხოშტარიას ხელმძღვანელობით და საქართველოს სსრ-ის ნარკომფინის (Наркомфин) დანარკომზემის (Наркомзем); სსრკ-ის ნარკომმიასოპრომის (Наркоммясомолпром) და ნარკომგაზის (Наркомзаг) წარმომადგენლების შემადგენლობით.*

*4. დაევალოს კომუნისტური პარტიის ცენტალურ კომიტეტს (ბოლშევიკები) სახალხო კომისრების საბჭოებს ყაზახეთის სსრ (ამხ. სკვორცოვს და უნდასინოვს), ყირგიზეთის სსრ (ამხ. ვაგოვს და კუკულატოვს), უზბეკეთის სსრ (ამხ. უსუპოვს და აბდურახმანოვს) ამ რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან ერთად გაატარონ ადგილზე საჭირო ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილი იყოს გადასახლებულების მიღება, განთავსება და მუდმივი საყოფაცხოვრებო პირობების მოწყობა.*

*5. ნება დაერთოს საქართველოს სახალხო კომისრების საბჭოს (СНК) განასახლოს 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილ რაიონებში საქართველოს სხვა მცირემიწიანი რაიონებიდან 7 000 მეურნეობა 32 000 კოლმეურნემდე მოსახლეობის საერთო რაოდენობით,. გადმოსახლება განხორციელდეს როგორც მთელი კოლმეურნეობებისა, ასევე მეურნეობების ცალკეული ჯგუფების. სასაზღვრო ზონაში ჩასახლების პუნქტები განისაზღვროს საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საოლქო სასაზღვრო ჯარების სამმართველოსთან ერთად.*

*6. გამოეყოს სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს 30 მლნ. მანეთი გასახლების, გადაყვანისა და სპეცგადასახლებულთა დასახლების ოპერაციის შესრულებისთვის, საქართველოს სახალხო კომისრების საბჭოს (СНК) – 4 მლნ. მანეთიხარჯებისათვის, რომელიც დაკავშირებულია რესპუბლიკის სასაზღვრო ხაზზე კოლმეურნეობების ჩასახლებასთან. დაევალოს „გლავტეხსნაბს“ (Главтехснаб) (ამხ. შიროკოვს) გამოყოს გადასახლების უზრუნველყოფისთვის 1944 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ფონდის ზევით ავტობენზინი: სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს – 750 ტ. ყაზახეთის კომისრების საბჭოს (СНК) – 75 ტ, ყირგიზეთის კომისრების საბჭოს (СНК) – 35 ტ, უზბეკეთის სახალხო კომისრების საბჭოს (СНК) – 70 ტ, საქართველოს კომისრების საბჭოს (СНК) – 100ტ.*

*თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. სტალინი“.*

დადგენილება ზუსტად იმეორებს ბერიას წერილით მოთხოვნილ თურქთა, ქურთთა და ხემშილთა გადასახლებას. გადაწყვეტილია რაოდენობა და გასახლების ადგილი. არც ერთი სიტყვა რელიგიური ნიშნით გასახლებაზე, არც ერთი სიტყვა მაჰმადიან ქართველებზე, რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ არის. დღევანდელი გადასახედიდან კარგად ჩანს, რომ ეს საბჭოთა იმპერიის მიერ ჩადებული ხანგრძლივ მოქმედებაზე გათვლილი კიდევ ერთი ნაღმი იყო, რომელიც, მართლაც, დღემდე მოქმედებს. გავა წლები და გადასახლებაში მოყოლილ არაერთ ქართველს მოუწევს ქართველობის დაცვა-დამტკიცება, სამშობლოში დასაბრუნებლად ბრძოლა – ეს უკეთეს შემთხვევაში, უარეს შემთხვევაში მათ შთამომავლებს დასჭირდებათ იმის დამტკიცება, რომ სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად მათი ქართული სისხლის წინაპრებიც გაასახლეს, რომ ისინი ქართველები არიან და სამშობლომ ქართველებად უნდა დაიბრუნოს. მოგვიანებით მერაბ კოსტავა და-

➔

# სახელმწიფო დოკუმენტის მიხედვით

წერს, რომ გასახლებულთა „ქართველობის, მათ (ხელისუფლების – მ. კ.) მიერ ჩადენილი უსამართლო აქტის საკითხი მეცნიერულად და იურიდიულად დამუშავდა და წარდგენილ იქნა საქართველოს მთავრობის წინაშე. თითქო საქმე აეწყო კიდეც და მესხები ის იყო, უნდა სწეოდნენ სანუკვარ მიზანს, რომ ანაზდეულად, მოსკოვმა, ხელის ერთი აქნევით, შეაჩერა ჩინებულად დაწყებული საქმე და მესხებს მისცა სსრკ-ის ნებისმიერ რესპუბლიკაში დასახლების უფლება, გარდა საქართველოსი. ამით მთავრობამ, რომ აღარაფერი ვთქვათ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დეკლარაციაზე, უხეშად დაარღვია თვით საბჭოთა კონსტიტუციის მუხლი, სადაც საუბარია სსრკ-ის ტერიტორიაზე ნებისმიერი მოქალაქისათვის საცხოვრებლად ადგილის თავისუფლად არჩევაზე. ამგვარმა ძალმომრეობამ ვერ ამოურეცხა გულიდან მესხებს სამშობლოში დაბრუნების სურვილი. მათმა საუკეთესო შვილებმა საპროტესტო წერილებით „დაბომბეს“ საქართველოსა და მოსკოვის მთავრობა. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა ცეკას ახალი მდივნის, ედუარდ შევარდნაძის დროშიც. მასაც აფრთხობს მოსკოვიდან თითის მკაცრად დაქნევა. ასე რომ, არად ჩააგდეს უფლებააყრილი მესხებისა და ასევე უფლებაართმეული ქართველი ინტელიგენციის ერთობლივი სურვილი. არათუ დაბრუნება, მესხებს პასპორტში ქართველად აღნიშვნის უფლებაც კი აღუკვეთეს და დღემდე აზერბაიჯანელებად, თურქმენებად თუ ყირგიზებად აღნიშნავენ. გადასახლებისთანავე, ეროვნებასთან ერთად, მათ ქართული გვარებიც წაართვეს და თურქული წესით, მამის ან პაპის სახელის მიხედვით დაუწესეს ახალი გვარები. ასეთი უბედურება ებრაელთაც კი არ გადახდენიათ თავს მათი სისხლიანი ისტორიის მანძილზე. დიასპორა, მეფის რუსეთის შემზარავი „პოგრომები“, გერმანული გაზის საკნები თუ საბჭოური ანტისემიტიზმი განიცადეს, მაგრამ ეროვნება ჯერ არავის წაურთმევია მათთვის. მსოფლიოს ისტორიაში ეს მართლაც უპრეცედენტო ამბავია!“

ეს და კიდევ ბევრი რამ მოხდება მოგვიანებით, მანამადე კი ზემოთ მოყვანილ დადგენილებას მოჰყვა სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის, სახელმწიფო უშიშროების გენერალური კომისრის ლ. ბერიას ბრძანება № 001176, რომლის შინაარსი ფორმულირდება შემდეგნაირად: „საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან თურქების, ქურთებისა და ხემშილების გადასახლების შესახებ, 20 სექტემბერი 1944 წელი“. ბრძანებაში დეტალურად არის გაწერილი დეპორტაციის ყველა მხარე და ჩამოთვლილია თითოეულ დეტალზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება თუ პირი. ბრძანება 13 პუნქტისაგან შედგება (მოცულობის გამო ტექსტი არ მოგყავს).

დეპორტაციის მსვლელობას, საინტერესოდ და, ვფიქრობთ, ზუსტადაც გადმოსცემს ანგარიშები და ტელეგრამები, რომელიც იგზავნება შუა აზიის რესპუბლიკიდან: „სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ბერიას, 15 ნოემბერი, 1944 წელი. ტელეგრამა. თქვენი განკარგულების თანახმად, გადასახლების ოპერაცია დაწყებულია 15 ნოემბრის დილიდან. 18 საათისთვის ეშელონებად დატვირთულია 16 591 ადამიანი. 3 ეშელონი გამგზავრებულია, დარჩენილი სპეცკონტიგენტი, რომელიც ექვემდებარება გადასახლებას, რაიონის შემკრებ პუნქტებზეა. ოპერაციის ჩატარების პროცესში არანაირ ექსცესს ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სახკომი რაპავა“.

დეპორტაციის დაწყებიდან ორ კვირაში ი. ბ. სტალინს, ვ. მ. მოლოტოვს და გ. მ. მალენკოვს ანგარიშს აბარებს ლავრენტი ბერია:„სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (НКВД), თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილების თანახმად, ჩატარებულია საქართველოს სასაზღვრო რაიონებიდან თურქების, ქურთების და ხემშილების გადასახლების ოპერაცია. ამ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ნათესაურ კავშირშია თურქეთის მოსაზღვრე რაიონების მცხოვრებლებთან, ეწევა კონტრაბანდას, ამჟღავნებს ემიგრაციულ განწყობას, რაც ხელს უწყობდა თურქეთის დაზვერვის საქმიანობას გადმობირებისა და ბანდიტური ჯგუფების შექმნისათვის. გასახლებისათვის მომზადება მიმდინარეობდა ამა წლის 20 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე, ამავე დროს იყო თურქეთთან საზღვრის გაძლიერებული დაცვა, რათა აღკვეთილიყო გასახლებას დაქვემდებარებული პირებისაგან საზღვრის გადაკვეთის მცდელობა. ოპერაცია ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში ჩატარდა 1944 წლის 15-დან 18 ნოემბრამდე, ხოლო აჭარის ასსრ-ის რაიონებში – 25-დან 26 ნოემბრამდე. სულ გადასახლებულია 91 095 ადამიანი. გადასახლებულთა ყველა ეშელონი გზაში იმყოფება და მიემართება უზბეკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისაკენ. გასახლების ოპერაციამ ჩაიარა ორგანიზებულად, შემთხვევების გარეშე. საქართველოს სსრ-ის ზემოთ ჩამოთვლილ სასაზღვრო რაიონებში ჩასახლებულები იქნებიან 7 000 გლეხური მეურნეობა (крестьянских хозяйств) საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან. ამავე დროს მიმდინარეობს სპეციალური ღონისძიებები თურქეთთან საქართველოს სსრ-ის სასაზღვრო რეჟიმის გაძლიერების მხრივ.

სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ლ. ბერია. 28 ნოემბერი 1944 წელი“.

ცნობილია, რომ დეპორტირებულთა ეშელონები თვეობით მიდიოდნენ დანიშნულების ადგილამდე მისაღწევად. პერიოდულად შუა აზიის რესპუბლიკებიდან იგზავნებოდა საანგარიშო მოხსენებები, ტელეგრამები:

უზბეკეთის სსრ-ის შინაგან საქმეთა სახკომის მოადგილის მეერის საანგარიშო ჩანაწერი სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (НКВД) სპეცგანსახლების უფროსს მ. კუზნეცოვს: „დასრულებულია საქართველოს სსრ-დან გადასახლებულების მიღება. 29 ეშელონი განაწილებულია 7 ოლქში, 43 რაიონში: ტაშკენტის ოლქში – 13 131 ადამიანი. სამარყანდის ოლქში – 14 964 ადამიანი, ფერგანის ოლქში — 8613 ადამიანი, ანდიჟანის ოლქში— 6881 ადამიანი, ნამანგანის ოლქში – 4537 ადამიანი, ბუხარსკის ოლქში – 4446 ადამიანი, კაშკა-დარიშკის ოლქში – 641 ადამიანი, სულ დასახლებულია 53 163 ადამიანი, მათ შორის მამაკაცი – 10 813, ქალი – 16 127 ადამიანი, 16 წლამდე ბავშვი - 26 223 ადამიანი. გზაში გარდაიცვალა – 293 ადამიანი. 14 დეკემბერი 1944 წ“.

სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (НКВД) სპეცგანსახლების განყოფილების უფროსის მ. კუზნეცოვისა და სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ვ. ვ. ჩერნიშევის ანგარიში სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ლ. პ. ბერიას: „საქართველოს სსრ-დან გადაყვანა და გასახლება დასრულებულია. სულ გადაყვანილია 92 ათას 307 ადამიანი (18923 კაცი, 27399 ქალი, 45000 – 16 წლამდე ბავშვი). უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩასახლებულია – 53163 ადამიანი, ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში 28598 ადამიანი, ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში – 10546 ადამიანი. კოლმეურნეობებში დასაქმებულია 84596, საბჭოთა მეურნეობებში – 6316 ადამიანი, საწარმოო დაწესებულებებში – 1395 ადამიანი, გზაში გარდაიცვალა – 457 ადამიანი. დეკემბერი, 1944 წ.)

სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ვ. ვ. ჩერნიშევის სახელზე ყირგიზეთის სსრ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ანგარიშიდან: „გასახლებულთა მიღებისა და დასახლების მოსამზადებელი ღონისძიებები ჩატარდა და დასრულდა ეშელონების მიღებამდე. ეშელონების მიღება დავიწყეთ 1944 წლის 30 ნოემბრიდან. მოსულები დავასახლეთ ფრუნზის ოლქში - 329 ოჯახი (1819 ადამიანი), ტალასკის ოლქში — 445 ოჯახი (2017 ადამიანი), ოშის ოლქში — 989 ოჯახი, (4995 ადამიანი), ჯალალაბადსკის ოლქში — 449 ოჯახი (1780 ადამიანი), სულ: 1763 ოჯახი (10 611 ადამიანი, მათგან — 2690 ქალი, 16 წლამდე ბავშვი — 5516). ყირგიზეთში ჩამოსულთა შორის მგზავრობისას გარდაიცვალა 43 ადამიანი, ჰოსპიტალიზირებულია – 42. ყირგიზეთის შინაგან საქმეთა სახკომი პჩელკინი, 9 იანვარი, 1945“.

როგორც ჩანს, მოსახლეობის ნაწილი დარჩა საქართველოში, თუმცა მათი დეპორტაცია მოგვიანებით მაინც განხორციელდა. ამას ადასტურებს სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეცგანსახლების განყოფილების უფროსის მ. კუზნეცოვის სატელეგრაფო შეტყობინება უზბეკეთის სსრ-ის შინაგან საქმეთა კომისარ ბაბაჯანოვის სახელზე: „თბილისიდან გამოგზავნილია ეშელონი СК№139 საქართველოში დარჩენილ გასახლებულთა ოჯახებით, საერთო რაოდენობა 695 ოჯახი, უზბეკეთის სსრ-ში ჩასასახლებლად. 31 იანვარი, 1945 წ“.

დარჩა დოკუმენტები, რომლებიც ჩვენს წერილში ვერ მოხვდა. მათგან განსაკუთრებით საინტერესო ისინია, რომლებიც დეპორტირებულთა დასაქმებას, მათი ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფას ეხება. ამაზე ბევრი დაწერილა და, რაც მთავარია, ჯერ კიდევ ცოცხლობენ ის ადამიანები, რომელთა ზურგზეც გადაიარა 15 ნოემბრის ღამიდან დაწყებულმა კოშმარმა. ისევე, როგორც უხუცესების ხსოვნა ინახავს გადასახლებულთა ქართულ ძირებს, იმ ფესვებს, ასე საგულდაგულოდ რომ მალავდა საბჭოთა იმპერიის უზარმაზარი პროპაგანდისტული მანქანა. ზემოთ მოყვანილი ძალიან მცირე რაოდენობის წერილებიც კი საკმარისია, რომ უზუსტობები დავინახოთ. ბერიას ანგარიშის მიხედვით სულ გადასახლებულია 91 095 ადამიანი, სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (НКВД) სპეცგანსახლების განყოფილების უფროსის მ. კუზნეცოვისა და სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ვ. ვ. ჩერნიშევის ბერიასადმი მიწერილი ანგარიშის მიხედვით კი - 92 ათას 307 ადამიანი. უკვე ცდომილებაა ოფიციალურ უწყებათა ციფრებშიც კი. რა იყო ნამდვილად?! რატომ განასხვავეს რელიგიური ნიშნით ერთი სისხლი და ხორცი, წაართვეს უფლება, ყოფილიყვნენ ქართველები? ეს ერთი ან ორი, თუნდაც დიდი გავლენისა და ძალაუფლების მქონე ადამიანის (სტალინი, ბერია) სურვილს რომ სცილდება, ამას ადასტურებს დეპორტირებული მესხების მიმართ სტალინის შემდგომ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებები. მთავრობები იცვლებოდა, სამწუხაროდ, არ იცვლებოდა იმპერიის დამოკიდებულება გასახლებული მაჰმადიანი მესხების მიმართ. კლარა ბარათაშვილი იხსენებს: „1956 წელს მოიხსნა სპეცგადასახლების რეჟიმი და მესხები ფიქრობდნენ, რომ მოვიდა გათავისუფლება ... ხელისუფლება აძლევდა რა პასპორტებს ყოფილ სპეცგადასახლებულებს, თვითნებურად უცვლიდა მესხებს ქართულ გვარებს, მათ პასპორტებში უწერდა სხვადასხვა ეროვნებას. ასე მაგალითად, მამაჩემი, ლატიფშა ბარათაშვილი, ჩაწერილი იქნა როგორც აზერბაიჯანელი, ჩემს ძმას – მარატს, რომელიც დაიბადა დეპორტაციაში, მიანიჭეს უზბეკის ეროვნება. იყვნენ „თურქები“, „თათრები“ და თვით „კავკასიელიც“ კი. არაერთი მცდელობის შემდეგ მამაჩემმა მოახერხა, ჩემთვის, ერთადერთისათვის, ჩვენი დიდი ოჯახიდან, რომელიც დავიბადე დეპორტაციაში, ჩაეწერა „ქართველი“.http://georgia.kavkaz-uzel.ru/articles/165996/



მესხები განაგრძობდნენ ბრძოლას დასაბრუნებლად: „ძვირფასო ედუარდ! ძვირფასო თანამემამულენო და სისხლისმიერნო ძმანო. უკვე 30 წელია, რაც გაგვთიშეს.1944 წლის 15 ნოემბერი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში აღინიშნა, როგორც გლოვისა და უმძიმეს მოგონებათა დღედ. 30 წელია, რაც ჩვენი ხალხის მზერა მიპყრობილია საყვარელი, მშობლიური მესხეთისაკენ, რომელიც მოგველის თავის პირმშოებს. ჩვენ ერთი ხალხი ვიყავით და ათეული საუკუნეები ვცხოვრობდით თქვენთან ერთად, ერთ დიდ ოჯახად. მაგრამ ცალკეულმა პირებმა, რომელთაც არ ესმოდათ ჩვენი ისტორია, დაარღვიეს ჩვენი ოჯახი და გაგვთიშეს. მათ არ მიიჩნიეს ისტორიულ საბუთად ჩვენი ქართული წარმომავლობა, ქართული გვარები, ქართული ენა. ჩვენ გაგვასახლეს ვითარცა „თურქნი“ და 220 სოფელი ერთ ღამეში გააუბედურეს.

ამჟამად ჩვენ მომავალი თაობის ბედი გვაწუხებს, ბედი ქართველებისა მესხეთიდან. ამიტომაც მოგმართავთ ესოდენ დაბეჯითებით, დაგვეხმაროთ, რათა კვლავ განვიცადოთ დიადი ბედნიერება, დავუბრუნდეთ სამშობლოს და ვიცხოვროთ ერთობლივი ეკონომიკური და სულიერი ცხოვრებით მშობლიურ ქართველ ხალხთან ერთად. ყურს ნუ დაუგდებთ პოლიტიკურ ავანტიურისტებს, რომლებიც პირადი ინტერესებისათვის ყველანაირად ცდილობენ მტრობა ჩამოაგდონ ძმებს შორის და ამით სამუდამოდ სხვა ქვეყანაში დატოვონ ხალხი.

ჩვენ არამც და არამც არ ვითხოვთ მატერიალურ დახმარებას, არამედ, მოგიწოდებთ ქართველი ხალხის ინტერესების დასაცავად, საქართველოს რესპუბლიკის აღზევებისა და განდიდებისათვის.

სამშობლოს გრძნობა და სიყვარული წლიდან წლამდე როდი მცირდება. პირიქით, იზრდება იგი და მომავალ თაობებს გადაეცემა. ამჟამად დაახლოებით 300 ათასი ქართველი მუსლიმანი მესხეთიდან ცხოვრობს მარტოოდენ სამშობლოში დაბრუნების ოცნებით. ჩვენ გვიყვარს ჩვენი მშობლიური მიდამოები, ჩვენ გვსურს ვიცხოვროთ და ვიმოღვაწეოთ ჩვენი მშობლიური მხარისა და ჩვენი გამოჩენილი წინაპრების – შოთა რუსთველის, სარგის თმოგველის, გიორგი და იოანე მთაწმინდელების, სერაპიონ ზარზმელის, ბექა და ბეშქენ ოპიზართა და სხვათა სადიდებლად, ჩვენი წმინდა მიწა-წყლის სადიდებლად, ეგზომ ძვირფასისა ჩვენთვის.

ისტორიულად კულტურულმა ხალხმა, თავისი ნაციონალური სულით სახელოვანმა, მშობლიური რესპუბლიკის ბჭენი არ უნდა გადაუკეტოს სისხლისმიერ და სულიერ შვილებს, ქართველ მუსულმანებს მესხეთიდან.

ოცი წელია, ნიადაგ გავკივით, ვაცხადებთ პროტესტს, რომ „თურქები“ არა ვართ!“

1976 წელს ედუარდ შევარდნაძისადმი დეპორტირებულ მესხთა ერთი ნაწილის (წარმოდგენილია ნაწყვეტი მიმართვიდან, რომელსაც ხელს აწერენ ხალხის წარმოგზავნილები: უმაროვ-გოზალიშვილი, ხალილ აიუბოვი, ჯემალ აბაშიძე. მისამართი: ყ/ბ ასსრ, რვანის რაიონი, ბსიკათის საბჭოთა მეურნეობა).

მიმართვა ასახავს სამშობლოს დასაბრუნებლად ბრძოლის ერთ პატარა მონაკვეთს. მესხთა დაბრუნების ისტორია დღემდე გრძელდება...

მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე,
ასოცირებული პროფესორი,
სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორის მოადგილე

### „ფიქალი“

ნახსენებია „ვეფხისტყაოსნის“ 42-ე და 1522-ე სტროფებში:

*„თქვა: ზედაზედა მომხვდების ნახვა მის ბროლ-**ფიქალისა**“,*

*„მუხლმოყრილი გეაჯები, ნუღარ აწვევ იმათ ალსა,*
*რომე მისცე ქალი თქვენი მკლავ-მაგარსა, გულ-**ფიქალსა**“.*

რა არის **ფიქალი?**

საბა ორბელიანის განმარტებით *„**ფიქალი** არის ქვის ფიცარი“.*

**ნიკო ჩუბინიშვილი:** *„**ფიქალი** – კლდის ქუა ძარღვებიანი, რომელიც თავისთავად დაიშლება ფიცრად, სხვადასხვა ნაკვეთისად“.*

თეიმურაზ ბაგრატიონი იმეორებს საბას განმარტებას: *„**ფიქალი** – ფიცარი ქვისა“.*

ამავე აზრისაა აკაკი შანიძეც: *„**ფიქალი** ქვის ფიცარია“.*

სარგის ცაიშვილის მიხედვით, *„**ფიქალი** ქვის ფირფიტაა“.*

ნოდარ ნათაძის მიხედვით კი – „შავი ქვა“.

იუსტინე აბულაძე „ვეფხისტყაოსნის“ გმირებზეა ორიენტირებული და ასე განმარტავს **ფიქალს:** *„მოხაზულობა, ნაქვთი; მთლიანი გულმკერდი, მომრგვალებული გულმკერდი, ნეკნებდაფარული“.*

ჩვენ არ შევუდგებით ამ განმარტებათა კომენტირებას, ვიტყვით მხოლოდ, რომ მართალს ბრძანებენ ჩვენი სახელოვანი ლექსიკოლოგები, მაგრამ მესხური დიალექტი აქაც „ახერხებს“ ერთგვარი კორექტივის შეტანას და ეს არც ისე უმნიშვნელოა.

„ვინმე მესხი“ – ივანე გვარამაძე „დარნებზე“ საუბრისას წერს, რომ მესხეთის *„ნაოხრებ ძველის-ძველ ნასოფლარ ადგილებში, სახლებქვეშ გაყვანილი ხვრელებია, ამოყვანილი დიდვრიან ბალავარ ლოდებით და ზეიდგან დაბურვილი დიდვრიანის **ფიქლებითა**“ (შ.ძიძიგური, „ლიტერატურულ-ენათმეცნიერული ნარკვევები“, 1974, გვ.32).*

*„**ფიქალი** არის სალის (კლდის, ვ.ს.) თხელი ნახეთქი. ფიქალი იხმარება მესხეთ-ჯავახეთში, როგორც საშენი მასალა სახლების დახურვის დროს კოჭების ზემოდან დასაწყობად. გულფიქალი კი ნიშნავს გულმაგარს. „გულფიქალს“ ხშირად ხმარობენ ხალხურში“ (ნ. ნათენაძე. „რუსთაველის სადაურობა-ვინაობის შესახებ“. ჟურნ. „მნათობი“, 8-9, 193, გვ.272).*

არსენ კარაპეტიანის (ახალქალაქი) გადმოცემით, *„**ფიქალი** ქართულ ლიტერატურაში ძალიან გავრცელებული არ არის. იგი მესხურ-ჯავახური დიალექტით ნიშნავს სალი ქვის ფილას (აქედან ხომ არ წარმოსდგება ფილთაქვა? ვ.ს.), ბუნებრივად მოპოვებულს, რითაც მიწური სახლების სახურავებსაც კი ხურავდნენ წინათ. ასეთი სახლები აქა-იქ დღესაც მოიპოვება მესხეთ-ჯავახეთში, ხოლო **ფიქალის** საბადოთი მდიდარია ჯავახეთში სოფელ დილიფის (ძვ.ტირიფი) შემოგარენი და ვარძიის მიდამოები... **ფიქალი** აუცილებლად ბუნებრივია, თხელი, ფართო და გლუვი პირების (ორივე მხრივ) მქონე სალი ქვის ქანია“ (რაიგაზეთი „ასპინძა“, 17.09.66 წ.).*

ფიცრით დახურული – ფიცრული“.

ეხება რა რუსთაველი სიტყვა-კომპოზიტ **„გულ-ფიქალს“**, გრ. ბერიძე შენიშნავს, რომ *„არცერთ ლექსიკონში „ვეფხისტყაოსნისა“ **გულ-ფიქალი** სწორად არაა განმარტებული. აქ რუსთაველი გულისხმობს გულმაგარ, გულად ადამიანს, როგორიც ავთანდილია“ („ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა“, 1981, გვ.130).*

ანალოგიურია მწერალ **გიორგი ზედგინიძის** განმარტებაც: *„**ფიქალი** – ბრტყელი ქვა, თხელი, ადრე იყენებდნენ სახლის გადასახურავადაც.*



# მესხური რეალიები „ვეფხისტყაოსანში“

ჯავახური დიალექტის მკვლევარი გიორგი ბერიძე წერს: *„ფიქალი-თხელი ქვა, მაგარია. იყენებენ სახლების დასახურავად“...* სახლი, „თუ ფიქლით ხურავდნენ, ფიქლურია, *ფიქლური – ფიქლით გადახურული სახურავი“ („ჯავახური ლექსიკონი“).*

ახლა კი იმ რიგით ადამიანებს მოვუსმინოთ, ვისნაირთა გამონათქვამებითაც საზრდოობენ სამცხურ-ჯავახური დიალექტის მკვლევარნი.

დესპინე ოქრომელიძე (ახალციხის რ-ნი, სოფ. მუსხი), 90 წლის: *„მთაში, სახლის კედლის აშენების დროს მთელ სიგრძეზე გავუკეთებდით გარენალს, გარენალზე დავაწყენდით გასაყრებს (ორი გასაყარი უნდა). გასაყრებზე დავაწყენდით გასაყრებს (ორი გასაყარი უნდა), გასაყრებზე – შეშის დიდ ნაპობებს. ამას დაკოჭვა ჰქვია. კოჭებზე დავაწყენდით **ფიქლებს, ფიქლებზე** – ბალახიანი მიწის ბელტებს, ბელტებზე დავაყრიდით მიწას, მაგრამ თიხა ჯობია, თიხა არ ატარანს წყალს. ზეიდან უტოვენდით სასინათლო ერდოს. წვიმის დროს ერდოზე **ფიქალს** დავაფარენდით, რო გადაიღენდა, ავხდიდით“.*

გაბრიელ ნათენაძე, 76 წლის, ახალქალაქის რ-ნი, სოფ. გოგაშენი): *„**ფიქალი** თხელი ქვა არის, მეტრიანი, მეტრნახევრიანი. კოჭებს რო წავაწყობდით, ზედ **ფიქლებს** დავალაგებდით, მერე მიწას დავაყრიდით. ახალქალაქში სად იყო ტყე, სახლებს **ფიქლებით** ვხურავდით. **ფიქალი** არის დანკლის (დანკალი ნასოფლარია. ვ.ს.) ხევში ვარძიასთან, მაგრამ წვრილია, დილიფის კი – დიდვრიანი“.*

„**ფიქალი** თავისით დახეთქილ დიდ, ბრტყელ ქვას ჰქვია, პატარას კი **ანაქას** ვეძახით „ანაქათი“ ჩიქორს ვთამაშობდით“ (ანტონ და ელისაბედ ხითარიშვილები, ვალე).

– *„ვალის იალები სულ **ფიქლებით** არის აშენებული“*, – ამბობს 80 წლის იოსებ ზაქროშვილი (ვალე). 77 წლის მეჯით ჯაიანის მიხედვითაც (ხიხაძირი, ხულოს რ-ნი) *„ფიქალი ბუნებრივად ბრტყელი ქვა არის“.*

მოხევეებში **ფიქალს „ჭაჭის ქვა“** ჰქვია, სვანებში – **„კა“. ფიქლის** საბადოებია ფშავ-ხევსურეთში, ალაზნისა და ივრის ხეობებში, საქართველოს სამხედრო გზაზე, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში *(ვალერიან ზუხბაია, „ქართლის ცხოვრების ქვის ფურცლები“, 1975 წ.გვ, 15).*

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, **ფიქლის** მესხური (სამცხურ-ჯავახური) გაგებიდან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ შემდეგი:

– **ფიქალი** კი არის „შავი ქვა“ (თუმცა სხვა ფერისაც შეიძლება იყოს – რუხი, მწვანე), მაგრამ არა უბრალოდ ქვა, არამედ ბუნებრივად ბრტყელი, კუთხოვანი, მრგვალი, ან ოვალური ფორმის სალი ქვა;

– ასეთ ქვას არ ეთქმის „ფიცარი“, როგორც ზოგიერთ ენათმეცნიერს ეფიქრება, რადგან ფიცარში, ქვისა იქნება თუ ხისა, პირველ ყოვლისა, ადამიანის ნახელავი იგულისხმება, ადამიანის ხელით დახერხილ- დამუშავებული მასალა. თანაც, ფიცარი გრძელია, **ფიქალი** კი, როგორც ზემოხსენებული გაბრიელ ნათენაძე გადმოგვცემს, „მეტრიანი, მეტრნახევრიანია“;

– დიდ ფიქლებს იყენებდნენ მიწური სახლების სახურავად. **ფიქლით** გადახურულ სახლს **„ფიქლურს“** ეძახდნენ, ფიცრით გადახურულს – „ფიცრულს“. დიდ **ფიქლებს** იყენებდნენ აგრეთვე მიწისქვეშა თავდაცვითი ნაგებობების, ე.წ. „დარნების“ კედლების ამოსაყვანად და გადასახურად. დარნებს **ფიქლისავე** კარებები ჰქონდათ დაყენებული. რაც შეეხება მცირე ზომის **ფიქლებს**, მათ ხმარობდნენ ჭურ-ქვევრების, ქოთნების, კოჭობების (პატარა ქოთან-ქილების) თავსახურავად.

დავუბრუნდეთ „ვეფხისტყაოსანს„:

რუსთაველი, მოგეხსენებათ, არ იშურებს მეტაფორებსა და შედარებებს სათაყვანებელი გმირების შესამკობად. ამის ერთი მაგალითია ზემოთ ნახსენები 42-ე და 1522-ე სტროფები, სადაც პოეტი თინათინის **„ბროლ-ფიქალსა“** და ავთანდილის **„გულ-ფიქალს“** ახსენებს. როსტევანმა რომ მეფედ დასვა თავისი ერთადერთი ასული, ძალიან გაეხარდა ავთანდილს: *„თქვა: ზედაზედა მომხვდების ნახვა მის **ბროლ-ფიქალისა**“,* ესე იგი, თინათინის გამეფებით ავთანდილს, როგორც სპასპეტსა და ამირსპასალარის შვილს, შესაძლებლობა ეძლევა ხშირ-ხშირად ენახა შეყვარებული ქალის მომხიბვლელი სხეული, მისი **„ბროლ-ფიქალივით“** ლამაზი გულმკერდი. რაც შეეხება **„გულ-ფიქალს“** (*„რომე მისცე ქალი თქვენი მკლავ-მაგარსა, გულ-ფიქალსა“*), აქ უკვე „მკლავ-მაგარი“ ავთანდილის სალ კლდესავით მაგარ გულმკეზეა საუბარი, თავის ბრტყელ, განიერ, ძლიერ მხარბეჭთან ერთად.

**ვაჟა სამსონიძე**

# ერთი სიმღერის გამო

**ვასილ კვინცხაძე**

1965 წელია. მთელი საქართველო ემზადება შოთა რუსთაველის 800 წლის საიუბილეოდ. მათ შორის ახალციხის რაიონიც. დაკომპლექტდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომლის ხალმძღვანელად მოიწვიეს ცნობილი ხელოვანი **ქეთევან ღოღობერიძე** და ლოტბარი **შოთა ალთუნაშვილი,** ქორეოგრაფად – **გიორგი სალუქვაძე.** მათ ადგილზე დახმარებას ვუწევდით მე და **ვახტანგ კვესელაძე.** ვმეცადინეობდით კვირაში სამი დღე. შედგა სამუშაო პროგრამა. რეჟისორმა **მიხეილ მეძმარიაშვილმა** გადაწყვიტა დაედგა – ქაჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანის გამოხსნის სცენა, სადაც **გურამ ანდრონიკაშვილი** იქნებოდა ტარიელი, მე – ავთანდილი, **ამირან მამუკაშვილი** – ფრიდონი, **ციცო ახვედიანი** – ნესტან-დარეჯანი. ინსცენირებაში საჭიროდ ჩათვალეს ჩაესვათ ცეკვა „ფარიკაობა“, მის მსვლელობისას – სიმღერა.

ამასთან დაკავშირებით ქეთევან ღოღობერიძემ თბილისიდან ჩამოიტანა საცეკვაო მელოდიის ნოტები, რომელიც, თავის დროზე, გამოყენებული იყო კინოფილმ „ხევსურულ ბალადაში“. მუსიკის მასწავლებელმა **გურამ მეგრელიშვილმა** იქვე გაარჩია ნოტები და მელოდიაც სასიამოვნოდ აჟღერდა. ქეთევანმა წინადადება წამოაყენა, მოგვეძია რაიმე შესაფერისი ლექსი, რომელიც ამ მელოდიაში „ჩაჯდებოდა“. მანამდე კი მას მოსმენილი ჰქონდა ჩემი ნაცოდვილარი – „ზეიმი ვარძიაში“, რომელიც ძალიან მოსწონდა, მაგრამ მელოდიაში ვერ ჯდებოდა და მითხრა: იქნებ, როგორმე გადააკეთო, ოღონდ შინაარსი არ შეცვალოო! მეორე დღეს მივუტანე ის ვარიანტი, რომელიც მოგვიანებით – 1966 წელს შესრულდა ახალციხის ოფიცერთა სახლში, საზეიმო კონცერტზე, ხოლო მეორე დღეს – ვარძიაში, როდესაც სტუმრებს ბატონი **ირაკლი აბაშიძე** მიესალმა.



მეორე თუ მესამე სადღეგრძელოს შემდეგ ახალციხის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა ეს სიმღერა იმ დროს შეასრულა, როდესაც შემწვარი ირმები და ჯიხვები გორგოლაჭებით ჩამოატარეს სუფრებზე (100 მეტრზე ორი გრძელი მაგიდა იყო გაშლილი, ისე, რომ სტუმრები მხოლოდ სუფრის ცალ მხარეზე ისხდნენ). ჩვენი ანსამბლი მაგიდების გვერდით იდგა.

ახალციხის ოფიცერთა სახლში საზეიმო კონცერტი სცენარის მიხედვით ჩატარდა, ხოლო ვარძიაში – ქაჯეთის ციხიდან ნესტან-დარეჯანის გამოხსნის სცენა არ ყოფილა, მხოლოდ „ფარიკაობა“ და „დავლური“ ვიცეკვეთ.

აქვე ვიტყვი, გიორგი სალუქვაძემ, მე და ვახტანგ კვესელაძემ შემოვიარეთ მთელი სამცხე-ჯავახეთი და ალვადგინეთ მესხური ცეკვები: „მესხური სამსართულიანი – სამ ნაწილიანი „ფერხული“, „იდუმალა“ („ლალ-ოინი“) და „ცქვიტური – მძიმურით“. ამასთან, მზადების დროს, მაშინდელმა ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ, როცა მოისმინა აღნიშნული სიმღერა, ქეთევანს უსაყვედურა: **„რევაზ ლაღიძესთან ვასო კვინცხაძის მოხსენიება როგორ შეიძლებაო“?** ქეთევანმა ხერხს მიმართა – როდესაც რეპეტიციებზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მოდიოდნენ, აღარ აცხადებდა სიმღერის ტექსტისა და მუსიკის ავტორებს. როდესაც რეპეტიციებმა კარგად ჩაიარეს, გენერალური რეპეტიციის დროს განაცხადა – სიმღერის ავტორი **იოსებ ნონეშვილიაო.**

შემდეგ, როგორც იქნა, გიორგი სალუქვაძისა და ქეთევან ღოღობერიძის დაჟინებული თხოვნით ჩემი გვარ-სახელი ჩაიწერა პროგრამაში. მოგვიანებით ეს სიმღერა შეასრულა ადიგენის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა და, სამწუხაროდ, რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელმა **ამირან მექვაბიშვილმა,** საქართველოს რადიოთი ერთ-ერთ გადაცემაში განაცხადა: „სიმღერა ვარძიაზე“ – მუსიკა რევაზ ლაღიძისაა, ხოლო ტექსტი – ხალხურიაო“. მას შემდეგ სულ ასე ცხადდებოდა. საავტორო უფლების მოპოვებისთვის მათთან ბრძოლას აზრი არ ჰქონდა, მხოლოდ, ერთადერთი, ვინც ტექტის ავტორად მე მაღიარა, ეს იყო ახალციხის ვაჟთა ფოლკლორული გუნდი **„მესხეთი“.**

აქვე დავძენ, – ახალციხეში ჩატარებულ საზეიმო კონცერტებზე ქეთევან ღოღობერიძის მუსიკაზე და ჩემს ლექსებზე შესრულებული იქნა სიმღერები – „გაშაირება რუსთაველის აფორიზმებით“ და „განახლებული მესხეთი“.

მოგვიანებით საკონცერტო პროგრამას შეემატა „ფიქრები თამარ მეფის ფრესკასთან“, რომელსაც ახალციხის ანსამბლის გარდა ასრულებდა აჭარის არ-ის სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლი **გულნარა ნოღაიდელის** ხელმძღვანელობით. ოღონდ, ტექსტის ავტორად, რატომღაც, **ელენე დიდიმამიშვილს** აცხადებდნენ.

### ზეიმი ვარძიაში

*პირველი ვარიანტი სრულად*

გამოჩნდნენ მესხეთის გზაზე
ძველი ქართველი გმირები,
ვარძიაში აქვთ დღეობა დიდი
საკლავად მიჰყავთ ირმები.

მივიდნენ, დახვდათ გაშლილი,
სუფრა ნანანტრი ენითა,
თამარს ლოცავენ გმირები,
ვერა ძღებიან ცქერითა!

თამადად დასვეს უწვერო,
ჯერ ახალგაზრდა ყმაწვილი,
ყანწი გაავსო, დალოცა,
ქართული პური, მარილი.

ყურს ვუგდებ, მესმის ძახილი
ციხე-ქალაქის ძველისა,
რვაასი წელი შესრულდა
დღეს შოთა რუსთაველისა.

რვაასი წელი, რვა ასი...
შოთას, ვარძიის, თამარის,
გმირთა მხარეო, მესხეთო,
შენ იდღეგრძელე მარადის!



# გიორგი ჯვარიძე

*გიორგი ჯვარიძე დაიბადა ასპინძის რაიონის სოფელ ჭობარეთში 1898 წელს. მას ამავე სოფლის სკოლაში მიუღია დაწყებითი განათლება და, შემდეგ, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შეალია. აქტიურად იბრძოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის გვერდით, უაღრესად ნიჭიერ და განათლებულ ახალგაზრდას ლექსების წერა ბავშვობის ასაკში დაუწყია. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც არ შეუწყვეტია ბრძოლა სამშობლოს გათავისუფლებისათვის, 1924 წელს კი სხვა პატრიოტებთან ერთად დაუხვრეტიათ.*

*ქვემოთ გთავაზობთ მისი ლექსების ერთ ნაწილს.*

## ტანჯვის-ცვარი

მე ტანჯვაში ჩემ მშობელმა
ქვეყნად მშვა და შემდეგ მზარდა,
და ტანჯვითი ეს სიცოცხლე
ვხედავ, კიდეც დამიმთავრდა...
ტანჯვით ვიგრძენ, მე რას ველი,
სიყვარული, ვნებათ ღელვა,
და ტანჯვითა ის დავკარგე,
ხელთ გამისხლტა ვითა ელვა,
ტანჯვით განვლე ეს ცხოვრება,
გავიცანი მთა და ბარი,
ამიტომაც ფსევდონიმათ.
მე დავირქვი „ტანჯვის-ცვარი“.

## სატრფოს

შენ დავიწყებულს, რა გამახარებს,
მუდამა ვკვნესი, მუდამ ვსტირი მე;
მაკმარე ტანჯვა, ნუ მკლავ უდროვოდ,
შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე.
ჩემთვის არ სუფევს ზამთარ-ზაფხული,
და, გაზაფხულიც ვერ გამახარებს,
სანამდი ტურფავ, არ შემიბრალებ,
ვაფრქვევ სულ მუდამ ცრემლებს მდუღარეს!
და როცა ეშხით სავსე თვალებსა,
ჩემზედა, ტურფავ, შენ გააჩერებ,
და გულს უზომოდ ტანჯულ-დაგულსა,
საამოდ ტკბილად როს ააძგერებ.
მაშინ?.. ოხ, მაშინ, ვფიცავ ზენაარს,
წინ ალტაცებით მოგეგებები,
და შენს ბროლის ფერ და ტურფა ყელსა
სიამოვნებით ჩავეკონები.

*25 მარტი, 1916, გორი*

## ჩივილი

კვალად მისერავს გულს გესლიანი,
დაუნდობელი წუთის სოფელი,
ყველასა ვძულვარ, ყველა მიბღვერის,
სუსტიც, ძლიერიც, მჩაგრავს ყოველი.
ღმერთო!.. შევჩივი, რად გამაჩინე,
რომა ტანჯვაში ამომხდეს სული?
და ისე მოვკვდე, რომა ერთს წუთში
ვერ გავახარო ჩაგრული გული?
არა! არ მჯერა, რომ ეგრე იყოს,
განგების ჩემზედ განაჩენია;
მუდამ ტირილი, ოხვრა, ვაება...
არა... ეს ძნელი მოსათმენია!
მწამს! მეწამება კვლავ სიკვდილამდინ
რომ ჩარხი წალმა დატრიალდება,
და ჩემს დაჩაგრულ დატანჯულ გულში
კვლავ იმედები აღორძინდება!..

*22 მარტი, 1916 წ. გორი*

***

არა ვარ ლხინსა, წალკოტს ჩვეული,
ბედმა თავიდგან მასვა ნაღველი,
ბევრი ვეტანჯვე, ბევრს ვეტანჯები
მომავალშიაც ბევრ ტანჯავს ველი!
მაგრამ არ გატყდა კვლავ ჩემი გული,
არ იშლის კვალად სიამით ძგერას;
ნატრობს ღვინის სმას, სურს სიყვარული
არაფრათა სთვლის გლახ ბედის წერას!

## რა მსურს?

რა მსურს? – ის რომ გავიგონო
ბრძოლის დაფა, ყიჟინის ხმა,
მებრძოლების გულის ცემა,
მამაცური ოხვრა-მოთქმა.
რა მსურს? – ის, რომ დავინახო,
გამოფხიზლდეს ქართლის ერი,
თამარის დრო მოიგონოს,
გახდეს დიდი და ძლერი!

*30 მარტი, 1919 წელი, გორი*

## ვედრება

ტურფავ, შენმა სილამაზემ გული დალია,
შენი ეშხის ნატვრამ, ცდამა,
მთლად გადამრია,
უდროვოდ, მითხარ, რაზედ მკლავ,
რა მავალია,
ცრემლითა მაქვს მოფენილი ორივ თვალია.
ან სიყვარული მიჩვენე და დამავალე,
ან არა და მომკალ ტურფავ, მომკალი მალე.
უშენოდ მე ვერ ვიცოცხლებ, ვერც დღეს,
ვერც ხვალე,
უდროდ ნუ მკლავ, ტურფა ქალო,
გთხოვ შემიბრალე.

*2 აპრილი, 1919, გორი*

***

დრო დაგვიდგა სანატრელი! –
გაიძახის ყველა მხარე.
და ამ სიტყვებს ცის სივრციდან
ბანსა აძლევს ბადრი მთვარე.
დრო დაგვიდგა სანატრელი,
გავიძახით მათთან ჩვენცა,
და მაღლიდგან გვემოწმება
გაზაფხულის თბილი ზეცა.
დრო დაგვიდგა სანატრელი! –
გაიძახის ვარსკვლავთ ჯგუფი,
აღარ ისმის დატანჯული
ქართველების „ვაი“, „უფი“.
დრო დაგვიდგა სანატრელი,
ჩვენც ერთგულად დავიძახოთ,
და ვისურვოთ საქართველო,
აღდგენილი დავინახოთ!

## სატრფოს

უდროთ სატრფოს განმაშორეს
გარდამაგდეს უცხო მხარეს;
და მიჯნური სახლში ცრემლებს
უჩემობით აფრქვევს ცხარეს.
ფიქრობს: ნეტა როდის? – მალე...
დადგება დრო სანატრელი,
ოდეს მიჯნურს შეეძლება
საალერსოდ მომყოს ხელი...
მალე, ტურფავ, მალე, მალე...
ის დღე ჩვენთვის ახლოს არი,
ერთი-ურთის სიყვარულით
შევიქნებით ჩვენც ნეტარი...
ჩაგეკრობი მაგრა გულში,
შენც ჩამიკრავ, ვიცი, ხომა?
ჩვენთვის მაშინ გათენდება
მეჩვიდმეტე წლის აღდგომა.

*ქ.ერევანი, 1918 წელი*

## სატრფოს

შორს, სამშობლოთგან, უცხო ქვეყანას,
ვარ, ჩემო მკვლელო, გადახვეწილი,
არ შემიძლია შენსა კალთაში
თავისუფალი და ტკბილი ძილი.
არ შემიძლია შენთან ალერსი,
ტკბილათ დროების მე გატარება,
წილად ის მერგო, უცხო ქვეყანას
მუდამ მდევნიდეს ტანჯვა ვაება.

*2 აპრილი, 1917, ერევანი*

***

გეყოფა, რაც რომ ეწამე,
და რაცა ცრემლი ღვარეო,
დროა, გატკბილდეს ოხერი,
სიცოცხლე, დღემდინ მწარეო.
დროა, გაგშორდეს ღრუბელი,
გულისა დამამხობელი,
დროა, გაჩუმდეს სუყველა
შენი დღემდისინ მგმობელი.
დროა, აყვავდე, ვითარცა
უწინ ყოფილხარ ყვავებით,
დროა რომ შესწყდეს ცხოვრება
უით, ვაგლახით, ვაებით.
დროა, შენს მდუმარ ღაწვზედა,
ღიმილმა გადაიაროს,
და შენ მყურებელ სატრფომა
ქვეყნად ამაყად იაროს.

*11 ნოემბერი, 1917 გორი*

## გამოთხოვება

მშვიდობით დედავ, გზასა ვადგივარ...
გემშვიდობები უკანასკნელად,
შორს, უცხოეთში სადღაც მივდივარ,
ჩემის ბედისა მისაგებებლად...
არავინ იცის, რა ბედი მელის,
რა გადამხდება უცხო მხარეში,
წერა გავხდები მშიერი მგლების...
თუ დამილპება ტყე ველად ლეში?..

## მიყვარხარ, მაგრამ...

მიყვარხარ, მაგრამ კიდევაც მძულხარ,
ნება რომ მქონდეს აგკუწავ მთელად,
მაგრამ რომ მითხრა: „შენ გენაცვალე“!
გარდავიქცევი შენს ფეხის მტვერად.
ჟამია, – თითქმის შემეჯავრები,
არ შემიძლიან დიდხანს გიმზირო;
მაგრამ იმავ წუთს შემიყვარდები
და სინანულით მინდა ვიტირო.

## ხმა საიქიოდან

შენ ნუ ეცდები იმის გაგებას,
თუ სად მოვნახე მე მყუდრო ბინა...
მე გავათავე... სიცოცხლე განვლე,
და აღარ მიდგას აჩრდილი წინა...
რაც ქვეყნიური მოქმედებანი
მე მეგობარო, ვალად მიმაჩნდა;
ყველა აღსრულდა და ქვეყანაზე
კიდეც ვცოცხლობდი, კიდეც მიყვარდა.
აღსრულდა ყველა, მეც ეხლა იქ ვარ,
დანიშნულია სად-პაემანი,
და აქედგანა, აშკარად ვუმზერ
რა არს ქვეყანა – ადამიანი.
ძმაო, ქვეყანა არ არს ამაო,
ის რაც დიდია და მშვენიერი,
შენ ნუ შედრკები და აქედან მე
დაგეხმარები... ვით მიწიერი.
მაშ, ნუ შედრკები, გასწი ამაყად,
მე მომენდევი, სულით და გულით,
მარტომ უჩემოდ შენ დაამთავრე,
ორივემ, ერთად რაც დავიწყევით.

*7 ნოემბერი, 1919 წელი, ახალქალაქი*



***

მორწმუნე ვიყავ მე ცხოვრებაში,
მეც მწამდა ღმერთი, როგორც წესია,
მწამდა, რომ ჩვენ ვართ ქვეყანად ფარა,
და ღმერთი არის ჩვენი მწყემსია.
ქვეყნიურ ცრუ წრემ გარდამავიწყა
ზეციურ მწყემსის მე არსებობა;
მაგრამ ის რომა ხალხი ფარაა
მე მწამს და ვგონებ კვლავც მეწამება.

*8 ნოემბერი, 1919 წელი, ახალქალაქი*

***

უნდა ითმინო... თუნდაც თვალები
ორივ აგევსოს ცხარი ცრემლებით,
თუნდ სულს გიკლავდეს მწარე ნაღველი,
გული გტკიოდეს შავბნელ სევდებით.
ნუ ელოდები ხალხისგან შველას,
ის არ ინაღვლებს თუნდ ჩაიქოლე;
ტანჯვა, ნაღველი გულში ჩაიკალ,
და მარტოთ მარტომ ბედთან იბრძოლე...
დე, დაიდაღო ყოველდღიურად,
დაე, დღითიდღე დაგაკლდეს ძალა,
უნდა ხარობდე სიცოცხლისათვის,
შენ გამოსცალე მწარე ფიალა.

*7 ოქტომბერი, 1919 წელი, ახალქალაქი*

## ამონაკვნესი

არა, არა მე... მე ვერ შევიძლებ
მის შეძულებას, მის დავიწყებას;
ვერა... ვერ დავთმობ მე იმის ალერსს,
მასთან სიხარულს და მასთან შვებას.
ერთი მითხარით, რომ შევიძულო,
ვიღას მივენდო, ვინ შევიყვარო?
ვის დავეკონო ნაზათ გულ-მკერდზე
სადღა მოვნახო სიცოცხლის წყარო?
საღამოს ჟამად როს მოწყენილი
ვიჯდები, მწარე ფიქრით მოცული,
ნაზი სიმღერით ვინღა დამიტკბოს
ნაღველით სავსე ჩაგრული გული?
ვინ შემარიგოს უკუღმართ ბედთან,
კვლავ იმედები ვინ დამიბრუნოს?
ვინ დამიბრუნოს კვლავ იმედები
და სიცოცხლე, სთქვით – ვინ შემაყვაროს?
არა, არა მე... მე ვერ შევიძლებ,
მის შეძულებას, მის დავიწყებას;
ვერა... ვერ დავთმობ მე იმის ალერსს...
ვენაცვალები ტურფა არსებას...

*10 ნოემბერი, 1919 წელი, ახალქალაქი*

## რა მასმევს ღვინოს?

ოდეს მოღლილსა და მოქანცულსა,
რბილ სარეცელზე დამეძინება,
სიზმარში ვხედავ წარსულ ცხოვრებას
და მომავალი მომაგონდება.
ნეტავ რას ველი კვლავ ცხოვრებიდან?
მეტი სიცოცხლე რას მომიმატებს?
რა მომიმატა ლომებთან ყოფნამ,
რას გამოვრჩები ეხლანდელ კატებს?
გელაქუცება, პირში შეგაქებს,
ბოროტ განზრახვის დასამალავად;
მაგრამ ზურგს უკან ორმოსა გითხრის,
შენი უდროვოდ დასამარხავად.
ერთს სულ ბევრი აქვს, მეორეს არა,
ეს ბურჟუაა, ის პროლეტარი;
ამას წავართვათ, იმას გადავსცეთ,
სოციალიზმი სიმართლე არი.
მაგრამ რას ვხედავ? კი გამოართვეს,
რადგან დღეს ძალა იმათ ხელშია,
მაგრამ ღარიბს რა? რა მოემატა?
ყველა ჩალაგდა მათ ჯიბეშია!..
ჯიბე ივსება, აღარას იტევს,
მაგრამ გატენვა არ არის ძნელი;
თუ ხალხს არ გაჰგლეჯს, არ გამოართმევს,
მაშინ, მითხარით, რათ ჰქვია გველი?
ამის მხილველმა რით გავიხარო!
ან მოსვენებით ვით დამეძინოს?
სულს ეს მიშფოთებს, ზიზღსაც ესა მგვრის,
სწორედ ეს არის... ეს მასმევს ღვინოს.
სადაც წახვიდე და წამოხვიდე,
ყველგან სიმრუდე, ყველგან გველობა,
თუ გსურს ცხოვრების გემო იგემო,
უნდა დაიწყო სხვისებრ მელობა.
ყველა შეაქო, ყველას მოევლო,
პირში მართალი უთხრა არავის,
აშკარად ხედავ, ბოროტსა სჩადის,
მაგრამ უთხარი: „სხვა ფრივ არა ღირს“!
ხედავ, კაცს ცარცავს, ლუკმას უმწარებს,
საფლავში მარხავს,
ცოცხალს მკვდრებში რევს,
მაინც უთხარი: „ადამიანო!
მაგ სიმართლითა მოექეცი სხვებს“!..
ბოროტს ხედავდე, მაგრამ სიმართლე
ვერ გაგებედოს წარმოსთქვა ენით,
რა უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება,
ან მომავლისგან რაიღას ველით?
ამის მხილველმა რით გავიხარო,
ან მოსვენებით ვით დამეძინოს.
გულსა ეს მიკლავს, სულს ეს მიხუთავს,
სწორედ ეს არის... რომ მასმევს ღვინოს!..

*5 ნოემბერი, 1918 წელი, გორი*

## რაზედ რად ვსტირი...

ვისაც ვუყურებ, ყველას პირს ღიმი
კმაყოფილება დახატულია,
და მხოლოდ ჩემთვის ბედისკარები
მუდამ ჟამს თურმე დაკეტილია.
სამშობლო კერას მოწყვეტილი ვარ,
დავეხეტები უცხოეთს მწირი;
ხან მშიერი ვარ, ხან ძალზე მცივა,
ამას ვიგლოვ და ამასა ვტირი...
ყველას მიზანი თავის ცხოვრების
მიუღწევია ან და მიაღწევს;
მარტო მე დავრჩი, რომელს სვე-ბედი
არსად მასვენებს, მუდამ თან დამდევს.
რას მემართლება, რატომ არ მაცდის,
რომ ავიცდინო თავითგან ჭირი;
ცოცხალს საფლავში რაისთვის მმარხავს,
ამას ვიგლოვ და ამასა ვტირი.
ვიცი, გამკიცხვენ, ამას მეტყვიან,
„შენ თავის მოვლა არ შეგძლებია,
უკუღმართ ბედთან, ჩარხის ტრიალთან,
პირიპირ შებმა შეგშინებია“.
მე კი მიუგებ: „როგორ ვიბრძოლო,
ოდეს სიმშილით მიშრება პირი,
სიცივისაგან ვერ გავნძრეულვარ,
ამას ვიგლოვ და ამასა ვტირი...

*8 ნოემბერი, 1918 წელი, გორი*

# ზღაპარი

# ხალხური

იყო და არა იყო რა, იყო ერთი უწინდებური დიდი გმირი კაცი, სახელათ ტარიელი. ჰყავდა ცოლათ მეტათ შვენიერი მზეთ-უნახავი, სახელათ „მზე-ქალი“. ისეთი ლამაზი იყო ტარიელის „მზე-ქალი“, რომ ღამე-ბნელაში ანათებდა და აშუქებდა, როგორც ლამპარი, როგორც ცის მნათობი. და მიტომაც ეძახდნენ „მზე-ქალს“.

ტარიელი უდიერი ღონიერი იყო და ქვეყანაზე არაფერი არ უდგებოდა. ყველა ღონიერ დევს ეშინოდა და ერიდებოდა მისი. მუდამ სანადიროთ დადიოდა; დილით წავიდოდა, საღამოთი მიჰქონდა ცალ მხარეზე მოკლული ირემი და ცალზე – დიდი, უზარ-მაზარი ხე – შეშათ. ტარიელი აიღებდა თავის დიდქვაბს, შედგამდა ნანადირევს მოსახარშავათ, დაავლებდა ხელს იმ უზარმაზარ ხესა, დაანარცხებდა დედამიწაზე და სულ ლუკმა-ლუკმათ აქცევდა შეშათ.

ბევრს ედვა გულში მოტაცება ტარიელის „მზე-ქალისა“, მაგრამ ვერავინ ბედავდა ტარიელის შიშით. ყველაზე უფრო შურდათ ეს ქალი ტარიელისათვის ქაჯებსა და „მაცილებს“ (ეშმაკებს). ყოველ დღე და ყოველ წამს იმის ცდაში იყვნენ „მაცილები“, რომ ეშოვნათ დრო და „მზე-ქალი“ (ნესტან-დარეჯანი) მოეტაცნათ და თავიანთთვის წაეყვანათ. ერთხელ, როცა ტარიელი სანადიროთ იყო წასული, მოვიდნენ „მზე-ქალთან“, როგორც ხორციელი ადამიანები და როგორც ტარიელის ერთგული მონები. მოახსენეს ტარიელის „მზე-ქალს„: კიდობანი მოგართვით ტანისამოსის შესანახადაო და მოგეწონებათ თუ არა – ანახეთო. როცა „მზე-ქალმა“ ნახა კიდობანი და მოეწონა, მაცილებმა უთხრეს:

„აბა, შიგაც შებრძანდით და დაათვალიერეთ, სინათლე ხომ არსად გადისო?“ მზე- ქალს არ ეგონა, თუ „მაცილები“ არიან და ოინს მიზამენ, მიღალატებენო. შევიდა კიდობანში თუ არა „მზე-ქალი“, მაცილებმა მაშინვე დახურეს და მოიტაცეს. მივიდნენ ზღვასთან და მისცეს წყალს:

დასხდიან მეკიდობნენი
იამბარ-ამბრი და უმბარნი.
იმათ კიდობან ააგეს
ქებითა-არა ქებითა,
შიგ ქალი შესვეს, „მზე-ქალი“,
ძალითა, განა ნებითა!..

მზე-ქალი შააგდეს ქაჯებმა აღელვებულ და აზვირთებულ წყალში. ზღვამ შეიბრალა მზე-ქალი: დაწყნარდა და კიდობანი მაღლა-მაღლა „ქანქანით“ წაიღო. წინ ნესტან-დარეჯანს გადაეღობენ, „გაებადნენ“ გველები. შავმა გველმა თქვა, შევჭამოთო, მაგრამ წითელმა გველმა შეუტია, „უშქინა“ და დაუშალა; ცის მნათობია, ქვეყნათ მოვლინებული და ნუ შევჭამთო, ნურას გავუბედავთო.

ქაჯებ მზე წყალში შააგდეს,
წყალს მისცეს დგან-დგარებითა;*)
წყალმა იბრალა, იწყალა,
გაიგდო ქანქანებითა;
წყალში რო გველებ დაუხვდეს,
ბადე-ბადეს აქვს გამბითა;
შავმა გველ უთხრა: შევჭამოთ,
წითელ უშქინა ავითა;
თეთრმა გველ უთხრა, ნუ შევჭამთ
ხმელთ მნათობარი მოვიდა“.

ბევრი ცურვისა და ზღვაში ხეტიალის შემდეგ, ქაჯებმა გაიტანეს კიდობანი ნაპირზე „ფასმანის“ (ფატმანის) მიწაზე. გამოიყვანეს ნესტან-დარეჯანი და კიდობნის „დირეზე“, საძირკველზე ჩამოსვეს. ამ დროს დაინახეს „ფასმანის“ მონადირეებმა. მოჰკიდეს თვალი თუ არა შვენიერ „მზე-ქალს“, მაშინვე ჩაუხტნენ და დაუწყეს ომი. ქაჯებმა შეაცურეს კიდობანი ზღვაში. მონადირენი კიდევ არ მოეშვნენ სამას სამოცი ისარი ჰკრეს კიდობნის დირეს:

ქაჯთა მზე გამოიყვანეს,
დასვეს კიდობნის დირესა.
„ფასმანის“ მონადირეთ და
დირეზე თვალი ჰკიდესა,
ჩავიდნენ, არ დაიშალეს,
მისწივნეს, არ დარიდესა,
სამას-სამოცი ისარი,
ზე ჰკრეს კიდობნის დირესა.

მონადირეებმა ბევრი ეცადეს, მაგრამ ვერ დაიხსნეს მზე-ქალი და წაიყვანეს ისევე ქაჯებმა. მიიყვანეს ქაჯებმა ქაჯეთის ციხეში, დამალეს იქ „მზეთ-უნახავათ“. გაიგო თუ არა გმირმა ტარიელმა თავისი „მზე-ქალის“ დაკარგვა, გაშმაგებული შეჯდა თავის რაშზე და წავიდა საძებრათ; დადიოდა ტყე-მინდორში და ზღვის პირებში. დღისით ტარიელი არ დაისვენებდა ხოლმე, ხოლო ღამდებოდა თუ არა, მაშინვე დაიბინავებდა და, როგორც-კი გათენდებოდა და ამოვიდოდა მზე, ტარიელი მაშინვე შეუდგებოდა მგზავრობას და ძებნას, უფრო ზღვის პირებზე ეძებდა ტარიელი, რადგანაც ეჭვით იცოდა, რომ ზღვისკენ უნდა ყოფილიყო მისი „მზე“ წაყვანილი.

ტარიელ, მზის მაძებარი,
ზღვის ნაპირთ იარებოდა,
მზე ჩახდა, – დადგა ტარიელ,
ამოხდა, – იარე, სადაც ბოდა;
მასკლავი ჰქონდა ლოგინათ,
მთვარე გულს ეფარებოდა.

ერთ დღეს ტარიელი მიადგა ერთ მდინარეს, სადაც ერთი კოჭლი მონა დაინახა. მონა მიდი-მოდიოდა წყლის კიდეებზე და ტიროდა.



– რა გატირებსო? – ჰკითხა ტარიელმა „კოჭლ-მონას“.

– ისა, ბატონო, რომ ბატონთან ვარ დაბარებული და ამ მდინარეზე ხიდი არ არის, ისე ვერ გავედი და არ ვიცი, რაღა ვქნაო. ტარიელს შეებრალა კოჭლი მონა, გაიშვირა მკლავი და გადვა ხიდათ მდინარეზე; მონა შედგა ზედ და გავიდა.

მივიდა თუ არა თავის პატრონთან კოჭლი მონა, მის ნაზირ-ვეზირებს უამბო ამ საკვირველი გმირის – ტარიელის ნახვა და მისი ამბავი. ყველა ეს ნაზირ-ვეზირებმა მოახსენეს თავის ბატონს (მეფეს). მეფემ მაშინვე დაიბარა თავისი საყვარელი და გამორჩენილი ორი გმირი „ადენ“ და „ომარე“ და უბრძანა, – გაჰყევით „კოჭლ-მონას“ და რომელ კაცსაც ეს დაგანახვებთ მინდორში, ის მომიყვანეთო, „ან სახელი და გვარი მომიგეთო“.

ადექ და მოემზადენით,
ჩემო ადენ და ომარე,
ის კაცი აქა მომგვარეთ,
ვინ იყოს მინდორთ მდგომარე!..

ადენმა და ომარემ მორჩილებით თავი დაუკრეს თავის მეფეს და მოახსენეს: სახელის და გვარის გაგება და მისი ვინაობის. ოღონდ თქვენი ბრძანება იყოს, თორემ ორი კაცისაგან ერთი კაცის მოყვანა ძლიერ ადვილი სამსახურიაო:

ბრძანება იყოს, ბატონო,
შენთა ბაგეთა ბროლთაგან,
ადვილი სამსახურია
ერთის მოყვანა ორთაგან.

ადენმა და ომარემ შეისხეს საჭურველ-იარაღი, გამოიყოლეს „კოჭლი მონა“ და წავიდნენ. „კოჭლმა მონამ“ მიიყვანა მდინარის ახლო და დაანახა გაღმით ტარიელი. ადენ და ომარე წადგნენ წინ და დაუძახეს ტარიელს:

ბიჭო, ვინა ხარ, ვინ იყავ,
მარტო მინდორში მდგომარე?
ბატონ გიბარებს, აქ მოდი,
ან სახელ-გვარი მიბარე!

ტარიელმა მოისმინა თუ არა მათი ძახილი, შამოუძახა: თუ კარგი ბიჭები ხართ, მანდედან ნუ-კი ყვირით, ახლოს მობძანდით და აქ გამიცანით, ვინცა ვარ; აქ გაცნობებთ ჩემ თავს და ჩემ მკლავის ღონეს, აბა შორით რას დამაფასებთო.

მინდორში ოქროს კოშკი დგას,
გარშამო – ვერცხლის თასები,
ახლოს მოდექით, მოსულნო,
შორით არ დავიფასები!..

ამ ხმაზე ადენ და ომარე გავარდენ გულადათ გაღმა, მაგრამ მისთანა თქვენს მტერს, ტარიელმა იმათ საქმე დამართა: ადენს ერთი მათრახის წვერი მოარტყა და სულ ჯარასავით აატრიალა მინდორში; ომარ ერთი მათრახის „გადანათებით“ ზეცას გაგზავნა, „კოჭლი მონა„-კი შორს იყო და გამოიქცა ბატონისაკენ, მაგრამ ტარიელი მოეწია, გამოჰკითხა ამბავი და რომ გაიგო ბატონისაგან იყვნენ გამოგზავნილნიო, წაავლო ხელი „კოჭლ მონას“, ააგლიჯა ცალი მხარი, მისცა მასვე ხელში და უთხრა: წადი, მიუტანე შენს ბატონს ამბავი და ეგ შენი მხარიც სუფრის მისამატათ, „შესაახლებლათ“ – მიართვიო.

მოვიდოდა კოჭლი მონა,
თავში მოიცემდა ქვითა;
ბატონ შენი საყვარელნი
მოგიმშვიდნა მათრახითა...
ადენს შემოკრა მათრახი,
მინდორს ბრუნავს ჯარავითა;
ომარე ზეცას წალალა,
ჯერაც არ მოსულა ცითა,
მე რო მხარი ამომწვადა,
ისე მომაქვს თავის მხრითა...
მითხრა: „ბატონს მიუტანე,
სუფრა შაიახლოს მითა“.

ეს ამბავი ძლიერ ეწყინა მეფეს და სამძიმოთ დაურჩა თავისი საყვარელი ორი გმირის სიკვდილი. მაშინვე შეჰყარა დიდი ჯარი და გამოეშურა ტარიელისაკენ, შემოახვია მწოლარე ტარიელს დიდი ლაშქარი და დაუწყო ისრის სროლა სეტყვაწვიმასავით;

ეგე იწყინა ბატონმა,
მეტათ დიდსა ჯარებს ჰყრიდა,
შემოეხვია გარშამო,
ჩალათ ისარს მიაყრიდა.

ტარიელმა, როგორც დიდმა გმირმა, „ჟამით-ჟამამდე“ ძლიერ მაგარი ძილი იცოდა და სანამ გაღვიძების „ჟამი“ არ მოუვიდოდა, მანამ ვერავინ ვერ გამოაღვიძებდა და გონს ვერ ჩააგდებდა. იმ დროს, როცა მეფე შემოადგა დიდი ჯარით და დაუშინა „ჩალასავით ისარი“, ტარიელს ეძინა ნაბად-წახურულს და ვერაფერმა ვერ გამოაღვიძა. რაში რომ ტარიელის განსაცდელს ხედავდა, ტიროდა და ტორსა სცემდა, მაგრამ რომ ველარ გამოაღვიძა თავისი პატრონი, მაშინ რაში დასწვდა ტარიელს და ცალი თითი მოაკვნიტა: ეგება, ამით მაინც გამოვაღვიძოვო:

თავით უბამს ცხენი-რაში,
თვალებთ ცრემლებს ჩამოჰყრიდა;
ჩაეწოდა, თით მოკვნეტა,
ოქროს თითი მოებმოდა.

თითის მოკვნეტამ ტარიელი გამოაღვიძა; დაინახა რაც ამბავი იყო, ნელ-ნელა აუჩქარებლად წამოდგა, გადააბერტყა ნაბდიდან ისარნი და მოევლო თავის რაშს.

გაიღვიძა ტარიელმა,
ნელა-ნელა წამოდგესა;
ფეხი შედგა უზანგოში,
ამოდ შეჯდა არ შეშინდა...

მაშინ გაერია ამ ურდოს და ურიცხვ „ხატაველთა ლაშქართა“ ჯარში, როგორც ქორი მტრედის გუნდში და დაუწყო ჟლეტა. „კაცი კაცსა ჰკრა, ცხენი-ცხენსა“ და მკვდრის გორები დააყენა წამზე. გლეხი კაცი ტარიელს ებრალებოდა და არ კადრულობდა მათთან ომს, დიდკაცებს და თავადებს კი ჟლეტდა საშინლათ.

გაერია ხატაველთა,
როგორც მტრედის გროთა ქორი,
კაცი-კაცს ჰკრა, ცხენი-ცხენსა,
დადგა მაგიების გორი!..
არ იკადრა გლეხი კაცი,
თავადებზე გადავიდა,
ზეცით წამოვიდა ორბი,
ეგრეთ ჯარით სიმრავლითა,
ბოძალი ჰკრა ტარიელმა,
მხართა შუა სისხლი სდინდა,
ჩაეწვადა, მხრები დასჭრა;
ბოძლის დასაკვრელათ მინდა.

ტარიელი ომში ერთ მშვენიერს ვაშკაც-ჭაბუკს შეხვდა, რომელსაც შესძახა:

– მე შენ არ მოგკლავ, იმიტომ, რომ თვალები ჩემ (ბიძაშვილს) გიგავსო და გამობრუნდა. ჭაბუკი შეკრთა და ტარიელს ვერაფერი ვერ უთხრა, ვერაფერი ვერ შეჰბედა. ამ შელერებულ ჭაბუკს ერქვა ავთანდილი და იყო მართლა ტარიელის ბიძაშვილი („შინში„), მაგრამ, რადგანაც ტარიელს პატარა დაეტოვებინა შინ და მას აქეთ აღარ ენახათ ერთმანეთი, ავთანდილსაც დავიწყებოდა ტარიელის სახე და ვერც იცნო ომში. როცა ავთანდილი შინ მოვიდა, ყველა ომის ამბავი უამბო თავის შვენიერს და კეკლუც ცოლს – თინათინს (თინას): „მთელი ჯარი ამოგვიწყვიტა იმ ვიღაც საკვირველმა გმირმა და როცა ჩემზედ აიღო ლახტი და უნდა მოვეკალ, ჩამოიღო და მითხრა: მე შენ არ მოგკლავ, რადგანაც ჩემ „შინშ“ ავთანდილს ჰგევხარო.

– ეგებ შენი დაკარგული ბიძაშვილი – ტარიელი იყოს?!.. – შეჰკივლა თინათინმა: – რატომ არ გამოჰკითხე, ვინ იყო და ვინ არა. განა ეგრე წამოსვლა გეკადრებოდა? თუ ჩემი სიყვარული გაქვს და ან შენი ბიძაშვილის, ტარიელის, პატივის-ცემა, ეხლად-ეხლავე ადექი და სძებნე, საცა იყოს ის გმირი, ეგებ ტარიელი იყოს და როგორმე ეწამლე და მოეხმარე გასაჭირში.

ამ მკაცრი ბრძანების წინადადებაზე რაღაცა ეჭვები შემოეხვია ავთანდილის გულზე. დაიწყო თავის უმანკო თინათინზე ეჭვიანობა: ეს მე მიტომ მითხოვს ასე უცებათ სახლიდან, რომ, ალბათ, კურო, საყვარელი, ჰყავსო და ჩემი თავიდან მოშორება უნდაო.

– ადექ, ავთანდილ, ნუღარ აყოვნებ, წადი, მოსძებნე, ნახე ის გმირი და, თუნდაც ტარიელიც არ იყოს, კარგია, მადლია უცხო, დაკარგული და გადახვეწილი მოყმის მონახვა და შველაო, – უთხრა თინათმა. ამ თქმაზე ველარ მოითმინა ეჭვით სავსე, აღელვებულმა ავთანდილმა, აემღვრა გული და საშინელი სიტყვებით შეამკო თავისი უმანკო და შვენიერი თინათინი:

ბოზო, რას ამბობ დიაცო,
არჯალო, აუგიანო!
უწყლო, ულარო წისქვილი
მთაში ვის აუგიანო?!
მაყვარეების (საყვარლების) გულისთვის
ქმარი ვის გადიგდიანო?!

თინათინი დიდათ შეაწუხა ამ უსამართლო ცილის წამებამ და მტკიცე ფიცით შეჰფიცა ავთანდილს თავის უმანკოებაზე: ღმერთმა და ყოველმა ხატმა მრისხოს, თუ თინათინს შენს მეტი ქმარი უნდოდეს და ან მოეწონოს, თუნდაც ათასჯერ შენზე უკეთესიც ნახოს და ზეციდან ჩამოსულიო.



მე გითხარი და გთხოვე, რომ ტარიელი მოგეძებნა, გეპოვნა უთუოდ ის გმირი, ვინც იყო. ტარიელიც რომ არ იყოს, მაინც კარგია უცხო მოყმის შველა და შემწეობა-მეთქი.

ღმერთი რისხავდეს თინასა,
ხატი ყოველთა წმინდისა,
ქმარი უნდოდეს შენს მეტი,
ათას სხვას ჰყავდეს გულისა,
მოძებნა მაინც კარგია
მოყმისა დაკარგულისა.

დაიჯერა ავთანდილმა თავისი შვენიერი „თინას“ ფიცი და რჩევა და იმ ღამესვე გამოეწყო სამგზავროთ. საგზალიც მოამზადა. ისარიც ბლომათ ჩაიწყო ქარქაშში და გასწია (გაიპარა) კიდეც უნათლივ ტარიელის საძებნელათ. შემდეგ მოგროვდენ ავთანდილის ჯარი და კარის კაცნი; მოიყარეს თავი და იახლენ ავთანდილს შინ, მაგრამ ციხიდან თინათინი გადმოდგა და გამოაცხადა მათ საყვარელი პატრონის წასვლა, სადღაც გაპარვა.

ციხით იძახა თინამა:
ავთანდილ გაიპარაო,
სამოც და სამი ისარი
ქარქაშში ჩაითვალაო,
შავი აქ დაკლა ვარია,
თეთრი თან წაიტანაო.

ავთანდილმა ბევრისაგან ბევრი სძებნა ტარიელი და ძრიელ სწუხდა, რომ ვერ იპოვნა და სანადელი ვერ აუსრულდა, ხოლო ამდენი სიარული ამაოთ შერჩა. ვინც-კი შემოხვდებოდა ავთანდილს წინ, ან ვისაც მიეწეოდა, ყველას ჰკითხავდა ტარიელის ამბავს, მაგრამ თვალის მომკვრელსაც-კი ვერავის შეხვდა. ავთანდილი, როგორც „გულთმისანი“, გონიერი და ჭკვიანი კაცი, იმდენს არ ჰკარგავდა ტარიელის ნახვისას და რაც ხანი გადიოდა, თანდათან უფრო ემატებოდა მხნეობა და ხალისი ტარიელის ძებნისა.

ავთანდილს საგზალი მალე გამოელია და საზრდოობდა ნანადირევით. საცა მოშივდებოდა, იქვე ინადირებდა, დაანთებდა ცეცხლს, დათლიდა შამფურებს, შეწვავდა მცვრიან მწვადებს, მოიკეცდა თოქალთოზე და შეექცეოდა.

ავთანდილ გადინადირა
ქედი მაღალი ტყიანი,
ვერც ხარი მოჰკლა, ვერც ფური,
ვერცა ბოჩოლა რქიანი;
შველსა ჰკრა გამოფრენილსა
ისარი ორბის ფრთიანი,
დაჰკიდა ცხენის ტახტაზე
ტყავ-გაუხდელი, რქიანი;
ჩავიდა ბურილ ძირშია,
ცეცხლი დაანთო პრიალი,
სადგომი ბინა დაუხვდა
ჭყანტიან-ჭაობიანი;
ქვედა საგებლათ მოჰხადა
თოქალთო უნაგრიანი,
დათალნა ეკლის შამფურნი,
მწვადი აასხა მცვრიანი.

ავთანდილი, „თოქალთოზე“ მოკეცილი რომ მცვრიან მწვადებს შეექცეოდა, იმ დროს შორს, მინდვრის სივრცეში, შავი ნისლივით მომავალ ჯგუფს მოჰკრა თვალი, რომელიც თან-და-თან უახლოვდებოდა ავთანდილს. ავთანდილმა გაარჩია, რომ ხალხი მოდიოდა მისკენ. შეფიქრიანდა: ვაი თუ „მეკობარნი“ – ლაშქარნი იყვნენ და არამცრა მაზიანონო. მაშინვე შეკაზმა ცხენი, გადაიკიდა თოფი, აიღო შვილდ-ისარი და მოემზადა საომრათ: ვინიცობაა მტერი იყოს, ჯაბნათ არ დავხვდეო.

მინდორს დაინახნა კაცნი,
ჯანის-ჯანად (ნელ-ნელა) მომდინარნი,
– „ახლოს მოდე, ჩემო ცხენო,
აბჯარნო, გამეძალენით,
მტერს მოშლით ნურას შევხვდებით,
თვალშია ვეჯაბანებით“!

➔

# „ვეფხის ტყაოსანი“

ავთანდილმა მიატოვა გაშლილი სუფრა ცეცხლთან, მოკლული ირემი და ცეცხლზე შემოლაგებული მწვადები და შეეგება მომავალ ხალხს. ხალხში დაინახა, რომ სამ კაცს ერთი თავ-გატეხილი კაცი მოჰყავდა. ავთანდილმა „გამარჯვება“ უთხრა და ჰკითხა: რითი გყავთ დასნეულებული ეგ კაციო?

— ეს ძმა არის ჩვენიო, — მიუგეს სამთავემ — ჩვენ ტყის პირას ვიყავით, რომ ერთმა გმირმა მოყმემ გამოიარა ჩვენს ახლოს; ჩვენ ძლიერ გაგვიკვირდა იმ დიდი გმირის ნახვა, ეს ჩვენი ავადმყოფი ძმა გამოეკიდა: „ვინა ხარ, მითხარიო“, — მისძახოდა და „ან საით მიეჩქარებიო“. გმირი მოუბრუნდა, ერთი სილა გაჰკრა და, აი, ოთხათ გაუჩეხაო.



ავთანდილმა ამ ამბისათვის მადლობა გადაუხადა, ისურვა მათი ავადმყოფის მშვიდობით მორჩენა, ასწავლა თავის ბინა — ცეცხლი და მწვადები, წამალიც თავ-გატეხილისათვის: ირმის ტვინი წაუსვითო და დაუამებსო. თითონ-კი აღარ მიბრუნდა; ბინაზე დანაც დარჩა ავთანდილს და ნუ დამიკარგავთო, შეეხვეწა. გააქანა ცხენი და გასწია ტარიელის საძებრათ.

აიმა და იმ ხეთ ძირში
მწვადი უბრუნვენ ნებასო,
წყლულს ირმის ტვინი წაუსვით,
იტყვიან მოსვენებასო;
საყველ-პურე დანა დამრჩა
იმ ჩემ ნადგომსა ბინასო,
ნუ დამიკარგავთ, გეთაყვა,
თქვენი სნეულის ლხენასო.

ავთანდილმა გააჭენა ცხენი იქით, საითაც უჩვენეს მგზავრებმა გმირის ჩავლილი გზა. ესენი-კი მივიდნენ ავთანდილის ნადგომ ბინაზე, ავადმყოფს დაადვეს წყლულზე ირმის ტვინი, შეუხვიეს თავი და მოასვენეს. თითონ ისამხრეს გუნებიერათ და შეისვენეს. შემდეგ სამივე ძმები დაეხვიენ ავთანდილის „საყველ-პურე“ დანას, მაგრამ ხეზედაც ვერ მიაყუდეს და საცა ეგდო, იქვე დატოვეს.

ავთანდილი-კი იმ დროს გამალებული მიაქროლებდა თავის „თეთრ ტაიჭს“ და მისდევდა ტარიელის გზა-კვალს. კარგა მგზავრობის შემდეგ ავთანდილს შემოხვდა ერთი უზარმაზარი დევი, რომელიც ძლივს, კოჭლობით მორახუნობდა. დევი იცნო და გამარჯობა უთხრა, შემდეგ ჰკითხა იმისი ამბავი, ვის საძებრათ იყო წამოსული. — „შენ მამაჩემის ძმობილი იყავი და სიმართლე მითხარი, აქეთ მგზავრი ხომ არავინ გინახავსო.

დევ, მამაჩემის ძმობილო,
ხომ არვინ ჩამოგიარა?

— ჩამომიარა ქროლით ერთმა პირქუშმა მოყმემ, — უთხრა დაჟეჟილმა დევმა. მე ვხნავდი, გუთნეული მება, გამიკრა ხელი გუთნეულს და ზღვის იქით გადამიყარა!.. მეც ერთი ფეხი წამამკრა და შორს გადამისროლა... აღარ მეგონა, თუ ცოცხალი გადავრჩებოდი. შენ ტყვილა მისდევ, ავთანდილ, ველარ მიეწევი იმ მოყმეს, იმან საქართველო გადაიარა და სათათრეთში გავიდა. მე ისეთი დიდი გმირი არ მინახავს და არც ისეთი შვენიერი; ერთი გაიღიმა და ისეთი შუქი გამოკრთა, რომ მთა და მინდორი გაანათა.

ერთმა პირქუშმა მოყმემა
ცხენ ხეთქით ჩამომიარა,
ხელი გამიკრა გუთანსა,
ზღვას იქით გამისრიალა!..
წიხლი კრა გუთნის დედასა,
კ... მა გამოიარა,
ღიმნი ქმნა, კბილი გამოჩნდა,
მთას შუქმა გადაიარა,
მაგას ნუ მისდევ, ავთანდილ,
იმან დიდი გზა იარა,
გასწირა საქართველოი,
სათათრე გადაიარა.

ავთანდილი უფრო მეტი სიფიცხით გამოუდგა უკან ტარიელის გზასა და დღე და ღამე დაუსვენრათ მისდევდა, მაგრამ ვერ მიწვდა, ვერსად მოჰკიდა თვალი. მიმავალმა ავთანდილმა ერთს მდინარის პირას დაინახა მიმდგარი ჯარი; ის დაურიდებლათ მივიდა მათთან და იკითხა ტარიელის ამბავი, მაგრამ ვერა გაიგო-რა; მერე გამოიკითხა მათი ასე შეგროვების მიზეზი.

— ჩვენ მგზავრნი ვაჭარნი გახლავართ — უთხრეს ავთანდილს — აქ ჩვენი დადგომის და მწუხარების მიზეზი ის არის, რომ ამ მდინარეზე ეს ერთი ხიდია, სხვა გზა არ არის და ამ ხიდზედაც თითო პეშვი თვალ-მარგალიტის გადაუხდელათ ამ ხიდის ბატონი არ გვიშვებსო.

— ნუ გეშინიათ, მე გაგიყვანთ და გაგათავისუფლებთ. წადგა ავთანდილი წინ და შეძახა ხიდის ბატონს:

— მგზავრი და ქარავანი ღვთისა არის, მათი ძარცვა და წინ დადგომა ცოდვაა, საკადრისი არ არის; მოეცალე ხიდიდან და გაატარე ქარავანი, თორემ, ტარიელის მზეს ვფიცავ, სამტკივნეულოს დაგარტყამ და შენს ტვინს ზღვას ქაფათ მივცემ.

ეს ქარავანი ღვთისია,
უერთოდ არ მამიცია,
ტარიელის მზემ, გაუშვი,
თორემ მტკივანი მიცია!..
ეგ შენი ტვინი და სისხლი
ზღვას „პერად“ გადამიცია.

ხიდის ბატონი არ მოეცალა გზიდან და დაძმობილება მოინდომა ავთანდილის: ორივემ გავიყოთ, შუაზე, ძმურათ, მაგადგან აღებული თვალ-მარგალიტიო: — ესე ჯობია, თორემ რას გამოვრჩებით, ჩვენ ორივემ რომ ერთმანეთს თავი შევაკლათ და ჩვენი სისხლით „ნახმლევ-ნაისრით და ნაშუბით“ მინდორი მოვრწყათ და ავავსოთ... დამანებე ქარავანი, დღეს მე და შენ ძმები ვიყვნეთო.

მინდორს სისხლის ტბა გვიბრუნავს
ნახმლევ-ნაისრ-ნაშუბარი,
ეს ქარავან დამანებე,
დღეს მე და შენ გავხდეთ ძმანი.

ავთანდილს ეწყინა ესა და ერთი მათრახის გადაქნევით დედამიწაზე გაფშვნიტა მგზავრების მძარცველი ბატონი; გაუხსნა თავისუფლათ გზა მგზავრებს და გაატარა. მგზავრებმა შესწირეს ლოცვა და დიდი მადლობა ღმერთს, რომ დამხსნელი გამოუგზავნა და ლოცავდნენ ავთანდილის მოსვლის გზას. ავთანდილი გაეშურა თავის გზაზე და მიჰქროდა გრიგალ-ქარივით; ეს გავიდა თავის ბიძის — ფროდონის მიწა-წყალში და მიაბრუნა ცხენი ფრიდონისკენ. ამ სიარულში ავთანდილი მიადგა ერთი დედაბრის ქოხს. ავთანდილმა იმასაც ჰკითხა ამბავი თავის საძებრისა, მაგრამ ვერა გაიგო რა. ბებერმა ჰკითხა: „სად მიხვალ ახლაო“.

— მე მივდივარ ბიძა-ჩემ ფრიდონთანაო, — მიუგო ავთანდილმა. ეს დედაბერი, თურმე, „გულთმისანი“ იყო და ყველა გაიგო, რაც ავთანდილს სურვილი ჰქონდა. დედაბერმა ფრიდონის სასახლის მარჯვე გზა ასწავლა.

— შენ თუ შენი საწადლის ასრულება გინდა, ბიძა-შენ ფრიდონთან რომ მიხვიდე, ცხენი თხოვე და როცა მოგცემს, წადი ჯოგში და რომელიც ჯოგს უკან ჩამორჩება გაჩინჩლული კვიცი, იმას სტაცე ხელი და მოაჯექი, ის გაპოვნინებს შენს საწადელს; მართალია ის, ვიცი, თვალის შესახედავად ცუდია, მაგრამ გადამავალის ქარის ცხენია და მხედრის გულის-პასუხის შემტყობელი. ბიძა-შენ ფრიდონს არ იამება იმ კვიცის წამოყვანა, მაგრამ ველარას იზამსო, — უთხრა ბებერმა და გზა დაულოცა. ავთანდილმაც მადლობა გადაუხადა და გამოეშურა ბიძისაკენ. ორი დღის მგზავრობის შემდეგ მივიდა თავის ბიძა ფრიდონთან და მოკითხვის და საუბრის შემდეგ უთხრა: ცხენი დამელალა და უნდა ერთი მფრინავი კვიცი-ცხენი მაჩუქოვო.

ფრიდონ, გენუკვი, ბიძაო,
კვიცის რემაის ფრენსაო.

ბიძა მოგიკვდეს მაშინ, რომ მჯობნის-მჯობნე დაგიჭიროვო. შედი ჯოგში და რომელიც მჯობნის-მჯობნეა — მიირთვი, მიწყალობებიაო.

ფრიდონ მოგიკვდეს ბიძაი,
მჯობნი გიწყალოს ჯოგშია,
შედი და გამოარჩიე,
რომელიც სჯობდეს მჯობნშია.

ავთანდილი მაშინვე გაეშურა ჯოგში. გამოირეკა წინ ჯოგი და დაიჭირა ის პატარა კვიცი, რომელიც უკან ჩამორჩა და რომელიც ბებერმა ურჩია. ფრიდონს დაენანა, მაგრამ თქმით-კი ველარა უთხრა-რა ავთანდილს. ავთანდილმა დაადგა უნაგირი, მოახტა ზურგზე და გაფრინდა კვიცი, თვალი ვეღარავინ მოჰკრა!.. ბევრი სიარულის შემდეგ ავთანდილის ცხენმა იპოვნა ტარიელის ცხენის „ნატერფალი“, კვალი; დაადგა ამ ნაკვალევს მფრენ-მრბენი და აღარ მოშორდა. ნაკვალევმა მიიყვანა ერთ გამოქვაბულ კლდეში, საცა ერთი დედაბერი ცხოვრობდა. ავთანდილი გადახტა ცხენიდან, მიესალმა დედაბერს და გამოჰკითხა ტარიელის ამბავი.

— აქ მოდის ხოლმე ჩემთან ტარიელი, — უთხრა დედაბერმა, — ახლა სანადიროთ არის წასული და ცოტა ხნის შემდეგ მოვაო.

— არა უთქვამს-რა, დედაშვილობას, შენთვის ტარიელს: ან დედა არ დამრჩა შინ, ან ბიძაშვილს და ან ვის იგონებს კიდევ, თავის საყვარელ ნესტან დარეჯანის გარდა?

— ჩემთვის, შვილო, ტარიელს არა უთქვამს-რა და არც მე ჩავკითხებივარ, — მიუგო ბებერმა.

ავთანდილი შეეხვეწა დედაბერს, უთუოდ უნდა მოახერხო და ტარიელი მაჩვენო პირის-პირო.

— არ შემიძლია, შვილოო, — უთხრა ბებერმა, — ის ისეა გამმაგებული და გახელებული თავის საყვარლის „მზე-ქალის“ დაკარგვით, რომ არავის არ ინდობს, არავის არ ეკარება, მისი ფიქრი და საწადელი მარტოკა თავის, „მზე-ქალის“ პოვნა და გამოხსნა არის და რომ ვაჩვენო შენი თავი, ვაი თუ მოგკლას და ცოდვა დამედვას თავზეო. მაგრამ ავთანდილი არ მოეშვა და დიდი ხვეწნა-მუდარით: „თუ მომკლავს, ალალი იყოს ჩემი სისხლიო“. დაითანხმა ბებერი და ბებერმა ავთანდილი დამალა ქვაბში. შეღამებისას მოვიდა ტარიელი ქვაბთან, დააგდო ძირს ხე და ნანადირევი გაატყავა, დაანთო ცეცხლი, შედგა ქვაბი და ჩაჰყარა ხორცი. როცა შინ შემოვიდა, დედაბერმა დაუწყო ტარიელს გამოკითხვა: „ვინ დაგრჩა შინ, ან დედა ხომ არ დაგრჩენია, ან და, ან ბიძაშვილი, რომლის ნახვაც გენატრებოდესო„? — არაო, — უთხრა ტარიელმა — არავინ არ დამრჩენია შინ: დამრჩა მხოლოდ ერთი ბიძაშვილი, სახელათ ავთანდილი, ის მახსოვს და იმის ნახვას ვინატრი, ნეტავ ერთხელ კიდევ მაჩვენა ჩემი ავთანდილიო.

— ახლა რომ ნახო ავთანდილი, რას უზამ, დედაშვილობასა?

— ერთს მაგრათ ვაკოცებ და გადავეხვევი, — უთხრა ტარიელმა.

— შენ რომ მაგრათ აკოცო, შვილო, ხომ მოკვდება, — უთხრა ბებერმა. გაიგონა ავთანდილმა ტარიელის ხმა და ჩქარა ნახვის სურვილით აჟოჟოლებულმა, ჰკრა წიხლი, გამოამტვრია ქვაბის კარები: „აქა ვარ, შენი ავთანდილი, ტარიელ“! — შესძახა და მივარდნენ ერთმანეთს, საალერსოდ გადახვიეს ხელი და დაუწყეს ერთმანეთს კოცნა.

ამ ალერსში ტარიელისაგან მაგრათ მოხვევნის გამო, ავთანდილს სამი გვერდის ნეკნი, „ფერცხალი“, ჩაემტვრა. ტარიელი მაშინვე ჩაეწოდა ნატკენ გვერდებზე და გაუმთელა, გაუკურნა. შემდეგ დასხდნენ ერთად და უამბეს ერთმანეთს თავიანთი ამბავი და თავ-გადასავალი. ტარიელი მოუყვა, რაც ჭირი და ვაება გადაჰხდენოდა თავისი „მზე-ქალის“ — ნესტან-დარეჯანის — ძებნაში ამ თოთხმეტი წლის განმავლობაში. — „ეს თოთხმეტი წელიწადია, ავთანდილ, ვეძებ ჩემს მზეს, დავრბივარ გარე-გარე და ნიშანიც-კი ვერ ვიპოვნეო“. — უთხრა ბოლოს გულ ამოსკვნით ტარიელმა.

ავთანდილმა იმედით უთხრა: ნუ გეშინია, ძმაო, მე ვეცდები, რომ მოვნახო და ვიპოვო შენი მზე-ქალი და ან ჩემ თავს მის ძებნაში წავაგებო!.. შენ მხოლოთ ნუ ნაღვლობ და დამშვიდდი, უბრალო ხალხთან ჩხუბით არა გაკეთდება რა, თავს ტყუილათ დაიბეჩავებ, სხვასაც ავნებ და შენს მზე-ქალს მაგითი ვერ იპოვნიო. გამოემშვიდობა ავთანდილი და წავიდა ნესტან-დარეჯანის საძებნელათ. ტარიელიც არ დამშვიდდა და არ დაეთხოვა ძებნას, დარბოდა ტყე-ველში და ეძებდა გამუდმებით.

ავთანდილმა დიდი გზა გაიარა. ვისაც შეხვდებოდა, ყველას ამბავს ჰკითხავდა და ასე კითხვა-კითხვით მიაგნო ნესტან-დარეჯანს. გაიგო დაბეჯითებით, რომ ზღვას იქით ქაჯებს ჰყავდათ დამწყვდეული ქაჯეთის ციხეში. ავთანდილი წამოვიდა ტარიელთან, გამოუარა ბიძა ფრიდონს, უამბო ნესტან-დარეჯანის ამბავი და შველა თხოვა. დასდეს პირობა ბიძა-ძმისწულმა და ავთანდილი წამოვიდა ქვაბში ტარიელთან.

ტარიელი ავთანდილს შინ არ დაუხვდა. — „მას უკან ორჯელაც აღარ მოსულა შინა„-ო, — უთხრა დედაბერმა ავთანდილს. ავთანდილი გაეშურა მინდორ-ტყეში ტარიელის საძებნელათ. ტარიელი ნახა და ახარა „მზე-ქალის“ პოვნა. მოვიდნენ ქვაბში ორივენი. ავთანდილმა უთხრა ტარიელს: — ახა, ძმაო, ჩემი ცხენი: მაღლა ასწევ ზეცას ავარდება, ძირს დასწევ — ქვესკნელს ჩაძვრება და მათრახს გადაჰკრავ — ზღვაზე გაფრინდება, შეჯექი ამ „იფრინდაზე“, გადაჰკარ მათრახი და გახტი ზღვის გაღმა. მე და ბიძა ჩემი ფრიდონი ერთად წამოვალთ. ბიძა ჩემი თოკს გადმოაგდებს ზღვაზე, მოსდებს ქაჯეთის ციხეს და მე იმ თოკზე გამოვფრინდები და ჩავხტები ციხეში კისკისითა.

ავთანდილ საჩქაროთ გამობრუნდა, მივიდა ბიძა ფრიდონთან, შეეხვეწა, ჩქარა წავიდეთ, მივეშველოთ ტარიელს და თოკები ბლომათ წავიღოთ, რომ მიწვდეს ქაჯეთის ციხემდეო.

საწყალი ჩემი დედ-მამა რომ ჯამბაზობას მასწავლიდა, თოკებზე რომ მარბენინებდნენ, ასე მეგონა, ბიძია ფრიდონ, ტყუილათ მასწავლებენ-მეთქი!.. უბრალოთ ჩემი ტანჯვა და სიკვდილი უნდათ ჩემ დედ-მამას-მეთქი — ვფიქრობდი მაშინ მე უგნური. ის კი არ ვიცოდი, თუ ჩემი დედ-მამა ჩემ თავის გამოსადეგს მასწავლიდა და მწვრთნიდა.

ბეჩავი ჩემი დედ-მამა
რა ცოდვა-ჭირით მზრდიდიან:
ერთი ციხიდან სხვა ციხეს
თოკები გამოჰკიდიან;
მე ისე ფრენით გავრბოდი,
რომ თვალნიც ვერ მამკიდიან!..
მე ის მეგონა, ქვე თუ მკვლენ,
იგინი თურმე მწვრთნიდიან.

ავთანდილი და ფრიდონი მოემზადნენ სამგზავროთ; ჩქარაც წავიდნენ და მიადგნენ ქაჯეთის ციხის პირდაპირ — ზღვას. მაშინ ავთანდილმა კიდევ უთხრა ფრიდონს: აბა, ბიძია, თოკების გაგდება აქედან და წვერის მოდება ქაჯეთის ციხეზედ შენი საცადით იყოს და ზედ გაფრენა მე ვიციო.

ფრიდონ ბიძისა ცდით იყო
გაგდება თოკებისაო,
ზე გავლა ავთანდილისა,
როგორც მფრინავი ცისაო.

ფრიდონმა მაშინვე აიღო თოკები, ესროლა და მოადო ქაჯეთის ციხის ბურჯს. ავთანდილმა მოიხადა ქუდი, ილოცა ღმერთი, შეხტა თოკზე და გრიგალ-ქარივით წამზე ჩახტა ქაჯეთის ციხეში. დაუწყო ხოცვა-მუსვრა ქაჯებს, მაგრამ რამდენსაც მოჰკლავდა, იმდენი ისევ ცოცხლდებოდა და დაჭრილი ადგილი უმთელდებოდათ. ამ დროს დაინახა ნესტან-დარეჯანმა ავთანდილი და იცნო თავისი ტარიელის ბიძაშვილი.

— აქ რამ მოგიყვანა, ავთანდილ?! — დაუძახა ნესტან-დარეჯანმა, მაგრამ ავთანდილმა ყურიც არ ათხოვა, ის გაცხარებულ ომში იყო და გუნებაში წუხდა, რომ დახოცილი ქაჯნი ისევ ცოცხლდებოდნენ.

— „ნაბდის ხმალი აიღე, ავთანდილ, ნაბდის ხმალიო“...ავთანდილმა მიიხედა გვერდზე და დაინახა კედელზე მიყუდებული ნაბდის ხმლები. ავთანდილმა დაავლო ხელი ნაბდის ხმალს და დაუწყო უწყლოთ ხოცვა ქაჯებს.

ბევრი ომისა და ბრძოლისაგან ავთანდილი მოიქანცა, „დათვრა სისხლით“. მაშველს ვერავის ჰხედავდა და უკვირდა ტარიელის ამბავი. მაშინ შესძახა ტარიელს: ბიძაშვილო, „შინშო“, მიშველე, მომეხმარე, თორემ ამ მოზღვავებულმა ქაჯებმა ლამის გადაგვიარონ თავზეო.

მიშველე ტარიელ,
დამჭირდა შენი გმირობა!..
ავთანდილ დავსუსტებულვარ,
ქაჯებს აქვს ზემო ვლილობა!..

ტარიელი ამ დროს ციხის გალავან გარეთ იდგა, სიყვარულისაგან გაშტერებულ-გახევებული და არაფერ საცადში არ იყო. ავთანდილის დაძახილმა გამოაფხიზლა ტარიელი ამ ღრმა გაშტერებისაგან. მაშინვე ხმა მისცა ტარიელმა ავთანდილს: მე აქ სურვილისაგან გახევებული კარებზე თავსა ვცემდიო და არც-კი ვიცოდი, შენ შიგნით იყავი თუ არაო.

შენ სით გადახველ, ავთანდილ,
მე კარზე ვდგევარ — ხე ვითა,
სურვილით გახარებული
კარს დავასკდები ქვევითა...

გამოფხიზლებული ტარიელი მივარდა კარებს, დალეწა მთლათ, დაამსხვრია გალავანი ციხისა, შევარდა შიგ და დაუწყო ჟლეტა ქაჯებს. ამ დროს მოვიდა ქაჯების ხელმწიფეც დიდ-ძალი ქაჯის ლაშქრით და, როცა ნახა კარები და კლიტეები მთლათ დალეწილი, შეწუხდა და მაშინვე



მიხვდა: ამას ქვეყანაზე ვერა ვინ ვერ შეიძლებდა ტარიელის მეტიო. ეს უთუოდ ტარიელი მოვიდა, იმან დალეწა კარ-კლიტე, ქობალაქები და მიფანტმოფანტა მინდვრებშიო.

ქაჯებ სთქვეს ტარიელის:
„ეს საქმე მისეულია,
კარ-კლიტე, ქობალაქები
მინდორში დასრეულია“.

ტარიელმა და ავთანდილმა ამოწყვიტეს მთლათ ერთიანათ ქაჯების სინსილა, წამოიყვანეს ნესტან-დარეჯანი, ტარიელის „მზე-ქალი“, და წამოვიდნენ. კარგა სიარულის შემდეგ მოადგნენ ერთ მდინარის ხიდს. მაშინ უცებ გაიკრა ავთანდილმა ხმალს ხელი და შემოუქნია ნესტან-დარეჯანს: „უნდა ეხლავე გაგათავოო! — შეძახა ავთანდილმა. ნესტან-დარეჯანს შეეშინდა, პირი წაიღო და სამი ქაჯი წამოაგდო პირიდან. ავთანდილმა მაშინვე დახოცა ქაჯები. ავთანდილი გულთმისანი, ჭკვიანი კაცი იყო და იცოდა, რომ ნესტან-დარეჯანს სამი ქაჯი ჩაუძვრა პირში. მორჩენილი და განკურნებული „მზე-ქალი“ წამოიყვანეს და წამოვიდნენ დიდი სიხარულით და მხიარულობით.

*). „შანშის“ *ხევსურები ბიძაშვილს ეძახიან*

თქმული გლეხის ჯოგოლა არაბელისაგან
სოფ. ჩირდილში, თიანეთის მაზრაში და ჩაწერილი
სოსიკო მერკველაძისაგან
„აკაკის კრებული“ 1897 წ.N3

# ისტორიული თორის ხეობის კუთვნილებისა

**ბაკურ გელაშვილი**

ისტორიული თორის ხეობა, რომელიც თანამედროვე ბორჯომის ტერიტორიას მოიცავს, სხვადასხვა ეპოქაში მისი საზღვრები ცვლილებებს განიცდიდა. თორის შესწავლისას, მნიშვნელოვანია, მეტ-ნაკლებად ზუსტად განისაზღვროს თუ სად გადიოდა საზღვრები ისტორიული ხეობისა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პირდაპირი ცნობები წერილობით წყაროებში არ მოგვეპოვება, მაგრამ არსებობს რამდენიმე არაპირდაპირი მინიშნება, რომელიც კრიტიკულ მიდგომას და სათანადო შესწავლას საჭიროებს.

უძველესი წერილობითი ცნობა, რომელიც თორის კუთვნილების შესახებ გვაქვს, ესაა **ლეონტი მროველი**, რომლის თხრობითაც, მცხეთოსმა **„ოძრხოს მისცა ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა... ხოლო უფლოსს.. ეპყრა ქუეყანა არაგვითგან და ტფილისითგან ვიდრე ტასისკრამდე და ფანავრამდე.. უწოდა მას ქვეყანასა ზენა სოფლისაჲ, რომელსა აწ ჰქვიან შიდა ქართლი“**. [1. 30]. „ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობით ჩანს, რომ ისტორიული თორის ტერიტორია ოძრხოსის სამფლობელოში იგულისხმება. **ვახუშტი ბატონიშვილიც** ისტორიული ხეობის ტერიტორიას ოძრხოსის სამფლობელოში ათავსებს და აღნიშნავს: **„და ძესა თვისსა ოძრახოსს მისცა ტაშისკარს ზეითი და მტკურის დასავლითი, ვიდრე ზღუამდე“** [2. 656]. **ჯუანშერი** კი **„ტაშისკარს იქეთ ქუეყანას“ უწოდებს „დასავლეთ ქართლისა-ს“** და აღნიშნავს: **„დაიპყრა მირიდატ, ძემან ვახტანგისამან, ფარავნითგან და ტაშისკარითგან, ვიდრე ზღუამდე სპერისა და ერისთავობდა მუნ“**. [1. 222]. აღნიშნული ცნობებით ისტორიული თორის კუთვნილების საკითხი არ იკვეთება და მისი უკეთ წარმოჩენისათვის საჭიროა შემდგომი პერიოდის წყაროებს ჩავუღრმავდეთ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, სადაც მოთხრობილია, გრიგოლ ხანძთელის მოწაფეების საალმშენებლო საქმიანობაზე: **„წარვიდეს ზოგად სამცხისა და ქართლისა არეთა და უდაბნოთა და პოვნეს ორნი ადგილნი სამონასტრედ და აღაშენეს სენაკები ორგანვე და უწოდეს თევდორესა ვანს ნეძჳ და ქრისტეფორესასა კვირიკეწმიდაჲ“** [3. 230]. როგორც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღმწერი მოგვითხრობს, ნეძვი და კვირიკეწმიდა სამცხისა და ქართლის საზღვარზე („ზოგად სამცხისა და ქართლისა“) ყოფილან. მერჩულეს ამ ცნობის ირგვლივ ჩნდება კითხვა, რას გულისხმობდა მერჩულე **„ზოგად სამცხისა და ქართლის არეში“?** ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს ვერ გავცემთ თუ ზუსტად არ მოვახდენთ მათი მშენებლობის ლოკალიზების ადგილს.

რაც შეეხება ნეძვის მონასტერს, მისი ადგილმდებარეობა დადგენილია და იგი დღევანდელი ბორჯომის რაიონში, დაბა ახალდაბასთან 10 კილომეტრში მდებარეობს [4. 234]. ხოლო კვირიკეწმიდის მდებარეობის საკითხის გარშემო სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა და მას აიგივებენ პუნქტ საკვირიკესთან [5. 250]. კვირიკეწმიდის დვირის სექტორში არსებობას იზიარებს ვ. აბულაძე [6. 26]. **სერგი მაკალათია** თავის ნაშრომში *„ბორჯომის ხეობა“* კვირიკეწმიდის მონასტერს ქვაბისხევის პირდაპირ ასახელებს [7. 41]. მკვლევართა უმრავლესობა დვირის სამხრეთით მტკვრის (მარჯვენა) მხარეზე ათავსებენ, კვირიკეწმიდის დვირთან მდებარეობის აზრს იზიარებს **დევი ბერძენიშვილი** და აღნიშნავს: **„დვირის ხევის ქვემო წელზე უკვე სხვა მიკროერთეული გამოიყოფა, რომლის ცენტრი უნდა ყოფილიყო დვირის ციხე. ჩანს, ამ ერთეულსაც საკუთარი სამონასტრო ცენტრი ჰქონდა საკვირიკეს კომპლექსის სახით, იგი დვირის სიახლოვესაა ქვაბისხევის გამოღმა.“** [8. 26]. მეცნიერთა მეორე ნაწილი დვირამდე ქართლის სასაზღვრო პუნქტის გადატანას გულისხმობდა მერჩულე „ზოგად არეში“ და თუ ამას მიუყენებთ იმ გეოგრაფიულ განსაზღვრებას, რომელსაც გიორგი მერჩულე მონასტრების მშენებლობისას იძლევა, გამოდის, რომ კვირიკეწმიდა დვირთან მდებარე-



დაბის მონასტრის 1333 წლის წარწერა.

ლი ქრისტეფორეს მიერ აგებულ კვირიკეწმიდას აწყურის მიდამოებში ასახელებს, აღნიშნული შეხედულება თავდაპირველად **პ. ინგოროყვამ** [9. 335], ხოლო შემდგომ **სერგი ჯიქიამ** [10. 124] გამოთქვეს და მათ თავიანთი შეხედულება ძირითადად „გურჯისტანიის ვილაიეთის დიდ დავთარზე“ დაყრდნობით გააკეთეს. მათ დავთარში ყურადღება მიაქციეს ახალციხის ლივის აწყურის ნაჰაიეს სოფლების სიაზე, სადაც დასახელებულია კვირიკეწმიდაც და საკვირიკეც [11. 9. 93]. აღნიშნულ წყაროზე დაყრდნობით პავლე ინგოროყვა ხსენებულ მონასტერს საყუნეთის მიდამოებში ათავსებს [9. 393]. მაშ, როგორ გავიგოთ ისტორიკოსის გამონათქვამი, რომ ნეძვი და კვირიკეწმიდა სამცხისა და ქართლის საზღვარზე დაარსესო? თუ ტაშისკრიდან სამხრეთით გადამკვეთ ხაზს ჩავთვლით სამცხის საზღვრად, რასაც **დ. მუსხელიშვილიც** იზიარებს [12. 71-72], გამოდის, რომ ნეძვი სასაზღვრო ზონაშია, მაგრამ კვირიკეწმიდა, რომლის მდებარეობის ადგილად, თუნდაც, პალე ინგოროყვას ვერსიას (საყუნეთის მიდამოები), ანდა **ნ. ბერძენიშვილის, დ. ბერძენიშვილის, ს. მაკალათიას, კ. მელითაურის, ნ. შოშიაშვილის, შ. ხანთაძის, გ. ჯამბურიას** [13. 19]. ვერსიას გავიზიარებთ, მაშინ კვირიკეწმიდა სამცხის შიგნით მოექცეოდა და იგი სასაზღვრო პუნქტიდან (ტაშისკრიდან) საკმაოდ დაშორებული იქნებოდა. რა იგულისხმება მერჩულესეულ „ზოგად არეში“? დავით ხოშტარიას აზრით, **„ზოგად არეში“** ქართლის ნაწილი უნდა იყოს, კერძოდ, ვიწრო ხეობები, რომელნიც სერავენ მესხეთისა და თრიალეთის ქედებს ტაშისკრის მიდამოებში და მტკვრისკენ ეშვება [14. 76]. ასევე არაა გამორიცხული, რომ აღნიშნულ პერიოდში სასაზღვრო ცვლილებებს ჰქონდა ადგილი და დვირამდე ხეობის ტერიტორია ქართლის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა. ქართლისა და სამცხის საზღვარი ყოველთვის ტაშისკარზე არ გადიოდა და ერთხანს მან დვირამდეც გადაინაცვლა [15. 276]. Gგიორგი მერჩულეს რომ ქრისტოფორეს და თევდორეს საალმშენებლო საქმიანობა ქართლში ეგულება, ეს კარგად ჩანს, როცა აღნიშნავს: **„აწ ქრისტე აღაშენებს ორთა მათ მონასტერთა ფრიად კეთილთა ქართლსა შინა თევდორესს და ქრისტეფორესს მიერ“** [3. 230]. დვირამდე არსებულ ხეობის ნაწილს შემდგომ უკვე ვახუშტი ბატონიშვილიც ქართლს აკუთვნებს და აღნიშნავს: **„და არს დვირამდე ქართლისა“** [2. 381]. ზემოთ მოყვანილი წყაროებით ჩანს, რომ საზღვრის ცვლილებას ნამდვილად ჰქონია ადგილი ტაშისკრიდან დვირამდე. ხომ არ შეიძლება დავუშვათ, რომ სწორედ

ობას მიესადაგება.ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ – აქ შესაძლოა მერჩულეს ქართლი ფართო გაგებით ჰქონდეს ნახმარი და ის სამცხესთან ერთად იხსენიება [17. 276]. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქართლ-სამცხის ეს სასაზღვრო ზოლი, ქართლთან უფრო მჭიდროდ იქნებოდა დაკავშირებული, ვიდრე ჭოროხის აუზთან. სამცხის ამ ნაწილის ქართლთან მჭიდრო ურთიერთობაზე ვახუშტი ბატონიშვილიც ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს: **„ამისთჳს მტკუარი ვინაჲთგან ქართლს მიმდინარე არს, შესავალ-გამოსავალი ამ ორთა ქუეყანათა დაუბრკოლებელი აქუსთ“** [2. 675]. ამ მნიშვნელოვანი ცნობითაც კარგად ჩანს, რომ ეს ტერიტორიები ქართლთან მჭიდროდაა დაკავშირებული მტკვრის ხეობაზე გამავალი მაგისტრალით და ქართლის გავლენა აქ უფრო მეტი იყო. თავის დროზე პავლე ინგოროყვამაც გამოთქვა აზრი საზღვრის ცვლილებებთან დაკავშირებით და აღნიშნავდა – VIII-X საუკუნეებში ჰქონდა ადგილი ქართლის საზღვრის აწყურამდე გადაწევას, სადაც ქართლის მეფის გავლენა თითქმის მთლიანად ვრცელდებოდა, გარდა მტკვრის მარცხენა სანაპიროსი [9. 395]. თუ მკვლევარის აზრს გავიზიარებთ, გამოდის, რომ ხეობა მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებად იყო გაყოფილი და ერთი მხარე (მარცხენა სანაპირო) ტაშისკრიდან მოკიდებული სამცხეში შედიოდა, ხოლო მეორე (მარჯვენა სანაპირო) – ქართლში. ეს აზრი შემდგომ **გიორგი ზედგინიძემაც** გაიზიარა [18. 171]. პავლე ინგოროყვას აზრი, ხეობის მტკვრის სანაპიროების მიხედვით გაყოფის შესახებ და, მით უფრო აწყურამდე ქართლის საზღვრის გადაწევა ნაკლებ გასაზიარებელი და ძნელად წარმოსადგენია ისტორიულად ერთიანი ოლქი ასე არაბუნებრივად გაყოფილიყო. დავუშვათ, რომ, მართლაც ჰქონდა ადგილი აწყურამდე ქართლის საზღვრის გადაწევას, მაშ როგორ უნდა გავიგოთ ლეონტი მროველის და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები დემოთის ციხის შესახებ, რომელიც დღევანდელ ბორჯომის ხეობაში, ქვაბისხევთან მდებარეობს [2. 662, 6. 18, 5. 245]. „ქართლის ცხოვრებაში“ ამ ციხის შესახებ აღნიშნულია: **„მაშინ სუმბატ აღაშენა ციხე ქუეყანასა ოძრხევისასა, რომელსა ეწოდების სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქვიან დემოთი.“** [16. 47]. დემოთის ციხის ადგილმდებარეობა და მისი სამცხის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებობა დასტურდება და იგი ქართლის ადმინისტრაციულ შემადგენლობაში არ შედის, მაგრამ ქართლის სასაზღვრო ზონას ესაზღვრება. ის, რომ ქართლის უშუალო შემადგენლობაში ყოფილიყო, არც ლეონტი და არც ვახუშტი მას სამცხედ არ მიიჩნევდნენ (**„ადგილსა რომელსა ეწოდების სამცხე“...**). ასევე მნიშვნელოვანია ამ ციხესთან დაკავშირებული მოვლენა, რომელიც ქართველთა და სომეხთა შორის მომხდარ შეტაკებას ასახავს, რომლის დროსაც დემოთის ციხე და მისი მიმდებარე ტერიტორიები სომეხ მებრძოლებს დაუჭერიათ, ხოლო გარკვეული დროის შემდეგ ქართველი და სომეხი დაპირისპირებული მხარეები დაზავებულან და სომხებს უკან დაუბრუნებიათ დემოთის ციხე და მიმდებარე ტერიტორიები [19. 521]. ამ მოვლენასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილია: **„ხოლო ამისთჳს სომეხთა უკუმოცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა“** [16. 49]. ამ ცნობითაც ჩანს, რომ საზღვარი ქართლისა დემოთის მიმდებარე ტერიტორიებზე, დვირი-კვირიკეწმიდის მიდამოებში გადის და არა აწყურზე, როგორც ამას პავლე ინგოროყვა მიიჩნევდა. ნ. ბერძენიშვილი თვლის, რომ აქ საზღვარი ნიშნავს ქართლში შემავალ მიწა-წყლის ნაწილს, ქართლის კუთვნილ ტერიტორიებს [17. 105]. დემოთის ციხე XVI საუკუნეშიც მოქმედი ჩანს და აღნიშნულ პერიოდში ცილობაც კი მოსდით ხეობის ახალ მფლობელებს **ავალიშვილებსა** და **დიასამიძეებს** [20. 144, 2. 724, 21. 45]. დვირს ზემოთ ქართლის არსებობას გამორიცხავს **გიორგი ხუცეს-მონაზონის** ცნობაც და ქართლის სასაზღვრო ზოლის გადატანა არსად ჩანს მის მონათხრობში: **„და ვითარცა იქმნა იგი შვიდი წლის (გიორგი მთაწმიდელი. ბ.გ.) შეწირეს იგი ღმრთისა, ვითარცა აღეთქვა და წარიყვანეს იგი სამცხეს მონასტერსა სადედოსა, რომელსა ტაძრისი ეწოდების“** [3. 376]. მაშინ, როდესაც გიორგი ხუცეს-მონაზონმა კარგად იცის ნეძვის მდებარეობა და მას ქართლში ასახელებს: **„და შემდგომად ზამთრისა, აღმორაჲ-ვიდა ღმრთისმსახური მეფე (ბაგრატ IV-ბ.გ.) კვალად ქართლადვე, მოუწოდა ბევრსა წინაშე მისსა და მისცნა ადგილნი შვენიერნი, ლავრანი დიდებულნი განსასვენებლად და საყოფელად მისა. პირველად ნეძვი ქართლისა შინა და შემდგომად მცირედისა-შაბერდი..“** [3. 412]. ბუნებრივია, ქართლის საზღვარი რომ აწყურამდე ყოფილიყო, ეს გიორგი ხუცეს-მონაზონს მხედველობიდან არ გამორჩებოდა და მას აუცილებლად აღნიშნავდა. როდესაც აღნიშნულ საკითხზე პავლე ინგოროყვა თავის აზრს ავითარებდა, იგი ძირითადად ეყრდნობოდა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს“, აღნიშნულ დოკუმენტში შესასწავლ საკითხეზე არის საუბარი, მაგრამ აქაც მიმაჩნია, კრიტიკული მიდგომაა საჭირო და მხოლოდ მასზე დაყრდნობით ძნელია გადაჭრით იმის თქმა, რომ კვირიკეწმიდის მონასტერი მდებარეობს დვირის სექტორში ან აწყურის მიდამოებში. აქ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ „დავთარი“ შედგენილია 1595 წელს და არ არის გამორიცხული, მასში გადამწერთა (შემდგენელთა) მიერ შეცდომით იყოს მინიშნებული ამ სოფლების მდებარეობა. უნდა გავითვალისწინოთ ამ დოკუმენტში სოფლების



დვირთან მდებარე კვირიკეწმიდის სამონასტრო კომპლექსის ნანგრევები.

განლაგების თანმიმდევრობაც – არის სოფლები, რომლებიც დავთრის მიხედვით ტერიტორიულად ხეობის ტერიტორიაზე მდებარეობენ, მაგრამ 1595 წლისათვის სხვა ნაჰაიეშია მოხსენიებული და არა პეტრეს ლივაში, რომელიც ძირითადად ბორჯომის ხეობის სოფლებს აერთიანებდა. მაგალითად, იმავე აწყურის ნაჰაიეს სოფლების სიაში იხსენიება სოფელი დვირი და სოფელი ტაძრისი, კვირიკეწმიდა კი სიაში მე-7 სოფლად იხსენიება, მე-11 ადგილას – დვირი, მე-13 ადგილას – ტაძრისი; სწორედ ამ სოფლებს შორის მდებარეობდა სოფელი საკვირიკე, ანუ კვირიკეწმიდა [11. 93]. აღნიშნულ დოკუმენტში (დავთარი-*ბ.გ.*) ჩანს, რომ სოფლები თანმიმდევრობით არაა შეტანილი, რაც კიდევ ამყარებს ჩვენს აზრს იმის შესახებ, რომ აწყურის მიდამოებში კვირიკეთის, ანუ საკვირიკეს ლოკალიზება არ ხდება და ეს შემდგომ კვლევამაც დაადასტურა [4. 235, 22. 8]. ზემოთ განხილული წყაროების შემდგომ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ კვირიკეწმიდის მონასტრის ადგილად მივიჩნიოთ დვირის სასაზღვრო ზოლი და ჩვენამდე მოღწეული სამონასტრო კომპ-

# და საზღვრების ისტორიისათვის

ლექსის ნანგრევები და შესაძლოა სწორედ ამ ტერიტორიებს გულისხმობდა „ზოგად არეში“ გიორგი მერჩულე, რომელიც VIII საუკუნიდან მოკიდებული (დვირის მიმდებარე ტერიტორიები) ქართლ-სამცხის სასაზღვრო ზოლს წარმოადგენდა, ამაზე მოგვითხრობს „ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორიც: **„..ქეფინის ხევი და ჩხერის ციხე და მას ზემოთი ისრე გაყოლით მთის აქათი ხეობა ვიდრე დვირამდის, კოდიან გამოღმართი..., ეპყრა მეფესა ქართლისასო.“** [24. 349]. ხოლო შემდგომ პერიოდში, როდესაც მნიშვნელოვნად დაწინაურდა ერთიანი ფეოდალური მონარქიის ზეობის დროს, თორელთა სახლეულობა [23. 51], თორმა თავის ზენიტს მიაღწია და იგი დამოუკიდებელ მხარედ იქცა, როგორც თავის დროზე სამცხე [23. 51].

მონღოლთა საქართველოში შემოსვლას და მათ მიერ ქვეყნის დაპყრობას მნიშვნელოვანი ცვლილებები მოჰყვა, რაც, ბუნებრივია, ხეობის საზღვრებსა და მის კუთვნილებაზეც აისახა. მონღოლებმა საქართველოში დამკვიდრების შემდეგ, ქვეყნის მოწყობა თავიანთი წესის მიხედვით დაიწყეს და „დუმნებად“ დაყვეს მთელი საქართველო [26. 336]. სამცხე და მესხეთის უმრავლესი თემები მეექვსე დუმანში გააერთიანეს და უფროსად ჯაყელ-ციხისჯუარელი გაამწესეს [26. 337]. **„მაშინ დაიპყრა ბექამან ქუეყანა ტაშისკარითგან კარნუქალაქამდის: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი.. და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს, ესრეთ დღითი დღე განდიდებოდეს და მსახურებდეს ყაენს აბაღას და მორჩილებდეს მეფესა დიმიტრის“**[1. 612]. ამ ცნობიდან ჩანს, რომ ჯაყელთა სახლეულობა ქართ ლის მეფეს ემორჩილება, მაგრამ კონკრეტულად არ ჩანს თუ რაში გამოიხატება მისი მეფისადმი დამოკიდებულება [27. 140]. იმითაცაა ეს ცნობა მნიშვნელოვანი, რომ ხეობა, ან უფრო სწორედ, ხეობის მცირე ნაწილი, ბექა ჯაყელის ხელში გადადის. (,,ტაშისკრიდან კარნუქალაქამდის“). ჟამთააღმწერელი თავის მონათხრობში არსად ახსენებს თორს, მაშინ როდესაც თითქმის დაწვრილებით ჩამოთვლის ბექა ჯაყელის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ თორის ძირითადი ნაწილი კვლავ თორელთა ხელშია და ჯაყელებმა თავიანთი გავლენა სიმბოლურად და, ისიც ხეობის მცირე ნაწილზე გაავრცელეს. შესაძლოა ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ ამ პერიოდში თორელთა სახლეულობა ჯერ კიდევ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა და მისი მესვეურები მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენითაც სარგებლობდნენ მეფის კარზე. თორი, როგორც ქართლ-სამცხის სასაზღვრო ზოლში მდებარე თემი, ქართლის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო და აღზევების გზაზე დამდგარ ჯაყელთა სახლეულობას არ სურდა სამეფო კართან მდგომარეობის დაძაბვა და მათ ინტერესებში თორელებთან პოლიტიკური მოკავშირეობა უფრო შედიოდა, ვიდრე ერთპიროვნული გაბატონება, ან ეს შასაძლოა ბექა ჯაყელის სამეფო კართან არსებული ნათესაური კავშირითაც იყო გამოწვეული [1.662]. ჟამთააღმწერელი აღნიშნავს: **„და ვითარ ცნა ბექამან მოსვლა თურქთა, მოუწოდა ყოველთა მის ქუეშე დაწესებულთა, ტაშისკარითგან ვიდრე ბასიანამდე: მესხთა, შავშთა, კლარჯთა, კოლა-არტან-კარნიფორელთა და უმრავლესთა ტაოელთა, რამეთუ ამას აქუნდა ქუეყანა ესე, ამათ თანა თმოგველთა და თორელთა“ [1. 643].** ჩანს რომ, ისტორიკოსი **„ბექას ქუეშე“** მხარეთა მცხოვრებლებს ჩამოთვლის, შემდეგ კი ცალკე თორელებსა და თმოგველებს **(,,ამათ თანა თმოგველთა და თორელთა“).** რაც იმაზე მეტყველებს, რომ თორი და ჯავახეთი ჯერ ბექას სამთავროში შესული არაა, თუმცა კი მისი გავლენის ქვეშ ჩანს, – მის ლაშქრობებში მონაწილეობდა. აღნიშნული დასტურდება 1350 წლის თმოგვის წარწერითაც, საიდანაც ჩანს, რომ თმოგველები, XIV საუკუნემდე, ისევე როგორც მათი შემცვლელი **ღობასძეებიც** თმოგვში იჯდნენ, საქართველოს მეფის ვასალები იყვნენ და არა სამცხის მთავრებისა [28. 94]. უნდა ვიფიქროთ, რომ თორის, როგორც დამოუკიდებელი ერთეულისა, მისი საზღვრებიც, ფაქტიურად, ძველ შემადგენლობაში დარჩებოდა და მას ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა შიდა ქართლი-ძამის ხეობა, სამხრეთ-აღმოსავლეთით – ჯავახეთი და სამცხე (ერთმანეთს შორის ცვალებად საზღვრებში) ჩრდილო-დასავლეთით – იმერეთი [23. 53].

თორის მხარეზე ქართლის მეფის გავლენაზე მეტყველებს XIV საუკუნის დასაწყისში დაბის მონასტრის 1333 წლით დათარიღებული წარწერა:

**,,ინდიქტიონსა მეფით-მეფისა**
**გიორგისსა,**
**ძისა დიმიტრისა მეცხრამეტისა.**
**სიტყვასა**
**ღმერთისა ხორცთ შესხმისა**
**მიზეზო,**
**აღვაშენე ტაძარი ესე ჟამსა**
**მეფეთ-მეფისა**
**გიორგისა მე, მათმან**
**მოლარეთ-უხუცესმან**
**ქ..კსა. კა“**

[29. 180, 30. 226, 31. 101, 26. 252, 32. 861, 33. 7, 34. 58].

დაბის მონასტრის ამ წარწერით ჩანს, რომ ამ დროს ხეობა გიორგი V ბრწყინვალის (1318-1346წწ) გავლენის ქვეშაა, რომელიც ჯერ კიდევ 1266 წლიდან მონღოლებმა ყაენის კუთვნილებად (ხასინჯუდ) აქციეს [35. 599, 629].

ასეთი პერიოდი თორის ისტორიაში ჯერ კიდევ 1317 წლიდან უნდა დაწყებულიყო, როდესაც ჩობან ნოინმა გიორგი ბრწყინვალეს **„მოსცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი.. მესხნი შვილნი ბექასანი“ [1. 653].** საფიქრებელია, რომ სამცხის საყაენოზე უშუალოდ, დამოკიდებულების მიუხედავად, ხეობაზე, ქართლის მეფის პოლიტიკური გავლენა მაინც ვრცელდებოდა, ეს შესაძლოა გიორგი ბრწყინვალეს და მონღოლთა შორის არსებული მშვიდობიანი ურთიერთობების შედეგიც იყო. ამ წარწერის გარშემო ნ. ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ XIV საუკუნეში ამ ქვეყნის პატრონი (სუვერენი) გიორგი მეფეა და მას არც თორელი პატრონობს და არც ჯაყელი [5. 211].

XV საუკუნიდან ხეობის ამ ტერიტორიებზე ახალი მფლობელები ჩანან – ავალიშვილების სახით, რომელთაც თავიანთი სათავადო საავალიშვილო, ცენტრით სადგერი შექმნეს [6. 56]. თორის საერისთაოს ტერიტორია (XV-XVI ს.ს) სამ ხეობად იყოფა, „ვგონებ თორელთა სამთა ამათ ხეობათა-სადგერს, გუჯარეთს და მტკვრის ხეობას...“ [2.83]:

1. მტკვრის ხეობა ტაშისკარიდან სლესა-დემოთის ციხემდე (სლესა-დემოთის ტერიტორიების მფლობელები ამ პერიოდში ავალიშვილები ხდებიან) მტკვრის აყოლებით – მისია ასევე სანაპირო.

2. სადგერის ხეობა, რომელიც სადგერიდან წაღვერ-ტიმოთესუბანსა და თორ-ბაკურიანის მიდამოებს მოიცავდა, ამ ხეობაზე ძირითადად ავალიშვილებს მიუწვდებოდათ ხელი და ამ ორი ხეობის სოფლები მათი მამულები იყო, ხოლო:

3. გუჯარეთის ხეობა, რომელიც საციციანოში შედიოდა, ავალიშვილებს ხელი არ მიუწვდებოდათ. ეს სამი ხეობა ადრე თორის მხარეს (საერისთაოს) შეადგენდა. ავალიშვილებს თავიანთი სათავადოს ტერიტორიების შესანარჩუნებლად და საზღვრების გაფართოებისათვის ბრძოლა უწევთ სამცხის თავადებთან. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „დიასამიძე ელია დემოთის ციხეში საავალიშვილოს შეუყენეს, წაართვა ამან ციხე და განძი მრავალი და საფაშოც დაუჭირა, გოგორიშვილმან ბეჟან ჯუარის ციხე ფაშას მისცა და ჩვენც ახალდაბას ჩამოვედით..“ [2. 724].

საავალიშვილოს სათავადო ქართლის სამეფო კართან მჭიდრო ურთიერთობებით გამოირჩეოდა და ეს მათი სათავადოს ტერიტორიების ზრდაშიც აისახა, გიორგი XI-ს 1688 წელს ზაალ ავალიშვილისათვის უწყალობებია სოფლები ნეძვი და კორტანეთი. ხოლო გიორგი ავალიშვილისათვის – სახასო სოფელი ქიმერეთი ტაშისკარს. მიქელაძის წილი აზნაურიშვილი ფასიტა ყმა-მამულით, მიქელაძის ნაქონი ვენახი და ახალდაბის მოურავობა (1688) [6. 79].

საავალიშვილოც, როგორ ზემოთ მოტანილი ცნობითაც ირკვევა, ქართლის პოლიტიკური გავლენის ქვეშაა და ხეობის სამივე ნაწილზე მეფის ხელისუფლება ვრცელდება. საავალიშვილო თავისი სტრატეგიული მდებარეობით, ისე როგორც წინა საუკუნეებში, ხეობა და შემდგომ თორი ქართლის პოლიტიკურ ინტერესებში შედიოდა და მას მნიშვნელოვანი როლი ეკისრა ქართლის საზღვრების გამაგრების საქმეში, ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ თავად ავალიშვილებს თეიმურაზ მეფემ თურქ-ლეკებისაგან დაცვის მიზნით იგი დაუმტკიცა თავად ავალიშვილებს [7. 9].

ავალიშვილები ხეობის დაახლოებით 56 სოფელს ფლობდნენ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საავალიშვილო საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა. სახელდობრ, ეს სოფლებია: დგვარი, ტაძრისი, მოქცევი, საკვირიკე, ლიკანი, გომნა, სადგერი, ყვიბისი, ციხისჯვარი, თორი, ჭობისხევი, ჩითახევი, დაბა, კიმოთესუბანი და სხვა.

აღნიშნული 56 სოფლიდან დღეისათვის ბორჯომის ხეობაში ცნობილია 26 სოფელი, ესენია: დვირი, დგვარი, ტაძრისი, ყვიბისი, ქვაბისხევი, ზანავი, თორი, წაღვერი, მზეთამზე, ცემი, რველი, დაბა, ჭობისხევი და სხვ. დღეისათვის ბევრი სოფლის ადგილმდებარეობის დადგენა ძნელი არ არის, რადგანაც ამ სოფლებიდან, როგორიც იყო ნეძვი, გომნა, ზორეთი და სხვ. მოსახლეობა (1947 წ.) ჩამოსახლდა სხვადასხვა სოფლებში.

„ჩრდილო-აღმოსავლეთით საავალიშვილოს საზღვარი ტაშისკარი უნდა ყოფილიყო, შემდეგ საზღვარი ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით სურამის მთაგრეხილს მისდევდა. უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარს სლესა-დემოთს შორის უნდა გაევლო, სამხრეთ-დასავლეთით დვირი-ტაძრისის მთები იქნებოდა, სამხრეთით კი ბაკურიანის მთა (ცხრა წყაროს უღელტეხილი), აღმოსავლეთით საზღვარი ალბათ გუჯარეთის ხეობის დასავლეთი მხარე იქნებოდა, ვინაიდან ეს ხეობა (გუჯარეთის) საციციანოში შედიოდა [6. 57]. იგი თავის დროზე საავალიშვილოს შემადგენლობაში არ ყოფილა.

ამრიგად, აღნიშნულ წყაროებზე (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, ჟამთააღმწერელი, ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი, გიორგი მერჩულე, გიორგი ხუცესმონაზონი, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, „სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები“) დაყრდნობით შეიძლება გამოვიტანოთ ასეთი დასკვნა:

*1. წყაროთა შეჯერების შედეგად გამოიკვეთა, რომ ხეობის საზღვარი იწყებოდა ტაშისკარიდან და იგი ორგანულად ყოველთვის ქართლთან იყო დაკავშირებული.*

*2. ისტორიული ხეობის საზღვრების ცვლილებს, VIII-X საუკუნეებში ნამდვილად ჰქონდა ადგილი და მან დვირამდე გადაინაცვლა და არა აწყურამდე.*

*3. ის, რომ გიორგი მერჩულე „ზოგად არეში“ ქართლ-სამცხის სასაზღვრო ზოლს, კვირიკეწმიდის დღემდე მიჩნეულ სამონასტრო კომპლექსის მდებარეობის (დვირის) ტერიტორიებს გულისხმობს.*

*4. ისტორიული ხეობა არ იყოფოდა მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებად და მტკვრის ორივე სანაპირო ერთიან ხეობას წარმოადგენდა და იგი ქართლის მეფის სუვერენიტეტის ქვეშ იყო.*

*5. თორის ზეობის პერიოდში, ხეობა დამოუკიდებელ მხარეს წარმოადგენდა და იგი ადმინისტრაციულად არც ქართლის შემადგენლობაშია და არც სამცხის.*

*6. ტაძრისი-დემოთის მიმდებარე ტერიტორიები ადმინისტრაციულად სამცხეს ეკუთვნოდა და XV-XVI საუკუნეებიდან ავალიშვილთა სათავადოს შემადგენლობაში შედის და ქართლ-სამცხის სასაზღვრო ზოლიც ამ ტერიტორიებზე გადის.*




# ზარზმის სამრეკლოს შესახებ

ადიგენის რაიონში მდებარეობს სოფელი ზარზმა, რომელიც ცნობილია თავისი ისტორიით, ლეგენდებით და დიდებული სამონასტრო კომპლექსით. აქ არის საქართველოში ერთ-ერთი უძველესი და, ამავე დროს, ერთ-ერთი უდიდესი სამრეკლო, რომელსაც დღევანდელი სახე 1577 წელს მიუღია, როცა სამრეკლოს პირველი სართული ამოუშენეს ფარსმან ხურციძის ბრძანებით, იოანე მახარებლის სახელზე.

ზარზმის კედლის წარწერებში მოხსენებულია ხუროთმოძღვარი გარბანელი და „ორნი იგი ძმანი“.

სამრეკლოს მშენებლობის დროს, გუმბათის ყელზე, ამოუკვეთიათ „ორი ძმის„ ბარელიეფი. მას ადგილობრივნი მიიჩნევდნენ სამრეკლოს ამშენებელ ძმებად, რომლებიც, თურმე, მშენებლობის დასრულების შემდეგ, აქვე ბერად აღკვეცილან.

ცნობილია, რომ ოსმალეთის მიერ მესხეთის დაპყრობის შემდეგ, ქრისტიან ქართველთაგან ვინც გადარჩა, დაუწყეს ძალით გამუსულმანება, _ გათათრება, რის გამოც ბევრი ქრისტიანი ქართველი მესხეთიდან, მშობლიური კერიდან, აიყარა და გადაიხვეწა საქართველოს სხვადასხვა მხარეში, მათ შორის, გურიაშიც „ასკილაურის„ გზით (ადიგენის რაიონში დღესაც არსებობს გზა ამ სახელით) და ნაწილი დასახლდა დღევანდელი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთში.

1937 წელს ალ. ღლონტს ჩაწერილი აქვს ერთი ლექსი (გურული ფოლკლორი. თბილისი 1937წ. გვ.26), რომელიც ეხება ზარზმიდან აყრილ და სოფელ ერკეთში დასახლებულ ვინმე ბალაძეებს, კერძოდ:

სამმა ძმამა ბალაძემა
ჩვენ დავაგდეთ ბალავერი,
თუ თორმეტი ჩამეილებს,
ის იქნება ფალავანდი...
ძმები იქ ერთად ვიყავით:
მოსე, ენუქი, ელია,
ზარზმის საყდარი დავაგდეთ,
შევიქენით ერკეთელია.

მართალია ლექსში მოიხსენიება სამი ძმა და, ლეგენდა კი ორი ძმის შესახებ გვამცნობს, ასევე არც ბერად აღკვეცილან, მაგრამ ბალაძეთა გვარის მეხსიერებაში შემორჩენილია, რომ მათ წინაპრებს მონაწილეობა მიუღიათ ზარზმის მონასტრის მშენებლობაში, რაც დღეს ამ ლექსის სახით შემოგვრჩა.

რეზო ანდღულაძე



# გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ დღევანდელი ნომერი იბეჭდება ასპინძის მუნიციპალიტეტის შეკვეთით

## მატიანე



ვარძია. 1966 წელი. 28 სექტემბერი. რუსთაველის 800 წლის იუბილე. ინდოელი მწერალი ამრიტა პრიტანი, ქეთევან ლოლობერიძე და მიხეილ მეძმარიაშვილი. სურათი მოგვაწოდა ვასილ კვინცხაძემ

## სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული თურქულენოვანი ანდაზები

ნ

ნათესაობის დამკარგავი არამზადააო.
ნაცრის საფარს ნუ იკეთებ, ქარი დაჰკრავს და ძირიანად დაჰგვისო.
ნაღდი იყოს და ხახვი იყოსო.
ნაცადი დო ჭამე დაუცდელ მაწონს ნუ სჭამო.
ნისიად ღვინის დამლევი ორჯერ დათვრებაო.
ნუ სტეხ სხვის კარებს, თორემ შენს კარებსაც დაგიმსხვრევენო.
ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო.

ო

ობოლი ვარ, გამზარდე, წამოვიზრდები და დედას გიტირებო.
ოსმალო რაც გინდა სწორი იყოს, ნამგლის ოდენი სიმრუდე მაინც ექნებაო.
ორი გული რომ გაერთიანდება, მყუდრო ადგილი მალე მოინახებაო.
ორი ძმა ერთ კარში ვერ მოთავსდებაო.
ორმოცი საცრიდან პური უჭამიაო (ე.ი. ნათრევი კაციაო).
ორმოცი კარის დამკეტი, ერთსაც არ გააღებსო.
ორმოს ნუ სთხრი ავადაო, ჩავარდები თავადაო.

პ

პატივისცემა ორმხრივია.
პირი მივეცით ალიას, მოგვისვარა ხალია (ნოხი).
პირმიცემული დათვი ხალიჩაზე მოკალათდაო.
პურადს ერთი დაეხარჯება, პურაძვირს – ორიო.
პური მეპურეს გამოაცხობინე და ერთიც მეტი მიეციო.
პური გობში ეძიე და მეგობარი – სოფელშიო.

**(გაგრძელება იქნება)**

*ჩაიწერა არსენ კარაპეტიანმა 1989 წელს, მოგვაწოდა ნარცის კარაპეტიანმა 2016 წელს*

## თამარ დედოფალი

ყოფილა თამარ დედოფალი, მანდ არალი არი, ვალესკენ, ჯახსუისკენ, არალას ზევიდან არი შაბანბელი. მაშინ ტერი მოჰდგომია (ჩონ ყიზილბაშ ვეტყვით) თამარ დედოფალ საჩხუბრათ. მანდ ერთი ციხე არი, მაგ ტყეში თამარ დედოფლის ჯარი ყოფილა. მაშინ ის ციხე რო აულია ყიზილბაშ, ამოსულა თავზე, მაღლა, შაბანბელზე. თამარს უფიქრია, რო ტერი ჩვენა მეგვერიოს, რა უშველოთ ამას? როგორ მოვიქცეთ, რო მტერი ჩვენ დავიმონოთო? გენერლებს უფიქრიათ და უთქვიათ თამარისათვის: მოდიო, ნება აიღე სამი დღითაო, პრაზნიკი მაქ და სამ დღი მერე ვიჩხუბოთო. ისიც, რა დღეებში ყოფილა, იცი? აღდგომის დღეები ყოფილა. შეუნგვრევია თამარს მაშინ ჯარი და გაუჭრევინებია კანავა, ათ მეტრზე სიმაღლე, რვა მეტრზე სიგანე. მერე მოუტანია ფიჩხი და ის ხევი (იქნება ასრე კილომეტრი, რაღა!) წაუპიწკია, რო არ შეამჩნიოს ტერმა. სამი დღე რო შეთავებულა, ტერი წამოსულა. ზოგი უკნიდან (დარინდარას ეუბნებიან) დაუყენებია, ზოგიც აქეთ დაუყენებია. ტერი რო წამოსულა, თამარი წინედან თავი ჯარით გაქცევია. იმი ჯარი რო მიმდგარა წაპიწკულ ღელეზე, სუ ჩაცვივნულან. მაშინ მოსდგომია თამარ დედოფლის ჯარი და ზოგ ქვევიდან და ზოგ ზევიდან უწყვეტია ტერი, სუ ხმლით თავი უკვეთია. შეუნგრევია მერე თავი ერთ ალაგას (ქალთაფას ეძახიან), სულ ზვინივით დაუყენებია და კირით შეუკირია, რო ნაშთი დარჩეს. ქალთაფას რო ეძახიან, იმოტონა ხალხია, რო სამასი ფურგუნი ვერ ასწევს, იმდენი ბევრია. ჩონა, იქ რო მივდიოდით, შეშა გადაგვქონდა, გაგვიკვირდა, ადამიანის შვილის ყაფა, რამდენი ყოფილა. ყაფა თავზე რო გადავაცვით, სუ ხრიებზე გადმოვიდა, ისეთი დიდრონი თავები იყო. თამარს რო დაუზაფთებია მტერი, გადასულა იქითა პირზე, ხმალი მოუგდია გვერდზე და უთქვია: ბიჭებს ეხლა სადილი მივართვათო! ეს გვაქ გაგონილი, რო თამარს ეგ ჩაუდენია.

*მთქმელი გიორგი მიხეილის ძე ზაზაძე, სოფ. გოკიო. ჩაიწერა არამ მარტიროსოვმა*

## ფოლკლორი

***

მეზობელი სარკე არის, მოწმე კარგის,
ავისაო,
ო, რამდენჯერ მისმა რჩევამ გული
გამიხალისაო.

***

ავი პატარძლის ყოლასა,
სახადი სჯობს სახლშიაო,
თუ დედამთილი გაჯავრდა,
გამოაგდებს კარშიაო.

***

სიმღერა დავიწყე ხანა და ხანა,
ბალდუზად* მერგები გოგოჯან, ანა.

*ბალდუზი (თურქ.) – ცოლის და.

***

ყველიერში ყველი ვჭამე,
აღდგომობას – ჩიტებიო,
თქვენს ოჯახში დაზრდილიყვნენ
ქოჩრიანი ბიჭებიო.

***

მინდორშია თეთრი ფური,
ადრე დამაკებულაო,
ერტი კევრცხი ჩვენც ჩაგვიგდე,
ვითომ გალაყებულაო.

***

ინდუსას ქორწილში რა მომივიდა,
სიმღერა მინდოდა, ხმა წამივიდა,
იმ გოგოს ტუფლები ას ფარად ღირდა,
სულ ცეკვა-ხტუნვით დაცვითა,
ის გამიკვირდა.

***

ალულეი და ოშკაო,
ჩამომეკიდა ბოშაო,
ერთი ორი წავუთაქე,
ამოვიჩარე ქვეშაო,

***

ნიკორასა და ლომასა,
მოვაგლეჯინებ გორასა,
ოროველ, მოდი კალოსა,
არავინ მოგიპაროსა,
არც არვინ შეგწვას, შეგჭამოს,
არც არვინ წაგიყვანოსა.

მთქმელი მარიამ ჭუჭუნაძე, 83 წლის,
სოფელი მუსხი,
ჩაიწერა გიორგი ჭუჭუნაძემ

ჩვენი გაზეთის მეოხია
ლიანა
მანჩხაშვილი

გაზეთში გამოყენებულია ინტერნეტისა და გაზეთის ფოტოარქივში დაცული ფოტოსურათები

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scribd.com; facebook: ლიტერატურული მესხეთი

**დამფუძნებლები:** ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ქ. თბილისში გაზეთ "–ლიტერატურული მესხეთის" შეძენა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე – ალ. პუშკინის ქ. №5–ის წინ, მეტრო "–თავისუფლების" გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში – "–საქპრესის" ჯიხურებში

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო: მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 99 97 95 24,
lit_meskheti@yahoo.com